

ე. თაყაიშვილი

არხეოლოგიური

მღვწეაშუკობანი

რე

უენი უვნანი

0/725
3

წიგნი მეორე

ტფილისი

ელექტრომბეჭდავი ს. ლოსაბერიძისა, მოსკ. ქ., საკ. სახ., № 5.

1914

შ ი ნ ბ ა რ ს ი

33.

1. არხეოლოგიური მკვლევარებიდან სამეგრელოში (1—241)

1. შესავალი. სოფელი ტყვირი და მისი ეკლესია. წარწერები. ხატები და სხვა ნივთები. ცნობილნი პირნი კილაძეთა გვარისაგან 1— 19
2. სოფელი გულე-კარი და მისი ეკლესია. ხატები . 19— 22
3. სოფელი სუჯუნა და მისი ეკლესია. ხატები და სხვა ნივთები 22 — 31
4. სოფელი აბაშა და მისი ეკლესია 31— 32
5. სოფელი კადარი და მისი ეკლესია 32— 33
6. სოფელი ონტოფო და მისი ეკლესია 33
7. სოფ. სეფიეთი და მისი ეკლესია. ხატები 33— 38
8. სოფ. ბანძა, ვედიდი კარი. ბანძა, შაური კარი . 38— 39
9. მარტვილის მონასტერი და მისი წარწერანი (39—44). ხატები და ჯვრები (44—69). სხვა და სხვა ვერცხლის ჭურჭელი და იარაღები (69—72). ნაკერ-ნაქსოვი ნივთები (72—78). მარტვილის ხელთნაწერები (78—118). მარტვილის ფრესკები (118—125). ეპიტაფიები ანუ საფლავის ქვების წარწერანი (126—128) 39—128
10. სოფ. წაჩხური და წაჩხურის ეკლესიის ხატის წარწერა 129—130
11. ხობის მონასტერი და მისი წარწერა (129—134). ფრესკები (134—137). ხატები და ჯვრები (137—156). ხობის ხელთნაწერები (157—163) 131—163
12. ცაიშის ეკლესია (163—164). ხატები და ჯვრები (164—181). ნაქსოვ-ნაკერნი (181—187). ხელთნაწერები ცაიშისა (187—193) 163—193

13. ქალაქი ზუგდიდი და მისი ძველი ეკლესია (193—194). ხატები ზუგდიდის ეკლესიისა (194—199).	193—199
14. სოფ. ყულის-კარის ჯვარი	199—200
15. სოფ. კორცხელის ეკლესია (200—202). ხატები კორცხელის ეკლესიისა (202—208).	200—208
16. სოფ. წალენჯიხა და მისი ეკლესია (209—210). ფრესკები (210—215). ლევან დადიანის ეკვდერი (215—219). მანუჩარ დადიანის ეკვდერი (219—221). აღმოსავლეთის ეკვდერი (221—222). ხატები, ჯვრები და სხვა ნივთები წალენჯიხის ეკლესიისა (222—238)	209—238
17. ს. ობუჯის ეკლესიის სამწერობელნი და მისი წარწერა	238—240
18. სოფ. ჯგალის ხატი ძელი ქეშმარიტისა	240—241
19. სოფ. სკურდის ჯვარი	241
2. შესავადი ეგრემ მცირის შრომისა „თარგმანებაჲ ფსალმუნთა წიგნისაჲ ლექსიკონითურთ	242—269
3. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი:	
1. წარწერანი (270—274). ხატები და ჯვრები ხონის ეკლესიისა და სხვა ნივთები (274—281)	270—281
2. აღწერა ხონის ეკლესიის ხელთნაწერთა, შედგენილი არისტო ვასილის ძის ქუთათელაძის მიერ 1893 წ., ივნისს	281—296
3. სია ხონის ეკლესიის სიგელ-გუჯრებისა, რომელნიც წარუდგენია იმერეთის ეპისკოპოსის სოფრონიოსისათვის მოთხოვნილებსამებრ ხონის ეკლესიის იღუმენს ვასილ ქუთათელაძეს 1829 წელს	296—302
4. სოფელ საზანის ეკლესიის ხატის წარწერა	302—304
5. დამატებანი და შენიშვნენი ცთომილებანი	304

პრემიუმული მონეტის მომზადების საფორმული.

ზაფხულში 1913 წლის „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მონდობილობით ჩვენ დაფიქრებულ საშეკრებლად უმთავრესი მონასტრები და ეკლესიები. მიზნით გვექნა განსაკუთრებით გადაგვეღო ფოტოგრაფიულად უველა შესანიშნავი ნაშთები, გავცნობდით ძველ მხატვრობას (ფრესკებს) მონასტრებისა და ეკლესიებისა, აღგვენიშნა მათში ისეთი ისტორიული პირების სურათები და სხვა მხატვრობა, რომელთა ნამდვილის მსგავსად პირის გადაღება ფერადებით უსაჭიროებს საგანს შეადგენს ჩვენი მუზეუმისათვის. ამას გარდა ვაგრძობდით, რამდენადაც ვასწრობდით, არქეოლოგიურ მასალას, ეკლესიების, ჯვრების, ხატების და სხვა ნივთების წარწერებს, ხელთნაწერების მინაწერებს, სიგელ-გუჯრებს და სხვა. თან გვანლდა საგანგებოდ მოწვეული ფოტოგრაფი თეოდორე კიუნე. აღნიშნული მიზანი შეძლებისამებრ შევასრულეთ. დიდი დახმარება აღმოგვიჩინა ყოფილად სამღვდელთა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიძემ, რომელსაც გულითად მადლობას ვუძღვებით. ხელი შეგვიწვევს აგრეთვე მარტვილის წინამძღვარმა შიომ, ხოხის ბერ-მონაზონმა ანდრეამ, აბაშის ბლადონიმმა ფილემონ მატკავამ, ტყვირის ეკლესიის მღვდელმა სტეფანე კურუამ, სოფელ სეფიეთის მღვდელმა ბესარიონ ბუკურჩავამ, ცაიშის მღვდელმა ბესარიონ თოდუამ, ცნობილმა მოღვაწემ იონა მუხნარკიამ, წაყენჯიხის ბლადონიმმა სამსონ თვალთვაძემ. უველა ამით დიდ მადლობას ვუცხადებთ და აგრეთვე სხვებსაც, რომელთაც რაიმე დახმარება გაგვიწიეს. სამეგრელოს უველა ეკლესიების დარება ვერ მოვასწარით. ხელი შეგვიშალა ავადმყოფობამ. სამეგრელოს გარდა წელს ჩვენ ვიყავით კიდევ იმავე მიზნით იმერეთის დაბეში, ხონში და ვანში, და აგრეთვე შემოქმედის მონასტერში გურიაში. შეკრებილი მასალის სურათებით ჯეროვანად გამოცემა ძრიელ დიდ ხარჯს მოითხოვს და ჯერხანად საზოგადოებას

არ ძალუძს. აქ მოკლეთ აღვსახვით ნახულს და გადაღებულ ნივთებს და მოვიყვანთ უმეტეს შემთხვევაში წარწერებს.

ტ ვ ჯ. ი რ ი.

სოფელი ტუვირი მდებარეობს რიონის პირად ვაკეზე, შვიდი კერსის მანძილზე სადგურ ახაშიდან. ეკლესია ტუვირისა პატარაა, მაგრამ ჯამაზი, გუმბათიანი, ნაშენია ქვით და აგურით, გეგმა. მისი ოთხკუთხედაა ჯვარის სახედ. სიგძე და განი ეკლესიისა არ აღემატება 14 ადღს. შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით. ფანჯრები სამი აქვს: თითო აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. მომრგვალო გუმბათში რვა პატარ-პატარა ფანჯარაა. ჩრჩილები ფანჯრებისა ხისაა ძველებური. ეკლესიის გუმბათი დახურულია ტუვირის ფურცლებით, ფრთები და ეგვტრები უავრით. ამბობენ სახელ-წოდება ტუვირი იმიტომ დაერქვა სოფელს, რომ ეს ეკლესია ძველათ მთელს იყო დახურული ტუვიითა, მაგრამ ეს საეჭვოა. ჩვენ ქვემოთ წარწერიდან დაგინახავთ, რომ სახელი სოფლისა იმ დროსაც, როდესაც ეკლესიას აშენებდნენ, ტუვირი უთიქდა. ამ პატარა ეკლესიას მიშენებული აქვს ორი საკმაოდ მოზღდილი ეგვტერი, ერთი დასავლეთის მხრით და მეორე ჩრდილოეთის. ორივე ეგვტერი მიშენებულია მე-XVII საუკუნეში, თვით ეკლესიის აღშენება კი, ჩვენის აზრით, ეკუთვნის მეოთხეტი საუკუნის დასასრულს ანუ მე-XV დასაწყისს. შიგნით და გარეთ ესეა ეკლესია შეესილი და შეთეთრებულია კირით და თავის პირფანდელი სახე დაუკარგავს. გარეთ ჩუქურთმა ერთობა ესეა მხოლოდ სამხრეთის და დასავლეთის კარების ირგვლივ და აგრეთვე დასავლეთის კედელში. დასავლეთის ფანჯარა, რომელიც ესეა დახშულია ეგვტრის მიშენების გამო, ჩუქურთმიანი უთიქდა, ფანჯრის ქვემოთ ლამის ქანდაკება მოჩანს და ხუთი სხვა ჩუქურთმიანი ქვა. კარის მარცხნივ დახშული ჩუქურთმიანი კამარა (არკა) არის, თან ქვემოთ ჩუქურთმიანი ჯვარია. ჩუქურთმიანი ქვები მოიპოვება აგრეთვე დასავლეთის კარის მარცხნივაც.

წინეთ ეკლესიის კედლები შიგნით სულ მოხატული უთიქდა, მაგრამ შეესივის და შეთეთრების შემდეგ თითქმის აღარაფერი დარ-

ჩენილა. ესლას მხატვრობას ეტეობას მხლელად გუმბათში. გუმბათის ცა-
ში ჯგერას დახატული რგოლში, რგოლი უჭირავთ ხელში ანგელო-
ზებს. ჭკემით თანჯრებს შუას კიდეგ მოჩანან წინასწარმეტყველები.
ჩრდილოეთის მხარეს შუენიშნეთ თაფები ორმოცთა მოწამეთა ხუცური
ასო-მთავრული წარწერით: „[მოწა]მენი ორმოცნი“. სამხრეთისკენ მო-
ჩანს ნახევრად შენახული ჯგერცმა. დასავლეთის ეკგტერში დახატული
ყოფილა მეორედ მოსვლა. კარგად მოჩანან ანგელოზები საუფირობით
და წარწერით: „საუფიროს ცემა“. ანგელოზების ჭკემით ორივე მხრით
სხედან მოცთქელები. მხატვრობის წარწერები მსხვილი ასომთავრუ-
ლით ყოფილა. კანკელი სულ უბრალოა ხის, ტრახეზი ქვისა, აღ-
მოსავლეთის კედელზე მიდგმული. ჩრდილოეთის ეკგტერი დაზიანე-
ბულია.

წ ა რ წ ე რ ე ბ ი .

როგორც კედლების ისე ხატების წარწერები ტყვიანის ეკლე-
სიისა ძრიელ საუურადლებანი არიან ჩუენთვის. ამ წარწერებიდან
ჩანს, რომ ტყვიანის ეკლესიას აშენებულყოფილი ყოფილა ჭილაძეების მიერ
და მათ სამარხავად გამზადარა. ჭილაძეები ერთ დროს მთავრები იყუ-
ნენ და ფლობდენ დიდ მხარეს გურიასა და სამეგრელოს შუას. გური-
ასში მათი სამფლობელო საერისთავომდის მიდიოდა, ესე იგი მათ
ეჭირათ მთელი ესლანდელი მხარე გურიისა, რომელსაც ჭქვია საჯა-
ვანო, სამეგრელოს მხრით მათი სამფლობელო, როგორც ირკვევას
ესლას, ბანძამდის მიდიოდა. ამ საზღვრებში შედიოდა, გარდა საჯა-
ვანისა, ორპირი, სამტრედია, ესლანდელი საჭილაო, აბაშა და სე-
ფიეთი. ჭილაძეები ძლიერნი იყუნენ მე-XIV და მე-XV საუკუნოებ-
ში, მაგრამ შემდეგ, მე-XV საუკუნის მეორე ნახევარში, დაკარგეს
თავის სამფლობელო და დაქვეითდენ. მე-XV საუკუნეში იმერეთის
მეფის გიორგი II დროს (1548—1555) დიდათ გამოჩენილი იყო
ჯავახ ჭილაძე, მაგრამ მან უღალატა გიორგი მეფეს. მეფემ შეიპყრო
ის და მოჭკლა. მისი პამული ჯერ თვით გიორგიმ დაიჭირა, მაგრამ
მერმე გაუყო დაღიასს და გურიელს და მათ შორის საზღვრათ დაიდგა
რიონი. საჯავანო ერგო გურიელს, რიონის მარჯვენა ნაპირი და-

დაიწყო. მე-XVII საუკუნეში ჭილაძეების გვარი კიდევ წარჩინებულათ
ითვლებოდა და ნათესაობით შეკავშირებული იყო დადიანებთან და გუ-
რელებთან. ხოლო შემდეგ დროში სულ დამცირდა. ეხლა მათ უფ-
ოფელ სიმდიდრეს და გვარს მოგვაგონებს ერთი კუთხის სახელი ახა-
შა და სამტრედიას შუა, საჭილაო, და აგრეთვე აქამდე დარჩენილი
შელოცვა: „ღმერთმან ისე გაგამრავლეს, როგორც ჭილაძის ჯო-
გია“, ხშირათ იტყვიან სამეგრელოში.

ჭილაძეების შესახებ ძრეულ ცოტა ცნობები გვქონდა. ეხლა
ტყვირის ეკლესიის წარწერები, რომელნიც ამდენხანს უცნობნი იუფ-
ნენ ჩვენს ლიტერატურაში, შუქს ფენენ ამ ერთხელ ძლიერი გვარის
ისტორიას და გვამცნევენ ბევრ ახალ პირებს. ზოგიერთი მათგანის
სახეები დიდებული ტანისამოსებით გამაქანდაკებული არიან ხატებ-
ზე. ხატები და წარწერები გადმოვიღეთ ფოტოგრაფიულად. შედგე-
ნილია აგრეთვე გეგმაც ეკლესიისა.

1. სამხრეთის კარის ზემოთ დიდ ქვაზე ასომთავრულით სწერია:

1) **ნწჳსნტწ. ნტწ. ჳნიჸ**

2) **ჟრწ. ჳწგჳოჸტინწ. ჳ**

3) **ჟჳოჸტინწ. ნწჳჳტინწ.**

4) **ჳნიჳჸჟრჟჳჟჳჳსწ. ჳოჸჟჳსწ.**

5) **ჳინწჳჟინწ. ჳრწ. ნრწ. ტჳწტწ. ჳინ-
ტწ. ჳწჳწჳჳ**

6) **ტინწ. ჳწ. ჳოჳჳინწ. ჳრწ. ნრწ. ჳრ**

7) **გწ. ჳრჳწ. ჳტწ. ჳნ ნრ.**

უქარაგმთ:

„სახელითა ღმრთისათა აღეშენა. მაცხოვრისა მტყუვირისა საყ-
დრისა აღმაშენებელსა ქუველსა ჭილაძესა შეუნდგნეს ღმერთმან. ძმა-
თა მისთა კახაბერსა და ჩუბინსა შეუნდგნეს ღმერთმან. ვინცა შენდო-
ბა ბრძანთ, შეგინდგნეს ღმერთმან“.

ამ ეკლესიის აღმაშენებელი ქველი ჭილაძე იხსენიება ერთ სი-
გელში¹⁾ მეფე გიორგი VII-სა († 1407). მისი ძმები კახაბერი და

1) ამ სიგლისა მარტო პირს მოუღწევია ჩვენამდის და ინახება ბრო-
სეს ქალაქებში პეტერბურგის აზიურ მუზეუმში (ს. კაკაბაძე. გენეალო-
გია დიდის ალექსანდრე მეფისა, გვ. 18—19).

ჩუბინი სხვა წყაროებში არ გვხვდება. ვინაითგან გიორგი VII მე-
 ფობა ეკუთვნის მე-XIV საუკუნის დასასრულს და მე-XV დასაწყისს
 და ქველი ჭილაძე მის დროს ცხოვრობდა, ამიტომ ტუვირის ეკლე-
 სიის აშენებაც, ჩვენის აზრით, ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს. სიგელში
 ქველი ჭილაძე მოლარეთ-უხუცესად არის მოხსენებული. წარწერა ამ ხა-
 რისხს არ იხსენიებს. წარწერა იმ დროს ეკუთვნის, ალბათ, როდესაც
 ქველი ჭილაძეს ჯერ მოლარეთ-უხუცესობა არ ჰქონია მიღებული. ამი-
 ტომ წარწერა უფრო უნდა ეკუთვნოდეს მე-XIV საუკუნის დასასრულს,
 ვიდრე მე-XV დასაწყისს.

ამ წარწერაში მოხსენებულნი ჭილაძეები უძველეს დროის ჭი-
 ლაძეებათ უნდა ჩაითვალოს, ვინაითგან ამაზე ადრე საბუთებში ჭილა-
 ძის გვარი ცნობილი არ არის.

ტუვირის ეკლესია სსსოფლო უოფილა ჭილაძეებისა, რაც მტკიც-
 დება სხვა წარწერებითაც.

2. მარცხნივ იმავე კარისა ერთ ქვაზე მერმენდელის ასომთავ-
 რულით, ერთ სტრიქონათ სწერია:

ნ-ო ტ-ი მ-ტ ზ-ი მ-ტ მ-ი ნ-ი მ-ტ-ი(?).

„ღმერთო, რომელი ხარ ზე(ცა)თა, შეიწყალე სული ოფესი“(?).

3. აღმოსავლეთის კედელზე ასეთივე ქვაზე და ასეთივე ხელით:

**ნ-ო მ-ტ მ-ტ-ი ტ-ი მ-ტ ზ-ი მ-ტ მ-ი მ-ტ
 მ-ტ-ი(?)**.

„ღმერთო და უფალო, რომელი ხარ ზეცათა, შეუნდგენ ოფე“(?).

ეჭვს გარეშეა, რომ ორივე უკანასკნელი წარწერა ერთ და იმა-
 ვე ზირს იხსენიებს, ხოლო სახელი ამ ზირისა კარგად არ იკითხება და
 ჩვენ საეჭვოდ დაგვიდგია. ამას გარდა, ვინაითგან ო-ს და უ-ს ასო-
 მთავრულში ერთგვარი გამოსახულება აქვს, ძნელი სათქმელია, ოფე,
 ოფესი უნდა იყოს, თუ უფე, უფესი.

4. ჩრდილოეთის ეკვდერში არის აკლდამა და ამ აკლდამას ზე-
 მოდან ხურების დიდი ქვის ოფიქალი, რომელიც აუხდიათ და გაუტე-
 ხიათ და გრეხილიანი ასომთავრული წარწერაც დაზიანებულია. ამ ქვის
 წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ:

1) **ნ-ო მ-ტ-ი[ტ-ი]: მ-ტ-ი**:

2) **ნ-ო: მ-ი: ნ-ი: მ-ტ**

- 3) **სის: ყრბოჩის: ხრბ:**
- 4) **სყოჩოზის: ყიბჩის:**
- 5) **ოტხიყი: შხ: ცხიყინ: ხრ:**

ქვემოთ მხედრულათ:

1) ქ: ამის: მწერალს: შს: ღნ: ან.

7) და: ვინცა: ბრძანთ: თქვენცა: შს: ღნ.

„მაცხლ[ვარც] პირც დმრთისა, შეიწყაჟე სული ჭილასძის ბატონის (=პატრონის) მამა ჭყონდიდლის იერემიასი ორსაჟე შინა ცხორებასა, ამინ“.

„ამის მწერალსაც შეუნდოს დმერთმან, ამინ და ვინცა [შენდობა] ბრძანთ, თქვენცა შეკინდოს დმერთმან“.

ჭყონდიდელი იერემია ჭილასძე ის ჭყონდიდელი უნდა იყოს, რომელიც მოხსენებულაა პაპმა შახნავაზიანში და რომელიც ცხოვრობდა მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში. იმავე შახნავაზიანში ცნობილია იერემიას ძმა ქველი¹). ეტეობა, ჭყონდიდელს იერემია ჭილასძეს მიუშენებია ტუვირის ეკლესიისათვის ჩრდილოეთის ეკგტერი თავის სამარხად და დამარხულა იმავე ეკგტერში.

ხატები და სხვა ნაგებობი.

1. დიდი მაცხოვრის ხატი ქართული ხელობისა, ნაჭედი, ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, 53,5 X 40 სანტიმეტრი. მაცხოვარი ზის ტახტზედ, მარცხენა ხელში აქვს სახარება, მარჯვენა ხელით ჯვარსა სწერს. წარწეკა აქვს ხუცურათ: „მაცხოვარი“. ზემოთ აშიაზე შუაში ხატია მაცხოვრისა და მის მარცხნივ და მარჯვნივ დედა ღვთისა და იოანე ნათლისმცემელი. მარჯვნივ და მარცხნივ აშიებზე მთავარანგელოზნები და მათ ქვემოთ წა პეტრე და წა პავლე. ქვემოთ აშიაზე წა მათე, წა მარკოზ და წა ლუკა. მაცხოვრის წინ მარცხნივ ხატის შუა ტანზე გამოქანდაკებულია სურათი იერემია ჭყონდიდელი-სა. ქრისტეს თავის გარშემო სიმრგვლე („ნიმბი“) შემკობილია 10

¹) Brosset. Hist. de la Géorgie, t. II, livr. 1, p. 608.

ქვირფისი ქვეთ. ზურგზე, ვერცხლის ფიფარზე, მშვენიერის მსხვი-
ლის ასომთავრულით ხატის აწერას:

1) ჟ. ბოტაშნი: ჟაჟა: ჟანსნიტაჟ. ნო-
ბუჩნიტაჟნი: ნც

2) ხტბტბუბო: ხჟბტბ: ხტბოხტბჟ
ტბტ: მუჟჟ

3) კნიტნი: მჟნიტნი: მხტბნი: ხჟბჟჟნი:
ხგნიტბტნი:

4) ტხტბტუტნი: ტბტნიტბტნი: მუჟტბტნი: ხი-
ჟტ: ნტბოჟუნი

5) ტბტბტ: მჟნიტნი: ხნიტბჟბტბჟუჟნი: ხტ-
ხტ: ბჟბნი

6) ჟნიტბუნი: ნიტბჟნი: ბუნიტბუნი: ხბ-
ხტბ. ტბბჟ

7) ტბტნი: მუჟტბტნი: ხბტბტნი: ხნიბ

8) ბბ: ტბ ტბტბტბ: ნტბბბბბბტნი

9) ხჟბჟ: ტბ: ხტბტბჟუჟ ხტბხტბ: ხნი
ტბტნი: ტბტნი

10) ტბჟუნიტბნი. უქარსკმელთ:

„რომელი ეგე კსნისთჳს ცოდვილთასა სამარადისოდ მეოხად
მდგომარე ხარ წინაშე ძისა შენისა, ღმრთის მეობელად, მცირელაა
ამათგან ხრწინათა ნივთთა მიერ სსსრებითურთ შენდა მიმგედრებულ-
სა, მამა ჭეონდიდელსა, იერემიას ჭილასძესა, მამუც თხფათა ჩემთა
ზოფნა, რათა მიოხრა არ დასჯად საუკუნითა. მეოხ და მიფარველ მექმენ
მას დღესა განკითხვისასა“.

წარწერას მიმართულია, როგორც ხედავთ ღვთის-მშობლისადმი.
ხატი კი მაცხობრის არის. ეს მომხდარა მიტომ, რომ დამწერს და
გამჭედელს ხატისა აუღია უცვლელათ მისგანვე გაჭედოლის ღვთის-
მშობლის ხატის წარწერას, რომელიც ქვემოთ მოგვიყვას.

ზ. ღვთის-მშობლის ხატი, დიდი, ვედრებისა, ჩვილუდი, ნა-
ჭედი, ქართულის ხელაბისა, ვერცხლისა, თქრთ დაფერილი,
58X44 სანტიმეტრი, ღვთის-მშობელი დგას, მარცხენა ხელში
უჭირავს ძე-მაცხობარს. ღვთის-მშობლის წინ დაჩქილია მშვედრებუ-

ლი ვარნოზსი ჭილაძე. ზემოთ აშიაზე სურათის მაცნოვრისა ღვთის-
 მშობლით და იოანე ნათლის-მცემლით, მარცხნივ და მარჯვნივ აშია-
 ებზე მთავარ ანგელოზნი, მიქელ და გაბრიელ (უკანასკნელის სახე
 გაფუჭებულია), მათ ქვემოთ ჰეტრე და ჰაფლე, ქვემოთ აშიაზე მა-
 ხარობლები: მათე, მარკოზი, ლუკა. სურათებზე ასომთავრული წარ-
 წერებისა სახელებისა. მეორე გვერდზე ვერცხლის ფიტარზე ბაფსა-
 ბიანი სურათებით შემკობილზე ასომთავრული წარწერას იმავე ხე-
 ლით, რეგორც წინა ხატზედ:

1) ჟ:.. ოოჰჟზნი:.. ჟჟჟ:.. ჟზზზზზზზ:.. ოო-
 ჟჟჟზზზზზ:.. ნზზზ

2) ოჟჟზზზზ:.. ოჟოჟჟ:.. ჟ ოჟჟოჟჟჟჟ
 ჟჟჟ:.. ჟჟჟჟ

3) ოზზ:.. ოჟჟზზზ:.. ოჟჟჟზ:.. ოჟოჟჟჟჟ:..
 ოჟოჟჟჟჟჟ:.. ჟჟჟჟ

4) ჟჟ:.. ჟჟჟჟჟჟჟ:.. ჟჟჟჟჟ:.. ოჟჟჟ:.. ჟ-
 ჟოჟჟჟჟჟჟ:.. ოჟჟჟ:.. ოჟჟ

5) ჟჟ:.. ოჟოჟჟჟჟჟჟჟჟჟ:.. ჟჟჟჟჟჟჟჟ:..
 ოჟჟჟჟჟჟჟ:

6) ოჟჟ:.. ოჟჟჟ:.. ჟოჟჟჟჟჟ:.. ოჟჟჟჟჟ:
 ოჟჟჟჟჟჟჟ: ოჟჟჟჟ:.. ოო

7) ჟჟჟ:.. ოჟჟჟ:.. ოჟოჟჟ:.. ჟჟ ოჟჟჟ:..
 ჟჟოჟჟჟჟჟჟ

8) ოჟოჟჟ:.. ჟჟ. ოჟჟჟჟჟჟჟ:.. ოჟჟჟჟჟჟჟ.
 ოჟჟ. ოჟჟჟჟ. ჟჟჟჟჟჟჟჟჟჟჟჟ. უქარაგმთ:

„რამელი ეგე კსნისათჳს ცოდვილთაჲსა სამარადისოდ მეოხად
 მდგომარე ხარ წინაჲ ძისა შენისა, ღმრთისა მეობელთ, მტირედთა
 ამათგან ხრწნადთა ნივთთა მიერ სასუებითურთ შენდა მიმვედრებელსა,
 ვარნოზსი ჭილაძესა, ძესა ჩემსა ხოსროსი მამეც თხოვთა ჩემთა
 ჰოვანაჲ, რადთა მიხრთ არ დასჯაჲ საუკუნოთა. მეოხი და მთარველი
 მიქქემნი მას დღესა განკითხვისასა“.

ამ ხატის გაჭედაც და წარწერაც იმავე მე-XVII საუკუნის მე-
 რე ნახევარს ეკუთვნის, რეგორც წინა ხატისა. ეს და ერემია ჭი-
 ლაძის ხატი ეჭვს გარეშე ერთი და იმავე ოქრომჭედის ნახელაჲთა

თავის სტილით. წარწერაც სრულიად ერთგვარია ჰალეოგრაფიულის მხრით და ფრასების შინაარსით, ხოლო განიჩევა გრამატიკული ფორმებით, რომელიც უკანასკნელ წარწერაში უფრო ძველია, მაგალითად: ცოდვილთაჲსა, ღმრთისა, სასოჯებიჲთურთ (აქ საოცარია უადგილოდ ნახმარი ასო ჯ ინის შემდეგ), ჰოვნაჲ, რაჲთა, დასჯაჲ, მეცხი და მთარველი მექმენი. პირველ წარწერაში კი გვხვდება ამათ მაგიერ: ცოდვილთაჲსა, ღმრთის, სასოებიჲთურთ, ჰოვნა, რათა, დასჯად, მეცხ და მთარველ მექმენ. მაგრამ მიუხედავად ამისა უოფლად შეუძლებელია ღვთის-მშობლის ხატი უფრო ადრინდელ დროს ეკუთვნოდეს, ვიდრე მაცხოვრისა. ხელობა ერთავე ხატისა სრულიად ერთგვარია და უსათუოდ ერთ და იმავე ოქრომჭედელს ეკუთვნის.

3. ფრთები დასაკეცი ხატისა, ნაჭელი, ვერცხლისა ოქროთ დაფერილი. ქართული დაბალი ხელობისა, 19,5 × 15 სანტიმეტრი. შუაში უოფლია მაცხოვარი, რომელიც დაკარგულა, მაცხოვრის მარჯვნივ და მარცხნივ ფრთებზე დედა ღვთისა და იოანე ნათლის-მცემელი, ამათ ქვემოთ მუხლ მოდრეკილნი ჭილაძენი, ცოლ-ქმარნი, რეჟანოზ და უტანდარ ჩხუტიძის ქალი. ეს მთელი ხატიდან დარჩენილი ფრთები ეხლა მიჭედლია ფიცარზე და ხატად არის ეკლესიაში. ამათზე შემდეგი ხუცური წარწერა არის. მარჯვნივ იოანე ნათლის-მცემლის გარშემო:

ო.ფ.წ.ზ.ო.: ԿԻՆ
ო. ՎԻՆԹԻ
ი.პ.ი.ბ.ო.: ՄԿ
ԲԿԿ ՄԿԿԲԿ
ՀԿԿ: ՄՀ
Հ.Գ.Բ.Օ.
Գ.Բ.Կ: ՆՕ
Կ.Ն: ԺՕԻԳ
Հ ԲՕ.Ն Յ
Կ.Ն.Հ.Կ.Կ
Թ.Հ.Բ.Հ ՀԿ
Ը.Բ.Կ.Մ.Ժ.Կ
Հ.Հ.Թ.Կ

უფალთ იესო
 ქრისტე (sic),
 ღმერთთ, შე(ე)-
 წიე, შეიწყა-
 ლე და
 აცხო-
 ვნე სუ-
 ლი რეჟან-
 ნოზ ჭი-
 ლაძე.
 თანა მე-
 ცხედრე
 მათი

0, P, E, H	უტან-
ფ, ჯ, ძ	დარ
ქ	ჩხე-
ყ, ვ, კ, ხ, ნ	ტიძის.
ჭ, ც, ზ, თ, ი, ე	ქაღი.
კ, ი, წ, ღ, ტ, ხ	ძიასხარს,
(მარცხნივ ღვთის-მშობლის გარძემო):	
ყ, წ, წ, წ, წ, წ	კაკას, ამინ.
ჩ, ი, ზ	დმერ-
ქ, ძ, თ, ი, ე, ი	თო შეუნ-
ჩ, ვ, ყ, ყ	დევ
ჭ, ც, ზ	ქაინო-
ო, ხ, ძ	სროს
ო, ხ, უ, წ	ლას-
უ, წ, წ	ლიას-
ქ, ი, უ, ხ, ხ	შეილს.

შუა დაკარგულ ტანზე ამა ხატისა უნდა ყოფილიყო გამახატული მაცხოვარი, ალბათ წარწერით, ასე რომ წარწერა აქ სრულად არ უნდა იყოს.

კაკა ჭილაძე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ძმა არის ისტორიაში კარგათ ცნობილის ლევან II დადიანის მეუღლის ნესტან-დარეჯანისა. ამიტომ ეს ხატი, მისი წარწერა და წარწერაში მოხსენებულნი პირნი უნდა ეკუთვნოდნენ მე-XVII საუკუნეს. ქაინოსროლასიანი შეილი არის კიდევ მომჭედი დიდი ღვთის-მშობლის ხატისა, სოფელ ვანის ეკლესიისა, სანინოში, იმერეთში¹⁾.

4. მაცხოვრის ხატი, 45 × 36 სანტიმეტრი, ნაჭედი, ქართულის ხელობისა, ვერცხლისა, თქრთ დაფერილი. შემკობილია 12 თერეზით და 7 ლაღით. ხატზე ზემოთ გამოქანდაკებულია: მაცხოვარი ტანტზედ მჯდომარე ღვთის-მშობლით და იოანე ნათლის-მცემლით მარჯვნივ და მარცხნივ. ამათ ასომთავრულით აწერია:

1) იხ. ჩემი არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, გვ. 10.

**ჩ: ԿՆՕ: ԿՆԹԿ: Կ: ԿԻԿԿ: ԿԹՄՆԿԵԿԿ-
ԿՆ. Կ: ՄՄ ՈՒԹՆԸ:**

ქვემოთ გამოქანდაკებულია: „მიქელ: მთვ`რნგელაზი“, „გაბრი-
ელ: მთვ`რნგელაზი“, და შუაში „ვეზუნა ჭილაძე“ მკედრებული
დიდებული ტანისამოსით. აშეიბზე ზემოთ და ქვემოთ აქვს მხედრუ-
ლი წარწერა: -

1) ქ: ეჭა: უფელად: ძლიერო: ღ`თო: ხატო: ღმთებისა: .
მ(ა)ცხვარო: ტუვირისა: . მე: მონა: მოსაგმან: და სასკებ(ი)ს

2) ა: შენდამი: მონდობილმან: ასულმან: გურიელისა: ბატონი-
სა: ვახტანგისმა: ბატონ(ი)ს: შვილმან: ბატონ

3) მან: თამარ: მოგიჭედინეთ: ხატი: ესე: მაცხვარისა: დ(ა)
დავასვენეთ: ტაძარსა: თქვენსა: ქმრისა: ჩვენისა:

4) კურთხეულისა: ჭილაძისა ბატონისა ვეზუნ(ი)სასა: . და შე

5) ვსწირეთ: ლიპარიში: გრიგოლისა: და მისის: ძმის: ხუცის:
ბეგარა:

6) ზრახა: ერთი: ცხვარი: ზური: ღმბი: ღვინო: და უველი:
მოიტანდენ: ხორციელისა: შაბათსა: და აღაშსა: უზმ(ი)დენ: აწ: რა

7) მანცა: კაცმან: ესე: ჩვენი: გაჩენილი: ტრახეზი: და ჩვენ-
გან: გაკეთებული: . ეკდერი: მოშალას: . და ან: ჩვენისა: შვილის: და

8) მათი: მომავლის: მეტმან: კაცმან: ამ: ეკდერში: დ(ა)საფლ-
ვება: მონდომოს: ჩვენდა: და კურთხეულისა: ვაზუნს: ნუქ

9) ბათამცა: მეორედ: მოსლვასა: ის: გ(ა)იკითხვის.

ვეზუნა ჭილაძე და მისი მეუღლე გურიელის ქალი თამარ სხვა
წერაებში ჯერ არ შეგვხვდრია. თამარი უნდა იყოს ამდენხანს უც-
ნობი ქალი გურიელი ვახტანგ I (1583—1587). მაშასადამე ხა-
ტი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVI საუკუნის დასასრულს, ან მე-XVII
დასაწყისს. ვეზუნას და თამარს, როგორც ეტეობა, აუშენებიათ ტუვი-
რის ეკლესიის დასავლეთი ეკვტერი და გაუხდიათ თავიანთ სამარხად.

ღ. ღვთის-მშობლის ხატი ჩვილედი, 19X14 სანტიმეტრი,
ნაჭედი, ქართულის ხელობისა, მდარე. სურათები წელს-ზევითა, დედა-
ღვთისას მარცხენა ხელში უჭირავს ძე წარწერით: იესო ქ`ე (ხუცუ-
რათ), თვით ხატზე აწერია: „დედა ღ`ა“: ორივე მხრით ხატს
შემდეგი მხედრული წარწერა აქვს:

ქ.: მოვაჭედინე
თ.: ხატი.: ესე.: უოვ
ჯად.: წმიდისა:
ჩუენ: დედოფალმა
ნ.: ჰატრონმან: ნეს
ტან დარჩან: ძმ
ისა: ჩუენისა: ჭი
ჯადისა: კაკაის
ათვის: სახსრად
და სახხად: სულ
ისა: მისისათვის: დიდსა: მას დღესა: გან
კითხვისასა: ამინ: და კირიელისონ:

ამ ხატს ფრთები აქვს ხისა, რომელზედაც გადაკრულია მოკვრივი ვერცხლი და შემკობილია ხშირი ძვირფასი თვლებით ოქროს ბუდეებით, ასეთივე თვლებით შემკობილია ზურგიც ხატისა. ფრთებზე სულ 72 ქვა არის დაცული, ზურგზე 60. ერთადვე მხარეს კიდევ ბევრი აკლია ქვები.

აქ მოხსენებულია ნესტან-დარეჯან ჭილაძის ასულია, რომელიც წინეთ ცალად უავდა გიორგი I ლიპარტიანს და შემდეგ 1628 წლის ლევან II დადიანს. გადაიტვალა 1640 წლის ახლად ხანში. მამასადამე ამ ხატის გაჭედა ეკუთვნის მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარს.

6. ხატი ღვთის-მშობელის ჩვილელი, წელს-ზევითი, $29 \times 22,2$ სანტიმეტრი, ქართული ხელობისა, ვერცხლისა, ნაჭედი, მე-XVI—XVII საუკუნისა, არშია მოჭედული აქვს ვერცხლისა. სახელები ხუცრუათ აწერია: დედა.: ღისა.: იჯ: ქე.: ხელობა ამ ხატისა და ზემო აღნიშნულის თამარ გურიელის ასულის მიერ შეწირულის ხატისა სრულიად ერთგვარია.

7. ხატი წმიდა მარინესი $21,5 \times 17,5$ სანტიმეტრი, ნაჭედი, ქართული, დაბალი ხელობისა, მე-XVII საუკუნისა, წარწერით ხუცრუათ: „წა.: მარინე“. არშიაზე ბაღასის სახეობა, მაგრამ დაზიანებული. შემკობილია თვლებით.

8. ჯვარი სამწყოსის სატარებელი ქართულის ხელობისა, ვერცხლისა,

ექრთ დათუქრილი, თხი ბურთით და სიონით, ნაჭედი. თვით ჯვარის ზომას აჩის 28,2 X 22,6 სანტიმეტრი. წინა ჰირზე გამოქანდაკებულია ჯვარცმა, ზემოთ მთავარანგელოზი, მარჯვნივ და მარცხნივ წინამდგომნი, დედა-ღვთისა და იოანე მახარებელი. მეორე მთავარანგელოზი უნდა უფოთლიყო ქვემოთ, მაგრამ აქ სურათი გაფუჭებულია მეორე მიკერებულის რკინით. ჯვარის მეორე გვერდზე სწერას ასომთავრულით:

**ჟ. ზუღა
გუღა
ჟაუნდუხ
ოო ზუმიჟუჟ
ჟაჟუჟო ჟუ**

**ქროსნი ბუნჯაჟი ზუნი გოგდუნდი
გდოჟრჟუნი ზჟუნიზოჟუნი ზუნი
გაჟუნი ოქტუჟი გდოჟქჟუნი
ჟუნუ ზ
ნი ჟაჟუნი
ჟუნუნი ჟ
ჟუნიზოჟ
ნი ჟ...**

დანარჩენი დამალულია ტლანქათ მიკერებულის რკინით. უქარაგმით:

„ქ. ჯვარცმაჟ ქრისტესჟ, აღდგომიჟე ვარნოზი ჭილასჟე და ცოცხლითი, ცხვინებითი, მშვიდობითი დაიცევი ორთაჟე ცხვინებათა შინა. და ქენი მისნი მშვიდობით მ“.....

ვერცხლის ჰირველ ბურთზე სიონს ქვემოთ ასომთავრულით სწერას:

1) **ჟ. ჟოჟუღჟუჟუნჟი ჟჟი რუნჯჟიჟუღჟ-
ჟუნი რი**

2) **ჟოქჟჟუნი იონჟუნი ჟუღჟი უღჟიონ-
ხუნუნი რჟჟუნუნი ბოჟუნუნი**

3) **ხდოჟუნი ზუნი ხდგდოჟრჟუნი როო
ზუჟხჟი ჟჟი ზმიხუნი ჟუნი ზუნი ჟუნი
რჟუნიხუნუნი ჟჟი** უქარაგმით:

„ქ. მთავარდინე მე წინამძღვარმა ნიკურაძემ¹⁾ იოსებო ჯვარი ზა-
ტიოსანი ჩემისა სულისა საცხადი და საცხადებლადი. ნუ დაძვინე მე
დღესა მის დიდსა განკითხვისასა: ამინ“.

სიონის თავზე გამოქანდაკებულია მთავარანგელოზი, ვგო-
ნებ ერთი და იგივე, სამჯერ და ერთხელ სერაბიმი. თვით სიონზე
ვხედავთ სურათებს მახარობლებისა: წარწერებით ასომთავრულით:
მარკოზ; ლუკა, იწუ და მეოთხე გვერდზე თვით მაცხარებს დიდი
სატარებელი ჯვარით. ამ სურათის ირგვლივ სწერია ასომთავ-
რულით:

ო, ჟღერო, ი[ქნო]
ქახრეჲ იხ[ქიქ]
ო:.. ბჴჴჴ
ო:.. უჴჴჴ
უჴჴჴჴჴ ზ
ჴ. ჴგჴოჴ
ჩჴ:.. ნო, ჴ
ო, ჴ:.. ბჴ
ო, ჴჴჴ: ჴო, ჴ
ქჴ:.. ბო, ჴჴჴ
ჴ-ჴო ჴჴჴჴ ჴჴჴ.

უქარაგმით:

„უთალო ი[ესო] ქრისტე, ღმ[ერთ]ო ჩვენო, შეეწიე, შეიწყალე
და აცხადე სული უთალი ონოთრე კოროძია, რომელ შეამყო ჯვარ-
ი ესე“.

კოროძიები ეხლა საჭილათში ცხოვრობენ და აზნურების გვარს
ეკუთვნიან.

ლუკა მახარობლის ირგვლივ:

ბო, ჴო
უჴჴჴჴჴ
ზჴ:.. ჴგჴჴჴჴ.

1) ნიკურაძეები ეხლა ცხოვრობენ დაბა კულაშში.

ნოზნი. ზო
 რინი. შარინი
 ზინი. შინი
 შინი. შინი
 შინი. შინი
 შინი. შინი
 შინი. შინი

„ღმერთო, შეიწყალო და აცხადებ სული მთნისა შენისა ქანის-
 რისა ლაღისაშვილის. ვინცა შენდობა უთხრას, შეუნდებეს ღმერთმა“.
 იოანე მახარებლის ირგვლივ:

[ო.ფ]ნი: ი
 ნი: ზინი
 ინი. შინი
 შინი: შინი
 გინი. შინი
 ნი. შინი
 შინი. შინი
 შინი. შინი
 შინი. შინი
 შინი. შინი

(შემდეგ მარჯვნივ მახარებლის ირგვლივ):

ზინი
 შინი.
 შინი. შინი
 შინი. შინი
 ზინი. შინი
 შინი. შინი
 შინი. შინი
 შინი. შინი
 შინი. შინი
 შინი. შინი

„უფალო იესო ქრისტე¹⁾, ღმერთო, შეეწიე, შეიწყალო და აც-
 ხადებ სული ამაღელ(?) ღმერთისა და თანა მეცხედრე მათისა

1) ნამდვილში: ქრისტე.

ელებეს გომოდის ქალისა¹⁾, ძეს მათს ოთარსა და შირუსს აზდა(sic) მარადი(ს) უკუნით უკუნისამდი, ამინ“.

თვით ამ წარწერაში მოხსენებული ღამბარ ჭილაძე გამახატულია მუხლ-მოდრეკით იოანე მახარობელის წინაშე.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ღვთის-მშობლის ხატი, რომლის ზურგის წარწერაში იხსენიება ვარნოზი ჭილაძე ეკუთვნის მე-XVII საუკუნეს. მაშასადამე ეს ჯვარიც, რომლის წარწერაში მოხსენებულია იგივე ვარნოზი²⁾, უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკუნეს. ამ საუკუნეს ეკუთვნიან სხვა პირებიც, რომელნიც ჯვარის დანარჩენ წარწერებში არიან მოხსენებულნი.

9. ბარძიმი ვერცხლისა, რომელზედაც მოიხატება მხედრული წარწერა:

„მაცხოვარო მხსნელო ტუვირის ეკლესიასა შინა განსვენებულო, შეიწირე მტირი ესე მწვლილი ბარძიმი ჩემ მონისა არხიერის წერეთლის ზურაბის ძის დავითისაგან ფებერვლის იდ ჩუილ“.

10. ფეშხუმი ვერცხლისა, რომელზედაც გამეორებულია წინა წარწერა.

უველა ზემო მოყვანილი წარწერებიდან და ცნობებიდან სჩანს: ტუვირის ეკლესია აშენებულია მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს, ანუ მეთოთხმეტეს დასაწყისს ქველი ჭილაძის მიერ. სახელი ტუვირი სოფელს რქმევია ეკლესიის აშენებამდისაც, ყოველს შემთხვევაში იმ დროს მაინც, როდესაც ეკლესიას აშენებდნენ. დასავლეთის ეკვტერი აუშენებია ჰეპუნა ჭილაძეს და მის მეუღლეს გურიელის ასულს თამარს მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და გაუხდიათ თავიანთ სამარხად. ამავე მიზნით მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჭყონდიდელს იერემია ჭილაძეს აუშენებია ჩრდილოეთის ეკვტერი და აქვე დამარხულა. ხატები და სამწესოს სატარებელი ჯვარი ტუვირის ეკლესიისა გაჭედდნენ და შემკობდნენ არიან ჭილაძეების მიერ უმეტეს შემთხვევაში მე-XVII საუკუნეში.

1) გოშაძე, აქ გომოდით მოხსენებული, დიდებული გვარი იყო ძველათ სამეგრელოში.

2) პირველ ხატზე ვარნოზის მაგიერ სწერია ვარნოზი.

ჭილაძეების გვარიდან ზემო მოყვანილის წარწერების და სხვა საბუთების მიხედვით ეხლა ცნობილი არიან:

ქველი ჭილაძე მოლარეთ უხუცესი და მისი ძმები კახაბერი და ჩუბინა მაშენებელი ტყვირის ეკლესიის მე-XIV საუკუნის დასასრულს ანუ მე-XV-ის დასაწყისს.

ჯავახ ჭილაძე, რომელიც ცხოვრობდა იმერეთის მეფის გიორგი მე-II-ის დროს მეთექვსმეტე საუკუნეში, მოკლე გიორგი მეფის მიერ. ეს ჭილაძე მოხსენებულა ერთ ბიჭვინტის მონასტრის სიგელში, რომლიდანაც სჩანს, რომ მას შეუწირავს ბიჭვინტის მონასტრისათვის „ქორეთის უბანი“ მდებარე იქ, სადაც ხევის წყალი შეერთვას რიონს. ესევე ჯავახ ჭილაძე მოხსენებულა კიდევ მეორე სიგელში კათალიკოსის მალაქიას დროს (1533—1535). ამავე დროს ცხოვრობდა შედარ ჭილაძე. ეს უკანასკნელი ჯავახთან ერთად მოხსენებულა გამაჩინებულის ეკლესიის ხატის წარწერაში საჯავახოში, გურიაში ¹⁾.

07 K 725 / 3

ზეზუნა ჭილაძე, მისი მეუღლე გურიელის ასული თამარ, ამთაუშენებისათ ტყვირის ეკლესიის დასავლეთის ეკვტერი და აქ უნდა იყვნენ დამარხდნენ. თამარს გაუჭედინებია მაცხოვრის ხატი, რომელზედაც გამოქანდაკებულია თვით ზეზუნა ჭილაძე დიდებული ტანისმოსში. ამთ უნდა ეცხოვრათ მე-XVI საუკუნის დასასრულს და მე-XVII დასაწყისში.

როგანოზ ჭილაძე, მისი მეუღლე უტანდარ ჩხეტიძის ქალი. ამთი შვილები უნდა იყვნენ შიანარ, კაკა და ნესტან-დარეჯან. უკანასკნელი ცოლი იყო პირველად გიორგი დადიანის, შემდეგ 1628 წლიდან ლევან II დადიას. როგანოზ და უტანდარ ცხოვრობდნენ ალბათ მე-XVI საუკუნის დასასრულს და მე-XVII დასაწყისში. ესენი იხსენიებიან მაცხოვრის ხატის ფრთებზე. ჩვენ ვიცით სხვა წარწერიდან, რომ კაკა ჭილაძე ძმა იყო ნესტან-დარეჯანისა, ხოლო ნესტან-დარეჯანი არ არის მოხსენებული მაცხოვრის ხატის

1) იხ. Бакрадзе. Арх. Пут. по Гурии и Адчаръ, стр. 235—236. Brosset Hist. de la Géorgie. t. II, livr. 1, p. 259—261, 343—345.

ფრთებზე, ალბათ წარწერა იმ დროს ეკუთვნის, როდესაც ნესტან-
დარეჯან ჯერ დაბადებული არ ყოფილა და ვინაიდან ის 1628 წელს
მეორე ქმარს გაჰყვა, ამიტომ მისი დედ-მამის ცნობებს ვღებთ
მე-XVI საუკუნის დასასრულში და მე-XVII დასაწყისში. როგან-
ოზისა და უტანდარის სურათები გამოქანდაკებულია მაცხოვრის ხა-
ტის ფრთებზე. ნესტან-დარეჯანს, ჭილაძის ასულს, ტევირის ეკლე-
სიაში იხსენიებს ერთი ჰატარა ღვთის-მშობლის ხატის წარწერა. აქვე
მხსენებულია მისი ძმა კაკაი. ნესტან-დარეჯანი მრავალ ეკლესიის
კედლებზეა დახატული სამეგრელოში.

იერემია ჭილაძე ჭყონდიდელი აღმაშენებელია ტევირის ეკ-
ლესიის ჩრდილოეთის ეკვტრისა და აქვე მარხია. ამას იხსენიებს სა-
ფლავის ქვის წარწერა და მისგან გატედილი მაცხოვრის ხატის წარ-
წერა. ამავე ხატზე გამოქანდაკებულია მისი სურათი. ამ იერემიას უნ-
და იხსენიებდეს ჭყონდიდლად ავტორი შახნავაზიანისა ფეშანგ ბერ-
ტყაძე. იერემიას უნდა ეცნობოდა მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარ-
ში. ამ იერემიას ჰყავდა ძმა ქველი ჭილაძე, მხსენებულია შახნავა-
ზიანში მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში.

ვარნოზის ჭილაძე და ძე მისი ხოსრო მხსენებულნი არიან
ღვთის-მშობლის ხატის წარწერაში. ხატი ეკუთვნის მე-XVII საუკუ-
ნეს. ვარნოზის სურათი გამოქანდაკებულია ამავე ხატზედ. ვარ-
ნოზისა ანუ ვარნოზი იხსენიებს აგრეთვე ჯვარის წარწერაშიც.

ამალელი(?) დამბარ ჭილაძე, ცოლი მისი ელენე, გოშაძის
ქალი, შვილები მათი ოთარ და შერუა მხსენებულნი არიან ჯვარ-
ის წარწერაში მე-XVII საუკუნეში.

აბრამ ჭილაძე მხსენებულია ერთ სეფიეთის ეკლესიის წარ-
წერაში, როგორც პირველათ მომხატავი ამ ეკლესიისა, არ ვიცი
როდის ცნობრობდა, მაგრამ მას იხსენიებს მეორეთ მომხატავი სე-
ფიეთის ეკლესიისა ზოსიმე ჭყონდიდელი კობალაძე და ამიტომ მე-
XV, მე-XVI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

პეტრე ჭილაძე ჭყონდიდელი და გიორგი ჭილაძე მხსე-
ნებულნი არიან ერთ სიგელში 1680—1710 წლების¹⁾.

¹⁾ იხ. ჩვენი „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, გვ. 45—46.

ანა ჭილაძის ასული იყო მეუღლე ვახუშტი ჩიჯავაძისა, ცნობილია ვანის ეკლესიის ღვთის-მშობლის ხატის წარწერაში¹⁾.

გულქან ჭილაძის ასული მეუღლე გედეონ აბაშიძისა მოხსენებულა უბისის ეკლესიის ხატის წარწერაში²⁾.

ბ უ ლ ე - კ ა რ ი .

სოფელი გულე-კარი (წარწერაში გულეგლი) მდებარეობს რიონის მარცხენა ნაპირზე აბაშის ნაწილში, სენაკის მაზრაში, გურიის საზღვარზე, სულ ორი ვერსის მანძილზე გურიის სოფლის ნიგოთიდან. წმიდა გიორგის ეხლანდელი ეკლესია ამ სოფლისა უკუმბათა, მოზდილი, თლილის ქვით აშენებული და ყავრით დახურული. საკურთხეველის ნაწილი შიგნით და გარეთ მომრგვალებულია. კარები აქვს სამხრეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლებში. თანჯრები ჰატარ-ჰატარაა, აღმოსავლეთის მხრით სამი და სხვა მხარეებში თითო-თითო. სიგძე აქვს ეკლესიას საკურთხეველამდის 22 ადგილი და ორი გოჯი, განი 16 ადგილი და 2 გოჯი. ეკლესია საიშისო ძველი არ არის. ეტყობა ძველი ეკლესიის ადგილზე შემდეგ დროში აუციანთ ახალი ეკლესია. ეზო დიდი აქვს, შემკობილი დიდრინის ჭანდრის და ცაცხვის ხეებით. ამბობენ სახელ-წოდება გულე-კარი ნიშნავს გულეგანს ანუ ახოგანს კარსაო. აქაური წმიდა გიორგის ხატი სასწაულთ-მოქმედათ ითვლება. ეკლესიაში ინახება ძველებური დიდი ხმალი, საკმაოდ დაუანგული, რომელსაც მურვან-ურუს ხმალად უწოდებენ. ამის შესახებ ხალხში შემდეგი თქმულებაა დარჩენილი: როდესაც მურვან-ურუმ საქართველო დაიპყრო და ააოხრო, გულე-კარშიც მოვიდა თავის აურაცხელის ჯარით და შევიდა ამ ეკლესიაში ხატის სანახავად, რომლის ძლევა-მოსილვას დასცინოდა. ამ დროს თავის-თავად ჩაიკეტა კარები და უოველი ცდა მურვან-ურუსა, რომ კარები გაეღო, ან ვინმე მოშველებოდა და გამოეყვანა ეკლესიიდან, ამაო შეიქნა. შემდეგ სასოწარკვეთილმა შეჭვედრა წმიდა გიორგის, სცნო იგი სასწაულთ მოქმედათ და აღუთქვა, თუ მას გაუღებს

1) იხ. ჩემი არხეოლოგ. მოგზაურობანი რე შენიშვნანი, წიგნი I, გვ. 10.

2) იხ. ჩემი Археологическія экскурсіи, разысканія и замѣтки, вып. V, стр. 31.

კარს და უფლებლათ გამოიყვანს ეკლესიიდან, შესწირავს წმიდა გიორგის თავის შესანიშნავ ხმალს, რომელიც მთელ სოფელს ერჩია. წმიდა გიორგიმ შეუსრულა თხოვნა და მას შემდეგ ეს ხმალი დარჩა გულფან წმიდა გიორგის ეკლესიაში. ხმალის სიგრძე არის 115 სანტიმეტრი. ტარი აქვს სხილვას ძვალისა ორი რკინის ზოლით შეკრული. ტარის ბოლოს რკინის გამომწვერილი ნაწილი თავდება გველის მსგავსი თავით. ზოლებზე და ქვემოთ გამომწვერილ ნაწილზე ტარის ბოლოსა ოქროს ზარნიშია. ტარის ზემო მომრგვალებულ რკინისავე ნაწილზე ოქროსავე ზარნიშით მზეს გამომხატული. ხმალი არაბულ-სპარსული ხელობისა არის.

ხ ა ტ ე ბ ი.

1. დიდი ხატი წმიდა გიორგის სასწაულთ-მოქმედათ მიხნეული, ნაჭკედი, ვერცხლისა მოაქვრილი, სიგრძით 95 და განით 68 სანტიმეტრი, დაზიანებული უოფილა და ეხლა გაუნახლებიათ და განახლებასში მიუციათ ხუთასი მანეთი. მაგრამ ვაი ამ განახლებას! ეს მშვენიერი ძველი ქართული ხელობის ხატი სულ გაუფუჭებიათ და თავის ჰიროვანდელი სახე ხატს უმეტეს შემთხვევაში დაუკარგავს. ამ დროს უნდა იეოს შელახული ხუცური წარწერაც, რომელიც ეხლა ძნელი აღსადგენია. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, ვეძაპს გმირავს შუბით. სიმგვრლე თავის კარშემო და ზედა ნაწილი ხატისა შემკობილია თვლებით. აშია შემკობილია ბაღახის მსგავსი გრეხილებით და ანგულაზნების თავებით. უკანასკნელში იტალიანური რენესანსის გავლენა იხატება და ეს ძველ ხატს არ ეკუთვნის. განახლების დროს გაფუჭებულია აგრეთვე უმეტესად უკანა ტანი ცხენისა, ძუა, ვეძაპი და ხელი წმინდანისა. ზემოთ აწერია ასომთავრულით: „წ ა გ ი“.

მარცხნივ წმიდა გიორგის ცხენს ზემოთ შებლახული და ძნელად გასარჩევი ხუცური წარწერა მოიპოვება, რომელსაც ჩვენ ასე ვკითხულობთ:

ჟ: ԲՅՆԻՄՃՕ

ՄՆՕԻԺՄՆ: ՄՕ,

ԻԿԻՄՆՆՃՕ: ՍԿ

ქ. წმინდა

გიორგი გუ-

ლეგლისა, შე-

შიქსსლასკს(?) და თანა მეცხედრეს მისა დადიანის ასულს მარქსს და ძეთა მისთა ჯიზარ(ს), ხატარს(?), ჯომის, გიორგის, ოქრომჭედელს... (აქ ერთი სიტყვაა წაბლაღუღია).

3. დასაკეცი ხატი წმიდა გიორგისა, ნაჭედი, ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, 30,5 X 26 სანტიმეტრი. ფრთების წინა ჰიეროგლიფი წარმოდგენილია არიან წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრი ფეხზე მდგომარენი რომაულის სამხედრო ტანისამოსით. ერთს ხმალი უჭირავს ხელში, მეორეს შუბი. ხატი შემკობილია მრავალი ქვებით, აყიეებით და ბალახის მსგავსი გრებილებით, ხელთა მდარჯა. შიგნით შუაში წარმოდგენილია წმიდა გიორგი ცხენით. ცხენის ფეხების ქვემოთ კაცია მდებარე მეფურ ტანისამოსში. ეს ხატიც შეკეთებულია და გაფუჭებული. ფრთებზე შიგნითაც წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრი არიან გამოსახულნი. აშიები აქაც უვლან შემკობილია ბალახის მსგავსი გრებილებით. აშიებზე ოთხი სხვა მხედრის სახეებია. სარგადოთ მთელი ხატი მდარე ხელთების არის.

ს უ ჯ უ ნ ა

დაბა სუჯუნა მდებარეობს ოთხს ვერსზე სადგურ აბაშიდან. ეკლესიას აქ მოზდილია, ძრიელ ლამაზი, თეთრის თლილის ქვით ნაშენი, გუმბათიანი, მაკრამ ძველი არ არის. აშენებულია ანტონი ჭყონდიდელის მიერ, რომელიც ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს. მოხსენებულია ერთ სიგელში 1796 წელს. სამხრეთის მხრით ეკლესიისა ამართულია ასეთივე ქვით ნაშენი ორ-სართულიანი ლამაზი მადალი სამრეკლო. ეზო დიდი აქვს ლამაზი, დამშვენებული უზარმაზარი ცაცხვის და ჭანდრის ხეებით. დასავლეთის მხრით ეზოში არის კიდევ ჰატარა ხის ეკლესია ძველი, მაკრამ უბრალო. სუჯუნა საზამთრო სადგური იყო ჭყონდიდლებისა და ჰიეროგლი დაბა იყო სამეგრელოში. რკინის გზის გაყვანის და აბაშის სადგურის გახსნის შემდეგ ცოტა დაქვეითდა. სუჯუნის წმიდის გიორგის ეკლესიაში საკმაოდ მოიპოვება ქართული ხელთების ხატები წარწერებით, რომელნიც ლიტერატურაში ცნობილი არ არიან.

ხ ა ტ ე ბ ი .

1. დიდი ხატი წმიდა გიორგისა, 67×46 სანტიმეტრი, ვერცხლისა, ნაჭედი. წმიდანის წარმოდგენილია ფეხზედ მდგომარედ, რომაულ სამხედრო ტანისამოსში. მარჯვენა ხელში გრძელი შუბი აქვს, მარცხენა უძევს ფარზე. თავის ირგვლივ სიმრგვლე აქვს, სიმრგვლეს თავში უზის დიდი ქვა, ლალი. ამია ხატისა შემკობილია ყვავილების მსგავსი გრეხილებით და აშიებზე შედალიონებში წარმოდგენილია მახარობლები; მარცხნივ წმ. იოვანე, წმ. მარკოზ, წმ. მათე. ზემოთ მთავარანგელოზი მიქაელ, ქვემოთ დედა ღვთისა ჩვილადი და ღვთისმშობლის მიძინება, მარჯვენაზე სამი ანგელოზი. აშიები და მათზე წარმოდგენილნი წმიდანები ბოლომდე დროისა და თვით ხატის მშენიერ ხელობას არა გავს. აქეთ-იქით თავისკენ სურათს ასომთავრულით აწერია: „წმ გ“ და შემდეგ ბერძნულის ასომთავრულით Ο ΑΓΙΟΣ ΓΕΩΡΓΙΟΣ. ეს თავი ხატი სუჯუნის ეკლესიის ძრეულ ძველი უნდა იყოს.

2. დიდი ხატი წმიდა გიორგისა, 48×34 სანტიმეტრი, ვერცხლისა, ნაჭედი, ქართულის ხელობისა. სურათი გიორგისა ფეხზე მდგომარეა, რომაულ სამარ ტანისამოსით. მარჯვენა ხელში უჭირავს გრძელ ტარინი შუბი. მარცხენა უძევს ფარზედ. ეს შუა ნაწილი ხატისა ძველია, ხოლო ამია მერმენდელია ლევან დადიანის გაკეთებული მე-XVII საუკუნეში, როგორც მოგვითხრობს მხედრული წარწერა. ძველი ხუცური წარწერაც არის დაცული ხატზედ. თავდაპირველად სახელი წმიდანისა: „წმ გ“, და შემდეგ ფარზედ მშენიერის ასომთავრულით:

ჟ-ჟ შჟ ლოჟ ცჟჟ ფჟჟსჟჟ

„ქრისტე შეიწყაღე იოანე ცაიშელი ფოლაგისძე(?)“.

შემოკლებულად დაწერილის გვარის გამოცნობა იოანე ცაიშელისა, ესე იგი ცაიშის ეპისკოპოსისა, ძრეულ ძნელია და ჩვენ არ ვკისრულობთ. არც ის ვიცით, თუ როდის ცხოვრობდა იოანე ცაიშელი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ხელობა ხატისა კარგია და ძველ დროს უნდა ეკუთვნოდეს. ქვემოთ ამიაზე მხედრულათ სწერია:

1) ქ: ეჭა: მონაშეთა: შორის: მენეა: შვიდ წილ: უძლეველთ: ღვაწლის: მძლე: დიდ: მკედარ: დიდის: მეფისა:

2) წმიდა: გიორგი: კრძელისან: ბორცუმან: ვინმე: კაცმან: კელე: ხატის: შენის: გატეხ: ხელ: ჩუენ: ძალითა: შენითა: უკადრისად: შ

3) ემკადრებელი შენი: გამოფანინეთ: და: ვითარცა: ავსა: კაც-სა: ფერობდა: ისრე: უფავით: აწე: ჩუენ: შენ: მიერ: განმძლიერებულ-მან: დადიანმან: ჰა

4) ტრანმან: ლევან: განფახლეთ: ახლად: ოქროსა: წულისა: დაფერვითა: გარეშემო: ოთხის: ფენგისა: მოჭედითა: და: თუაღ: მარგალიტითა: და: დაგასვენ

5) ეთ: სუფუნის ეკლესიასა: მის: კურთხეულისა: ჭილასძის: ასულისა: და თანა: მეცხედრისა: ჩუენისა: დედოფლისა: ჰატრანისა: ნესტან დარეჯანისა: სუ

6) ღისა: სახსრად: და: სახად: ჩუენდა: სადღეგრძელოდ: და ძეთა: ჩუენთა: აღსაზრდელად: განახლდა: ქკსა: სამას: ოცდა: ათ-ოთხმეტსა:

ქართონიკონი უდრის 1646 წელს.

3. ხატი წმიდა გიორგის, 26 X 22 სანტიმეტრი, ვერცხლი-სა, ნაჭედი. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი და გმი-რავს ვეშაპს. აშია უფავილებით არის შემკობილი. ხატი ქართული ხე-ლობის არის, მაგრამ ეკუთვნის არა უადრეს მე-XVII—XVIII სა-უკუნისა. ზემოთ ასომთავრული წარწერა აქვს:

- 1) **ნოჰოიჩუნ რა ძუ მყარუ**
- 2) **ტყ. მც ძეო. კეტაჰეჟ**
- 3) **ყარხ ძუნ: ტრ ნო. ზეჰეჟ[მურჟ]**
- 4) **მურუ მუ ჳრ. უქარაგმთ:**

„სუფუნის წმიდა გიორგი, შეიწირე და გაუმარჯვე ბატონს გიორგის, რომელმან მოვაჭე[დინე] ხატი შენი, ამინ“.

აქ მოხსენებული ბატონი გიორგი ან გიორგი ღიზარტიანი უნდა იყოს, კაციას ძე, რომელიც ცხოვრობდა მეჩვიდმეტე საუკუნის და-

სასრულს და მეთვრამეტეს დასაწყისში, ან გიორგი, ოტია დადიანის ძე, რომელიც სწინს 1788 წელში¹⁾. უფრო ამ უკანასკნელს უნდა ეკუთვნოდეს.

4. ხატი წმიდა გიორგისა, 28,5 × 24 სანტიმეტრი, ნაჭედი, ქართულის ხელაბისა, დაზიანებული. წმიდა გიორგი ფეხზედ დგას. მარჯვენა ხელში უჭირავს შუბი, მარცხენა მახვილზედ უძევს. მარცხენა მკლავზედ მოკლებული აქვს თასმით ფარი. მახვილის ტარის თავი ფრინველის თავის გამხატულობას წარმოადგენს. ხატი შემოკობილია უვავილების მსგავსი ჩუქურთმებით. ზემოთ უწერია ასომთავრულით: „წ 5 გ 1“. ზურგზე, ვერცხლის ფიტარზე შემდეგი მხედრული წარწერაა:

1) ქ: ჳოი უოველთა ქრისტეანეთა ზღუდეო მტველო და შესავედრებელო მხნეო

2) მხედარო ქრისტესო შვიდ წილ უძლეველო დვაწლით შემოსილო დიდო მოწამ

3) ეო მთავარო წმიდაო გიორგიო სუჯუნისაო ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხ

4) ეულმან მამა ჭყონდიდელმან ჩხეიძემ ზატრონმან ევდემოს ვიგულისხმ

5) ეთ და მოვინდომეთ სსსოებით მოსავმან და მადიდებელმან ტაძრისა შენისამა

6) ნ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ კკადრეთ და შემოგწირეთ მტარე ესე შესწირა

7) ვი ესე. ასე რომე კოდორი ვამეუ დადიანისკან და ელენე დედოფლისკან ზირვე

8) ლად შემოწირული უოფილიყო და სსჭყონდლოთ სსხსოთ უოფილიყო და ჟამთა ვითა

9) ვითარებისათა²⁾ ელიავა გოგის მისთვის დაეჭირა აწე ჩვენ გამოგვირთმეუთა ხელ

10) ახლა შენთვის შემოგვიწირავს და ჩვენდა სსხსოთ დაგვიჭირავს კოდორს სამი კვამლი

1) იხ. Brosset. Hist. de la Géorgie, t. II, livr. 1, p. 648.

2) აქ სიტყვის ნაწილი „ვითა“ შეცთომით არის განმეორებული.

11) კაცი სოგიორე უელია მისი სახლის კატეობი თვალიკაც ქობულია და ხობონაი გა[კ]

12) უელია მათის სახლის კატითა მამული და ალაგითა სხუა აქაური ჰარტახები მამული

13) და ალაგები ჩვენთვის დაგვიჭირავს აწე რამანტ ძემან კაცისამან მეფემან ანუ დედოფალ

14) მან გინა უფლის წუღმან დიდმან ანუ მტირემან ანუ რამანტ ძემან კაცისამან ანუ

15) ჩვენმა შემდგომმა ჭეონდიდეღმან უკუნისამდე ეს ჩვენგან გარბეული

16) მამული და ეს წიგნი თქვენ მოგიშალეს და ან ის გლეხები გასცეს ან

17) იმ გლეხების კაცებში გაურიოს და იშუამავლეს და გაცემა მინდომეს

18) მასმცა რისხავს თავად დამბადებელი ღთი და მარტვილისა ღთის

19) მშობელი და ეს წმინდა გიორგი სუჯუნისა და ყოველნი წმინდანი ღთისანი ზე

20) ცისანი და ქვეყანისანი უხორცოთა ძალნი მათმან დიდების მადღმან ნუ იხსნას

21) ნუცა¹⁾ იხსენების სული მისი ნუცა წირვითა და ღლცვითა ნუცა

22) [იერუ]სალიმს წასვლითა ნურას სადთოსა საქმითა წყეულ და შეჩვენებულ იუოს სული და

23) [კ]ორცი მისი ამინ.

მეორე ნაწილზე ხატის სისქისა სწერია:

1) ქ.: ჩხეიძე.: ევდემოს.: ჭეონდიდეღისაგან კოდორს: სამი კვამლი კაცი გოგი

2) ულიავსათვი გამურთმია და წმინდის გიორგის სუჯუნისათვის შეეწირა

3) და ჩვენ ღიჰარტიანის შვილმან ჭეონდიდეღმა ჰატრანმა გაბრიელ კუადად

1) აქედან დაწყებული ხატის სისქეზედ სწერია.

4) განგახლეთ¹⁾²⁾ ჩვენცა დაგვიმტკიცებია და გუ-
რითგან

5) ჩხაიძე მახარობელი გამოფიყვანეთ და შელას შეფურეთ იგიც
ჩვენ შესწირეთ

6) ჩვენცა სადღეგრძელოთ და სულისა³⁾ ჩვენისა საცხათ რათა
ჩვენცა ნაწილი

7) გვაქუნდეს დღ

8) ესა განკით

9) ხვისისა აძინ.

შირველ გვერღებე ზემოთ:

1) ქ ჰი უფველთა ქრისტიანეთა შემწეო და შესავდრებელო
შვიდ წილ უძლეველო

2) ღვაწლ შემოსილო... (სხვა არ არის).

მეორე წარწერაში მოხსენებული ღიპარტიანის შვილი გაბრიელ
ჭყონდიდელი იყო შვილი გიორგი ღიპარტიანისა და ცხოვრობდა მე-
თვრამეტე საუკუნის დასაწყისში⁴⁾. ჭყონდიდელი ევდემონ ჩხეიძე
იუას მოღვაწე მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულისა, წინამოდგილე
გაბრიელისა.

5. ხატი წმიდა გიორგისა, საკეცი, სრულიად ისეთივე ხელო-
ბისა, როგორც წინა ნიმურში აწერილი, 13,2 × 11,5 სანტიმეტრი,
ვერცხლისა, ნაჭედი, ოქროთ დაფერილი. ხატის მეორე გვერდზე
მოჩანს წმიდა გიორგის ნაწილები. სხვათა შორის თითიც. შუა-
ში წარწერილია ნაწილების სახელები: „წის გის ძელი; წის გი
ნაწილი; ჭტი კორცი“. წინა პირზე გამოქანდაკებულია წმიდა გი-
ორგი ფეხზე მდგომარე შუბით და რომაულის ტანისმოსით, ორი-
გინალური, წარწერა: „წე გი“ (ხუცური ასომთავრულით). მეორე
გვერდზე მხედრულათ აწერია:

1) ამ სიტყვიდან წარწერა გაგრძელებულია ხატის მეორე პირზე ზე-
მოლამ, წინა წარწერის თავში.

2) აქ ორი სიტყვა აღარ განირჩევა, მოჩანს ნაწილები: გო...ბატისა.

3) ეს ორი სიტყვა გამეორებულია.

4) Hist. de la Géorgie, II, 1, p. 648.

- 1) მხედართ მთავართ შვიდ წილ უძლეველთ მონაშემო
- 2) გიორგი შუამკვეთ ხატი ესე ჰატოისნისა სახი
- 3) სა შენისა მონაშემან სახელისა შენისამან
- 4) დადიანის კაცისა ძემან მამა ჭუნ
- 5) დიდელ მიტრეხელთმან
- 6) ბესარიონ და შუამკვეთ
- 7) ჰატოისნითა ძელითა
- 8) და წათა ნაწილ
- 9) ებითა და დაფასუნ
- 10) ე სუჯუნისა ეკლესიასა
- 11) სახსრად და სახსად სულთა
- 12) ჩუნთა ქეს აქეთ
- 13) ჩღუზ.

ბესარიონ ჭუნდიდელი იყო დადიანის კაცისა მეორის ძე და გადაიცვალა 16 ივლისს 1828 წელს. დამარხულია მარტვილში¹⁾).

6. ხატი დიდი წმიდა გიორგისა, ვერცხლისა, ნაჭედი, ქართულის ხელთისა. ზემოთ უზის ერთი თვალი. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, შუბით გმირავს ვეშაპს. წარწერა ხუცურია: „წდა გრი“. აშეობზე ბაღახის მსგავსი გრენილებია, ლამაზი; გრენილებში ანგელთნები მოჩანან, ქვემოთ აშია და ნაწილი მარჯვენა აშიისა დაზიანებულია, სრულიად არ არის დაცული აგრეთვე მხედრული წარწერა ქვემოთ აშიაზე:

- 1) ქ: ღთ და დადიანის ძე ბატონი ჭუნდიდელ მ[იტრეხელ]
- 2) ლიტი გრიგოლის ბძანებით შუამკვეთი ხ[ატი ესე მე]
- 3) ხმტარია თვედორემა ვინც წაიკი[თხათ შენდობა ბძანეთ]

ხატს ძეწკვი აქვს. ეს ხატი ალბათ ჯარის წინ სატარებელი იყო. გრიგოლ ჭუნდიდელი ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ერთს მის სიგელს უზის თარიღათ 1760 წ. ხმტარები ახაშის მცხოვრებნი არიან დღესაც.

7. ხატი წმიდა გიორგისა თვრადებით დახატული, 29 × 23,5 სანტიმეტრი. წმიდა გიორგი ზის თეთრ ცხენზედ და გმირავს ვე-

¹⁾ Hist. de la Géorgie, II, 1, p. 648.

შავს, თავზე ანგელოზი გვირგვინს ადგამს. წინ მეფის ქალი სდგას და უცქერის. ზემოთ ტაძარი მოსჩანს. აშია ხატისა ვერცხლისა, მოკლელი, ბაბილოვანი ჩუქურთმებით შემკობილი. ხატს ასომთავრულით აწერია მარტო: „წ 5 გ“.

8. სანაწილე ოქროსი ჯვარის სახედ, 10×10 სანტიმეტრი, შემკობილი ძვირფასი ქვებით. შით ძეგს

9. ჰატარა ჯვარი ოქროსი, ოქროს მართულეობისაგან შემდგარი, ძრიულ ღამაში, მარგალიტებით შემკობილი.

10. ბარძიმი ვერცხლისა. ქვემოთ მხედრული წარწერა აქვს მე-XIX საუკუნის ხელით:

ქ: წო მთავარ მოწამულ სუჯინისაო გიორგი დაიტევ ორთავ ცხორებათა შა მიქაძე სეხნია და მეუღლე მისი ნაკაშიძის ასული დარეჯან:.

11. ფეშხუმი ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, ისეთივე წარწერით, რთგორც მოიხთვება წინათ მოხსენებულ ბარძიმზე.

12. ჯვარი უბრალო, ვერცხლისა, რუსული ხელობისა, მხედრულის წარწერით:

1) ჩუგლ წელსა შემოგწირე ჯვარი ესე სასოსა ჩემსა და მეობსა წმინდის მოწამის გიორგის სუჯ

2) უნის ეკლესიას მე ცოდვილმა სავა აფანოვიმ სულის ჩემისა საოხად.

13. დაფარნა ფარჩისა აბრეშუმის ძაფით ნაკერი, რომელზედაც გამოხატულია ხელაფნურად იესო ქრისტე და ქერუბიმები. შემკობილია წვრილი მარგალიტებით. ირგვლივ ძნელად გასარჩევი გრებილიანი ასომთავრულით ამოქარგულია:

ჟ. ზეფნქარე ცენე ყფერეჟაჟაქნენ ჩინენ. რ ნრენდენ ჩინენდენ დონეხი, ყნ ჟრერე.

1) ჟ. ყნდ ყრ ყფეზ რუხ ოჟრენენო. ზე ყნდ ჩრენდენ ონყნდნო: ოჩრერეჟაქნენენო: დერენო. ჩერეზნო. ზნზო ჩრნო: ჟნენენ: რნენ: ნოჟრენდენო ჩჟ: ჟზ გზნენენ. ჩო: ნდერენ. ურენენდენ დჟინენ

2) **ყრინბარე** **ფინიქსი** **ქახარი**. **ბაგრატი**. **ყინ-
ჩაყა**. **ყინუბნბაგრატი**. **ყინუბატი**. **ყინჩატი**
ყინ **ყინუბნბაგრატი** **ყინ**

3) **ფინიქსი** **ფინ** **საქართველოს** **საქართველოს**.
ბაგრატი. **ფინ** **საქართველოს**. **ბაგრატი**. **ბაგრატი**.
ბაგრატი. **საქართველოს** **ფინ** **საქართველოს**. **ბაგრატი**.
ბაგრატი. **საქართველოს** **ბაგრატი**

4) **ყინუბატი**. **ყინ** **ბაგრატი**: **ბაგრატი** **ბაგრატი**.
ბაგრატი **ბაგრატი**. **ფინ** **ბაგრატი**: **ბაგრატი** **ბაგრატი**

5) **ბაგრატი** **ბაგრატი**. **ბაგრატი** **ფინ** **ბაგრატი**: **ბაგრატი**
ბაგრატი **ბაგრატი**. **ფინ** **ბაგრატი** **ბაგრატი** **ბაგრატი**
ფინ **ბაგრატი** **ბაგრატი** **ბაგრატი**: **ბაგრატი** **ბაგრატი**
ბაგრატი **ბაგრატი**. **ბაგრატი** **ბაგრატი**. **ბაგრატი** **ბაგრატი**

6) **ყინუბატი** **ბაგრატი**. **ფინ** **ბაგრატი**. **ფინ**
ბაგრატი: **ბაგრატი** **ბაგრატი** **ბაგრატი** **ბაგრატი**. **ბაგრატი**
ბაგრატი **ბაგრატი** **ბაგრატი** **ბაგრატი**

7) **ბაგრატი** **ბაგრატი** **ბაგრატი** **ბაგრატი**. **ბაგრატი**
ბაგრატი **ბაგრატი** **ბაგრატი** **ბაგრატი**.

უქარაგმით:

„ქ. დაფარსა ცანი შვენეერებაჲს მიმან. ხოლო სიწმიდითა მი-
სითა აღივსო ყოველი ქვეყანა!“

„ქ. ეჭა, შენ, შვიდ წილ უძლეველო და ყოველთა მოწამეთა
შუბთაესო, უმწვეგრვალესო, ახოვანო მხედარო, დიდო მოწამეო გი-
ორგი, წმიდაო სუჯუნისაო! მე, თრიალ ცოდვილმან, მისაგმან ზატო-
ოსნისა ტაძრისა შენისამან, თაღავს ქალმან როდამ, ვინებე, ვიგულ-
მოდგინეთ, გკადრეთ გინი ესე შესაწირავი, ესე დაფარსა და ჰერე-
ქელი¹⁾, შემკობილი თვალითა და მარგალიტითა, ჩვენდა ცოდვათა შე-
სანდობლად და მეუღლისა ჩემისა ზატრონის ჩიკოა[ნის] გიორგისდა
ამ სოფელს წარსამართებლად, სადღეგრძელოდ, და ცოდვილისა სუ-
ლისა ჩვენისათვის საცხოვნებლად, ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრ-

1) ეს პერექელი სუჯუნის ეკლესიაში დაცულია და წარმოგვიდგენს
იმ გადასაფარებელს, რომელსაც რუსულათ უწოდებენ воздухъ.

დედად. და მიუძღვანეთ მამასა და მოძღუარსა¹⁾ ჩვენსა ჭყონდიდეელ მიტროპოლიტს, ძმასა ჩვენსა დოღობერიძეს²⁾ ევდემონს, რათა შენგან მოვიღოთ დიდი წყალობა და შენდობა ცოდვათა. ხოლო მიმთხვევენო და ამომღებნო სიწმიდისანო, ღვთისათვის შენდობასა ყოფილეთ ჩვენ ცოდვილისათვის. ქრისტეს აქათ ჩღკზ“.

14. ასეთივე ხელობის ჰერეტიკელი, შუაში იესო ქრისტეს სურათით და ფრთებზე ქერუბიმ-სერაბიმებით.

15. მეტაფრასი ხუცური ორ სვეტად, გადაწერილი „უგანათლებულესისა მთავრის დადიანის კაცისა ძის მამა ჭყონდიდეელის მიტროპოლიტის ბესარიონის ბრძანებით წელსა ქესით ჩუკბ, ფებერვლის ზ“.

ბოლოს მხედრულათ უწერია:

„აღვსწერე მეტაფრასი ესე ბრძანებითა მუუფისა ჩემისა მადლ ედ უსამღვდელოესისა ჭყონდიდეელ მიტროპოლიტის ბესარიონისათა მე მონამან მისმან ჭყონდიდეელის მონასტრის კანდელაკმა მღვდელმა ეგნატიმ“...

16. წმიდის გიორგის რკინის ორთქლები ერთი დიდი და ერთი მცირე.

17. ბუკი სზილენძისა.

18. იესო ქრისტეს თავი, 24×19 სანტიმეტრი, თაბაშირისა (გიპსისა), ლამაზი, ახალი, ევროპიული ხელობისა.

ს ო ფ ე ლ ი ა ბ ა შ ა .

სოფელ აბაშაში, ხუთ ვერსზე სადგურ აბაშიდან, ეკლესია წმიდის გიორგისა ახალია, ხისა. აქ საუურადღებოა მარტო წმიდის გიორგის ხატი ვერცხლისა; ქართულის ხელობისა, ლამაზი, მაგრამ არა ძველი. უნდა ეკუთვნოდეს მე-XIX საუკუნის დასაწყისს. ხატი ზომით 34×26 სანტიმეტრი, შემკობილია 9 ქვით. სახე და ტანი

1) ეს სიტყვა კარგათ არ განირჩევა და ამიტომ საეჭვოდ ვტოვებთ.

2) ვინაითგან სიტყვას „ღობერიძესა“ ქარაგმა აქვს, ამიტომ გვგონია, „ღობერიძეთ“ უნდა წავიკითხოთ „ღობერიძის“ მაგიერ.

წმიდანის ძრიელ გამბეჭვილია. წმიდანი ფეხზე მდგომარეა, რამაულის საომარი ტანისამოსით. მარჯვენა ხელში უჭირავს შუბი, მარცხენა დაუდგია ვეფილებიან ჩუქურთმით შემკობილს ფარზედ. მარჯვენა კუთხიდან ხატისა სხივები მოდის. აშია ლამაზი აქვს ხატს ვეფილების მსგავსი ჩუქურთმებით შემკობილი. ზემოთ ასომთავრულით აწერია: „წ ა გ ი“.

კ ა დ ა რ ი.

სოფელი კადარი მდებარეობს შვიდ ვერსზედ სადგურ ახაშიდან. აქ დაცულია ძველი ეკლესია, უკუშბათო, აგურით ნაშენი, ოთხკუთხედი გეგმისა, უბრალო ბაზილიკა. სიგძე აქვს $18\frac{1}{2}$ ადგი, განი 10 ადგი და 12 გოჯი. შესავალი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. ფანჯრები აქვს ხუთი, სამი აღმოსავლეთით და ორი დასავლეთით. დახურულია ყავრით. სამხრეთის და დასავლეთის მხრით წინეთ ეკლესიას ეკვტრები ჰქონია, მაგრამ შემდეგ მოუშლიათ. ეკლესია საზოგადოთ ძრიელ დაზიანებულია. ეკლესიის გარედან უურადლებას იქცევენ ლამაზი ჩუქურთმიანი ნათელი ქვები, რომელნიც ჩაუტანებიათ აგურის კედელში სამხრეთის კარის ზემოთ და მარჯვნივ და მარცხნივ. ეს ქვები თავის გრებილიანი ჩუქურთმებით ამშვენებენ სამხრეთის კარის შესავალს. ამ ჩუქურთმების მიხედვით ეკლესია უნდა იყოს ამენებული არა უგვიანეს მეთოთხმეტე საუკუნისა. შიგნით ეკლესია წინეთ სულ მოხატული ეოფილა კარგი ფრესკებით, მაგრამ ეხლა უმეტესი ნაწილი მხატვრობისა ან სულ გაფუჭებულია, ან შეეთეტრებული. საგურთხეველში უფრო უკეთ არის შენახული მხატვრობა. ზემოთ აქ დანატულია მაცხოვარი, ეხლა დაზიანებული, მას ქვემოთ იესო ქრისტეს მოწაფენი, „წ ა ვ ტ რ ე, წ ა ვ ლ ე, წ ა ფ ი ლ ი პ ე“ და სხვა სულ ათი; ქვემოთ ეკლესიის მამანი, სულ ცხრა: „წ ა რ ო მ ა ნ ო ზ, მ დ ვ დ ე ლ - მ ო ძ დ ვ ა რ ი; გ რ ი გ ო ლ ი დ ი ო ლ ო ლ ო ნ ი, წ ა ნ ი კ ო ზ, წ ა ი ე ო ქ რ ა ზ ი რ ი, წ ა ბ ა ს ი ლ ი“ და სხვა. ამათ ვეფილას ხელში აქვსთ ეტრატები და ეტრატების წარწერანი მსხვილი ასომთავრულით არის. თვით ეკლესიაში მხატვრობიდან კიდევ განირჩევა: ხარება, ფე-

რისცვალება, ჯაზარეს აღდგენა. ქვემოთ ჩრდილოეთის კედელზე მოჩანან მთავარანგელოზები, მიქელ და გაბრიელ, წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრი. დასავლეთისკენ ჩრდილოეთის კედლისა უოფილას სურათები დადიანებისა, ქმარი, ცოლი და შვილი და ერთი კიდევ სხვა პირი, მაგრამ სურათები ძრიელ გაფუჭებულია და ძლივსა ეტყობა მხოლოდ ზემო ნაწილი. ისტორიულნი პირები უოფილას აგრეთვე წარმოდგენილნი დასავლეთის კედელზეც, რამელიც ეხლა შეეთებებულა. მხატვრობის შემკობილებანი, სადაც დაცულია, ძრიელ ჯამაზია. ზოგიერთები თ. კიუნეს ჩვენ ფერადებით გადმოვადები-ნეთ. კანკელი ეკლესიისა ახალია. ძველი ხატები აქ არ არის დაცული.

ო ნ ტ ო ფ ო .

სოფელი ონტოფო მდებარეობს რვა ვერსზედ სადგურ აბაში-დან. წმიდა ბარბარეს ეკლესია აქ ახალია. ხატი წმიდა ბარბარესი ამ ეკლესიისა ვერცხლის არის, 28×20 სანტიმეტრი, ქართულის ხე-ლობისა, შემკობილია ხუთის ჯალით. ზემოთ ხუცურათ აწერია: „წა ბარბარა“. ქვემოთ მხედრულათ:

- 1) ქ. ეს წმიდა ბარბარეს ხატი შევამკვეთ ონტოფელმა
- 2) დეკანოზის იოვანემ ნადარეის(შ)ვილმ(ა) ჩვენის სულის
- 3) საოხად ქნს 1762.

ს ე ფ ი ე თ ი .

სოფელი სეფიეთი მდებარეობს 18 ვერსზედ სადგურ აბაშიდან. სეფიეთის მთავარ-ანგელოზის ეკლესია ერთი უძველესთაგანი ეკლე-სიას სამეგრელოში, ქვით და აგურით ნაშენი, გეგმით ტიპიური ბა-ზილიკა არის სამნაწილადი შიგნით. საკურთხეველი მომრგვალებულია გარედანაც. აღმოსავლეთისკენ, ზემოთ სახურავის შესაყართან ცხვრის თავის ქანდაკებაა. შესავალი აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდი-ლოეთით. ფანჯრები ცხრას: სამი აღმოსავლეთით, ოთხი დასავლე-

თით და თითგ სამხრეთით და ჩრდილოეთით. დასავლეთის მხრით მიშენებული აქვს ეკვტერი შემდეგის დროისა. თვით ეკლესიის ჩრდილოეთის და სამხრეთის ნაწილები (ნეფები) გაშლილი თაღებით უერთდება შუა ნაწილს. როგორც მცოდნის გარეთ შენახული ერთი ჰატარა სვეტის გვარცხლები, წინეთ ეკლესიას ქვის კანკელი ჰქონია, მაგრამ ესა სულ უბრალო ხის კანკელი აქვს. შიგნით ეკლესია სულ მოხატულია, მხატვრობა დაბალი ხარისხის არის და ისიც ზოგ ადგილას ძრიელ გაფუჭებული, მაგალითად დასავლეთის ეკვტერში. უფრო შერჩენილია მხატვრობა საკურთხეველში და ეკლესიის შუა ნაწილში ზემოთ. სამხრეთის და ჩრდილოეთის ნეფები სულ შეთეთრებულია კირით და მათში მხატვრობის ნასახიც აღარა სჩანს. ფრესკებზე ყოველგან ხუცური წარწერებია. აღმოსავლეთის ფანჯრის ზემოთ შიგნიდან კედელზე სწერია ასომთავრულით:

- 1) **ՄՃԿԸԸԸ: ԿԿՄԿՆԸ:**
- 2) **ԿՆԿ: ԿՕՆՃՆՃԿԻՃԸ: ԾԿՐ**
- 3) **ՄՄՆՃԸ: ՆՕՆՆԿԿ:**
- 4) **ՄՆ: ՈՐՐ ԸՐՐ.** უქარაკმით:

„დაინატა¹⁾ ეკლესია ესე კოზალაძემა ჭყონდიდელმა ზოსიმე. შეუნდგინეს ღმერთმან, ამის“.

ჭყონდიდელი ზოსიმე კოზალაძე ყოფილა დახატული მარტვილის დასავლეთის ეკვტერში, მაგრამ სურათი სულ დაღუპულა და ესა მარტო თავი მოჩანს. ჩვენ არ ვიცით როდის ცნობრობდა ზოსიმე კოზალაძე, მაგრამ იგი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკუნეს. ზოსიმე ჭყონდიდელს ჰირველათ არ მოუხატვინებია სეფიეთის ეკლესია. ის ძველ დროშიაც მოხატული ყოფილა, მაგრამ მხატვრობა დროთა ვითარების გამო გაფუჭებულია და ზოსიმეს მეორედ დაუნატავს. ამის შესახებ ცნობა მოიპოვება ეკვტრის ფრესკის წარწერაში. სამხრეთის კედელზე დასავლეთის ეკვტრისა დადიანები და სხვა დიდებულები არიან დახატულნი, მაგრამ თავები აღარც ერთს არ შერჩენიათ, მარტო ტანები მოჩანს. აქ შუაში ნახევარ სვეტზედ წარწერა ყოფილა, თავი გაფუჭებულია და ქვემოთ ასომთავრულით იკითხება:

1) უნდა იყოს დახატა, ანუ დახატვინა.

წ: **ყსა: ოსიქი**

წყაქი: ხაქ

ხაქ: ხაქ: ოსიქი

ხაქ: ხაქ: ოსიქი: ხაქ

ხაქ: ხაქ: ოსიქი

ხაქ: ხაქ: ოსიქი.

და: ესე ჭილაქმა
აბრამი, მე

მე მე ჭილაქმა
მან ზესიქი კაბა-
ლაქმან დავსატვი-
ნე ესე, ამინ.

ამ წარწერის მიხედვით ზირველი დამხატვა სეფიეთის ტაძრის ეპიტოფითურთ უთვლილს აბრამი ჭილაქი. შემდეგ მეორეთ დაუსტვინებია ზესიქი კაბაქმა. მარჯვნივ და მარცხნივ ამ წარწერის ოთხ-ოთხი დიდებულთ სურათების, ყველა უთაოთ, მაგრამ მდიდრულ და საყურადღებო ტანისამოსებში. ერთის კარშემო მჩანს ხუტური ასობი: . . . **წყაქი** . . . **წ** . . . **ყს** . . . შეიძლება ნიშნავდეს: „დადანი ლიპარ“. მეორეზე მარჯვნივ მჩანს ასობი: **წყაქი** . . . **წყაქი**. უნდა ნიშნავდეს: „თოფურიქი დავით“. თოფურიქი აჩიან კიდევ დასატული ეპიტოფში დასავლეთის კარის მარცხნივ. ერთ ამგვარ სურათზედ ჩვენ ამოვიკითხეთ: **ხაქი-წყაქი** **წყაქი**, უნდა ნიშნავდეს: „მამუხბედი (ანუ მამისბედი) თოფურია“. ეს თოფურია მდალის ტყავის ქუდით აჩიან დასატული. დასავლეთის კარის ზემოთ რგოლში წელს-ზევითი სურათია მეფურის ტანისამოსით და აქეთ-იქით დიდებულები აჩიან. წარწერები არ იკითხება. კარის მარჯვნივ ქვემოთ კიდევ რამდენიმე დიდებულის სურათია გაფუჭებული. ერთზე ჩვენ ძლივს გავარჩიეთ წარწერა: **ყსიქი ოსიქი**, — ელაჭიში ოჩიგავა. ეს გვარი რამ გაიგონა სეფიეთის მხატვმ, რამეღიწ ჩემთან იუო, გაუგვირდა და მკითხა: საიდან შეიტყვეთ ეს გვარი? მე ვუთხარი, აი აქ მხატვრობაზე ამოვიკითხე მეტქი. და მეჩე დაუმატა: „დიდება შენს სახელს ღმერთო, რამ სიმართლეს არ დაკარგავო!“ მე ვკითხე, რა სიმართლეს ეძებ მეტქი. და მან ასე მიაშობ: მე ოჩიგავა ვარო, წინეთ ჩვენი გვარის კაცები უთვლილან აქ დიდებულები და ესენი უთვლილან სულ აქ დასატულები, მაგრამ შემდეგ გაძლიერებულან თოფურიქი, ჩვენი გვარის კაცების სურათები წაუძლიათ და თავიანთი დაუსტავთო.

ეს გადმოცემით მთელმა სოფელმა იცის, მაგრამ ნაშთი ანაფის შეუმჩნევია დღემდის. მეორე სურათზე აქ მოხანს ასკები: **ՀՕՈՐՀ ԿԿՀԿԿՆԻ(?)**. დიდებულების სამი სურათი უფილა კიდევ ეკვტერის ჩრდილოეთ კედელზე, მაგრამ ეხლა სულ გაფუჭებულია. სხვა საეკლესიო სურათებთა შორის ეკვტერში ემჩნევა კიდევ ფრესკები: „წ. გიორგი“ (დასავლეთის კარის მარცხნივ) და ერთი მესვეტე. ეკლესიის კარის ზემოთ: დედა ღვთისა ჩვილადი ოთხი ანგელთა-თურთ, ქვემოთ წ. გიორგი ცხენით, მარჯვნივ ორი წმიდანი კიდევ, ერთი მათგანი ხმლით ხელში.

საკურთხეველის ცაში ეკლესიისა დახატულია მაცხოვარი წარწერით **ԻՇ XՇ** და გაშლილი სახარებით ხელში, რომელზედაც იკითხება: „მე ვარ: ნთლი: სფლს“, მაცხოვრის მარცხნივ ღვთის-მშობელი დახატული წარწერით: **ՅԿՅՆ ՈԹԵՆ** და მთავარანგელოზი. მარჯვნივ იხანე ნათლის მცემელი და მთავარანგელოზი. ფრთხან მთავარანგელოზნებს სიმრგვლეები აქვთ ხელში წარწერებით: **ԲՆ ՀԻԽ**. ამათ ცოტა ქვემოთ ქერახინებია. ქვემოთ საკურთხეველის კედელზე ქვის აშია უფლის, რომლის ქვეშ ასომთავრულით სწერია: „[აღმოსავლეთიდან] ვიდრე დასავლეთამდე ქებულ არს სახელი უფლისა, რომელსა ნებაჲს ცხარება“. ამას ქვემოთ მთელი რიგია იესო ქრისტეს მოწაფეებისა, შუაში ჰეტრე და ჰავლე და აქეთ-იქით დანარჩენი ათი მოწაფენი. ამათ ქვემოთ დიდი ნიშია ამოვსებელი, რომელიც წინეთ ფანჯარათ უფილა და ამ ნიშში დახატულია ხელებ აშუკილი წმიდანინო წარწერით: **ԲՇ ԻՐՕ**. მხატვრობა ულამაზოა, მაგრამ ეს ერთად ერთი მაგალითია ჯერ-ჯერობით ცნობილი წმიდანინოს სურათისა ეკლესიის კედელზე დასავლეთ საქართველოში. მარჯვნივ და მარცხნივ წმიდა ნინოსა დახატულია მთელი რიგი წმიდათა ეკლესიის მამათ: წ. გრგ. წ. ი. ე. ოქრხი: წ. ბ. სლი და სხვა. ამათ ეტრატები აქვთ ხელში ხუცურის წარწერებით. თვით ეკლესიაში, შუატანში, ჩრდილოეთის თადის ნაწილზე შემდეგი სურათებია: ფერის ცვალება, ამღლება, ჯვარცმა. სამხრეთის თადის ნაწილზე: ნათლის-ლება, მირქმა სვიმეონისი, შობა. თადებზე დასავლეთისკენ: იოვაკე და ანა, კოზმან და დამიანე, წ. ეკატერინე, წ. ბალობა.

ანას სურათის ზემოთ წითლური ასომთავრულით აწერია: **ԲՇ
ՎԿՎԿ: ՄԿ: ԿԻԽ: Ն՚ՆԿ: ԵՊԿԻՆՆ ՄԻՆԿՆԸ:**

უქარაგმით: „წმიდა გიორგი, შეიწყაღე იოანეს სული ცა-
გარღისშვილისა“.

სხვა სურათებიც ბევრია, მაგრამ გაფუჭებულები, წაბლაღული
წარწერებით.

ჩრდილოეთის კედელთან ეკლესიაში დიდი ქვა არის სსსაფლას-
ლი უშნო ასომთავრული წარწერით, მაგრამ წარწერა ისე გაფუჭებუ-
ლია, რომ ამოკითხვა მთელი აზრისა შეუძლებელია. განირჩევა მხო-
ლოდ ცალკე ასოები. ასეთივე გაფუჭებული წარწერიანი ქვა ემჩნევა
კიდევ გარედან დასავლეთის ეკვტრის ჩრდილოეთის კედელზე. ეკლე-
სია გარედან და ზოგ ადგილას შიგნითაც შეეთქმებოდა კირით.

ხ ა ტ ე ბ ა.

იშვიათია ჩვენში ძველი ეკლესია, რომელიც ასე ღარიბი იყოს
ძველი ხატებით, როგორც სეფიეთი. აქ დაცულია მხოლოდ:

1. მთავარანგელოზის ხატი ვერცხლისა, 20,4 X 20 სანტიმე-
ტრი, უფოლად უშნო ხელობისა. ანგელოზი ფრთოსანია, მოქეპრილი,
ცალ მხარზე ჯვარი აქვს, ცალ მხარზე მახვილი. ხატს ამკობს ოთხი
ქვა. როგორც თვით ხელობა უშნოა, ისეთივე გასაოცარი უშნო მხე-
დრული წარწერა აქვს მარცხნივ აშიაზე:

- 1) ქ.: თაიმ ზის¹⁾ და: . ოთიას: . და: . ოტიას
- 2) მომიჭედია: . თარაგლის(sic) ხატი: ჯვარ
- 3) თ: . წყაღე ამინ.

ვგანებ ეს წარწერა ასე უნდა გავიგოთ:

„თაიმზის (შეიძლება იყოს თაიმურაზის) და ოთიას და ოტიას
მომიჭედია მთავარანგელოზის ხატი. ჯვართ შეიწყაღე, ამინ“.

2. ჰატარა ხატი წმიდა გიორგისა. წამლით ნახატი და ხუცუ-
რის წარწერით: „წა გიორგი“. წმიდანი ცხენზე მჯდომარეა, ვე-
შაშს გმირავს. მარცხნივ მხედრული წარწერა აქვს:

1) ამ სიტყვის ნაწილებს შორის ასეა დედანზე დატოვებული ადგი-
ლი და არც წაბლაღული ასოები ემჩნევა.

„შემოვსწირე მთავარანგელოზის ეკლესიას აზნაურძან რესტორმის ძემა იოვანე თოფურიაშან სადღეგრძელთ ჩემდა ჩემის ძირის ეკლესიას წელსა ჩემე ღვინობისთვის იე“.

ბანძა, გედდი კარი.

აქ მთავარანგელოზის ეკლესია არის ახალი, ქვისა და შიგ მთავარანგელოზების ხატია ერთი ვერცხლისა, 29×24 სანტიმეტრი, ქართულის მღარე ხელობისა, ჩვიდმეტის ქვებით, მათ შორის ერთი ბეჭედი ანაბულის წარწერით აუიუზედ, მეორეზე ძველი რამა-ელების ღმერთი მერკურისისა გამოსატული. ზემოთ ერთი ჰატარა სიმრგვლეა (дробница) ცამეტის ძვირფასი ქვით შემკობილი. აშია ჰტეულია ბაჯახის მსგავსი გრეხილებით მოჩუქურთმებული. მეორე გვერდზე მხედრულათ აწერია:

- 1) ქ: დიდნო მთავარნო ზეცისა:.
- 2) ძაღთანო: მიქაელ: და: გაბრიელ:.
- 3) ადგიშენე: ხატი: ესე: შე: ფაღავამ:.
- 4) ხუხუმი: შენდა: სადიდებლად: ჩემ
- 5) სა: ამ: სოფლისა: სადღეგრძელთ: მას:.
- 6) საუკუნისა: ჩემისა: სულისა: სახხად და:.
- 7) სახხრად:

ხატი უნდა ეკუთვნოდეს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს.

ბანძა, შაური კარი.

ეკლესია აქაც ახალია ქვისა წმიდის გიორგის სახეზედ აშენებული. ხატი წმიდა გიორგისა, 27×21 სანტიმეტრი, ვერცხლის არის, ქართულის ხელობისა. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, ვეშაპს გმირავს შუბით. ზემოთ ხუცურათ აწერია: **Р-Е**
М-Н“. აშია შემკობილია უვავილების მსგავსი ჩუქურთმებით. ხატს უზის ცხრა ძვირფასი ქვა ზემო ნაწილზე.

მეორე გვერდზე მხედრული წარწერა:

„წელსა ჩემზ-სა ივლისის კზ-სა. წმინდა გიორგი, ჩვენ მოსავ-
მან შენმან თავადმან ფავამ კაცამ და მეცხედრემან ჩემან ზეფის-
შვილის ასულმან ელისაბედმან გავაჭედინეთ ხატი ესე შენი საფასითა
ჩვენითა სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა წარსამართებლად“.

ეკლესიას დიდი ეზო აქვს ჩვეულებრივად დიდრინი ხეებით
შემკობილი. ახალ კვირას აქ დიდი ხალხი იკრიბება და, სხვათა შო-
რის, ჩვეულებათ აქვსთ ძირიანათ რომელიმე დიდი ხის მოთხრა. ფა-
ლავას გვარი უმეტესად ეხლაც ბანძაში ცხოვრობს.

მ ა რ ტ ვ ი ლ ი .

მარტვილი ერთი საუკეთესო ტაძარი თავის მღვდარეობით, ხე-
ლფინური სტილით, ისტორიული მნიშვნელობით და მასში დაცული
არქეოლოგიური ნაშთებით არა თუ მარტო სამეგრელოში, არამედ
მთელ საქართველოში. ღამაზი გუმბათიანი ეკლესია აკებულა მა-
ღალს გორაკზედ ცხენის წყალს და აბაშას შუა, საიდანაც თქვენ გე-
შლებათ საუცხოო სურათი იმერეთის და სამეგრელოს ვაკე-მინდვრე-
ბისა თავის წაღკოტ-ბაღნარით და სოფლებ-დაბებით და აკრეთვე სუ-
რათი ჯეჩხუმისა და სვანეთის მთა-გორაკებისა. სიტყვა მარტვილი
წარმასდგება ბერძნული სიტყვიდან *μάρτυρ*, რომელიც ნიშნავს წა-
მებულს. ძველი მეგრული სახელი იყო ადგილისა ჭყონ-დიდი, ესე
იგი დიდი მუხა. ამიტომაც ამ მონასტრის მღვდელთ-მთავრები იწოდებო-
დნენ ჭყონდიდლებად. ჭყონდიდლები პირველი ვეზირები იყვნენ ძველს
დროში საქართველოს მეფეებისა და, რასაკვირველია, მათი საკათედ-
რო ტაძრიც დიდებული უნდა ყოფილიყო. თუ რა თანამდებობა,
ღირსება და პატივი ჰქონდათ ჭყონდიდლებს საქართველოში, ამას
გტყობილობთ სხვათა შორის დაწვრილებით ჩვენ მიერ ახლად ნა-
პოვნ „კელმწიფის კარის კარიკებიდან“. გადმოცემა მოგვითხრობს,
რომ ტრავზი მარტვილის ეკლესიისა დადგმულა იმ მუხის ძირზე,
რომელიც მოჭკვეთა ანდრია მოციქულმა, ოდეს მეგრელები მოაქცია.
ღიბუას აზრით მარტვილი აშენებულა იმ ადგილზე, სადაც წინეთ

საკერძო ტაძარი იყო და ზოგიერთი ნამტვრევები ამ ტაძრის ჩუქურთმის მარტვილის ეკლესიის კედლებში. დიბუას შემდეგ მარტვილის ეკლესიას სრულიად განუახლებიათ და გარედან ეკლესიას დაუკარგავს ძველებური სახე და უმეტესი ნაწილი იმ ქანდაკებათა ნაშთებისა, რომელნიც ჩატანებულნი ეთიოპია ძველ კედლებში, და აგრეთვე გამჭრალა ვეულა წარწერებიც. ვინაითგან მარტვილის მონასტერი საკმაოდ ცნობილია ლიტერატურაში¹⁾, ამიტომ ჩვენ დაწვრილებით მის აღწერას არ გამოუდგებით.

ვიტყვიან მხოლოდ, რომ საერთოდ მიღებული აზრი, ვითომც მარტვილის ეკლესიას აშენებული იყოს მესამე საუკუნეში აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის მიერ (912—957) შეცდომათ მიგვაჩნია. მესამე საუკუნეში აგებულია მხოლოდ დასავლეთის შუა ეგვიპტური ეკლესიისა და არა თვით ეკლესიას. მარტვილის ეკლესიის თავდაპირველი გეგმა სრულიად ისეთი იყო, როგორც ჯვარის ეკლესიისა მცხეთის მახლობლად, ატენის სიონისა და ძველი შუამთისა კახეთში. ამ გეგმის ეკლესიები ეკუთვნიან მე-VII—VIII საუკუნეს. ხოლო მესამე საუკუნის ეკლესიები, რომელთაც ჩვენამდის მოუღწევიათ, სულ სხვა გეგმისა არის და ამის ცხად მაგალითს გვაძლევს თარიღიანი ეკლესიის კუმორდოსი, აშენებული აფხაზეთის მეფის ლეონ II დროს 964 წელს. რომ დასავლეთის შუა ეგვიპტური მართლაც აშენებულია მესამე საუკუნეში, ამას მოგვითხრობს წარწერა, რომელიც ბრასეს გადმოუწერია და რომელიც ეკლესიის განახლების დროს მე-

¹⁾ ნახე: Dubois, Voyage autour de Caucase, t. III, p. 39—48. Brosset, Voyage archéologique. Rapp. VII, p. 11—17. Résumé, p. 8. მიხივე, Explication de diverses inscriptions, extrait des Mémoires de l'Académie... VI série, t. IV, p. 85—87, pl. VII, № 25, 26. Муравьевъ, Грузія и Армения, ч. III, стр. 246—260. Д. Бакрадзе, Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 96—97. Павлиновъ, Христіанскіе памятники Кавказа. Материалы по Арх. Кавказа, Моск. Арх. Общ., вып. III, стр. 46—57. Кондаковъ и Бакрадзе, Опись памятникамъ древности въ нѣкоторыхъ храмахъ и монастыряхъ Грузіи, стр. 66—79. თ. უორდანი, ქრონიკები, I, გვ. 83, 174—175, II, გვ. 172—174.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამქრალა. ბრძოლეს ასე მოჰყავს ეს წარწერა:

**ჰაჲრ ზჲრზრზ ზ ოჲრჲრ
ზიზჲრჲრ ჲრ ჲრჲრ ჲრზრზრზ . .**

ცოტა ზემოთ მარჯვნივ:

ზზ . . რჲრ ზ რზრზ. ჲ: ჲრჲრზ ჲრჲ:

ღამატებით ბრძოლეს ასე კითხულობს და სთარგნის წარწერას:

[ღმერთო შეიწყალე] მეფე აფხაზთა [და ქართველთა ორთავე შინა] ცხოვრებათა აღაშენა წმინდა ესე სანათლას[ვი]... დასაბამითგანთა წელთა ქ(?). ქორონიკონსა სივ:

ქორონიკონი ამ წარწერის უღრის 996 წელს. ამ დროს აფხაზეთის მეფეთ იყო ბაგრატ III (978—1014). ცხადია, რომ ეს წარწერა მოგვითხრობს დასავლეთის ეპიტრის აშენებაზე და ამ ეპიტრის სანათლავს ეძახის ალბათ მიტომ, რომ ეს ადგილი ბავშვების სანათლავად ეოფილა დანიშნული. წინეთ უმაწვილებს ნათლავიდენ ეკლესიას. რომ დასავლეთის შუა ეპიტური შემდეგ არის მიშენებული, ამას ცხად ჰყოფს ის გარემოება, რომ დასავლეთის ფანჯარა ეკლესიის დახუთის ეპიტრის გამო და კიდევ უფრო ის ფაქტი, რომ შესანიშნავი ქანდაკებანი, რომელიც ამკობდა აშის (ფრიზს) დასავლეთის ფანჯარის დატულია ზემოთ მეორე სართულში ამ დასავლეთის ეპიტრისა. ამგვარივე ძველი აშის შერჩენილია კიდევ აღმოსავლეთის შუა ტანზე ეკლესიისა. წინეთ ნაწევრები ამგვარ ქანდაკებათა ეოფილა გაბნეული სხვა კედლებშიც, რაც სჩანს დიბუას მოწმობით, მაგრამ განახლების დროს დაკარგულა.

დასავლეთის მხრით ფანჯარას ზემოთ შუა ეპიტრისა ეოფილა კიდევ დიბუას დროს და დიბუას გადმოუღია შემდეგი წარწერა:

ჲჲ ჲჲ ჰჲრ

„ქრისტე, შეიწყალე მიქელ

ჲრზრზ ორზრზ

კალატონი ოზიზარი“.

ამ წარწერიდან სჩანს, რომ კალატონი, ანუ კალატონი, რომელსაც უშენებია მარტვილის ეკლესიის დასავლეთის შუა ეპიტური, ეოფილა ოზიზიდან, ჭროხის ხეობიდან, სადაც იყო ძველი ოზიზის მონასტერი.

ფანჯარას ზემოთ დასავლეთის შუა ეკვტრისა დღემდის დაცუ-
ლია მხოლოდ მშვენიერი ქანდაკება იესო ქრისტესი, წარწერით ზე-
მოთ: **ԻԿ ԿԿ**. მარჯვენა კელი ქრისტეს ცად აზრობილი აქვს,
ხოლო მარცხენაში უჭირავს სახარება ჯვართ შეშვობილი და აქეთ-
იქით სიგძეზე მსხვილი გამბერვილი ასოებით სწერია

ՀԿԻ	ՅԻՆ	მე ვეო ცად
ԿՕ	ԻԿՆՇ	კელი ჩე-
ԸԾ	ԻԻՆՇ	მი, ვფუ-
ԿԿ	ՄՇ Կ	ცო მარ-
ԿՆ	ԹԿՇ	ჯვენესა ჩემ-
ԻՅՆ	ԸԿՄ	სა, და ვთქვა:
ԿՓՕ,	ԿՇ	„ცხვრელ
ԸՕ	ԻԿԿ	ვარ მე უკუ-
	ՕԿԿ	ნისამდე“ ¹⁾ .

როგორც ქანდაკება, ისე ეს წარწერა გამბერვილი ასოებით
ძრიელ წაგავს კუმურდოს ქანდაკებათ და წარწერებს. ეს არც საკვირ-
ველია, რადგან ორივე ნაშთი მათე საუკუნეს ეკუთვნის.

ჩრდილოეთის კედელზე ბრასეს დროს უთფილა შემდეგი წარ-
წერა: **ԿԿ ՄԿ . . . Ի ՕԿԻՆԻՆ**, ესე იგი: „ქრისტე
შეიწყა... ოქროზირი“.

შუა ეკვტრის დასავლეთის მიშენებული აქვს მარცხნივ ეკვტრ-
ი მიძინებისა და მარჯვნივ მთავარანგელოზთა, უკანასკნელი უფრო
გვიანია და უშნო. ხოლო ერთიცა და მეორეც სასაფლავა დადიანე-
ბისა. მარჯვენა ეკვტრის დასავლეთის კარზე მხედრულათ აწერია:

„წელსა ჩელჭ-სა ივნისის კდ-სა ეკვდრისა ამის წინამძღვარი
დოდბერძე გერასიმე ვედრებით [კთხო]ვთ აღმომკითხველთა ამის-
თა შენდობას გვიბრძანებდეთ. თქვენ შენდობილ იუვენისა ამინ. ეკვ-

*) ეს ტექსტი შედგენილი უნდა იყოს დაბადების შემდეგი ადგი-
ლების მიხედვით: გამოსვლა IX, 29; ესაია LXII, 8; გამოცხადება იო-
ანესი I, 18. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პირველ ორი სიტყვის მაგიერ
ბროსე კითხულობს: „მივყო“. მაგრამ ეს შეუძლებლად მიგვაჩნია, ვი-
ნაითგან ტექსტში **Յ** და **Ո** კარგათ განირჩევა და აქ **Յ** არის.

ტერი განვასხლე და სიძველის[გან] დაუნუკრობისაგან ჩამონგრეული შეგვაზმე და დავხურე ეგ“.

გორაკის ზემო ნაწილი მარტვილისა, სადაც შენობებია, ვრცელი არ არის. შუაზე დგას თავი ეკლესია. სამხრეთ-დასავლეთისკენ ეკლესიისა ამართულია ოთხკუთხედი მაღალი სვეტი, რომელზედაც მესვეტის საცხორებელი ეკლესია-ათახია. აღმოსავლეთის ნაწილზე ამ ეკლესიისა მოხანს ქანდაკება წელზევითი სვიმეონ მესვეტისა და სოფოკადოთ ეს ნაწილი და მხარე სვეტისა შემკობილია ჩუქურთმებით და გრეხილებით, მაგრამ ეტყობა უველა ეს შედარებით მერმეა მიმტებული რაღაც სხვა შენობის ნაშთებიდან. დიბუას დროს აქ კიდევ ცხოვრობდა მესვეტე და დაცული იყო კიბე, რომლის საშვასებითაც ხალხი ადიოდა და ჩამოდიოდა, რათა მიეღოთ ლოცვა-კურთხევა მესვეტისაგან. მურავივოს დროს აქ იყო მესვეტე იესე, რომელიც წინეთ გამნარტოვებული ცხოვრობდა ტეეში და რომელიც მოვიდა აქ მესვეტის რომანოზის გადაცვალების შემდეგ. ჩრდილოეთის მხრით ეკლესიისა ფერდოზე ჰატარა თლილის ქვის სამ სართულიანი ეკლესიისა არის ჯვარის გეგმისა სრულიად შებურვილი სურათი. სიღამაზე ამ ეკლესიისა სწორეთ მომხიბვლავია და მარტო ამის სანახავად ღირს რომ კაცი გაემგზავროს მარტვილში. ამ ეკლესიას სახელსდებენ ჩიქოვანების ეკლესიათ. კარების ჩარჩოებზე მხედრული წარწერაც მოხანს უბრალო შავის მეწით, მაგრამ ეხლა ჩარჩოები დამალულია შეკეთების გამო და მოხანს ძლივს მხოლოდ შემდეგი სიტყვები:

„...თქვენისა ფარვისამან სახლთუხუცესმან ჩიქოვანმა გიორგიმ საცხორებელად მრჩობლთა შინა ცხოვრებათა თვით და მეუღლისა ჩემისა...“

ამ ეკლესიაში, რომელიც ეხლა გაუქმებულია, ყოფილა ხის კანკელი ფიცარზე დახატული ხატებით. ზოგიერთი მათგანი აქვე აწვივია. ზედ წარწერები ხუცურად ასეთია: „წე დიმიტრი, მარკოზ, წე გიორგი, წა ოქროზირი, იე ნათლისმცემელი, იჲ ქე, მიჩქმა, წა ფილიპე, წტეი დავით, ედ წა, წა ანდრია, წა ზაქარა, წა ჰე, წა თედორე, წა ინე მახარობელი“...

წინეთ კედლები ამ ჰატარა ეკლესიისა მოხატული ყოფილა ფრესკებით, მაგრამ ეხლა მოხატურობა ჩამოცვინული და ჩამორეცხილია.

საკურთხეველის ცაში დახატული უოფილას ღვთის მშობელი ანგელთ-
ნებით ორივეს მხრით, მაგრამ მონასს ეხლა მარტო ერთი ანგელთ-
ში, სხვა სურათები გაფუჭებულია.

დასავლეთის მხრით საეპისკოპოსო სახლია გრიგოლ ეპისკოპო-
სის დადიანის დროს აშენებული და აგრეთვე მაღალი სამრეკლო სამ
სართულიანი, ახლად აშენებული 1825 წელს ბესარიონ ჭყონდიდლის,
კაცია დადიანის ძის, მიერ, რასაც ცხად უოფს მხედრული წარწერა
ადმოსავლეთის კედელზე:

- 1) წელსა ქესით ჩეკე: აგვისტოს კტ:.
- 2) კელმწიფობასა უდ უამაღლებულესისა დ თუთ-მშერობელესისა
- 3) ალექსანდრე ჰავლეს ძისა დ მთავრობასა ღერანაჲ ლეინტე-
ლანტისა სხვითა და სხვითა ორ
- 4) დენ კავაღერისა მქონესა ლეონ გრიგოლის ძის დადიანისა:
აღშენდა სამრეკლო ესე უდ უსამდ
- 5) ვღელთესისა სრულად სამენგრელოისა მწეუმსთ-მთავრისა
ჭყონდიდელ მიტროპოლიტისა და კავაღე
- 6) როსნისა ბესარიონ კაცია დადიანის ძისა მიერ საფუძველით-
გან დარღვეული. მონაგებისა თუხისა წარგებითა:-

ქვემოთ მეორე ქვაზე:

- 1) ქე შეიწყაღე ამისი გა
- 2) ლატოზი გიორგი ქა
- 3) რთველი ჯუბინაძე:-

ხატები და ჯგრები.

ხატები დ ჯგრები ეკლესიის ეხლა მოთავსებულია სარკიან უჯრებში
დ გამოდგმულია კანკელში. სულ ოთხი უჯრა არის, ორ-ორი მარჯვნივ
და მარცხნივ საკურთხეველის კარებისა. მეორე უჯრაში მარჯვნივ სა-
კურთხეველის კარებისა დაცულია საუკეთესო განძები მარტვილის ეკ-
ლესიისა. პირველათ ზემოთ განსაკუთრებულს ვერცხლის სასვენებელ-
ში, ზომით 36 X 28 სანტ., მოთავსებულია ორი სამიტროპოლიტო
ჯვარი, ერთი ჰანაგია და ერთი სანაწილე. ეს სასვენებელი გაკეთებუ-
ლია გაბრიელ ჭყონდიდლის მიერ, დადიანის ბეჟანის ძისა, მეთვრე-

მეტე საუკუნის პირველ ნახევარში, რასაც ცხად ყოფს მხედრული წარწერა სასვენებელის ვერცხლის ზურგზე:

- 1) ქ. ეჭა შენ. ცათა უმაღლესო და ქერობინთა უწმიდესო
- 2) უხრწნელად მშობელთა ძისა ღთისისა:
- 3) მარადის ქალწულთა მარტვილთა ღთის მშობელთა.
- 4) ჩვენ სურვილით ცვა ფარვისა თქვენისა სასოებით
- 5) მინდობილმან დადიანის ბეჟანის ძემან ჭყონდიდე
- 6) ლ მიტროპოლიტმან გაბრიელ წმიდისა ამ:.
- 7) ოთხის ჯვარის შემკობა და ერთათ ერთსა სასვე
- 8) ნებელში ჩასვენება ვინებე უფროსი ჯვარი
- 9) პირველად
- 10) გაესვენებიათ და სხვაგან წაელათ ამშიდ დიდ
- 11) ხანი გამოსულიყო მამა ჩვენს ბეჟან დადიანს და
- 12) დედა ჩემს თამარს დედოფალს ამოელათ და მათდა სა
- 13) სულიერით ისევ მარტვილისა ღთის მშობლისათვის
- 14) შემოეწირათ და ისევ დაესვენებინათ. ეს მეორე ლქ
- 15) რას ჯვარი წამხდარი იყო მოვიუფანეთ ოსტატი ხელ
- 16) ახლა ჩვენ შევამკვირეთ და გაგაწოებინეთ და ეს
- 17) ორი ჯვარი კიდევ უამთა ვითარებისგან სხვას
- 18) გაესვენებია გამოფართოვით ესეც და ოთხთავეს
- 19) რაც აკლდა ან ნაწილი ან თვალი ან მარკალი
- 20) ტი ან ძეწიკები უგელას გაუკეთებინეთ
- 21) გაგაწიკვით და ეს ჩასასვენებელი გაუკეთ
- 22) უბინეთ და ამში ჩაკვისვენებია ოთხივე და ისევ წმიდის

მარტვილთ

- 23) ღთის მშობლის ტაძარში დაგვისვენებია
- 24) ჩვენის ცოდვილის სულის საცხად რათა
- 25) მერმესა მას საუკუნესა მარჯვენით
- 26) ნაწილთა თანა მკვიდრობისათა ამათ
- 27) მიერ ღირსსა მუცს და ასე დაგვიმტკიცებია რამ
- 28) ელიც ჭყონდიდელი იუცს იმან წირვაზედ იხმარეს
- 29) როდისცა სწირეს თორემ ისე რამელმაც მებატონემ
- 30) და დადიანმან ანუ ჭყონდიდელმან ანუ დეკ

- 31) ანოზ მოუკავ უხუცესმან ანუ ქალმან
- 32) ვინმემ ანუ დიდმან გინა მცირემან
- 33) ესე ოთხი ჯვარი ამ ეკლესიას გამოსწიროს
- 34) და ანუ ერთმანერს(sic) სუმინდულებს(sic) მოაშოროს
- 35) და რითაც საქმით ამ ეკლესიას დაუკარგოს შენ
- 36) შერისხენ თავად დაუსაბამოვ ღმერთთ და მარ
- 37) ტვილთა ღ'თის მშობელთ ცხველს მეფულთ
- 38) ჯვართ მისი სული და ხორცი ჯოჯობეთს
- 39) შინა დახთქ და იუდასთანა მკვიდრად იჩინე
- 40) სატანჯელსა მას დაუსრულებელსა. ზ
- 41) დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხენეს ღმერთმან
- 42) ამინ.

1. სამიტრატოვო ჯვარი, 15 X 9 სანტ., სულ ოქროსია, საუცხოვოთ შემკობილი ბერძნული მილანქრით და ძვირფასი თვლებით, მარგალიტებით, ფირუზებით, ზურმუხტებით და ამითვისტოებით. წინა ზირზე ჯვარისა წარმოდგენილია გამობურვით განჭვდილი ჯვარცმა ქრისტესი, გძელი უსახელო ტანისამოსით, მედალიონების სურათებით ღვთის მშობლისა და იოანე ნათლის-მცემლისა მარცხნივ და მარჯვნივ და მთავარ-ანგელოზებით ზემოთ და ქვემოთ. წარწერები ბერძნულია. თავების სიმრგვლე წმიდანებისა შემკობილია ბიზანტიურის ხელობის მილანქრებით. მეორე ზირზე ჯვარისა წარმოდგენილია ასეთივე ხელობის სურათი ღვთის-მშობლისა ჩვილად. მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოთ და ქვემოთ ღვთის-მშობლისა ჯვარის ფრთებზე მედალიონების მსგავსად მახარობლებია წარმოდგენილი: მათე ზემოთ, მარკოზ ქვემოთ, ლუკა მარცხნივ, იოანე მარჯვნივ. აქეთ და იქით ღვთის-მშობლის თავისკენ თითო მილანქრის ვარსკვლავია. მართლს ამბობს მეცნიერი ნ. კონდაკოვი, ვისაც ეს ჯვარი არ უნახავს, ყოვლად შეუძლებელია წარმოდგენა იქანის საუცხოვო ხელობების შესახებ ამ ჯვარისა. ამავ მეცნიერის განმარტებით ჯვარი ეკუთვნის მე-VIII—IX საუკუნეს და გამოკვანილი უნდა იყოს კონსტანტინეპოლიდან ერთ-ერთ ჭეზნდიდლისათვის მე-IX ანუ მე-X საუკუნის დასაწყისში.

2. მეორე სამიტრატოვო ჯვარიც შესანიშნავია თავის ხე-

ლობით, მილანქრიანი ბიზანტიური ხელობისა და ეკუთვნის კონდაკოვის განმარტებით მე-X საუკუნეს. ეს ჯვარი ისე კარგად არ არის მოღწეული ჩვენამდის, როგორც პირველი. ჯვარი ოქროსია, $18 \times 11,5$ სანტ., შით ნაწილებია დაცული, შემკობილია ძვირფასი ქვებით და შემოზღუდულია ჯვარის სახედ რვა მილანქრიანი სიმრგვალით, რომლებშიაც ძვირფასი ქვები უფოფილა წინეთ, მაგრამ ესაა არც ერთში აღარ მოიპოვება და თვით მილანქარიც დაცულია მხოლოდ სამს სიმრგვალებში. ფრთებზე ჯვარისა მილანქრით გამოსატყუდა: ზემოთ დვთის-მშობელი, ქვემოთ იოანე ოქროპირი, მარცხნივ წმიდა დიმიტრი, მარჯვნივ წმიდა ნიკოლოზი. იოანე ოქროპირი სრულად არის გამოსატყუდი, სხვები წელს-ზევითია. წარწერები სახელებისა უკუას ბერძნული აქვს.

3. ხანავია წარმოგვიდგენს ერთს მილანქრის მუდლიონს, გარეშემოცულს მარგალიტებით, რომლის წინა პირზე მილანქრით გამოსახულია ჯოჯოხეთის წარტევენა იესო ქრისტეს მიერ ბერძნულის წარწერით. იესო ქრისტე სდგას ორს მხვ კარზე და ორივე ხელით ამოჭყავს აღმა ჯოჯოხეთიდან, რომლის გვერდით მოხანს ევანგ. ხელობა ბიზანტიურია, ძრეულ ლამაზი და კონდაკოვის განმარტებით ეკუთვნის მე-XI საუკუნეს.

4. სანაწილე ოქროსია, ზომით 11×6 სანტ. და თავის გამოსატყულობით მოგვაგონებს არაბულს ციფრს 8. წინა პირი ნაქსოვია ოქროს მავთულებით და შემკობილია ძრეულ ხშირი ძვირფასი ქვებით, ფირუზებით, ზურმუხტებით და ქარვის ნამცეცებით, შუაში უზის საფირონი, შიგნით კოლოფია ნაწილებისათვის. მეორე გვერდზე მხედრული ძნელი გასარჩევი წარწერა მოიპოვება, რომელიც ამდენხანს უცნობი იყო. ჩვენ ამ წარწერას ასე ვკითხულობთ:

- 1) ქ.: რწ. სხვათა: წინასწ
- 2) რმტუეულთა. ქადგბული. თვა
- 3) ღით: აიხილე: და ხელით. მსახუ
- 4) სშოთ: ბერწისათ: შახმვად: მკად
- 5) რელთ. ელაველთ: ნაშბთ: უმეტესთ. იოვანე
- 6) გვერდები გურიელი: ქაიხოსრო
- 7) ხილულთა. და უხილავთა. მტურთა შემუს

8) რასა: მონაწილე: ყავ ნათელდებული

9) იესო: ღთის: ჩემი.

უქარაგმით:

„რომელმან სხვათა წინასწარმეტყველთა ქადაგებული თვალით იხილე და ხელით მისახე[რე], საშობდ ბერწისათ შახმვად მკადრელო, ყოველთ ხაშობთ უმეტესო იოანე, გვედრები გურიელი ქაიხოსრო ხილულთა და უხილავთა მტერთა შემუსრვასა. მონაწილე ყავ ნათელდებული იესო ღმერთო ჩემი“.

აქ მოხსენებული ქაიხოსრო გურიელი უნდა იყოს გურიელი ქაიხოსრო I, ვახტანგ I შვილი, რომელიც გადაიცვალა 1658 წელს, ან ქაიხოსრო II, გიორგი III შვილი, რომელიც გადაიცვალა 1689 წ.¹⁾. ყოველ შემთხვევაში წარწერა მე-XVII საუკუნეს ეკუთვნის.

5. ამავე უჯრასში მოთავსებულია მშვენიერი ღვთას-მშობლის ხატი 56,2 × 44,2 სანტ., ფერადებით დახატული, რომლის წინა პირი ერთხელ შემკობილი ყოფილა მილანქარით და შეიძლება ძვირფასი ქვებითაც, მაგრამ საბინგუსს გაუძარცვავს და წინა პირი ახლად შეუჭვდია. ძველი ხუცური წარწერა მოაქრვილს ზურგზე შეჩენილა, ცოტაოდნად ზემოთ გაფუჭებული:

- 1) **ჟ ნჯზ ნჯზჟ[ჟ] ზჯ... ჟტტ** //
- 2) **ზჯზჯჯჯ: იტტჯჯ: ...ნოჟნტ: ზზჟ:** //////////
- 3) **ტოტტ: ნოჟნჯ: ნ . . ჟ:...** ////////////
- 4) **ჯტხჟჟნტ: ზტხ ზზზჟნჯჯ: ზჯტ ზზზჟნტჯ: ჟჟრჟჯრ: ზჯტტჯჯ: ////////// 2)**
- 5) **იზჟტტჟ: [ზჯტ] ზჟოჟჟჟჯჯ: ჟოჟჯჯ: ზზჟჯჯო: იტტჯჯ: ზჟოჟჟჟო: ზჯჟნოჟო: ოჟნჟ[ჟ]**
- 6) **რტჟნჯ: ზხჟჟხჟჟნჯ: ზოხჯჟო: ზჯრჟნჯ: ჟჟრჟნჯ: ნჟზჟჟნჯჯჯ: ჟოტხ: ზტნტჟჯჯ: [ჯჯ]**

1) იხ. Бакрадзе. Арх. Пут. по Гуріи и Адгараѣ, стр. 336.
 2) ამ ოთხთავე სტრიქონის ბოლოს მიკვრებული აქვს შემდეგ დროში ვერცხლის ნაჭრები სხვა ხუცურის ხელით დაწერილი ასოებით, რომელთაც ჩვენს წარწერასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

7) **წმ:** **ჩუჭუჭუჭ:** **ბოხოხოხო:** **ხიხიხი**
ჭუჭუჭ: **ბოხოხოხო:** **ჭუჭუჭ:** **ხიხიხი**
ხოხოხო: **ხოხოხო:** **ხოხოხო:**

8) **ჩუჭუჭ:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**
ხოხოხო: **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**

9) **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**
ხოხოხო: **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**

10) **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**
ხოხოხო: **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**

11) **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**
ხოხოხო: **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**

12) **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**
ხოხოხო: **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**

13) **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**
ხოხოხო: **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**

14) **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**
ხოხოხო: **ხოხოხო:** **ხოხოხო:** **ხოხოხო:**

უქარაგმთა:

„ქ. სამ სსხიე[რ] და . . . ერთ . . . მამსა, ღმერთსა . . . სუფით
წმიდითურთ სუფსა, ს . . . ბ . . . ანსებით ანს ქმნილსა, კაცქმნითა შე-
ნკან კაცთა . . . ღმერთი [კაც] მუფუელად, უფულად წმიდა ღმერთის
მშობელად, ქალწულად ოდიკიტრისა მსგავსებისა მოსახეოდ, ხატისა
შენისა სიწმიდისასა შირს მტირედთა ამათ ნივთთა მამძღუნე ადმის-
კობად უდაუ, ღმერთად, და შემვირდომით მთქენე მათთუის, რამეული სს-
წუთარსა ღმერთსა ჰუფუგენ ჩემთუის, შუფილითურთ ზვიადი და გიორგი
ოცხენ დედოფალად!“

„ქ. ზ, უბიწოდ ღმერთის მშობელად, ქალწულად, ოდიკიტრისა
ბრწუინვადად სსხეოდ, მთქენე ესე შენდაში წყალბისაი, ახლად მამ-
კობი კნინთა მიერ, უღირსი მანდატურთ უხუტესი ბედანი დადიანი
და მეუღლედ, ვითხვავ, მე უღირსი ხუაშაქი, ქართლისა ერისთვისა
ასუფი ძითურთ გიორგიით და ივანეთ გვირგენ, უფულად უწმინდელად,
რავამს დაჯდეს ძე შენი განკითხვად დღესა მას სსშინელსა“.

ზემო აღნიშნული წარწერა ასე სრულად პირველად იკითხება ჩვენს ლიტერატურაში¹⁾. აქ თითქმის ყველა სხვა და სხვა წარწერა არის, მაგრამ ხელი და გამხსატულობა წარწერის ასოებისა სრულიად ერთგვარია და ერთ დროს დაწერილი. ბედან დადინი და მეუღლე მისი ხუაშაქი, ქართლის ერისთავის ბეგას ასული, კარგათ ცნობილი აჩიან ჩვენს ისტორიაში და ცხოვრობდნენ მე-XIII საუკუნეში, მაგრამ უღუ და ჯეა სხვა წყაროებიდან არა სჩანან და არ ვიცით, რადის ცხოვრობდნენ. თუ ესენი თანამედროვენი არ აჩიან ბედან დადინისა²⁾, უნდა ვითუქროთ, რომ ხუაშაქს და ბედანს ხატის განახლების დროს გადაწერინებიათ ახლად ძველი წარწერა ხატისა, რომელიც შემდეგ კიდევ დაზიანებულა და ისე მოუღწევია ჩვენამდის. ამ პირთ კიდევ შევხვებით ჩვენ ხაზის წარწერების გარეგნის დროს.

ბ. ამავე უჯრაში არის ხატი ღვთის-მშობლისა ჩვილი, ნაჭედი, წელს-ზეგითი, შემკობილია თვლებით, პირის სხე წამლით არის დახატული. ამიები შემკობილია ბაჯანის მსგავსი გრეხილებით. ხელობა ქართულია დაქვეითების ხანისა, მე XVII საუკუნისა. ზემო და ქვემო აშიაზე მხედრული წარწერაა. მარჯვნივ ერთი ნაწილი წარწერისა აკლია და აზრით ადგილებს სიტყვებს ფრხნილებში ვსვამთ.

1) ქ. ეჭა: ყოვლად: საგალობლო: ღთის: სძალო: ქაღწულო: შვიდთა: ცათა: უმაღლესო: და ქერობინთა: უზეშთაეს

2) ო: ყოველთა ქრისტიანეთა: სსო: და: შესავადრებელო: დედაო: ნათლისო: ყოვლად: წმიდაო. მარტვილო

3) ა: ღთის: მშობლო: გვედრები: მოსავი: ღმრთაები: ს: შენის: დადინი: ლეგან: ძე: კელმწიფისა: მანუჩარისა:

4) რომელმან: განფახლოთ: სხე: შენი: ყამთა: ვითარებისა: გან: სრულბით: მოშლილი: და: დამტრეული

5) იყო: და: ახალს: ხეზედან:

6) [ხელ]ახლა: მოვატე

1) შეადარე თ. ყორდანი: ქრონ. I, გვ. 174. Описание пам. др. стр. 80—81.

2) თ. ყორდანი უღუს და ლელას შვილებითურთ მეთერთმეტე საუკუნის პირებით თვლის. იქვე.

7) [ღინეთ ჩუ]ენის: ვერცხლითა: ოქრას: წყლით: დაფერ-
ვითა: ჩუენის: თვალითა: და მარგალიტითა: შუვა

8) [შკეთ]: კურთხეულისა: სასურველისა: ჩუენისა: ამ: სო-
ფლის: მნათისა: თანა: მეცხედრისა: ჩუენისა: დედ

9) [ოფულისა]: ჰატრინის: ნესტანდარეჯანის: სულის: სახ-
სრად: და: საოხად: და: ცოდვათა: მისთა: შეს

10) [ანდობლად]: და: ადგიობარდენ: ძენი: ჩუენი: ალექსან-
დრე: მანუჩარ: და: ასუელი: ჩუენი: ზილიხან:

11) [ამი]ნ: შუვამკეგით: ხატი: ესე: ქკსა. სამას: ოცდა: ცხრასა: სხვა: ამა: ხატის . . . (დანარჩენი აკლია).

ქორნიკონი უდრის 1641 წელს. აქ მოხსენებული დადანი არის ლევან II. ამ დროს გადაცვალებული ყოფილა მისი მეორე ცოლი ჭილასძის ქალი ნესტან-დარეჯან.

მეორე გვერდზე ამ ხატისა ვერცხლის ფიტარზე ჯვარია გამომოსახული ყვავილ-ბაღასთა სახის მსგავსი არშით. ჯვარის თავში სწერია: I C X C, ხოლო ქვემოთ ხუტური დიდი ასომთავრულით იკითხება:

- 1) **ფფფფფფ**
- 2) **იიიი ჯჯიიჟჟიი**(sic) **პპიი**
- 3) **ჲ ჳ ჴ ჵ ჶ ჷ ჸ ჹ ჻ ჼ ჽ**
- 4) **ჲჲჲჲ ჳჳჳჳ ოოოოჲჲჲჲ ოო**
- 5) **ოოჲჲჲჲ: ო ოოოოჲჲ ო**
- 6) **ჲჲჲჲ ოოოოჲჲ ჳჳ ო**
- 7) **ოოჲჲჲჲ ოოოოჲჲ**
- 8) **ჲჲჲჲ იიიი ჯჯიიჟჟიი**
- 9) **ჲჲჲჲ ჳჳჳჳჲჲ**
- 10) **ჲჲჲჲ ჳჳ ოო**
- 11) **ჲჲ ოოოოჲჲჲჲ**

ასო **ჲ** მეორე სტრიქონის მეორე სიტუვაში, ასო **ჲ** მეექვსე სტრიქონის მეორე სიტუვაში, ეგვე ასო მეათე სტრიქონის უკანასკნელ სიტუვაში და ასო **ჲ** უკანასკნელ სტრიქონში გადმობრუნებულიათ არის ნაწერი. ეს წარწერა უფრო ძველია პირველ წარწერაზე, მაგრამ არ ვიცით, რამელ დროს ეკეთვნის.

უქარავით:

„დედოფალ ღმრთის მშობელ(ა), მეც და მოვარველ ექმენით მამკობსა თქუნსა ერისთავს (ი)ვანეს ჭილასძესა და ბუბასა, შეუნდგეს ღმერთმ(ა) მშობელთა მათთა, ამენ, და ძეთა ჩუენთა“.

7. ამავე უჯრადში არის ხატო ღვთის-მშობლისა ჩვილადი, 38,5 × 29,5 სანტ., ნაჭედი, წელს-ზევითი. სახეები თუკრადებით არის დახატული, შემკობილია ძვირფასი ქვებით და რძი მარგალიტით. ისეთი-ვე ხელობისა, როგორც წინა ნომერში ნაჩვენები ხატო და ეკუთვნის მე-XVII საუკუნეს. ზემოთ ასომთავრულით უწერია სახელები: **წ: ზ: ზ: იო. ძ. ნ. ზ. ჭ: ნ. ი. ძ: ჭ. ძ. ხ. ძ. ი.**(sic): ქვემოთ ხატის წინ დაჩოქილნია ცოლ-ქმარი, ჯეჟან დადიანი და ნესტან და-რეჯანი. სურათები წელს-ზევითია. მეორე გვერდზე მხედრულათ აწერია:

- 1) ქ. ეჭა ტომებით
- 2) თიხათჳს. ჩუენისა იძრახობი
- 3) და წინამძღვრობითა: სულისა: წმიდის ღმრთის ძედ: შე
- 4) უცვალებელმან: შეიძოსა: ბუნება: ისი: და დაკსნა: მწუხარება: ევას: და: ნაშობ
- 5) თა: მისთა: ჭეშმარიტო: სალხინებულა: კაცთა: ბუნებისა: ნეს: ზე: წელ
- 6) ით: რღვნიისებრ: ცოდვათა: ჩვენთა: წარმდუნულა: აბრკვა-მისა: კარა: ღმრთისა:
- 7) დამტეუნულა: ჰირველისა: მამისა: შენისა: დაფითისა: და-უჭენობულა: ვარდო: სო
- 8) ღომონისა: ქებათა: იაკობისა: კიბეო: ცად: აღწევნულა: არონისა კვერთხ
- 9) ო: აღუვაგებულა: მისეს
- 10) მიერ: ხილულა: მაუვალა: ცეცხლ: შეუხებულა:
- 11) შეუნიერა: იესეს: ძირთავან: აღმცტენებულა: კეთილ: ჩრდილთ ოცლო
- 12) ო: ესაიას: მიერ: ღრუბლად: სულ მცირედ: სახელდებულა: აკომ

13) მთად: ჩრდილოეთიდან: მისწავებულთ: ყოველთა: წინასწარ-
მეტყველთა. ჭუმ

14) ტად: მშობელად: ეგვიპტელების: კობილთ: მცოქელთა
მიერ მთავად სხე

15) ჯგებულთ: მწამეთა: სიხარულთ: და: მღვდელთ: მ-
ძღუართა: სიქადულთ:

16) (3)ატოისანთ: გვრგვინთ მეფეთათ: ზეციერთა და ქვეყ-
ნიერთა: დედოფალთ: ყოველ

17) თა: ქებათსა: აღმატებულთ: მარტვილთა: ღთის მშობელთ:.

(მეტი არათერი სწერია, თუმცა ადგილი ბევრია ცარიელი).

8. ამავე უჯრატში არის ხატი მთავარანგელოზებისა, 57X47
სანტ., ნაჭედი, ქართულის ხელობისა, მე-XVII საუკუნისა, ცამე-
ტი თვალთ შემკობილი. შუაში მედალიონში, რომელიც მთავარ-
ანგელოზებს უჭირავთ ხელში, ქრისტეს წარმოდგენილი წელს-
ზევით. ერთს ანგელოზს ხმალი აქვს გადაებული მხარზე, მე-
ორეს „ლახარში“. აშია შემკობილია ყვავილების მსგავსი ჩუქურთმე-
ბით. ანგელოზებს მხედრული წარწერა აქვს: ქ. მიქელ. გაბრიელ.
მარცხნივ აშიაზე გამხატულია ჯევან II დადიანი წარწერით მხე-
დრულათ:

ქ.: დადიანი: ჯეონ:

ძე: ბატონის: მან

უჩარისა.

აშეებზე ზემოთ და ქვემოთ მხედრულათ სწერია:

1) ეჭა: დიდებულთ: ზეცისა: ძალთა: უკრცოთა: მთავართ:.
და: ერისათათ: ყოველთა: ზეცისა: და ქვეყანისათათ: დიდთ: მი-
ქელთ: და: გაბრიელთ: მთავართ: ანგელოზთ

2) ჩვენ: ცვა: ფარვათ: შენთა: მიერ: მონღობილმან:.
მისვამან: და: მკობმან: ხატისა: და: სხისა: შენისამან: ჩვენ:.
დადა(ნ)მან: ბატონმან: ჯეონ: ძე

3) მან: ბატონისა: მანუჩარისამან: აფაშენეთ: დაქცეული:.
საყდარი: თქვინი: წარჩესა: და: მფაჭედინეთ: ხატი: ესე: და:.
შევამკვეთ: თქრთათ: და: თვა

4) ჯითათ: და: დაფასვანეთ(sic): ტაძრისა: წმიდასა: თქვენ-

სა: . ჩვენთვის: . სადღეგრძელოდ: . კასამარჯვებულად: . ბატონობის: . ჩვენის: . წარსამართლებლად: .

5) და: . ცოდვითა: . ჩვენთა: . შესანდობლად: . რათა: . მუნ: . მექმნეთ: . დღესა: . მასა: . დიდსა: . განკითხვისსა: და: . განაშორნეთ: . ჩემგან: . მტარვალნი: .

6) იგი: . სულნი: . ბოროტი: . და: . მცეთ: . განსვენება: . და: . ნათელი: . დაუღამებელი: . გვეუდრები: . რათა: . მეოხ: . მცველ: . და: . მოვარველ: .

7) მექმნეთ: . ერთავე: . შინა: . ცხორებათა: . ამინ: .

9. ამავე უჯრასში არის ზემოთ მთავარანგელოზის ხატი, ვერცხლის, ნაჭედი, 19×15 სანტიმეტრი, შემკობილი თვლებით, ქართულის ხელობის, მე-XVIII საუკუნისა.

10. აქვე მეორე ვერცხლის ხატი დავით აღმაშენებელისა, $17,5 \times 14$ სანტ., ხატი შემზადებული და მირთმეულია იერომონახის ბიკტორ გიორგაძის მიერ დავით მიტროპოლიტისადმი 1844 წელს. ამ ხატზედ მხედრულათ აწერია:

- 1) წა ხატი ესე დიდებულისა მეფისა და სრ
- 2) ულიად ივერიისა ქართველთა და აფხა
- 3) ზთა თვთ მზერობელისა. დავით. მესამისა
- 4) აღმაშენებელისა დავითიან ბაგრატიონისა ვი
- 5) დავაწე უღირსმან იერომონ(ახ)მან ბიკტორ გი
- 6) ორგაძემ შევამკე და მივართვი მთს მღლ უდ
- 7) უსამღვდელოესობას მიტროპოლიტს დავითს
- 8) მწეშს-მთვრს სრლდ იმერთა და გურიის ქარ
- 9) თველთა ერისსა თავადის სწლხუცის ზრას
- 10) წერეთლის ძეს: . ღწ სულით და კორცთ
- 11) განაძლიეროს. და ამ წის მისხელისა მი
- 12) სისა მადლმან აღიდოს ამინ: . და ჩემ უდი
- 13) რსსა ზედა მადლი და კურთხევა მისი (არ) მო
- 14) კლებულ იქმნეს: წელსა: ჩემდ. თსა აწრ
- 15) სა: . ქრწწს მეთათხმეტს მქტევისა წელს ფლბ.

11. დვთის-მშობლის ხატი მოქვერილი ვერცხლისა, ჩვიდედი, წელს-ზევითი, სახეები წამლით არის ნახატი, შვიდი ქვით და

ორი მარგალიტით შემკობილი, 43×31 სანტ., მდარე ხელობის, ლევან დადიანის ბრძანებით გაკეთებული. ზურგის ვერცხლზე მხედრულათ აწერია:

1) ქ: ეჭა: უმაზოდ: . შენგან: . და: . უდედოდ: . მამისგან: . ცათა: . სიტუუითა: . დამუარებუდი: . საშეთა: . დაიტოე: . და

2) უნებლად: . განკაცნა: . შენგან: ქალწულთ: კორცნი: . შეისხნა: . ღთი: . შემოქმედი: და მაცხრვარი

3) ყოველთა: . არსი: . კურთხეულ: . არს: . სახელი: . შენი: . ყოვლად: . საგალობელთ: . ღთისა: . სძალთ: . ქალწუ

4) ღო: . მარამ: . შვიდთა: . ცათა: . უმაღლესთ: . ქერობინთა: . უბეშთაესთ: . ყოველთა: . ქრისტინე

5) თა: . სასოთ: . და: . შესავედრებელთ: . დედათ: . ნათლისათ: . ყოვლად: . წმიდათ: . ღთის: მშობელთ: . ჩვენ: . თ

6) იხა: . შეხედილმან: . ტუირთ: . მძიმემან: . ცოდვათა: . შებლა-ლულმან: . ცვა: . თარვათა: . შენთა: . მონღო

7) ბილმან: . მოსავმან: . სიწმიდისა: . სასოებით: . სამსახურისა: . თქვენისამან: . დადიანმან: . ჰატრონმან

8) ლევან: . ვიგუფსმოდგინეთ: . და: . მოვასტედინეთ: . ხატო: . ესე: . სახისა: . თქვენისა: . და: . შევამკევეთ: . თვალ

9) ითა: . და: . მარგალიტითა: . და: . დავასვენეთ: . ტარჩულს: . ღიზარტიანის სასახლესა: . კარის: . ეკლესიასა: .

10) ჩვენ: . ძემან: . კელმწიფისა: . მანუხარისამან: . კელმწიფემან: . დადიანმან: . ჰატრონმან: . ლევან: . მის: . კურ

11) რთხეულისა: . სანატრელისა: . და: . ამ: . სოფლის: . მნათისა: . ყოველთა: . კაცთა: . უფრო: საყუარელისა: .

12) ჩვენისა: . ამ: . სოფლის: . ლხინ: . სიმხიარულისა: . თანა: . მეცხედრისა: . ჩვენისა: . ჭილაძის: . ასულისა: . დედოფა

13) ღო: . დედოფლისა: . ჰატრონისა: . ნესტანდარეჯანისა: . კურთხეულმცა: . არს: . სახსენებელი: . და: . ხ

14) სენება: . და: . საუკუნო: . მისი: . ამინ: . მისისა: . სულისა: . სახსრად: . და: . საოხად: . და: . ცოდვათა: . მისთა: . შესანღო

15) ბლად: . დავასახლეთ: . ჭაქვიჯს: . შეჯოგეთ: . გომართია: . შენგელთა: . და: . დავაყენეთ: .

16) ს(ა)ღაპოთ:.. ცხრა:.. მეწველი:.. ზრახა:.. და:.. ერთი:.. უღელი:.. კარი:.. აწე: ამ: ზრახების

17) ნაწველი:.. უველი:.. უველა:.. და:.. ს(ა)ღაპოთ:.. მიგვიჩინა:.. ნივთობით:.. ამისთვის:.. არ:.. დავსწ

18) ერთ:.. რამე:.. წელიწადში:.. ზოგს:.. ეყოლება: ხბო:.. და:.. ზოგსა:.. არა:.. ჯარები:.. ს

19) ამუშად:.. დაგვიუენებია:.. და:.. ს(ა)ღაპოთ:.. დომი:.. უნდა:.. მთიწილს:.. ამ:.. ზრახები

20) ს:.. უველი:.. რაც:.. იქნას:.. ეოველს:.. წელიწადს:.. უველი-
ერისა:.. შაბათსა:.. ს(ა)ღაპოთ:.. და

21) ხარჯევედენ:.. და:.. აღაპსა:.. გარდაკთიდენ: და:.. ამ:.. შენ-
გელისა:.. გომართისა:.. გოჭ

22) კუმურის:.. დომი:.. და:.. დვინო:.. უსაკლად:.. ორი:.. ქი-
ლა:.. დომი:.. და:.. სამი:.. გუდა:.. დვო

23) ნო:.. ამ:.. აღაპზე:.. დახარჯონ:.. ჩუენმა:.. ჩენილმა:.. და:..
მ(ო)ხელემან:.. აწე:.. ვინცა:.. ეს:.. ჩ

24) ვენგან:.. გაჩენილი:.. აღაპი:.. მოშალას:.. ანუ:.. ლიპარტი
ანმა:.. ანუ:.. სხვამან:.. მებატო

25) ნემან:.. ვინმე:.. ანუ:.. რამანც:.. ძემან:.. კაცისამან:.. შემცა-
იშლების:.. დვთისგან:.. გაგებ

26) ული:.. მისი:.. ნურათამცა:.. სინანულითა:.. ნუ:.. იქნების:..
ხსნა:.. სულისა:.. მისის

27) ა:.. მას:.. საუკუნოს:.. სატანჯველისგან:.. ხოლო:.. დამამ-
ტკიცებელი:.. ამისი:.. აკ

28) ურთხეს:.. ღთნ:.. მოიჭედა:.. ხატი:.. ესე:.. უოვლად:..
წმიდისა:.. ქორანიკონსა:.. სამას:

29) ოცდა:.. თათხმეტსა:

წინა პირის აშიაზე ამავე ხატის მხედრულათ სწერია:

1) ქ:.. და:.. მოსავი:.. დთებისა:.. შენისა:.. დადიანი:.. ჯეფან:..
რამელმან:.. მოვაჭედინეთ: ხატი:.. ესე:.. უოვლად:.. წმიდისა:.. და:..
შეუამკვეი

2) თ:.. თვალითა:.. და:.. მარკალიტითა:.. და:.. დავსვენეთ:..
ლიპარტიანის:.. სასახლესა:.. ტარჩულს:.. კარისა:.. ეკლ

3) ესისასა: დედაცა: ნათლისაო: შეიწყალე: და: იხსენ: ცოდვათა: მისთაგან: კურთხეული: თანამე

4) ცხედრე: ჩვენი: დედოფალი: ხატონი: ნესტანდარეჯან: რათა: მოიჭედა: ხატი: ესე: სულისა: სახს

5) რად: და: საოხად: ცოდვათა: მისთა: შესანდობლად: ქვსა: სამას: ოცდაათსა: გაფაჩინეთ აღაზი:

ამრიგათ ზემოხსენებული ხატი გაკეთებულია 1646 წელს, ხელად აღაზი განუწყესებია ჯეფან II დადიანს მისი ცოლის ნესტან-დარეჯანისათვის უფრო ადრე, ესე იგი 1642 წელს.

12. ზირველ უჯრასში აღსავლის კარების მარჯვნივ ერთი ძლიერ დიდი ხატია მაცხოვრისა ვერცხლით ნაჭედი ქართულის ხელობისა. მაცხოვარი თუბზე მდგომარეა. მარცხენა ხელში სიმრგვლე უჭირავს, მარჯვენით ჯვარსა სწევს. თავის ირგვლივ შარავანდედი აქვს, ძვირფასი ქვებით შემკობილი. ზემოთ ხუცურათ უწევია: **ԻՎ ԿԻ**. ამიები შემკობილია ვვაჟილების მსგავსი ჩუქურთმებით და ამ ჩუქურთმებში წარმოდგენილნი არიან: ზემოთ იესო ქრისტე მარიაშით და იოანე ნათლის მცემლით, მთავარანგელოზები მარჯვნივ და მარცხნივ, შემდეგ მოციქულები, ღვთის-მშობელი და სხვები. სულ 15 სახე ბერძნულის წარწერებით სახელებისა. თვით ხატი შემკობილია თვლებით ჯვრების მსგავსად. ექვს-ექვსი ჯვარი აქვს აქეთ-იქით. თითო ჯვარი შესდგება ხუთ-ხუთი ქვიდან. ქვემო ამიაზე მხედრული წარწერა აქვს:

1) ეოფლად წმინდაც დედაც ოთისა და მაცხოვრისა ჩვენისაო მარიაშ მე მდაბალმან ეპისკოპოსმან ჭეონდიდელმან სრულად სამეგრელომსა და ნაწილთა იმერეთისა მწუემს მთავარმან გიორგიმ მოვაჭედინე

2) ხატი ღვთისა ჩვენისა და ძისა შენისა და შევამკვე ბრწეინ ვაღითა თვალითა და მარგალიტითა და დავასვენე წსა ეკლესიასა შაშენსა მარტვილს სადღეგრძელოდ და განსაძლიერებლად მთავრისა

3) ჩვენისა ლეონ გრიგოლის ძის დადიანსა და საოხად სულითა ოთისადმი განსვენებულის დედოფლისა ჩვენისა მართასი და სადღეგრძელოდვე შემკვიდრისა მათისა დაღითის და მეუღლისა მისისა ეკატ

4) ირინასი და ძეთა და ასულთა მთავრისათა გრიგოლ კოს-

ტანტინე ნინა და ეკატერინასა და სულისა ჩემისა სახსად წელთა შობითგან ქრქსა ჩულოთ-სა წელსა მთავრობასა დადიანის ლეონისსა ოცდამე

ბ) თექვსმეტისა. ხოლო მწეემის მთავრობასა ჩემსა მეხუთესა. მაცხფავრო ქრისტე ღმერთო შეიწყაღე სახისა შენისა გამომხატველი და აღმომყვანი მონა შენი მეუნარგია ჰეჰუ.

ამრიგათ ზემოაღნიშნული ხატი გაკეთებულია 1849 წელს ჰე-ჰუ მეუნარგიას მიერ, რომელიც ცნობილი ოქრომჭედელია სამეგრე-ლოში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

13. აღსაფლის კარების მარცხნივ უჯრასში, 106 X 83 სანტ., ინახება მშვენიერი ღვთის-მშობლის ხატი, ვერცხლით ნაჭკედი, ქარ-თულის ხელობისა, ჩადებული მშვენიერ ნახელავ ჩარჩოში, რომელ-ზედაც გამობერვით გამოქანდაკებული არის თორმეტი საუფლო დღესასწაული, ოთხი მახრობელი, ათ-თორმეტი მოციქული და სხვა წმიდანები. მოგვიყავს აქ ხუცურათ წარწერები ამ სურათებისა: ზემო-აშიაზე მედალიონებით, შუაში **ԻՎ ԿՒԿ** (იესო ქრისტე), მარჯვნივ იესო ქრისტესა **ԲՆ ԻՕՆԻԿ ԲՆԹՆԻՆ ԿԵԿԻԿՆԻ** (წმიდა იოანე ნათლის მცემელი), მარცხნივ **ՄՄՆ ՈՆՆ** (ღვთა-ღვთისა), მარცხნივ ამისა **ԲՆ ԻՕՆԻԿ** (წმ. იოანემ) და შემ-დეგ კუთხეში **ԿԹԻԿՆԻ** (მთავარანგელოზი), მარჯვნივ იოანე ნათლის მცემლისა **ԲՆ ՆԲՆ** (წმ. ანა) და შემდეგ კუთხეში **ԿԹԻԿՆԻ** (მთავარანგელოზი). მარცხენა აშიაზე სრული ტა-ნით: **ԲՆ ԿՒԿ** (წმ. პეტრე), **ԲՆ ԿՒԿ** (წმ. მათე), **ԲՆ ԿԹՆ** (წმ. მარკოზ), **ԲՆ ՆԲՆ** (წმ. ანდრია), **ԲՆ ԻԿՕԿ** (წმ. იაკობ), **ԲՆ ՓԻՆԻՍԿ** (წმ. ფილიპე). მარჯვე-ნა აშიაზე: **ԲՆ ԿԿԿ** (წმ. იოვანე), **ԲՆ ԿՆՆ** (წმ. ლუკა), **ԲՆ ԻԿ** (წმ. იესე), **ԲՆ ԵԲ** (წმ. სვიმონ), **ԲՆ ԿԹՆԿ** (წმ. ბართლომე), **ԲՆ ԹՆՆ** (წმ. თამა). ქვემო აშიაზე მედალიონებით: **ԲՆ ԿՆ** (წმ. გიორგი) შუაში, **ԲՆ ՄԻԿԻԿ** (წმ. დიმიტრი) მარცხნივ, **ԲՆ ԹԿ** (წმ. თეოდორე) მარჯვნივ. შუა ტანზე ჩარჩოის ზემოთ: ხარება (წარ-წერა არა აქვს), შობა (წარწერა არა აქვს), **ԿԻԿԿ** (მირქმა), **ԲԹՆԻՆ ՈԿԿ** (ნათლის ღება). შუაში: **ՓԿԻՆ ԵԿԿ**.

უქარაგმთ:

„ეჭა ადამის აღმართებაო და ევას ცთომისა ზატიყთა დამხსნე-
ლო, ქრისტისანეთა შესავედრებელო, ქერობინთა უმაღლესო და სე-
როდობინთა უზეშთაესო, შვიდთა ცათა უადმატეპუელესო, სასოებაო
სიქადულო, და კელისა მზერობელო ჩემო, საშინელო და ზატიოსანო
მარტუილთა ღმრთის მშობელო, მოვაჭედინე და შევამკვე ხატი ესე
ძალისებრ მე მსასოებელმან შენმან და სიერმითგან მონდობილმან
ცვა ფარვათა შენთამან აფაქიძემან მამა ჭყონდიდელმან ევდემონ. ყოვ-
ლად წმიდაო ღმრთის მშობელო, წუთსა ამას სოფელსა მცვედ, მთა-
რეკედ, მიხსნიდ ეშმაკისაგან და ღელსა მას განკითხუისსა მექმენ შემწე
და მცველ. ესრეთ შეიწირენ, ვითარცა ძემან შენმან ორნი იგი
მწუდილნი ქურვიისანი, ამინ. მოიჭედა ხატი ესე ყოვლად წმიდაჲ
ღმრთის მშობლისა ქორონიკონსა სამას ცცდა თორმეტსა“.

ქორონიკონი უდრის 1644 წელს. ამრიგათ ჩარჩოს გაკეთება
ღვთის-მშობლის ხატისა ეკუთვნის ჭყონდიდელს ევდემონ აფაქიძეს.
ეს ჭყონდიდელი დახატულია მარტვილის ეკლესიაში გიორგი ღიზარ-
ტიანის ცოლის ხვარაშნის გვერდით, სამხრეთის კარების მახლო-
ბლად.

14. თვით ხატი ღვთის-მშობლისა ოქროსი, ქართული ხელობი-
სა, ნაჭედი, რომელიც ჩასვენებულია ზემოხსენებულ ჩარჩოში, ძველია
მე-XI—XII საუკუნისა, ზომით 37 X 25 სანტ., ღვთის-მშობელი ჩვი-
ლედა, ფეხზე მდგომარე, წარწერით **გჳჳღ ოღ**, მარცხენა ხელში
უკავია ძე, ირგვლივ შემკობილია ძვირფასი თვლებით და გარშემო
წარმოდგენილია გამობერვით განჭედილი იესიანთ ხე გვარტომობისა,
სულ ცხრა ქანდაკება-სურათით, გვირგვინებით თავზე და სკიპტრე-
ბით ხელში. ეს ნაწილი ხატისა მერმინდელი ნახელავია და მშვენიე-
რათ ნაჭედ ხელობას ღვთის-მშობლის ქანდაკებისას არ უდრის. ეს
უნდა იყოს გაკეთებული 1784 წელს როგორც მოწმობს ზურგის
მხედრული წარწერა, რომელიც ეკუთვნის კაცია დადიანს და მის ცოლს
ანნას. ხატის გვერდის ზურგზე სწერია:

- 1) ქ.: სძალო: ღთისაო: დედაო: სიტყვისაო
- 2) უღ: წმიდაო: ქალწულო: მარია: მსა
- 3) სოებელმან: ძისა: შენისამან: და: მინდობილმ

- 4) ან: . ფარგათა: . შენთამან: . წყალობითა: . შენითა
- 5) ოდიშ: . აფხაზთა: . თაკვერთა: . და სვანთა: . მზურობე
- 6) ჯიშან: . ძემან: . დადიანისა: . ოტისსამან: . თვით: . და
- 7) დიანმან: . კაციაშ: . და თანა: . მეცხედრემან: . ჩემან: . დე
- 8) დუფაღმან: . ანნა: . შევაძვევთ: . ხატი: . ესე: . სხისა: . შე
- 9) ნისა: . რათა: . აქა: . ძით: . და ასუღით: . მფარველ: . მეუც: .
- 10) მრავალთა: . წელთა: . უფველსა: . შინა: . საქმესა: . და
- 11) სუფევასა: . ზენსა: . ღირს: . მეც: . ქეს: . აქეთ: .
- 12) ჩიზდ.

15. მეორე უჯრა აღსავლის კარის მარცხნივ ზემოთ კამარისა და აქეთ-იქით კარები აქვს, ნაჭედი, წმიდანების სურათებით ქართულის ხელობისა. მარცხენა კარზე უჯრისა გამოქანდაკებულია წმიდა ჰეტრე **ԲՆ ՄԻ** სრულის ტანით, ხოლო ზემოთ წმიდა სთერიდონ **ԲՆ ՆԳՆՅԻ** წელს ზევით; მარჯვენა კარზე—წმიდა ჰავლე **ԲՆ ՄԻԽԻ**, ზემოთ წმიდა ნიკოლოზ **ԲՆ ԻԿՆ**. კამარას ქვეშ წმიდა სამებას წარმოდგენილი ფრთოსანი ანგელოზებით მათ ქვემოთ. მამა ღმერთს და ძეს ქრისტეს რუსული ხელობის შარავანდედები აქვს შემდეგ მიმატებული. შუა ნაწილში ამ უჯრისა ჩასვენებულია შესანიშნავი ღვთის-მშობლის ხატი ოქროსი მილანქრიანი მედალიონებით შემკობილი, მარჯვნივ და მარცხნივ ამ ხატისა ჩარჩო შემკობილია ჯვრებით. ერთი მათგანი (მარცხენა) ვერცხლისა არის, მეორე (მარჯვენა) ხისა. ამ ჯვრებს ქვემოთ ქვებია ჩასმული ვერცხლის ბუდეებით და ამათ მხედრულათ აწერია:

- 1) ქ ლოდი ქრისტეს სათლავისა.
- 2) ქ. ხატისა ამის შემკობელი დადიანის
- 3) ბეჟანის ძე ჭეჩინდიდელ მიტროპოლი
- 4) ტი გაბრიელ მოხსენეს უფაღმან
- 5) ღთნ სსსუფველსა მისსა ამინ.

ასეთივე წარწერა გამოკრებულია მეორე უჯრის ქვემოთაც, მეორე ქვის ნატუნის კარზე. ღვთის-მშობლის ხატის ქვემოთ მეორე შესანიშნავი ნაშთია დაცული ამ უჯრაში, ჰატარა მილანქრიანი ხატი მაცხოვრისა, წინამდგომნი მარიაშით და იოანე ნათლის-მცემლით. მარცხნივ და მარჯვნივ ამ ხატისა ჩარჩოზე სერაბიმებია გამოქანდა-

კებუღი. მთელი ეს უჯრა წარმოდგენს ჩასასვენებელს ამ ორი შესანიშნავი ხატისა და ისე როგორც ცნობილს გაბრიელ ჭყონდი-დეას, დადიანის ბეჟანის ძეს, სამიტროპოლიტო ჯვრების დასაცავათ გაუკეთებია ცალკე განსასვენებელი, ისე ამ ორი შესანიშნავი ხატისათვისაც გაუკეთებია ეს ჩარჩო ანუ უჯრა და მით გადურჩენია განადგურებას. ამ უჯრის გამკეთებელი ოქრომჭედელი ანუ მუშაკი ყოფილა ვიღაც ჰეტრე, რომელიც თავის ნაშრომს ყოველთვის გვერდში უწევს ხუცური გრეხილიანი ასოებით **ՄԻԺԻ**. ამის ნამუშაკევი ხატები სხვებიც არის მარტვილში.

16. ღვთის-მშობლის ხატი ამ ჩარჩოს შუაში მოქცეული ოქროსია, ჩვილი, 32X24 სანტ., სრული ტანით წარმოდგენილი და შემკობილი ირგვლივ მრავალი ძვირფასი თვლებით. გამოხატულობა ღვთის-მშობლისა და მისი ძისა, მორთულობა ტანსაცმელისა და საერთო სტილი სურათისა კონდაკოვის აზრით სამაგალითოთ უნდა ჩაითვალოს და უნდა ეკუთვნოდეს მე-X საუკუნეს. კამარა, რომელიც უკლის ღვთის-მშობელს მოჩუქურთმებულია გენახის მსგავსის ულარტებით და შემკობილია ძვირფასი ქვებით. მათ შორის ერთი დიდი საფირონია. კამარის კუთხეებში ორი სულ ჰატარა მილანქრის მედალიონია, ერთზე წარმოდგენილია იესო ქრისტე ყოველთა მპყრობელი და მეორეზე დედა ღვთისა მვედრებელი. მედალიონები კონდაკოვის აზრით ეკუთვნის პირველ ნახევარს მე-X საუკუნისა. აშია ხატისა მშვენიერათ მოჩუქურთმებულია ეგვიპტეებით და გენახის ულარტებით და შემკობილია ექვსი მოზდილი მილანქრის მილანქრის მარცხნივ და მარჯვნივ და სამი ჰატარა ამგვარივე მედალიონი ზემო აშიაზე. ჩვენის აზრით ქვემოთაც ასეთი აშია და მედალიონები უნდა ყოფილიყოს. მაგრამ ეს ნაწილი აშიისა სრულიად დაკარგულია და ესაა აქ უბრალო სადა ვერცხლის ნაჭერი მოსჩანს შემდეგ დროში მიკერებულად. ზემო აშიაზე შუა მედალიონში წარმოდგენილია ნეტარი მარკიანე, მარჯვნივ ამისა ვასილი დიდი და მარცხნივ ჰეტრე მოციქული, უკანასკნელი მედალიონი ეკუთვნის მე-IX—X საუკუნეს, ხოლო პირველი ორი მე-X-ს. აშიების კუთხეებში წარმოდგენილია ოთხი მახარებელი სახარებებით ხელში, ხოლო შუა ნაწილებზე აშიე-

ბისა ჰავლე (მარჯვენა) და წმიდა კირკოსი, მკურნალი; რომელიც იწა-
მა დეოკლეტიანეს დროს. წარწერები შედალიონებისა ბერძნულია.

17. მეორე შესანიშნავი ჰატარა ხატი, რომელიც ინახება ამ უჯრა-
ში, სამწუნაროთ, სანახევროთ არის დაცული, ხატი ჩადებულია ვერც-
ხლის ჰატარა უჯრაში, რომლის კარებზე გარედან გამოქანდაკებულია
ორი მკედრებელი ანგელოზი. შიგნით კარები წინეთ მილანქრით ყო-
ფილა შემკობილი, მაგრამ ესაა აღარ არის. ჩარჩო გარეშემო შემ-
კობილია ზურმუხტებით. თვით ხატი, რომელიც ამ ჩარჩოშია, ესაა
გაფუჭებულია, მაგრამ ერთხელ შესანიშნავი ყოფილა თავის უძველესი
ბიზანტიურის მილანქრიანის ხელობით. შუაში ყოფილა იესო ქრისტეს
სურათი, მაგრამ ესაა სრულიად მოშლილია, შენახულია მხოლოდ
საუცხოვო სურათები დვთის-მშობლისა და იოანე ნათლის-მცემელისა.
ხელობა, კონდაკოვის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს მე-VIII საუკუნეს.

18. წინეთ ამავე უჯრაში შენახული ყოფილა საკეცი ჯვარის ჩასა-
სვენებელი ვერცხლისა, 15 სანტ. განით და 18 სიმაღლით, რომელიც
ესაა სალაროში ინახება. კარებზე ამ ჩასასვენებელისა გამოქანდაკებუ-
ლია მდარე ხელობის სურათები წმიდა ჰეტრესი **Р-Ъ У-И** და წმი-
და ჰავლესი **Р-Ъ У-Ъ-И**, ხალხო შუა ნაწილის კუთხეებში ოთხი
მხარობელი. ამ ჩასასვენებელში ძვეს ოქროს ჯვარი ჯვარცმულით
წინაპირზე, შემკობილი მურასად აღმასებითა. ოქროს ჯვარში ჩადებუ-
ლია ძელი ტემპარიტის ჯვარი, შეკრული შუაში ოქროს ძაფებით და
ზემოთ ჯვარის სახედ შემკობილი ოთხი მარგალიტით, ესაა ერთი
აკლია. ჯვარის ბოლოები შემკობილი ყოფილა ღამაზი მილანქრიანი
ბირიკებით, მაგრამ შენახულია მხოლოდ ორი. ეს საუცხოვო ჯვარი
შეწირული ყოფილა ლეჩხუმის უდაბნოსათვის ქაინოსრო გელაფანის
ცოლის როდამ დგებუადის ქალის მიერ. შემწირულობის გუჯარი ქა-
ლაღზე მხედრულათ დაწერილი, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის
ხელით, აქვე ინახება და შიგ სწერია:

„ქ: მე ფრიად ცოდვილმან დგებუადის ქალს როდამს შემომიწი-
რავს ლეჩხუმის უდაბნოს ჩემი სასება ღ-თის მშობლისათვის ჰატი-
ოსანი ჯვარი ოქროთ მოჭედილი, მარგალიტით მორთული, ოცდარვა
მარგალიტითა და ცხრა ჰატარა თვალითა მომირთმევია, ჩემის ქმრის
გელაფანის ქაინოსროსა და ცოდვილი ჩემი სულის სახად შემომი-

წიკავს. ვინც ეს ჯვარი ჩემი ხელმწიფის დადინის ჯეჩხუმის უდაბ-
ნოს გამოსწიროს, ჩვენი მოხსენება მოშალოს, ჩვენი ცოდვის მტვირ-
თველიც იქმნებას დღესა მას განკითხვისასა“.

დგებულის ქალი როდამ

19. ამავე უჯრაში ზემოთ მარჯვნივ ინახება დვთის-მშობლის
ხატი, ჰატარა, ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, ქართულის ხელაბი-
სა, მე-XIX საუკუნისა.

20. აქვე მარცხნივ არის მეორე ჰატარა დვთის-მშობლის ხატი,
ვერცხლისა, რუსულის ხელაბისა, მე-XIX საუკუნისა.

21. აქვე ჯვარი მთაწმინდურის ხელაბისა, ვერცხლით ქსოვი-
ლი არშით და ვერცხლის ტარით, 17×7 სანტ.

22. მეორე ასეთივე ჯვარი, მაგრამ უფრო სდა, 17×6,5
სანტ.

23. მარცხნივ ზემო მოხსენებულ უჯრისა, რომელშიაც გამოკუ-
ნილია ჩვენ მიერ აღწერილი ხატები №№ 14 — 22, არის კიდევ ერ-
თი სამკეცი დიდი ხის ხატი, 19×16 სანტ., რუსული ხელაბისა.
როდესაც ეს ხატი დაკეცილია პირველ გვერდზე, თქვენ სედავთ ფე-
რადებით ნახატავს მთავარანგელოზებს მდარე ხელაბისა, ზემოთ
შიგნიდამ მამა დმერთის გამახატული, ქვემოთ ორი წმიდანი. ფრთებ-
ზე წმიდა ნიკოლოზ და თეოდორე ტირანი. შუაში ჩადებულია ჰა-
ტარა ხატი დვთის-მშობლისა ჩვილელი, ვერცხლით მოჭედილი და
თვლებით შემკობილი, ქართულის მდარე ხელაბისა, 10×7,5 სანტ.
ზედ აწერია: **ԿՅ ԲԷ, ԿԿ ԿԿ**. მეორე გვერდზე ჩარჩოისა
მხედრულათ სწერია:

„მე უნდომან ვინმე: კარნა სახითა ბერმან და მღუდელმან ჭალა-
ქანიძემ მიხალიმან და მოვაჭედინე ხატი ესე კარეთ კუბო ვერცხლითა
და შიგნით ხატი ოქროთა და ვერცხლითა თვალებითა და მარგარიტი-
თა და აღწავსე ნაწილებითა წათათა და შევწირე მარტვილთა დის-
მშობელსა: ვინადგან დაფთვალ ცოდვილი გვამი ჩემი სამკუთხელსა შა
რან იყოს სამარადისოდ ხატი იგი წე ხატსა დის მშობლისასა და
არა ვინ განიღოს კარეთ აქა და იქი საფლავიცა ჩემი ეგოს შეუძრვე-
ლად სიგრძესა დღეთასა და თქუჭნ მტნებისა ამის დამცველნი იკურთ-
ხნეთ უფლისა შრ: წელსა: ჩუიბ. და მისს ე“.

24. საკურთხეველში არის მადლი ხატი მაცხოვრის ხეზედ და-
ხატული, აღმოსავლეთის კედელზე ჰკიდია, სიმრგველე თავის ვერცხ-
ლის აქვს მოქრვილი და ზედ მრავალი თვლები უზის. არშის ბაღა-
ხების მსგავსი გრებილებით არის შემკობილი, ქვემოთ მხედრულათ
უწერია:

1) ხატი ესე მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტიანის ღმრთისა
სიგრიდისაგან გარეუნილი დაფასა

2) ტვინე მე არხიმანდრიტმან ელიავამ გასილმან და ივისითავე
გვირგვინ გარეშე აშიითა შევამკვე სადი

3) დებულად ღმრთისა და შესანდობულად ბრატთა ჩემთა: წელსა
ქრისტიანთა: ჩუკლ-სა ოკტომბრის. კდ:

25. კარები დასაკეცი ხატისა მოქრვილი, 49×21 სანტ.,
რომლებზედაც გამოქანდაკებული არიან მთავარანგელოზები წარწე-
რით: „მთავარანგელოზი მიქელ; მთავარანგელოზი გაბრიელ“.

26. ასეთივე ხელობის სახეები წელს-ზევითი წმიდა ბასილისა
და წმიდა იოანე აქროპოლისა წარწერებით სახელებისა. ესენიც წი-
ნეთ, ალბათ, შეადგენდენ დასაკეცი ხატის ფრთებს. 25×22 სანტ.

27. ორი ვერცხლის ნაჭერი, რომელზედაც ასეთივე ხელობით
წარმოდგენილია ჯვარცმა, $15,5 \times 9$ სანტ.

ეველა ზემო აღნიშნული სამი სხვა და სხვა აწ აღარ არსებული
ხატების ნაწილები გაკეთებულია ოქრომჭედლის ჰეტრეს მიერ, რომ-
ელიც მოხსენებულია ეველა ნაწილებზე წარწერით: **УДѢЛ**. ჩვენ
უკვე ვიცით, რომ ეს ოქრომჭედელი ცხოვრობდა მე **XVIII** საუკუ-
ნის პირველ ნახევარში.

28. ჯვარი დიდი სამიტროპოლიტო ანუ საჭუთნდიდლო ვერ-
ცხლისა, მოქრვილი, 55×36 სანტ., ტარი არა აქვს, საუკეთესო
ქართულის ხელობისა მე **XI** საუკუნისა. წინა პირზე გამოქანდაკებუ-
ლია მშვენიერი სახეები: შუაში ჯვარცმული წარწერით **УЧ ФЧ**.
მარჯვნივ და მარცხნივ ჯვარცმულისა ორი მკლავიანი ანგელოზისა
და დედა ღმრთისა და იოანე მახარებელი წარწერებით: **УС РЧ**
ОУС АМОУУУ, УЧ АЧЧЧОУУУУ. ზემოთ
მოჩანს მაცხოვარი ყოველთა მზურთბელი დიდებით კვარცხლბეკზე
მდგომარე. ორივე მხრით მაცხოვრის მთავარანგელოზები, სიმრგველე-

ბით ხელში: ქვემოთ იოანე ნათლისმცემელი: **ԻՎ ԻՆՏԻՄՆ-
ՆԵՄԻՍԻ**. Երկրորդ მხრით იოანეს ბასილი დიდი და იოანე
Երկրորդი Վիլ-Ֆրանკ. მეორე მხრივ ჯვარის მშვენიერის ბას-
ვილი მსგავსი გრებილით არის შემკობილი და კიდევებზე უ-
ფროს ლამაზი ასამთავრული წარწერა:

- 1) [Ի ԵՆԵ]ՄԻՆԸ ՈՒՆԸՆՈՒԸ ԶԻ
- 2) ԿՆԸԸԸԸԸԸ ԸՏԵՄԻՆ ԵՄԸԸԸ ԿԸԻԻ
- 3) ԿԿԸՕՎՄԻՆԸԿԸ ԿԿԸԸԸԸ
- 4) [ԽՕ.]ԸԻՆ ԿԵԻ
- 5) ԵՆՄԻՄԿԿԸՄԸՄ ՄԸ ԵՆՕՆԸԸԸԸԸ
- 6) ԸՄԸ ՈՐ ԵԻՆՄԻՆԸ ԿԿԸԸԸ ԶԻ
- 7) ՄԻՆԸ ՄԸ ԿՕԸԸ
- 8) ԵՆԸԸԸԸՆԸ ՄԸ ԿԿԸԸԸ ԿԸԸ
- 9) ԸԸ ԿԿԸՕՎՄԸ ԸՄԸ

ՈՒՆԸ

ამას ქვემოთ მთელი ქვემო ნაწილი ჯვარის დაფარულია გატე-
ხილი ჯვარის გასამაგრებლად მიკერებულის რკინით და მხოლოდ ბ-
ლოში მჩანს ასკები: **Ե** **Կ**

Օ, **Ն**

ՆԻ **[Ի]**

ԸԸ ԿԿԸԸ ՄԸԸԸՕՐԻՆԸԸ ԿԿԸ უქარაგმთ:

„სახელითა ღმრთისათა მე გლახაკმან არსენი, ძემან ვახე მარ-
ხუელისამან, შეგქმენ ჯუარი ესე სადიდებულად და სალოცველად, ადი-
დენ ღმერთმან, ძრეელისა ბაგრატ მეფისა და კურაპალატისა და
შვილთა მათთა. ერთობით ადიდენ ღმერთმან... კელ(ი)თა ივანე დია-
კონისათა. ქრისტე, შ(ე)იწყალე)... სული“¹⁾.

აქ მჩანსელებული ბაგრატია არის მეფე ბაგრატ IV (1027—
1072). არსენი, ძე ვახე მარხუელისა, ცნობილი არ არის.

29. ჯვარი დიდი სამიტროპოლიტო ანუ სატეონდიდლო მშვე-
ნიერი, ქართულის ხელობისა, რამელიც თავის სილამაზით მოგვა-

1) შუად. თ. უორდანიას ქრ. I, გვ. 174—175.

განებს მე-XII საუკუნის ხელახას, დატულია შეგვრცხლილის ხეტარით, სიგძით ტარანათ თითქმის ორი მეტრი. ხოლო თვით ჯვარის სიმაღლეა 28 სანტ. ტარზე ექვსი ბუშტი არის: ოთხი სადა, ერთი ბალახის მსგავსი გრეხილებით მოხუჭურთმებული და ერთიც, ყველაზე დიდი, გარდა გრეხილებისა, შემკობილია ძვირფასი ქვებით. სიონი შემკობილია ზემოთ გამობერვით განჭედილის სურათებით მთავარანგელოზებისა წარწერებით: **ՅԻԿԻՄ, ԿԸԿԻԿԻ**; ჯვარცმისა: **ՏԸ ԿՆ**; სათლავად დადებისა: **ՆԸՓՆԸԻԸՑ ՑԸՑԻԿԸ**; და შემსაღებულის ტრახეზისა. თვით სიონზე წარმოდგენილი არიან: **ԲՆ ԹԿ ՆԸԻԸԻՆԸԸԻ** (წმიდაა თეოდორე სტრატიკოსი), **ԲՆ ԹԿ ՆԻԿԿԻՄԻ** (წმიდაა თეოდორე პირველი); **ԲՆ ԿԸՆԻՆԻ** (წმიდაა ბასილი); **ԲՆ ԻԿ ՕԿԻՕՆԻԿԻ** (წმიდაა იოანე ოქროპირი); **ԲՆ ՆԿ ՆՕԸԻԿՕՆԻ** (წმიდაა პეტრე მოციქული); **ԲՆ ՆԿ ՆՕԸԻԿՕՆԻ** (წმიდაა პავლე მოციქული); **ԲՆ ՑՆԿԻԸԻ** (წმიდაა დიმიტრი), **ԲՆ ԿՆ** (წმიდაა გიორგი). თვით ჯვარის წინა პირზე, ოქროს ფურცელზე გამოქანდაკებულია ქრისტე ჯვარცმული წარწერით: **ԻԿ ԿԿ**. ორთებსზე შედალიონებში გამოხატულებია: მთავარანგელოზი გაბრიელ ზემოთ, იოანე ნათლისმცემელი ქვემოთ, ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი მარცხნივ და იოანე მახარებელი მარჯვნივ. ყველას ამათ ხუცური წარწერები აქვს სახელებისა. ჯვარი უხვად შემკობილია ძვირფასი თვლებითა. მეორე პირი ჯვარისა შუაში და შედალიონებზე მოხუჭურთმებულია ბალახის მსგავსი გრეხილებით. ზემოთ და ქვემოთ ხუცური წარწერაა:

ԿԿ ԸՑ
ԻՑԿ. Ց
ԸՑԻԸԸԻ
ԿՆ ՕԿԹ
ԸԻԿԻԸ
ԸԸՕԿԿ
ԿԸԹԸ. ԸԸ

ԿԿ ԿԿ Օ
ԸՕՓԿԿ
ԿՆԻՕՆ¹⁾
 დანარჩენი ოთხი სტრიქონი
 დამალულია გატეხილის ჯვარის
 გასამაგრებლად მიკერებულ
 ლის ტლანქი რკინის ნაჭერით.

¹⁾ ამ სტრიქონში მარტო ზემო ნაწილები სჩანს ასოებისა.

უქარაგმთ:

„ქრისტე, ადიდე დადიანი გიორგი ორთავე შინა ცხორებათა, აშინ. ქრისტე, შეიწყალე ონთურე, ელიოზ“...

აქ მოხსენებულნი გიორგი დადიანი უნდა იყოს ძე ვარდან დადიანისა და მისი ცოლის მარიაშისა, რომელნიც ცნობილნი არიან თამარ მეფის დროს მე-XII საუკუნეში.

30. გუგს საკიდი ვტუედი ოქროს ჯვარი, რომელშიაც უოფილას წინეთ ნაწილები იოანე ნათლისმცემელისა. შირველ შირზე ამ მე-სახნიშნავი ჯვარისა სევადით გამახატულია ხელფენურად ჯვარცმული ქრისტე წინამდგომით, მარიაშით და იოანე მახარობელით, ქვემოთ მოხანს ადამის თავი, ჯვარცმულის თავში მზე და მთვარეა და ხუცური წარწერა: **ჟსჟ იჟ ზჟიოჟჟ ჟტტტტ** (ესე იესუ მეუფე ჰურიათაჲ). მეორე შირზე დიდროსნი ძველებური ასომთავრულით სევადით სწერია:

**წო აოჟჟჟ რტტტ ზტტტ
ჟოჟ ჟჟჟ ჟოტტტჟ ჟჟიოჟჟსტ
ჟჟტტტ ჟტ
ჟტტტტ**

უქარაგმთ ამ წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ:

„წმიდაო იოვანე ნათლისმცემელო, მეც გუავ ხოსრონუმ (ანუ ხუასრონუმ) დეოთაღსა, ბაგრატს და დავითს“.

ამ წარწერას თ. უორდანიას მიაწერს 889—909 წ. ქრ. I, გვ. 83, მაგრამ „ხოსრონუმ“-ის მაგიერ შეცდომით კითხულობს: **ჟოტტტ**—ხორანშ (ანუ ხორანშა). ჩვენი აზრით წარწერა მე-X საუკ. უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ დეოთაღი ხოსრონუმ ცნობილი არ არის და ამიტომ არ შეგვიძლია თქვა, რომელ ბაგრატ და დავითზეა აქ საუბარი.

31. ჯვარი ათონური, ვერცხლისა, გრენილიანი არშით, ქართულის ხელობისა. ქვემოთ ვერცხლის ტარზე მე-XIX საუკუნის მხედრულით აწერია:

„ქ მაცხოვარო ხოტევისაო: მე: წულუკიძეს(sic): მერაბ შევაძკევ: ჯვარი ესე: სულისა: ჩემისა: საოხად: და ვინც გამოსწირეს ჩემი ცოდვა აქუს“.

32. ჯვარი ათონური ვერცხლის გრეხილიანი და მილანქრიანი ანშიით, სიმაღლით 17 სანტ., შემკობილია ზურმუხტებით და აყი-
ეებით და ბერძნულის წარწერით, რომელშიაც მოხსენებულია იერო-
მონახი ლეონტი.

33. ჯვარი ათონური, ვერცხლის გრეხილიანი და მილანქრიანი
ანშიით, წვრილი მარგალიტებით და ქვებით შემკობილი, 16 სანტ.
სიმაღლით და ჰატარა სიონით ზემოთ. ბერძნულის წარწერით 1712
წლისა.

34. ჯვარი ათონური ასეთივე ხელობისა, 16 სანტ. სიმაღ-
ლით და ბერძნულის წარწერით, რომელშიაც იხსენიება არქიეპისკო-
პოსი რომანი.

35. ჯვარი ათონური ასეთივე ხელობისა, 9 სანტ., უტარო.

36. ჯვარი ათონური ასეთივე ხელობისა, 9 სანტ.

სხვა და სხვა ვერცხლის ჭურჭელი და აარალები.

37. სანაწილე ვერცხლისა, $9,5 \times 8,5$ სანტ., შიგნით უწერია
ნაწილების სახელები და გარეთ მხედრულათ აწერია:

1) ქ. ძელა: . ცხველა: . მუა

2) ფელა: . და წმინდაა

3) მწამენა: . მეხ: . ეუა

4) დადანი(სი): . ოტიას: ძეს

5) ნიკოლოზს

6) ქეს აქეთ ჩღვ.

38. სამწერობელი ვერცხლისა ოქროთ მოყვითლული, რომელ-
ზედაც მხედრულათ აწერია:

„ჭეონდიდელი ანტონი დადიანოვი. 2. ჩემთ-სა წა“ — ესე იგი
ჭეონდიდელი ანტონი დადიანოვი მეორე, 1849-სა წელსა.

39. ბარძიმი ვერცხლისა, ოქროთ მოყვითლული, რომელზე-
დაც მხედრულათ ლექსი აწერია:

„ქე ვინ სახსრად ცოდვილთა თვით მიეც სისხლი და ხორცა,
დადიანს მიეც ღვინება, კაცის ბრალი აღხორცი!

ოდის დედოფალი ანა“.

ანხა დედოფალი იყო მეორე ცოლი კაცია II დადიანისა, ასუ-
ლი პატა წულუკიძისა. კაცია გადაიცვალა 1788 წელს, ხოლო ანხა
დედოფალი 1792 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო¹⁾.

40. თეშუმი ვერცხლის მხედრულის წარწერით მე-XIX სა-
უკუნისა:

„ქ: ეს თეშუმი უდაბნოს არის“.

უდაბნოდ იგულისხმება საირმის მონასტერი ლეჩხუმში, რომე-
ლიც გააუქმეს მეტეხამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მათი ნივ-
თები გადმოიტანეს მარტვილში.

41. საზუდაშე ვერცხლისა, რომელზედაც მე-XIX საუკუნის
მხედრულის ხელით აწერია:

„საზუდაშე ესე ვერცხლის სურს ეკუთნის საირმის მონასტერის
არხიმანდრიტსა კირილე(ს)“.

42. საზუდაშე ვერცხლისა, რომელზედაც მე-XIX საუკუნის
მხედრულის ხელით აწერია:

„ღთის მშობელთ სმის მ: წ: შენმა. არხ: კ: კაგიჭედინე
ესე სახედ“.

ეს წარწერა უნდა ნიშნავდეს:

„ღმრთის-მშობელთ, საირმის მამა წინამძღვარმან შენმა არხიმან-
დრიტმა კირილე კაგიჭედინე ესე საზუდაშე“.

43. ჯვარ-სასანთლე, რომელზედაც აწერია მხედრულათ:

„ჭეონდიდელი ანტონი დადიანოვი. 2. ჩემთ-სა წა“.

44. საცეცხლური ვერცხლისა. ზედ მხედრულათ აწერია:

„მოსახსენებელად დაუვიწყარის სიძისა ჩუჭნისა უგანათლუბულე-
სის დავით ლეონის ძის დადიანისა შევსწირეთ საფლავსა მინგრელიის
მთავრისასა ჩუჭნ თა დავით ჭავჭავაძემ და კნეინამ ანხამ ჩუნგ:ს
წელსა: ა: იუნის“.

45. საცეცხლური ვერცხლისა. ზედ მხედრულათ აწერია:

„ჭეონდიდელ მიტროპოლიტი ბესარიონ“.

ბესარიონ ჭეონდიდელი გადაიცვალა, როგორც მოვიხსენიეთ (იხ.
ზემოთ გვ. 28), 1828 წელს.

¹⁾ Brosset. Hist. de la Géorgie, II, 1, p. 648.

46. საცეცხლური ვერცხლისა ქართულის ხელობისა, რომელ-
ზედაც აწერია მხედრულათ: „ქ. დედოფალი დარეჯან“.

47. საცეცხლური ვერცხლისა. ზედ მხედრულათ აწერია:
„ოდიშის დედოფალი ანა“.

ანა დედოფალი, როგორც მოვისხენიეთ, არის დადიანი კაცის
II-ის მეორე მეუღლე.

სხვა საცეცხლურებს წარწერები არა აქვს.

48. თეუში ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

„ქ. დადიანი კაცია“.

უნდა იგულისხმებოდეს კაცია II († 1788).

49. მეორე ვერცხლის თეუშზე, რომელიც სამკვეთლოშია მხე-
დრულათ, მე-XIX საუკ. ხელით, აწერია:

ქ. მკნეა:. მკედარო:. ჰატ(ი)ოსანო:. წმიდაო:. გიორგი (გი-
გი):. ობუჯისაო:. დავჯცვენ:. ორთავე:. შინა:. ცხოვრებათა: ჩვენ
მსასკებელნი:. შენნი:. წინამძღვარი:. ზებედე:.

ობუჯის ეკლესია ზუგდიდის მაზრაშია წაღენჯინის მახლობლად.

50. თეუში ვერცხლისა, რომელზედაც მხედრულათ აწერია:

„ოდიშის დედოფალი ანა“.

ანა კაცია II მეუღლეა, როგორც ზემოთ დავინახეთ.

51. სიათაზე ვერცხლისა, მოდიდო, რომელზედაც მხედრუ-
ლათ აწერია:

„ჩელა წელსა მაისის ღ მარტვილისა მღვთის მშობლის არის.
დავით მიტრანალიტი მინგრელიისა წერეთელი“.

52. დოქი ხელის საბანი, ვერცხლისა, მხედრულის წარწერით:

„ჭეონდიდელი ანტონი დადიანოვი. 2. ჩემთსა წა“.

53. ჰატარა დოქი ვერცხლისა სამკვეთლოში, ჩუქურთმიანი
ფურცლების მსგავსად, ლამაზი ხელობისა. წარწერა არა აქვს.

54. თასი ვერცხლისა სამკვეთლოში, რომელზედაც მხედრულათ
აწერია მე-XIX საუკ. ხელით:

ქ:. ოი მხთაებაჲ:. უცვალებელო:. და:. ერთო:. სამებისკან:.
მაცხოვარო:. ხოტევისაო:. შემომიწირავს:. ბარძიმი:. ორი:. ფეშ-
ხუმი კამ(ა)რა:. კობზი:. და:. სამდუღრაჲი:. ესენი:. უველას:. ვერც-
ხლის:. შემომიწირავს:. მე:. წულუკიძეს:. მერაბს:. ჩემათ სანდლე-

კელთ(sic) და სულის ჩემის სახათ და ძეთა ჩვენთა წასამართლებ(ა)თ:.

ქ.: ვინცა:.. შენდობა:.. უბძნა:.. მეკაბს:.. ღმერთმან:.. თქვენცა:.. შეგინდეს:.. თქვენი ცოდვანი:.. ამინ:.

55. ფოდნისი ვერცხლისა სადა, 39 X 31,5 სანტ., ზედ აწერის მხედრულათ:

„ჭეხნდიდელი ანტონ. 2. დადიანოვი ჩუმთ-სა წელსა“.

56. დიდი ფოდნისი ვერცხლისა, ისეთივე წარწერით, როგორც წინა ფოდნისს აქვს.

57. ფოდნისი მომცრო ვერცხლისა, უწარწერათ.

58. ვერცხლის კოფზები სტოლისა ხუთი, ერთი დიდი გატეხილი, ერთზე თავში ბერძენთა სიუვარულის ღმერთთა გამახსტული (ამური), მეორე სევადიანთა ჯამაზი და აწერია ასრები: „ჭ. ა.“ (=ჭეხნდიდელი ანტონი); ორი სადაა.

59. დანები ვერცხლისა 13, წარწერებით: ჭ. ა.

60. ჩანგლები 13, ვერცხლისა, წარწერებით: ჭეხნდიდელი ანტონი. 2. ჩუმთ-სა წ.

ერთი ჩანგალი ისეთი სევადიანთა, როგორც ზემო აღნიშნული კოფზები წარწერით: ჭ. ა.

61. სტაქანი ვერცხლისა ზიარების დრეს სახმარი.

ნაკერ-ნაქსოვნი ნივთები.

62. დაფარნა ჰატარა სიწმით ნაკერი, რომელზედაც გამახსტულია ღვთის-მშობელი ქერუბიმებით და ანგელოზებით გლიშმა. კუთხეებში წარმოდგენილია ემბლემათა მახარებელთა წარწერებით: **ԲՈՒՆ ԻՐԿ, ԲՈՒՆ ԿՆԹԿ, ԲՈՒՆ ԿԿՆ, ԲՈՒՆ ԿՕԿՆ.** აშეებზე ხუცური წარწერა მოიპოვება:

1) **Ք. ՄՃՓՃԻՐՆ: ԸՆԻՆ: ՄԻԿԻԿԻԿԿՎՆ-ԿՆԻ: ԿՆԿՆԻ: ՄՐ ԿՆԻ**

2) **ԲԻՆԿԵՆՆՕ: ՈՒԹԻՆ: ԿՄՕՎԿԿԿՕ: ՄԿԿՕՎԿԿԻԿ: ԿԿ: ԻՆՉԿԿԿԿԿԿ: Ն**

ლი. მარიაში გადაიტყადა 1732 წ. 1), მასსადამე ჩვენი დათარხნა შეკერილია 1732 წლის შემდეგ.

64. დათარხნა მცირე სირმით ნაკერი, წარწერა არა აქვს.

65. გარდამოხსნა სირმით ნაკერი, ლამაზი ხელობისა. კუთხეებში გამოხატულია მედალიონებით მახარობლები, შუაში გარდამოხსნილი ფუგელა თავის ატრიბუტებით. აშინავე გრეხილიანი ხუცურით აწერია:

1) **ՄՃԿԻՆՓՃԻԿԻ:** ԻՂԻ: **ՆՃՓՂԻՄՆՌՃ:**
ՓՂՌԿՌՃ: ՄԻՌՌՃ: **ՄՄՃՕ:** **ՀՃԻԿԻՄՆՌՃ:**
ՌՆՅ: ԿՄ

2) **ՕՎՆՕ:** **ՓՆԲՆՕ:** **ՀՃԻՂՀ:** **ԿՎՆՃ:** **ՆՆՕ-**
ՎՎՆՃ: **ՄԻՄՃ:** **ՄՃ**

3) **ՀՄԿՎ:** **ՄԿՄՕՓՎՆ:** **ՕՄՎՄՎՆՃ:** **ՃԻԻՃ:**
ՀԲԻՄՎՄՎԻ: **ՎՎԻՄԻԻ:** **ՀԵՆԻՂՆՃ:** **ՄՆԲՂ-**
ՆՃ: **ԻՕՀՎՆ:** **ՎՄՀՕ**

4) **ԿՄՎ:** **ԵՎՆՃ:** **ՄՃ ԲՂՕՀՃԻՌԿ:** **ՄՃՄՎՆ:**
ՎՃԵՎՆ: **ԵԿԻՎ:** **ԻՂՎ:** **ՎՂՎՎՎ:** **ՀՎԻՂ:** **ՎՎ:**

5) **ՄՃԿԻՄԿ.** უქარაგმით:

„დაგვითარენ ჩვენ სათარგველითა ფრთეთა შენთა, დედაც მარტვილითა ღმერთისა მშობელთ, ქალწულთ მარიაშ, უფლისა სასოებისა შენდა დამდეობი დედოფალი ოდიშისა ანნა მწველილებრ გიძღვნი მცირესა შესაწირავსა, რამელი გარდამოხედი ძელსა, და წარუმართე დადიანს კაცას. ძენი ჩვენი გრიგოლ, მანუჩარ, გიორგი დაიფარე“.

ანნა დედოფალი, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, არის დადიანი კაცია მეორეს მეუღლე. ბრძენს ტახტულით მათ შეილებთა შორის გიორგი ცნობილი არ არის.

66. გარდამოხსნა, სირმით ნაკერი, დიდი, კარგი ნახელავი, კუთხეებში მახარობლების ემბლემების გამოხატული, შუაში გარდამოხსნილი თავის ატრიბუტებით, სამი ქალით, სამი კაცით, ორი ანგელთა და ქერებიანთ. ჯვარს აწერია: **I N R I.** ირგველივ მხედრულათ აწერია:

1) Hist. de la G. II, 1, p. 644.

1) ქ.: ეჭა.: სიბრძნეა.: და.: სიტყვაა.: უხილავისა.: მამი-
საა.: და.: ძეა.: მამულისა:.

2) მის.: დიდებ[ითა] გამრუთქმელითა.: მოწყალები

3) თა.: სიმდაბლედ.: მოსრული.: აწ.: გხედავთ.: შენ.: ძე-
ლისაგან.: გარდამოხსნილად:.

4) და.: სათლავსა.: დასულად.: დამკშველი.: უფსკრულთა.:
მკვდრა

5) დ.: იხ(ი)ლგები.: და.: ცათაგან.: დაუტევნელი.: მცირესა.:
სათლავსა.: დაიტ

6) ევი.: ხ მე.: სისხლითა.: შენითა.: ჰკურებული.: და გა-
მოკსნი

7) ლი.: ბატონის.: შვილი.: მარიამ.: წინდად.: მოვიღებ.: და.:
ვა.: გონებათა.: შინა.: ეგრეთ.: სახედ.: დავიღებ.: გარდა

8) მოხსნასა.: შენსა.: რა.: მრ.: მეუო მეუღლით.: ძით.:
და.: ასულით:.

გარდამოხსნის ქვემოთ:

ქ.: მოიხსენე.: ერისთავი.: შოშიტა.: ქვს.: უიგ:.

ქორცილნი უდრის 1725 წელს. აქ მოხსენებული შოშიტა
არის რაჭის ერისთავი შოშიტა III, რომელიც ერისთავთ განდა
1697 წ., გადაიცვალა 1729 წ. მარიამი არის მეორე ცოლი შოში-
ტასი, იესე ჩიკოვანის ცოლ-უფთელი, იმერეთის მეფის ალექსანდ-
რეს V და.

67. გარდამოხსნა, ოქროს სირმით ნაკერი, ქვემოთ ხუცურათ
უწერია:

სოიხსენე: ო: ზიზიფიზი: ღრღ.

ესე იგი: „მოიხსენე უფალთ დედოფალი ანა“.

იგულისხმება კაცია II მეუღლე.

68. გარდამოხსნა ასეთივე, ქვემოთ ხუცურათ უწერია:

სოიხსენე ღრღ ბიზიფიზი

ესე იგი: „ბენიან ანა ჩიჯავადის“.

69. საკურთხეველში ეპისკოპოსის საჯდომ სავარძელს გადასა-
ფარებული აქვს წითელი მარდისა სირმით ნაკერი. ეს გადასაფარებელი
ხუთის ერთმანეთის ტოლი ნაწილიდგან შესდგება, ოთხი ფრთიდან და

შუა ნაწილიდან. ეგელა ნაწილები ეგავილ-ბალახთა სახის გრენილე-ბით და სახეებით არის შემკობილი. დამზადებულია ეს მშვენიერი გადასათარებელი 1853 წელს. შუა ნაწილს ირგვლივ ხუცურათ აწერია:

შიქ. ნიქნი ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი.

ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი.

ჩამოშვებულს ფრთებზე ამ გადასათარებლისა ხუცურათ აწერია:

1) ქ. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი.

2) ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი.

3) ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი.

4) ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი. ოქნი.

„შენ სცან, უფალა, დაჯდომა ჩემი და აღდგომა ჩემი უფალა, მოიკსენე ანტონი და ყოველი სიმშვიდე მისი.“

ქ. მალა ყოველად სამღვდელთს მინგრელიის ეპისკოპოსს მიუძღვნი წვლილსა ამას ჩემ მიერ ნაშრომისა სოფისა ზაატას ასული გნეინა ელიზბარ დადიანისა მინგრელიის ეპისკოპოსის ანტონის სულის საცხად. ჩუგ.

70. ენქერი მოქარგული, ლამაზი, რომელზედაც ხუცურათ აწერია: **ოქნი ოქნი ოქნი ოქნი ოქნი ოქნი** — „უფალა მოიხსენე მონა შენი მათა“.

71. ენქერი მოქარგული. შუაში წარმოდგენილია ღვთის-მშობელი ჩხვილედი ბერძნული წარწერით MP ΘΥ და ირგვლივ თერთმეტი წმიდანი მედალიონებში.

72. ენქერი მოქარგული. შუაში ჯვარია გამოსახული. როგორც ჯვარი ისე აშიები შემკობილია მარგალიტებით და ძვირფასი ქვებით.

73. ენქერი მოქარგული, უწარწერო.

74. ენქერი, ძლიერ ლამაზი, მარგალიტებით და ბურთის ძალით ნაკერი. შუაში ჯვარია გამოყვანილი ოთხი მახარებელით, კუ-

თხეებში ქერუბიმებსა. ხუცური ლამაზი წარწერა მარგალიტებითგან ძლივს გამოსჭვივის მქრალათ და ძნელი გასარჩევია:

1) **ՄԿԿ: ԿՆԿԿԿԿ: ՄԿԿԿ ԲՆԸՆ**

2) **ՄԿԿԸ: ԿԿԿԿԿԿ ՄԿԿ ԿԿԿԿԿԿ ՄԿԿ-
ԿԿԿԿԿԿ:**

3) **ԿՕԿԿԿԿԿԿ ՕՕ ԿԿԿԿԿԿԿԿԿԿ: ԿԿԿ-
ԿԿԿ.** ესე იგი:

„შეიბ მახვილი შენი წელთა შენთა, ძლიერ, შენ მიერთა შვე-
ნებითა. მთისსენე, უთաლო, ჭყონდიდელი გრიგოლ“.

გრიგოლ ჭყონდიდელი, ბეჟან დადიანის ძე, ცხოვრობდა მე-**XVIII**
საუკუნის მეორე ნახევარში.

75. ომეორი დიდი, რამელსედაც მხედრულათ აწერია:

„მთავრინა ეკატერინამ განვაახლე ომეორი ესე მარტვილისა
ეკლესიის წელსა ჩემს ჭყონდიდლის ძისა ანტონის დადიანისას“.

76. ბისონი მღვდელმთავრისა მხედრულის წარწერით:

„ჩუღ. წა. ქეშობისთვეს. Թ. მთისსენე. უთალო. და მიმად-
ლეთ. ღმერთს. შენდობაი. მიეცით. კზს (კნიზს). ელიზბარ დადიანს“.

სხვა ძვირფასი საჭყონდიდლო და სამღვდელმთავრო შესამოსები
ბევრია მარტვილში, მაგრამ წარწერები არა აქვს.

77. ორარი, სირმით ნაკერი მუდღებელ, ლამაზის ხელობისა.
თავში ასომთავრული წარწერა აქვს:

**Կ. ԿԿԿԿԿԿ: ՕԿԿԿ: ԿԿԿ: ՄԿԿԿԿԿԿ:
ԿԿ: ԿԿԿԿԿ: ԿԿԿԿԿԿԿԿ: ԿԿԿԿԿԿԿԿԿԿ: ԿԿԿ-
ԿԿԿԿԿԿԿ: ԿԿԿԿԿԿԿԿ: ԿԿԿԿԿԿԿԿ:** ესე იგი:

„ვინებე ოლარისა ამის შეკერვა მე ძემან დადიანის ბეჟანისამან
ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გრიგოლ“.

78. ორარი, სირმით ნაკერი ფარჩახელ. ზემოთ მხედრულათ
აწერია. „წელსა ჩუი“.

79. მიტრა, რამლის თავზე წარმოდგენილია მილანქრით და-
ხატული მამა ღმერთი და ირგვლივ ლამაზი ხუცური ასომთავრულით
უწერია:

**Կ. ՄԿԿԿԿԿ: ԿԿԿԿԿ: ԿԿԿ: ԿԿ: ՄԿԿԿԿԿԿ:
ՄԿԿ: ԿԿԿԿԿԿԿԿ: ՈՐԿ: ԿԿԿԿԿԿԿԿ: ԿԿ: ԿԿԿԿԿԿ:**

**კაფუნ: ღნოზკრ: ჭფზკრ: ყზუნკზ: ნზნკ:
ჩუნკ: ნოკზ. უქარაგმოდ:**

„შევაბეკე მიტრა ესე და შემოგწირე შენ ცაგერისა ღმრთის მშობელს მე ქართველთ მეუფის ასულმან ელისაბედ სულისა ჩემისა სახხად“.

ეს დედოფალი ელისაბედი იყო ქართლის მეუფის თეიმურაზ II ასული, დადიანის კაცია II ცოლი, გათხოვდა 1765 წ. და გადაიცვალა 1770 წელს. მაშასადამე მიტრა შემზადებულია 1765—1770 წლებს შუა.

80. ამას გარდა სამი სხვა ძვირფასი მიტრა მოიპოვება მარტვილში უწარწერონი. ზოგს მათგანს ძველი ბიზანტიური ხელობის მილანქრიანი მედალიონები ჰქონია, რომელიც გაუძარცვავთ და რუსული ხელობის მედალიონებით შეუცვლიათ.

მარტვილის ხელთნაწერები¹⁾.

1. ცხვრება მაქსიმე აღმსარებელისა, სიტუვის გება მაქსიმესი ჰირკისის მიმართ სიტუვა-მიგებით და მისივე მაქსიმე აღმსარებელის სიტუვის გება ვნებათათჳს, მიწერილი მამისა თაფაფეს მიმართ, ეტრატზედ, 850 გვ. ეფთვიში მთაწმინდელის თარგმნილი და ზაქარია ბანაელის ბრძანებით გადაწერილი. თავი და ბოლო აკლია. კარგი ნუსხა ხუცურით მე-XI საუკ. ჰირველი ნახევრისა. მე-49—56 გვ. უწერია:

„დიდებაჲ ღმერთსა დაესრულა კითხვა მიგებაჲ წმიდისა მამისა ჩნისა და აღმსარებელისა მაქსიმესი: ვინცა მიემთხვნეთ შემდგომითი

1) აქ მოგვყავს მარტო მოკლე ცნობები მარტვილის ხელნაწერების შესახებ, რაც ერთის თვალის გადავლებით მოვასწარით. სრული ცნობების ამოკრეფისათვის და გარჩევისათვის დრო არა გვქონდა. უმთავრესი ხელთნაწერების საყურადღებო აღგილები, მხატვრობანი და ნაქედი ყდები ფოტოგრაფიით გადმოვიღეთ. ხელთნაწერები დაუნომრავს და აღუნუსხავს ახალგაზდა მკვლევარს პ. ინგოროყვას, რომელსაც უფრო ვრცლათ უნდა ჰქონდეს ცნობები ამოკრეფილი მარტვილის ხელთნაწერებიდან. ჩვენ მის ცნობებს ცალკე დავბეჭდავთ, როდესაც წარმოგვიდგენს.

შემდგომად სულის (სწლს) განმანათლებელთა ამთა სწავლათა. ლოცვასა მომიკსენეთ გლახაკი ესე და ცოდვილი ეუთუძი: რომელმან ესე შეუენიერი წიგნი ბერძულისაგან ქართულსა ენასა ვთარგმნე: სს-ლოცველად მამისა ჩემისა იოვანესსა და საკსენებელად უდიდებისა ჩემისა:.

ბევედრები უოველთა მწერალთა მკითხველთა და მსმენელთა კსენებულმცა ვართ ლოცვათა შინა თქნთა, რა თქნცა სასუიდელი სიუყარულისაჲ მიიღოთ უფლისაგან: უხუად მომნიჭებულისა მის მუუთისა იჯ ქესა: რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ (ან) იყავნ (აუაგნ)::

ხოლო დაიწერა: ბრძანებითა და ნებითა: **ՄԱՅԻՆԻԱ** (მქრია) ებისკოპოსისა ბანაელისა. და სზნგელაზისაჲთა:

კელითა უდიდისისა და უცბად მჩხრაკალისა ისაკისითა: ქალაქსა კოსტანტინებელის: მონასტერსა მისვე ბანაელისა ებისკოპოსისა სზნგელაზისისსა უოველთა წმიდათსა: აგია ჰანტს: მეფობასა რომანოზისსა: რაჲ წიგნსა შინა ვზოე რომლისაგან გარდავწერე არა გამომაცვალეობა სიტუთაჲ არცა მიკაზმავს დმერთი არს მოწამელ^ს(sic): და არაცა რაჲ დამიკლია. და თუ რაჲმე დამჩომოდა შევაწამე წიგნსა და ჩაურთე: რამეთუ მთარგმნელი სულისა წმიდისა მადლითა სავსე იყო და ბრძენ და ფრიად მეცნიერ ბერძულ...“

შემდეგ სათაური:

„წდისა და ნეტარისა მამისა ჩნისა. მაქსიმე აღმსარებელისაჲ. სიტუჯსკებისათჳს ვნებათაჲსა მიწერილი მამისა თალასეს მიმართ: უფალა წარმიმართე:.“

მაქსიმეს ცხოვრების ბოლოს (გვ. 110):

„დიდებაჲ დმერთსა დაესრულა ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩნისა მაქსიმესი: ქრისტემან სასუიდელი შრომათა მისთათჳს მიეცინ მამასა ეფუთიმეს(sic) რომელმან თარგმანა წიგნი ესე სულთა განმანათლებელი ამინ იყავნ. ლოცვა ყავთ. ის.“¹⁾

2. ამავე შინაარსის წიგნი მაქსიმე აღმსარებელისა, ქალაღღზე,

1) შეად. თ. ყორღანისა ქრ. I, გვ. 169—170.

ნუსხა ხუცურით, გადმოწერილია წინა ხელთნაწერითგან 1761 წ. მე-225 ფურ. ბოლოს უწერია:

„დიდება დმერთსა სრულ მეოფელსა უოფლისა კეთილისსა: სრულ იქმნა წმიდაჲ ესე წიგნი მაქსიმესი: ბრძანებითა წმიდისა და უოფლად სანატრელისა. ქუთათელ მიტროპოლიტისა: ნეტარისა მაქსიმესითა: ადიდოს უფალმან დმერიმან ერთაჲე შინა ცხორებათა ამინ:

კელითა უოფელთა კაცთა უნარჩევებისა უცებად მხსრეკაღისა მიქელისათა: ამ წმიდამა მაქსიმემ. და თქუცნმან სიწმიდემ უწუის. რადც დედანში ეწერა და თავის და ბოლოს ფურცლები არ აკლდა დედანს: რადც ამასი ეწერა უგელა უკლებლად დავსწერუ: და სიმართლესაც ვუცადე: შემინდევით უფალნო: დაესრულა წმ და სულთა განმანათლებელი ესე წიგნი: იანვარს: დ: ქუს აქათ: ჩლდა:“

გადამწერი იხსენიებს ქუთათელ მიტროპოლიტს კიდევ მაქსიმეს ცხორების დასასრულს მე-27 გვ. წიგნის მთარგმნელის ეფთჳმის ანდერძის შემდეგ სწერია:

„უფალთ დმერთთ ადიდე მადიდებელი შენი სანატრელი ქუთათელ მიტროპოლიტი უოფლად ნეტარი მაქსიმე, რომელმან ინება აღწერა წიგნისა ამის: და დღეთა სიგრძე, და ცხორება საუკუნო მინიჭე ან:“

და ჩემთსცა წყალობა აგონე, რამეთუ ფრიადი სასჯელი გარდამკლდა ამის წერაზედ:“

3. წისა ისაკის თხრობანი ეტრატზედ, ჰატარა ტანისა, მე XII—XIII საუკ. ხელით. ბოლო ჰელია, 160 ფ., თავში და ბოლოში ქაღალდი აქვს დართული, ბერძნულის ნაწერებით. მოგვყავს ზოგიერთი სათაურები: თქმულებანი; განშორებისათჳს (სულისა?... გაფუჭებულთა), სულსა, რომელსა უფვარს დმერთი, თქმული მისივე, თავი ბ; დიდი ჰატრივი მისცა ღწ კაცთა; წესისათჳს მონაზონთა მოქალაქეობისა; მეორე სახე ბრძოლათათჳს მტერისათა; მესამე სახე ბრძოლათა მტერისათა მკნეთა მიმართ; სხვაჲ სახე ბრძოლისა მტერთაჲსა; თუ რომელისა საქმის მიერ მიეახლების დმერთსა გული კაცისაჲ...; თუ ვითარ დაიმარხვის წესი ზნეობისაჲ...; შეწყალებისა მისთჳს, რომელი მოვალს მათზე და რომელი ვლენან გზასა მას დაუუღებისსა ღწის მიერ განწესებულსა...; დაუუღებულთათჳს თუ

ოდეს იწიქებენ გულის კმის ყოფად. და ბევრი სხვა თქმულებანი ის-
კისი მე-142 ფურცლამდის. შემდეგ: თქმული წმიდისა მამისა ჩნის
კასიანე ჭრამისანი რვათა მათ გულის სიტყუათათჳს ბოროტა.

4. ღავითნის თარგმანი ქაღალდზე in folio დიდი ფორმატისა,
680 გვერდი, ნუსხა ხუცურით. მე-XI სუკ. ხელით, ქაღალდი ძვე-
ლია. მე-646—647 გვერდზე ბოლო სიტყუაობა, შემდეგი გვერდე-
ბი (649—680) მერმენდელი მიმსტებულია და ქაღალდიც სხვაა.
ბოლო სიტყუაობა:

„დიდება და ჰატივი და თაყნის ცემა და მადლი: სამკუამო-
ნებით ცნობილსა და ერთ ანსებით აღსარებულსა წსა სამებასა:.
რომელმან ჯერ იჩინა მეხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისა და ყო-
ველთა წმიდათა მისთადათ: და ღმრთობა წთა მამათა ჩნთა. ეფ-
თემესითა და გიორგისითა: თანადგომითა და უფრომსდა მხითა და
წინა-ძღობითა. ბერისა ჩნისა საბა სულამს ძისა თუნახსელისა-
თა(sic):. განზოგება და წიგნისა ამის. რომელსა უწოდებენ თარგმან-
ნი ღავითისანი. ანუ თუ თარგმანი ღავითისა: ჰირველი იგი სიმ-
რავლისათჳს მთარგმნელთადას. ხოლო მერე ერთკუამობისათჳს და
ურთიერთას შენაწევრებისა ჰატიოსანთა მათ ასოთა: მისივე და ერ-
თისა თავსაკიდურისა ქრისტესდა (ქესდა) დამოკიდებულთადას:.
მუ-
კლნი უკუწ ღავითისანი ჰირველ თარგმნილისაგან დედისა ეგრეთვე
დავწერენით ვითა ვხკეთ ახალ თარგმნილთა ღავითთა (ღთთა) საუ-
კუნოდ მოკსენებულისა გიორგი მთაწმინდელისათა: რომელი იგი უნა-
კლულოდ თარგმნილ იყო ჰირველ ჩნსა და არცა ერთისა მოქენე გან-
მართებისა: ხოლო თარგმანი მუკლუებისა] ყოველი ახლად ითარ-
გმანა ბერძულისაგან: ვითარცა ყოველივე გუ[წათ] შესავალსა წი-
გნისასა: გვედრები ყოველთა, რომელნი მიემთხვნეთ [წმიდასა ამას]
წიგნსა: ღმრთვა ყავთ ზემოკსენებულისა მამისა საბადას[ათჳს] ბერისა
ეფრემ უშკელისათჳს მოძღუართა მშობელთა [ძმა]თა და შვილთა მათ-
თათჳს: რამეთუ მათიას წინაძღობითა და სა[ჭეთ] მხერობელობითა და
უფრომსდა საკმრითა და წარსაკებელითა ქმნილ არს ყოველივე კეთილი
ჩნსება და ღმრთისა მიერ: რომელმან ძულადესმე კარაულიცა ბალამი-
ნი აღატყუა: რომლისსა არადათ უნაკლულებანეს არს აღტყუებად
ჰირველთა სახესა ამას გონებასა ჩემ მცირისა და უნდომსა ეფრე-

მისსა: რამელმან ესე ვთარგმნე ბერძინთა ენისაგან ქართველთა ენად: და მოქენე ვარ ღმრთისა წითა ლოცვითა თქნითა აკოცად ბრალთა და ცთომილებათა ჩემთა: . დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი. შავსა მთასა [სანა]ხებსა წმიდისა სმეონისსა. მონასტერისა მამისა ეზრადისსა: . კე-ლითა [ონე] ხუცისა მთავარად ძისაჲთა: უფალმან (ონ) მიეცინ სა-სუიდელი გუფს მო[დგინეთ] წერისა. ლოცვითა თქნ ღმრთის მო-უფრეთა მკითხველთაჲთა.

ქრთნიკონი იუო: ტ: . უფლო ღმერთო შეიწყალებ და აღიდგენ სასუფეველსა [შენსა წმიდანნი] მამანი მნათობნი ჩნნი. ანტონი ტბე-ლი. და კვრიკე ალექსანდრ[იელი რწნი სიტყუთ] და საქმით ძალმწე მუფუნეს თარგმნისა ამის [წიგნისსა და კურთხე]ვითა მათითა აცხოფ-ნენ უფველნი ძმანი ეზრად[სა მონასტრისანი] გარდაცვალებულნი.

ეფრემ თარგმნისა მრ ზემოკსენებულმან. და პირველისა წი-გნისა მისთჳს დამწერელმან იოვანე ხუცესმან მთავარად ძემან: ესე აწ ჩემთჳს გარდამოვიწერე ვითარ ვჰგონებ უნაკლულად და მართ-ლად: . ვისცა გარდაწერად გენებოს. მინდაბილ იუვენით: რამეთუ ვი-თა ვბოე ეგრე უფველი დაწერე. და წინტილიცა: . გარჩა უნდოდ და ჰვად ჩხრეკისა. და უკანონავად და იწროდ ჩასხმასათჳს. არა უმეტარ ვარ. რამეთუ არა კურთხევისა (კხევისა) გინა ლოცვასა ღირს ვარ. არამედ წინა უკმო: ხლო უგთუ ვინმე არა მწეგოს. უეჭულად დიდად ქველის მოქმედ ქმნილ არს. და კმა არს ესე ჩემდა ნიჭად. და მისდაცა მოწყალე მუთუელად ღმრთისა. რამელმან არა დამსჯოს მწარედ. უღბად შრამისათჳს: . ლოცვითა თქნ გონიერად მკითხველ-თაჲთა ან: .

ქრთნიკონი იუო: . ტ: აა:

დაიწერა კასტანას. ეფრემის მამობასა¹⁾.

შემდეგ (649—680 გვ) მოუვანილია: „გალობად მოსესი წი-გნისაგან გამოსუფათაჲსა, თარგმნილი წმიდისა ბასილისი: .“

შესავალს ეფრემ მტერისსა აქვს დათმობილი 14 გვერდი და ბოლო აკლია²⁾. თვით თარგმანი ასე იწყება:

1) შეად. თ. ყორდანი. ქრ. I, გვ. 214—215.

2) ამ საყურადღებო შესავალს, მაგრამ დაზიანებულად და არა სრულად დაცულს, ჩვენ ქვემოთ ცალკე მოვიყვანთ.

„წმიდათა და ნეტართა მამათა ჩნთა ალექსანდრიელ მთავარ-
ეპისკოპოსთაჲ ათანასესი და კვიქისი და სხვათა შემდგომთა მამა-
თაჲ თარგმანებაჲ ფსალმოჳნთა წიგნისაჲ რამელ აჩიან ასრამეოცდა-
ათნი ფსალმოჳნნი დავითისნი: . ხოლო ბერძოჳლისაგან ქართოჳლად
ითარგმანა ნეტარისა მამისა ეფრემის მიერ: . ფნი: . ა: .“

ამრიგად ჩვენ ამ ხელთნაწერში გვაქვს ეფრემ მცირის მიერ
თარგმნილი დავითის ფსალმუნთა თარგმანი პირველად გადაწერილი
1080 წელს შავს მთაზედ „სანახებსა წმიდისა სვიმეონისსა, მონ-
ასტერსა მამისა ეზრახსსა“. ეს თავდაპირველი დედანი გადუწერია,
როგორც ეტეობა, თვით მთარგმნელის ეფრემ მცირისათჳს იოვანე
ხუცესს მთავრახს ძეს. ხოლო თერთმეტის წლის შემდეგ, ესე იგი
1091 წელს, ამავე გადაწერს იოვანე მთავრახს ძეს პირველი თა-
ვის დედნიდან თავისთვის გადმოუწერია ჩვენი ხელთნაწერი. ეს იშვი-
ათი ხელთნაწერია ქალაღზე—ბომბიციანზე—დაწერილი, რომელსაც
ჩვენამდის მოუღწევია მეთერთმეტე საუკუნეიამ.

5. დავითნის თარგმანი, გადაწერილი 1844 წელს, ქალაღზე,
ნუსხა ხუცურით, in folio, რვეული 28, რვეულში 8 ფურცელია.
ბოლოს უწერია:

„სრულ იქმნა ძალითა ღმრთისა წელსა ქესით ჩუღდ: იან-
ვრის კბ:

მე მისის უგანათლებულესობის რუსეთის დერანაღ-ლეიტელან-
ტმა და მრავალ ორდენტა კავალერის მქონეს ჩემის კელმწიფის და-
დიანის ლეონის მოძღვარმან ლეჩხუმთ ორთა მონასტერთა განმასვე-
ნებელმან საირმის და ნამარნევის უდაბნოთ მამამ. და სრულიად ლე-
ჩხუმისა და ჭყონდიდლის საეპარხიოს არხიმანდრიტმან გიორგიმ ვი-
ღვაწე სულთა განმანათლებელი წიგნი ესე დავითნის თარგმანი და
დავაწერინე ჩემგან მოუჴანილს და დადგინებულს ჩემს მონასტერშიდ
მცხფრებს მდივანს მიქელაძეს ბერს გრიგორის ჩემის ქალაღით და
მელნით და სრულიადის (სდის) სასუიდილის მიცემით. და აწ გთხოვ
ყოველთა მხილველთა და აღმომკითხველთა ამისთა ცხოფნებას და
შენდობას მიბრძნებულთა:“

მეორე გვერდზე მხედრულათ:

„წელსა ჩემჴ-სა ოკდონბრის ივ-ს ეს დავითნის თარგმანი გან-

სვენებულის გიორგის ეპისკოპოსის იუო. და მე არხიმანდრიტმან ბესარიონმან დავსდგეი მარტვილის მონასტერშიდ სულის მისისა სახად და სხსენებლად... ხობის მონასტრის არხიმანდრიტი და დროებით მენდრეკლის საეპარხიოს მართველი ბესარიონ“.

6. მეტაფრასი, ნუსხა ხუტურით, ქაღალდზე, in folio დიდი ფორმატისა, 974 გვერდი, მე-XVI—XVII საუკუნის ხელით. ბოლოს სწერია:

„ღმერთო ტკბილო და მრავალთ მოწყალეო და უოვლად წმიდაო მოქვისა ღმრთის მშობელო, ადღეგრძელე და გამარჯვებით ამოფე და აცხონე ჰატრონი მოქველი ეფთჳმე საყვარელიძე ამინ:.

შენ ცათა უფრცვლესო და ქერობინთა უზეშთაესო ჰატრისნო მოქვისა ღმრთის მშობელო, მე მოქველ მთავარებისკობზმან ეფთჳმე საყვარელიძემან დავაწერინე ესე სულთა განმანათლებელი ჰატრისანი მეტაზრასი(sic). და შემოგწირე სხსრად და სახხად სულისა ჩემისათა“... (წუევა ვინც გამახვას). ბოლოს კიდევ წითელით:

„ღმერთო ტკბილო და მრავალთ მოწყალეო და უოვლად წმიდაო მოქვისა ღმრთის მშობელო, შეიწყალე გულქან ბობოყილოზე, აქა ამას სოფელსა კანი მიეც, საუკუნოს შეიწყალე და იკსენ განკითხვისაგან მეორეთ მისვლასა ი . . . არძე შეიწყალე ამ . . . სამადლო“.

მოქველი ეფთჳმე იხსენიება კიდევ მრავალს ადგილს წიგნისა წარწერებში სხვა და სხვა ფორმით. მოქველი ეფთჳმე საყვარელიძე ის ეფთჳმე საყვარელიძე უნდა იყოს, რომელიც შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსად იუო დაახლოებით 1578—1611 წლებში.

წარწერებში მოხსენებულისა კიდევ: ნიკოლოზ ჭყონია და იოვანე (გვ. 351). მე-364 გვერდზე:

„ამა წიგნისა მეტაფრასისა მწერალსა ნავკრატორის წმანძესა შეუნდევ უფალო ღო ან:“... ებევე მე-423 გვერდზე.

მხედრულათ მე 442 გვერდზე:

„წიგნი ესე მეტაფრასი დიად დაძველებულ და დაშლილი იუო და მე ჭაიანის ქალმან ხანუმზემ დავაწერობინე ხელახლად“.

მე-482 გვერდზე: „უფალო და დიად ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ოქროზირ მწერალი და შეუნდნეს ღმერთმან უოველნი მისნი ცოდვანი ამინ“.

მე-520 გვერდზე ტექსტის ხელით:

„სრულ იქმნა წმიდაჲ ესე თულ^ს (აგვისტო) მეტაფრასი კელითა ჩემ ცოდვილის ნაკრატის წმინდისითა. კელის უნდობისათჳს ნუღამწევვი წმიდანო ღმრთისანო: . ქალაღლი ავი იყო, ამას უკეთესი კელი არ მოიუვანა, თუარა ჩემით მწავეთ მოვიჭირვე ღ^ნ უწყის...“

სულსა მებუნიფზე ბუჩხერსა ცოდვანი და ბრალნი მისნი უოველნივე შეუნდევ და შეიწყალე უფალო იესო ქრისტე ღმერთო ა^ნ.

სულსა აბრჳამს წმინდისა და მეუღლესა მისსა შეუნდევ უფალო ი^ვ ქე ღ^ო. ძეთა მათთაჲ ისაკს და ნიკოლოზს შეუნდევ უფალო ი^ვ ქე ღ^ო ა^ნ.“

მე-521 გვერდზე ტექსტის ხელით:

„ღმერთო, შეიწყალე დიაკონი ათანასე ქავჯარაძე ამა მეტაფრასისა მადლო“. სხვა ხელით:

„ღმერთო, შეიწყალე ქავთარაძე მახარობელი. მამა დედათა მისთა შეუნდოს ღ^ნ“...

მე-748 გვერდზე სხვა ხელით: „ღ^ო შე ც^ი მონა შენი მღვდელი იოვანე“...

მე-835 გვერდზე მხედრულათ:

„ქ. მოქვისა ღმრთის მშობელო და მარტვილის ღმრთის მშობელო, შეიწყალე მონა შენი: . ფ^დ ცოდვილი წინამძღვარი იოვანე მდიდსა მას დღეს განკითხვისასა“...

7. მამათა ცხოვრება, სქელ ქალაღზე, ნუსხა ხუცურით ორ სვეტად, მე-XVI—XVII სუკ. ხელით, 220 გვერდი. შინაარსი: 1) დიალოგი ჰეტრეს და გრიგორის შორის, 2) ცხოვრებაჲ მარკოზ განშორებულისა, 3) ცხოვრებაჲ წ^{ის}ს ონოფრესი, 4) წამებაჲ წ^{ის}ს ადათანგელისა დამსკეღ კათალიკოსისა, 5) წ^{ის}ს მოწამისა კლიმი ანკვირილისა, 6) სიბრძნე ბადავარისა, 7) თხრობანი წ^თს და ღვთივ შემოსილთა მამათანი.

8. კრებული მხედრულად, მე-XVII სუკ. ხელით, in folio. შინაარსი: 1) ექვსთა დღე გრიგოლი ნოსელიისა, 2) ათორმეტთა თვალთათვის ეპიფანე კვიპრელისა თქმული, 3) ათორმეტთა ნათესავისა კურთხევა, 4) მკეტათჳს სხნის სიტუვა წიგნთაგან თქმული ბასილი კესარიელისა, ესე იგი სხნის მეტუველი (Физиологъ), 5) ან-

ბანი ებრაული, ბერძული, მეფენი იუდაჲსნი, სპარსთანი, ჰტოლემაინ-
ნი ეგვიპტელები, 6) იპოლიტეს განმარტება კურთხევათა მათთვის
ათორმეტთა ნათესავთა, 7) იპოლიტეს თქმული კურთხევათა მათთვის
იაკობისთა, ვითარ იგი ათორმეტნი ნახეტანი აკურთხა, 8) თქმული
წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე აქროზირისა სწავლანი სარგებელები
სულთანი და სხვანი სწავლანი. ეს ხელთნაწერი თავის პირველი ექვ-
სი სტატიით პირია შატბერდის კრებულისა, ხოლო ბოლოს მამატე-
ბული აქვს იოანე აქროზირის სწავლანი მეორეთ მოსვლისათვის.
სწორეთ ამგვარივე პირი შატბერდის კრებულისა და ამავე მე-XVII
საუკ. მოიხროება წერა-კითხვის წიგნთ-საცავში № 2785 (იხ. ჩემი
Опис. рук. Общ. гр. II, стр. 651—654). ბოლოს უწერია:

„ქ. წყალობითა ღთისათა და რამელთა სურის მისა მიმართ და
აქუს გონება მარადის საღთოდ ხედვად და ეძიებს და გამოიკულევეს
მრავალთა საღთოთა წერილთა და შეუკრებიეს ვითარცა ფუტკარი
გულსა მისსა ყოველი მეცნიერება და სწავლა, ჩიჩუას გიორგის და
ბრძანებითა მისითა დაიწერა წიგნი ესე კაცთა შესაქმე, რომლითა
ფართ ხატ ღთისა და ზიარ სხვათადაც ცხოველთა მათ გამოცხადება
და ექვსთა დღედ, რომელსა შინა შექმნა ცა და ქუეყანა ყოველით სა-
შკაულოთ მათ და ათ რთთა თვალთა, რომელი ისხდა მოსეს სამო-
სელზედ, და ათორმეტთა ძეთა იაკობ მამად მთავრისათა კურთხევა
და... და სხვის მეტეულებსა და სხვა სწავლანი სულთა სარგებელები
თქმული აქროზირისა იოვანესი, მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა
მისი, ჩიჩუას გიორგის და ფაღავას ასულის როდამის, და საუკუნობცა
არს ცხორება მათი.

ქ. შეიწყოლე უფალო ფ'დ ცოდვილი წინამძღვარი ნიკოლოზოჲ,
გაკვადრები თქუენ ბრძენ მეცნიერნო მხილველნო ამისნო, იხილოთ
რამე მეტ-ნაკლები ანუ წინაუგმო შემინდევით უმეცრებისა ჩემისათვის“. .
ხუცური გრეხილით: „სულსა წინამძღურისა ნიკოლოზისა შეუნდოს
ღმერთმან“. ქვემოთ სხვა ხელთ: „ღმერთო შეიწყოლე ნიკოლოზ
ჭეონია“. ბოლოს იმავე ტექსტის ხელთ ლექსი-შაირი რი ტაეპი.

9. მეტაფრასი პატარა ტანისა ნუსხა ხუცურით, მე-XVIII სა-
უკუნის ხელთ. კუთნებისა წინეთ საირმის მონასტერს ლეჩხუმში.
უფელა საკითხავების ბოლოს სწერია ტექსტის ხელთ: „ღმერთო,

შეწვალე ცოდვილი მონაჲ შენი ნიკოლოზ“. ნაწერია სხვა და სხვა ხელით.

10. მეტაფრასი in folio დიდი ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტათ 332 გვ. გადაწერილია, როგორც ბოლოს უწერია, წელთა ქრისტეს აქეთ: ჩუღბ-სა იგნის: თ:

11. ეფრემ ასურის ეპისტოლე იფანეს მიმართ მონაზონისა მთმინებისათჳს... და სხვანი მისივე სწავლანი, ხუცური ნუსხური ხელით, ორ სვეტად, მე-XVIII საუკუნისა. 45 გვერდი in folio.

12. თხრობანი წათა მამათანი, in folio, ნუსხა ხუცურით ორ სვეტათ. 400 გვერდი. ბოლოს უწერია:

„განსრულდა ქრისტეს აქეთ ჩუგ: ფებერვლის კზ. ღმერთო, ცხოვნე დამწერი უღირსი მღვდელი მიქელაძე გრიგორი“...

შემდეგ სხვა ხუცურის ხელით:

„მენათხოვრა მისის მალაღ ღირსების უფლის არხიმანდრიტის გიორგისაგან მამა-ცხოვრება ესე. უღირსს მარტო მეოფელს მონაზონს რომანოზს წელთა ჩუგდ: რათა კულად მუნვე მიუქციონ. უდაბნოს არის საირმისა: შეიწვალე ღმერთო სულით და კორცით არხიმანდრიტი გიორგი მამა უდაბნოსა და მოძღვარი მთავრისა ჩნისა ლეონ დანიანის“.

შემდეგ მხედრულათ:

„ეს წმიდათ მამათ-ცხოვრება მე საირმის მონასტრის არხიმანდრიტმან გიორგიმ დავაწერინე ჩემი სულის საოხად“. (წუგვა ვინც გამოხწიროს საირმის მონასტერს).

13. ღთიუ განათლებულნი თხრობანი... რომელსა ეწოდების სამოთხის უუაღილი, in 4^o, 370 გვერდი, სულ 36 (33) თხრობა, ბოლოს სარჩევი აქვს და უწერია:

„პატოქსანი ესე წიგნი აღიწერა კელით უღირსის მღვდელ მონაზუნის გრიგორ ბერის მიქელაძისათა საირმის მონასტერსა შინა. ფრიად მოხუცებულმან ვსწერე, ვიდრე სამეოცდაათორმეტისა წლისამან.. (შენდობას ითხოვს). წელსა ქრისტეს აქეთ. ჩუნგ: იახვრის. ივ: საირმის უდაბნოსათჳს შემიწირავს ჩემის სულის საოხად, ამინ“.

შემდეგ მოსდევს სტატია: ჰირველსა კვირიაკეს მარხვათსა ქადაგება სინანულისათჳს. და სხვა და სხვა ქადაგებანი დაბოლოს:

„ღმერთო, აცხადებ დამწერი ამისი უღირსი მონაზონი გრიგორ ბერი მიქელაძე ან. წელსა ქესით ჩუგ. ფეხურვლის იმ: ლაიჩის უდაბნოსთვის შემომიწირავს ჩემის სულისათვის“.

ამოწმებს მენგრედიის ეპისკოპოსი ჭყონდიდელი თეოფანე.

14. სწავლანი წმიდისა და დიდისა ორმეოცისანი, in 4^o მხედრულათ, 203 გვერდი. გადაწერილია მღვდლის ტაბლიევის მიერ 1877 წელს. თავში უწერია:

„ჩუგ სა წელსა ივლისის: ა. მე უღირსმან მღვდელმან ჰეტრე მისეს ძემ ტაბლიევმან ვიწუე წერად სიუჩარულისათვის კეთილისა ამის სწავლისა, გარნა ვიუაგი მახუცი შობითგან ოც: წლის. ხოლო მღვდელმანში სრულის ორმეოცის წლისა და მაკლდა თვალით მხედველობა, და აღარცა მქონდა მაჯაში სიმაგრე. ღმერთო დამსრულებიუ შენს მადლსა ამინ“. ბოლოს უწერია: „1877 წელსა, ივნისის 25 დღეს“.

15. ცხადრება გიორგი მთაწმინდელისა, მხედრული, in 4^o, 52 ფურცელი, ბოლოს უწერია:

„წელსა. ჩუგთ-სა, თვესა მანისა კა-სა, თქმულს უკუდად უსამღვდელოესობავ სრულიად მენდრელთა სამთავროთა მწუემს მთავარო, ესე იგი ოდიშთა, ლეჩხუმთა, სვანთა და აფხაზთა და რადენთამე ნაწილთა იმერთასა და ჭყონდიდისა ეპისკოპოსო და კავალეროსო გიორგი, ვინათგან უფროს უფელთა შესწირავთასა სურს სამღთოსა მას სულისა თქუენსა სამღთოჲსა წერილსა შესწირავს და საქმეთა წათაღთ შემოსილთა მამათა ბაძვა და ღმერთ მუოფელი მოწყალება ბუნების უმეტესი აქვს თვალთა თქუენთა და ავალნი სულისანი ზე გაქვსთ მიურულებენი, ხოლო ნივთთა სოფლიოთა უღონო ქმნილმან, გარნა თქვენ უფელთა უფროს ოქროთა და ანთრაკთა ესე ვითართა მწადნელსა მოკართვით ესე სამღთო წიგნი და შეიწირეთ მსგავსად ქესა, ვითარცა ქვრივის მიერ. მონა თქუენი რამანოზ და უუღებუელი მარტვირის სვეტისა“.

16. ცხადრება გიორგი მთაწმინდელისა გადაწერილი მხედრულათ 1838 წელს იმავე რამანოზის მიერ, რამელსაც გადაწერია წინა ხელთნაწერი. ამ ცხადრებას ბოლოს დართული აქვს ხუცურათ ნაწერი განგება წიგნისა გიორგი მთაწმინდელისათვის. 65 ფურცელი. ბოლოს უწერია მხედრულად:

„უფუფად ღირსსა და ღთივ ჰატეგტეშულსა უფაღსა და მამსა ატქიმანდრიტს ანტონი დადიანოვს აფხაზთასა.

ვინაითგან მებრძანა თქუტნ სამღთოღესა ამის წიგნისა გარდაწე-
რად, ღმერთ შემოსილთა მწეემსთა და მოძღვართა სიტუტუტბითა გან-
შუტნებუღისა და შემკობიღისა, შეწეგნითა ღთისთა და მადღისა
თქუტნისთა წარმოფადგინო წინაშე თქუტნსა, რომღისა დიდება ში-
ნაგან ამისა განბრწეინებუღი სათანადოსა თანა განწმენდისა მახლობელ
ქმნილთა მისთა დაშეოთებისა გუღის სიტუგათასა განმგდებელთა გა-
ნანათლებ საკვირგელებითა უწარჩინებუღესისა მოძღვართა ნამუშაკეგესა,
აღმწერელ ვიქმენ, აჩამედ გეგედრები ღთივ ჰატეგტეშულო, მრწმუ-
ნებელსა ბრძანებათა თქუტნთასა და მიმთვალელთა მოჩიღებისათა
მომიხიენით სასუიდეღნი ლოცვათანა. უღირსი მონაზონი და უჩღოღ
რომანოზ მონა თქუტნი. წელსა 1838-სა მასის 2-სა“.

17. სიტუგს გეობად ჰურითა მიმართ, in folio, ნუსხა ხუტური,
ლო სვეტად, 568 გვერდი. ბოლოს უწერია:

„განსრულდა საღიდებელად ღა, მამისა და ძისა და სუღისა წმი-
დისა, ბრძანებითა დიდისა უფღისა დადიანის ძისა ჰეონდიდელ მი-
ტროპოლიტისა გრიგოღისითა: თთუტსა აგვსტოსა: ით: კეღითა ჩემ-
ცოდუღისა ხუტესი მონაზონისა იოანესითა: რომეღიცა ფრიაღ ვომ-
ქენებო მხიღველთა შენდობისა ყოფასა ლოცვითურთ: ქვს ქესით:
ჩღოზ:“

ზირველ გვერდზე ტექსტის ხელით უწერია:

„უფუფელთა გეგედრები აღმოჩენითხველთა წმიდისა ამის წიგნისა-
თა, რათა კეთილად განარჩიოთ სხლოიონნი და არა სხლოიონნი,
რომელ არიან დანაშაუნი მკვდრისანი, რომეღიცა არა თხებითა ჩემი-
თა მიქნიეს. არამედ კაცობრივმან უძღურებამან და ადგილსა გეე ვი-
თარსა ვერ შეოფებამან. უფრორე ცოდვისა ძალთამან სიმრუღემან
მაქნია ესრეთ. და ნაკულელ ყოფიღი იგი მკვდრისა თანადვე არშითა
ზედა გინა კიდურთა იძიეთ მოწერილად. ზედ საჩინოებითა სამისა
წერტიღისა წითლურისათა. და განწესებულსა ადგილსავე თანა აღმო-
კითხეთ, და ნუ მწეევთ ამის ძალით უფაღნო, არამედ ლოცვა ყავთ
მშრომელისათვს უნდოსა მონოზონისა იოანესსა:“

სხლოიონი გეუთვნიან არსენის, როგორც მრავალნი შენიშვნანი

მწმობენ. თხზულება თარგმნილია ბერძნულისაგან. იოანე არის გა-
დამწერი არსენის თავდაპირველის დედნის კრებულისა.

მე-კბ-ის რვეულის პირველი ფურცლის მეორე გვერდზე სწერას:

„ადიწერა წიგნი ესე სულთა სარგებელი და უფროდსად ღ-ის
მოყუარე, კელითა, სიტყ-თა ამ-თ მამისა კაცისა მდაბლისა. და არა
რადს დირსების მქნებულსადათა: თათუეს იანვარსა. ინდიკტიონისა
სამსა: დასაბამითგან წელთა: ხოლმ: მილოცეთ უკ-მ მე ამის მ-რი-
სა სარგებელისა მომსთულებულსა ძმანო, ყოფადისა ცხოვრებისა. და
საცნაურისა სამოთხისა საშუებელსა, ვითარ¹⁾ იგი სრბამან სიტყუსა-
მან გამოაჩინა თანა-ზიარ ყოფად მუნ მხიარულ ქმნილთა თანა, წმი-
დათა ღუთისათა, მათუხს დამარხულთა შინა კეთილთა, ვინადათგან,
ვითარცა ჰხედავთ, კეთილი ესე საწურთელი ტაბლად უხრწნელად ყო-
ველთა კეთილთა მიერ აღსავსედ განგჰფინე წინაშე თქუტნთა, მხიარ-
ულ მეოფელად სელთა, თქუტნთაგან მკუთნველობისა ამათისა ტკიფ-
ნეულობითა მესიებელთა და სურვიელთა ცხოვრებად დაფარულითა ცხო-
ვრებითა ქრისტეს თანა, უფლისა ჩუტნისა. ამინ“.

ამაზე ამას შენიშვნა აქვს ასეთი: „თუთ ამის დირსისა მამისა
საკითხავთა ამათ გამომეტყუელისადა არს ანდერძი ესე:“ მე-კმ რვე-
ულის პირველ ფურცელზე: „ესე მე ესრეთ ვიოფლე აქამომდე. არსენი“.
ქვემოთ: „ოჯნდომან მეცა მიერვე ვაზეორე: იოანე“. შენიშვნები და
არსენის შესახებ ცნობები აქ იგივეა, რაც წერა-კითხვის საზოგადო-
ების ხელთნაწერი № 1463.

18. ოქროს ნეკტარი იოვანე დამასკელისა, in folio, დიდი ფორ-
მატისა, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, მე-XVIII სსუკ. ხელით. ეს
გაკრძელება არის არსენის კრებულისა. 740 გვ. ერთ ადგილს წით-
ლურით ამაზე უწერას: „არსენისა მისრული მდუმეს იტუვის დავით
მეფე: მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს არსენი დაროჯიდი ჭამა.
მარჯუტნასა გუტრდსა ზედა წვა, ნოსელსა იკითხვიდა და დოღმატი-
კონსა აწამებდა, და ცვლსა სოფიო წმიდასა იგივე მარტოე იქმო-
დაო“. მე-700 გვერდზე ლექსი კახური.

1) ამ სიტყვიდან წერა-კითხვის საზოგადოების ხელთნაწერიდან ვუმა-
ტებთ № 1463.

„თჳს ეჳვის კბილთა, ირეკ წინათა,
იღრჳენ შუათა, იკრეჳ უკუანათა“.

ზემო ნაჩვენები ორი ხელთნაწერი წარმოგვიდგენს კრებულს თარგმანთა არსენი ვახეს ძისა, რომელიც არის არსენი იუაფთოელი. დავით აღმაშენებლის თანამედროვე. ამგვარი ხელთნაწერი მოიპოვება ეტრატზე ნაწერი კიდევ გელათის მონასტერში და სხვა ჩვენს წიგნთსაცავებში, მაგრამ უველას სჯობია და უველასზე უფრო ძველია ქადაგდზე დაწერილი წერა-კითხვის ხელთნაწერი № 1463. ამ ხელთნაწერის შესახებ ცნობებს ჩვენ ცალკე დაგებულად.

19. რომისა განდგომისათჳს მართლმადიდებლობისკან, in 4^o, ნუსხა ხუცურით ნაწერი მე XIX საუკუნისა. 42 ფურცელი. უკანასკნელ ფურცელზე მხედრულათ აწერია: „რომანოზისა ვარ“. და შემდეგ: „არღარა ვარ რომანოზისა, მის მიერ მიღებულ ვარ ანტონი არხიმანდრიტისადმი 1839 წელს სეკდენბრის 10“.

20. სჯულის კანონი ანუ ნომოკანონი, დიდი ხელთნაწერი, in folio, დიდი ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, მე-XVIII საუკუნის ხელით, 1052 გვ. ბოლოს უწერია: „ღმერთო, შეიწყაღე ფრიად ცოდვილი ამისი მწერალი ქართველი ლაზარე ამინ“. ქვემოთ თარიღი ვიდასაც განგებ წაუბღაღავს და ქვემოთ სამხური წარწერა აქვს. ზემოთ სიტყვა „ქართველი“-ს წინ მერმენდელი ხელით მიმატებულია: „სალაჳია“.

თავში ცალკე ფურცელზე მხედრულათ უწერია:

„ქ. ეჳა შენ ზეტათა მეუფისა დედაო უხრწნელო ქალწულო დედუფალო მარტვილთა ღმრთის მშობელო. ჩვენ მარადის საფარველისა თქუენისა მონღობილმა დადიანის ბეჳანის ძემან ჳეონდიდელ მიტროპოლიტმან გაბრიელ შემოგწირეთ წმიდა და ჰატოისანი სჯულის კანონი ესე სულთა ჩვენთა სახსრად და საოხად და ცოდვათა მისატეგებლად. ოდეს კულად (კად) ხელახლა წიგნი ესე შუაკვრეუინოთ, დთის სიუვარულისათვის ჩემს მოხსენებას წიგნსა ამას შინა ნუ დაავადებთ, რათა თქვენცა ხსენებულ იქმნეთ სასუფეველსა შინა ცათასა. აწ ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, გინა დიდმან ანუ მცირემან, გინა ჳეონდიდელმან წმიდასა ამას ეკლესიასა შენსა გამოსწიროს, შეჩვენებულმიც იქნების ჰირველ დაუსაბამოისა დთაებისკან და დიდისა

ამის შენის კათოლიკე ეკლესიისაგან მისი ნაწილი და საუკუნო იუ-
დასთანამც დაემკვიდრების და მეორედ მოსვლას ჩემის ცოდვის მა-
გიერათამც განიკითხვის მართლმსაჯულისა ღთისაგან. ამინ. ხელთ
დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხენს ღთს. აღიწერა ქტეს აქეთ.
ჩდმ:—“

მეორე გვერდზე ხუცურად სწერია:

„მოხსენე უფალთ სასუფეველსა შენსა წიგნისა ამის აღმწერი-
ნებელი და წის მარტვილის საუღრისა შემომწირველი დადიანის ბე-
ჟანის ძე ჭეონდიდელ მიტროპოლიტი გაბრიელ ამინ“.

21. შემოკლებული სჯულის კანონი. სჯულის კანონი მეექვსისა
კრებისა და სხვა, ნუსხა ხუცური, in 4^o, 80 გვერდი. ბოლოს სარ-
ჩევი აქვს და შემდეგ სწერია:

„აღიწერა წელსა ქეს აქეთ: ჩუკთ. ივნისის დღესა: ე: მარტვი-
რის სვეტშიდ:“

ტექსტის ბოლოს:

„წმიდანო მამანო, რომელიცა იკითხვიდეთ წიგნისა ამის, ლოცვი-
თა მომიკსენეთ მე უღირსი და ფრიად ცოდვილი მღვდელმონაზონი
და დაუღებოთ მდგომარე სვეტსა მარტვირის მონასტრისასა. რა-
მელიც მუნ თჯთ აღვწერე და ნაკლულებანებისათვის შენდობას ვით-
ხვ, რამეთუ არა მიხილავს რსტატი, რათა მისგან მიმეღო სწავლა,
უფალნო ჩემნო“.

22. ძეგლის წერა მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა, რა-
მელსა შინა ვაკურთხევთ მართლ-მადიდებელთა აღმოსავლეთისა და
დასავლეთის კეისართა, ჰაჰათა და ჰატრიარხთა და სხუათა მღვდელ-
მთავართა, in 4, ლურჯ ქაღალდზე მხედრულათ, მე-XIX საუკუნი-
სა, 10 გვერდი. ბოლოს უწერია:

„1824 წელს, მარტის 12, ვიუიდე წიგნი ესე ძეგლის წერად
სახელდებული მე ილუმენმა ანტონი გიორგის ძემ დადიანოვ და კელ-
თა წიგნისა ამის მიმღებთა გთხოვთ ჩემდამო შენდობისა ბრძანებასა.
ანტონი დადიანოვ(sic)“.

23. გუჯანი, in folio, შუა ფორმატისა, რა სვეტად, ნუსხა
ხუცურით, 2442 გვერდი. გადაწერილი 1736 წ. ბოლოს კინოვა-
რით სწერია: „განსრულდა სადიდებლად ღმრთისა ამინ. ღმერთო

შეიწყოლე წუღუკიძე მერაბი. მე-2432 გვერდზე: „დმერთო შეიწყოლე ამ დავითნის შემამკობელი წუღუკიძე მერაბ მრავალ ჟამიერ უოს“. მერაბ წუღუკიძე კიდევ სხვა მრავალ ადგილს იხსენიებს.

მე-2353 გვერდზე: „ამ გულისწი წერაზე და შეკრვაზე იონა ხარაბიძე იყო შეღუნეთ და ღუნოს არ გვაკლებდა“... (ლოცვა მისთვის).

მე-2192 გვერდზე: „დიდება დმერთისა, სრულ მეოფელსა უფლისა კეთილისსა: მე წუღუკიძემან მერაბ ვიგულე და ვიგულსმოდგინე წიგნი ესე, შევამკულ და გავაკეთე წმიდაჲ ესე გულისწი უფლითურთ სრული და უნაკლულად და შევსწირე ხატეკს დასუწნებულს მაცხოვარს ჩუწნად სადღეგრძელად და სულისა ჩუწნისა სახად და ძეთა ჩუწნთა აღსაზრდელად შემომიწირავს... (წუგვა ვინც გამოსწიროს). შეიკრა წიგნი ესე გულისწი ქვინს: უკდ: ოთხას ოცდა ოთხსა:.

მე-1972 გვერდზე: „დმერთო შეიწყოლე ამ თუწნის დამწერი მღვდელი მახარობელი უსამართლოდ გადარბებული“...

მე-733 გვერდზე: „უფალო იჯ ქრისტე ჩნო, დაიცევ ორთავე შინა ცხორებასა ცოცხლით დღეგრძელობით გენათელ მიტროპოლიტი დავით ნეუსაძე და ახმარე თვე ესე სიმართლისა და [მშვიდ]ლობაში და“...

„დმერთო შეიწყოლე ფრიად ცოდვილი და უოველთა კაცთა უნარჩევესი.. მხსრეკელი ასათიანი“...

მე-657 გვერდზე, კვინკლასის ბოლოს:

„ესე სჯულიერი კინკლასი მე ზებედეს დამიწერია წუღუკიძის მერაბისათვის დმერთმან ახმაროს“...

მე-652: „დმერთო მთიკისენე ამ წიგნის უცებად დამხსრეკი ნიკოლოზ (ნკზ):.

წ.: აქა ჩიქულასემ კიორკიმ წუღუკიძემან ცხენი მომხარა. ჩემი ცხენი ვსთხოვე და მეც გამლანა... (სწუგვლის ქერდს). გურნული ჩიქულასე არის. ღწ დასწუგვლას“.

მე-1186 გვ.: „დმერთო, შეიწყოლე კიორკი წუღუკიძე და მეუღლე მისი, ძე და ასული. ვამე ცოდვილმან და უღირსმან ამის უკეთ არ ვიცოდი, რაც რომ გამეწუგობდა, ჩემი საცადი არ დამიკლია. დედანში ბევრგან წაშლილი იყო. სამი თვენი თედორე ძაცულის დამიწერილია“.

მე-446 გვერდზე: „მოიკსენე ღმერთო სასუფეველსა შინა შენსა ჩიჯავადის ქალი ანაჲ და ცხონებულთა ნაწილთა ღირს უავ ამინ: . უფალნო და ძმანო ჩემნო, ვინცა ამა წმიდათა მარხვანთა მიემთხუფნეთ, ჩიჯავადის ქალის შენდობასა ბრძანებდით, ამისთვის რამე ქრისტიანი (ქენი) და ჩუჭნის კაცის ზატივის მცემელი იყო: და ამის წერაზე-დაც ჩემზედა ბევრს ირჯებოდა: .“

მე-328 გვერდზე: „ღმერთო, მოიკსენე ამის დამწერი ნიკოლოზ (ნკზ) ან და კანს: .“

უღის ფურცელზე მხედრულათ: „ეს საღმთო წერილი ეკუთვნის საირმის მონასტერს“.

მე-990 გვერდზე: „ამ გუჯანის წერაზედ ჩიჯავადის ქალი ანიკა კარგათ კელს გავწობდა, ღან აცხონოს“.

მე-2173 გვერდზე: „ღმერთო და უფალო იჯ ქსო, შეიწყალე და აცხონე ამისი მწერალი მთავარღიაკონი ცოდვილი დავით...“

მე-2080 გვერდზე ღმერთო (აქ ვრცელი შესავალია და ბევრი წმიდანებია ნახსენები) ადგილსა... ნათლისასა და ადგილსა განსასვენებელსა დაამგვიდრე სული გიორგი წულუკიძისა ამინ“...

მერმენდელი წარწერა უკანასკნელ ფურცელზე მქრალის მეღნით და უშნო ხუცურით გვაუწიებს, რომ ეს დაძლილი წიგნი ხელმეორედ შეუკაზმავს და გაუკეთებია მღვდელმონაზონს სიმონს 1862 წელს.

24. თთვენი ანტონ კათალიკოსის შესწორებული და მასი რედაქციით გამრცემული, in folio, დიდი ფორმატისა, ნუსხა ხუცურით ორ სვეტად, 817 ფურცელი. ბოლოს უწერია: აღიწერა კელითა ნიკოლოზ სიონის დეკანოზისათა 1779: შიგა და შიგ მოიხრეება ანტონ კათალიკოსის მიერ თხზულნი საგალობელი, ქართველთა წმიდათანი. წინასიტყვაობა ანტონისა ძრიელ საუურადღებოა. აქედან ვტყობილობთ, თუ რა გაჭივრებით შეუდარებია ანტონს სლავიანურის და ბერძული თთვენისათვის ქართული თთვენი. თთვენი იწიება სექტემბრით და თავდება დეკემბრით, შემდეგ საგალობლების რვა კმა. თთვენის ბოლოს ვკითხულობთ:

„აღიღენ უფალმან მრჩობლითავე ცხონებითა ქართლისა და კახეთისა დედოფალი დარეჯან, რომლისა ბრძანებითა და საფასითა აღვსწერე ოთხნი ესე თთჴნი, სრულიად შემკობილნი ტზბიკონითურთ,

მე უფლად უდირსმან სიონის დეკანოზმან ნიკოლაოს: დასაბამითგან
წელთა: კსპზ: ქკს აქთ. 1779: ქკს. უფზ:“

პირველ ფურცელზე წარწერაა ლამაზი მრგვალი მხედრულის
ხელით, რომელითაც დარეჯან დედოფალი ამ წიგნს სწირავს მ-
ნასტერს:

„...უფლად წმინდასა მარტუილთა ღთისმშობელსა შემოგწირე
ესე წიგნი დადიანის ასულმან საქარაუჭლას დედოფალმან დარეჯან:
მათის უმაღლესობის მეფის მრავალწელობად: და სახად სულისა
ჩუჭნისა, და მიცნულებულთა ჩუჭნთა: და ძეთა და ასულთა ჩუჭნთა
აღსაზრდელად ამინ:“

25. იგივე თთვენი, იწეება იანვრიდან და თავდება აპრილით,
გადაწერილია, როგორც მხედრული ბოლოსიტუვობა მწმობს, იმავე
დარეჯანის ბრძანებით 1778 წელს მღვდელ-დეკანოზის ალექსის შვი-
ლის სოლომონის მიერ: „სრულ იქმნა ნაემბრისთვის კთ ქკს უფგ.
უდირსი ვინმე და უნდო მღვდელ-დეკანოზი. ალექსის შვილი სო-
ლომონ შენდობის მოქენე ვარ:“ 189 ფურცელი. თავში ისეთივე წარ-
წერა აქვს დარეჯანისა, როგორც პირველ წიგნს. პირველი ფურცე-
ლი ფერადებიანი თავსართი მხატვრობით (ზასტავკით) არის შემ-
კობილი.

26. მესამე წიგნი ანტონ კათალიკოსის თთვენისა. იწეება მაი-
სიდან და თავდება აგვისტოთი. 171 ფურც. თავში ჩვეულებრივი
წარწერა დარეჯან დედოფლისა. გადამწერი არა სჩანს. ხელი განირ-
ჩევა წინა ტომების ხელიდან, უფრო მდარეა¹).

27. სადღესასწაულთ, in folio, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად,
მთლურჯო ქაღალდზე, კეკუთნის მე-XIX საუკ. დასაწყისს, 478 ფ.

28. სადღესასწაულთ in 4^o, პატარა ფორმატისა, ნუსხა წერი-
ლის ხუცურით, დაშლილი, 510 ფურცელი, თავი და ბოლო აკლია.
მე-XVIII საუკ. ხელით.

¹) ასეთი ხელთნაწერები ანტონის შრომისა მოიპოვება წერა-კით-
ხვის საზოგადოების წიგნთ-საცავში, საქართველოს საისტორიო და სა-
ეთნოგრაფიო საზოგადოებაში და საეკლესიო მუზეუმში.

29. სადღესასწაულად, in 4^o, წვრილი ნუსხა ხუტურით. 680 ფურცელი. მე-XVIII საუკუნის დასასრულის ხელით. ბოლოს მე-მენდელი მხედრული წარწერა: „1850-სა წელსა მივიღე წიგნი ესე ძმისა ჩემისა ჰეტრე ნიკოლაოზის ძის დადიანოვისაგან მე ეპისკოპოსისაჲს ჭყონდიდელისა ანტონიმ და რამელს ეკლესიაზედ მე დავომარხე, ვინც ეს წიგნი იმ ეკლესიას გამთხუას, შეჩუბნებული იუას ღუთისაგან. ეპისკოპოსი მენდრელიისა ჭყონდიდელი ანტონი“. შიგნით ერთ ფურცელზე მხედრული წარწერა:

„მეზოძა მისი მალაჲ უფლად სამღვდელთების უფლის ცაგერელ მიტროპოლიტის იოანე დადიანის ძისაგან სახსოვრად მის მიერ ჩემდა მო განუჭრუელის მეგობრობითის სიუფარულისა. წელს 1816, აგვისტოს: 14 ნიკოლაჲ დადიანოვი. შიგა-შიგ მრავალი ლამაზი ასომთავრულებია წითელის და შავის მეწნით ნახატი.“

30. ჰარაკლიტონი, წვრილი ნუსხა ხუტურით, 139 ფურცელი, თავში თავსართი მხატვრობა — „ზასტაჲვა“ — აქვს და სათაური გრეხილიანი ასომთავრულით და წითელის მეწნით. ბოლოს უწერია: „განმობრძდა მწირობაჲ ჩემი ქენასა მას მეგრელთასა და ვიჟაჲ რაჲ ხელოვან მწერლობისა შევემეტნე უფალსა (ოჯა), რამლისა მიერ იპურობდა უფუელივე ოდიშ-ჯეჩხუმი და სვანთა თანა აფხაზეთი. და მეორედ პურობისა შემდგომად, ოდეს განაკებდა კეთილად გამგებელი კეთილ მორწმუნე დადიანი გრიგოლ, მას ჟამსა გულის მდგინებისა მიერ მათისა მეზოძისა მე მონასა მისსა სადმერთისა ამის და ნუგეშინისცემითისა ჰარაკლიტონისა აღწერაჲ. ხოლო ოდეს მიბრძანა მიერითგან აღვსწრაფე და დაუღვე თავსა შინა ჩემსა შრომა არა მტირედი. და ჯერეთ გამოუცდელმან მეზოძ აღწერისამან ვიწეე ნუგეშინისცემითი ესე თუთ მხოლომან თუნიერ მეორისა შეწეგნისამან, გარნა ხოლო მხოლომასა ღმრთისა. და ძალისა ჩემისაებრ სიმართლესა და განკეთილებასა ვეცადე და რეგორცა ახალი ჰარაკლიტონი მითხრობდა, ეგრეთ ვსწერდი. გარნა ვინაშთგან მტომი არს ბუნება კაცობრივი, იხილეთ თუ შეცთომა, შემინდუთ(sic) სიუფარულისათჲს სული-სა, რამლისა მიერ თქნცა მთიგოთ ცთომათა თქნთა შენდობა დღესა მას სიტუჯს გებისასა საშინელთა მსაჯულთა მიერ:“

ბრძანებთა კეთილმსახურის დადიანის გრიგოლისათა დროსავე

თანამეცხედრის თვისის კეთილმისხურის და უმაღლესის სსქართველს მეფის ასულის მეფის ნინოს და კეთილმორწმუნეთა ძეთა და ასულებს თვისთა: აღიწერა წიგნი ესე ნუგეშინისცემითი, რომელ არს ჰარაკლიტოს, ჰალატსა სსმეუფის თაკვერს კელითა მდივანი გიორგის ძე მმდივანი გიორგისითა: „

შემდეგ მხედრულად:

„მივიღე წიგნი ესე ძმისა ჩემისა ჰეტრე ნიკოლაოზის ძის დადიანოვისგან მე ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან ანტონიმ და რომელს ეკლესიასზედ მე დავიმარხო, ვინც ეს წიგნი იმ ეკლესიას გამაჩნდეს, შეჩუბნებული იყოს ღუთასაგან: თვთ ხელითა ჩემითა ვამტკიცებ წარწერილობას ამას მე ჭყონდიდელი ანტონი“.

ეს ანტონი ჭყონდიდელი ერთი ნუსხის მიხედვით დაიდგინა ეპისკოპოსად 1843 წ., გადაიცვალა 9 დეკემბერს 1852 წელს.

პირველ ფურცელზე მხედრულათ: „ეს ჰარაკლიტონი ხელწერილი მიბოძა მისმა უმაღლესობამ იმერეთის დედოფალმან მარიამ მე წერეთელს გრიგოლს წელთა ქესით ჩუთ მაისის ა. გრიგოლ“.

შემდეგ: „და მე გრიგოლ წერეთელმა მივეც ეს ჰარაკლიტონი ოდიშელს მღუდელს ჩინლაძეს დავითს. და ვინც მძლავრობით მისცატოს, იყოს შეჩუბნებული და წუგული და კრული თვთ ერთაძისს სამეპისაგან. გრიგოლ“ ბეჭედი |.

შემდეგ სხვა ხელით: „ვივიღე ზემოხსენებული მღუდლისაგან სსათნო სსხმარად: თ. ნიკოლაო დადიანო“.

31. მწუხრის და ცისკრის განგება და სხვა, in 4^o, ნუსხა ხუცურით, მე-XVIII სსუგუნისა, თავი და ბოლო აკლია, უედო. 162 გვ.

32. ჟამის წირვა ანუ სსდმთო ლიტურჯია იოანე ოქროპირისა და ვასილი დიდისა, ნუსხა ხუცურით, 107 ფურც., in folio, შუა ფორმატისა, მე-XVIII სსუგ.

33. კონდაკი ანუ წესი სსმღვდელმთავრო ლიტურჯიისა და სსმღუდელონი კელის დასხმანი. აქვე ოქროპირის და ვასილის ჟამის წირვა. ნუსხა ხუცურით, in folio, შუათანა ფორმატისა. 218 გვ. ბოლოს უწერია:

„განსრულდა წელსა ქესით ჩუთა, თთვესა მაისსა ა: აღვაწერინე კონდაკი ესე ცაგარელ მიტროპოლიტმან იოანემ (იქემ), ძემან და-

დიანის კაცისამან, მწერალს გიორგის, რომელიც შენდობას ვმოქმენობ უოველთაგან:“

ჩვენი ნუსხის მიხედვით ეს ცაკრელ მიტროპოლიტი დაიბადა 1777 წელს, ეკურთხა მიტროპოლიტად 1800 წ., გადაიტვალა დეკემბრის 8-ს, 1823 წელს.

34. საღმრთო ჟამის წირვა იოანე აქროპირისა და ვასილი დიდისა, in folio, შუა ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, 230 გვ., მე-XVIII სსუკ. დასასრულისა. სათაური ასომთავრული გრებილით. დასაწყისი: „ვითარ ჯერ-უჩინეს წირვა ჰატრიარხსა მსგავსად შემდგომთა მღჭდელ-მთავართა“. აქროპირის წირვის ბოლოს: „ქე აღიდე რთავე შინა ცხორებათა და კეთილად აკმარე, რომელმანც კელად მიიღოს წიგნი ესე:“... შემდეგ ვინაობა განკებ წაბდალულია (ვგონებ იკითხება: მე ნიკოლოზ აფაქიძეს).

35. საღმრთო მსახურება იოანე აქროპირისა და განტეგება საუფლოთა დღესასწაულთა, in 4^o; ნუსხა ხუცურით, მე-XIX სსუკ. ხელით, 53 ფურცელი.

36. ჟამის წირვა იოანე აქროპირისა და ბასილი დიდისა, in folio, შუა ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, მელანი ცუდი უოფილსა და ქალადი შეუჭამია. 93 ფურც. მე-XIX სსუკუნის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს.

37. განმარტება ეკლესიისა და კურთხევა ეკლესიისა დომენტი კათალიკოსისა და სხვა. პირველი რი სტატია გადმოწერილია ნაბეჭდი წიგნიდან¹⁾. in 4^o, ნუსხა ხუცურით, 213 გვერდი. პირველ სტატიის ბოლოს უწერია: „ესე საუდრის კურთხევა და სხვანიცა უფალმან ცაკრელ მიტროპოლიტმან იოანე, ძემან კაცია და-

1) კათალიკოზს დომენტი III დაუბეჭდია ხუცურად ვახტანგ მეფის შემოღებულს სტამბაში წიგნი სათაურით: განმარტება ეკლესიისა, კურთხევა ეკლესიისა და კურთხევა ოდიკისა. ეკლესიის კურთხევის წესი ახლად უთარგმნია ბერძნულისაგან სამთავნელ ეპისკოპოსს კვიპრიანეს დომენტის ბრძანებით. წიგნის ბეჭდვა დაუწყიათ 1719 წელს, როგორც შესავალი უჩვენებს, და დაუმთავრებიათ 13 იანვარს 1720 წელს, როგორც წიგნის ბოლოს თარიღი უჩვენებს. ამ ნაბეჭდი წიგნის ცალი შევიძინეთ ჩვენ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო წიგნთსაცავისათვის.

დიანისმან, აღმაწერინა, რომლის დედანი იყო ძველი სტამბა ვახტანგ მეფის საქართველოდ და თუმცა შეცთობილება იხილათ, მენუ მბრძოლეთ, რაც დედანში იყო, ისე გადმოვსწერე მე მღუდელმან კაბაშვილმან ასე: ფებერვლის ივ: წელთა ჩუი: და ვითხვო უთა მრ შენდობასა ცოდვლი და უღირსი მონა თქნი:“

მეორე ნაწილის ბოლოს:

„მისმა უფლად უსამღუდლოესობამ ცაკერულ მიტროპოლიტმან იოანე აღმაწერინა მეორე ესე კურთხევაჲ ეკლესიისა მე მღუდელსა ასეს კაბაშვლსა თთჳსსა ივნისსა. ზ. დღესა ოთხშაბათსა, რომლისა კსენება იყავნ საუკუნოდ ამინ. წელთა ჩუი: აწ მეცა ვითხვო შენდობასა აღმომკითხველნა ამისნა“.

38. კურთხევა ეკლესიისა, ოდიკთა და სხვა, in 4^o, ნუსხა ხუცურით, 111 ფურც., თავში წითლურით უწერია:

„წელსა. ჩლო: თთჳსსა დეკემბერსა კვ: მეფობასა კეთილ-მსახურისა ირაკლი მეორისა დაუითიან ბაკრატოანისსა: და მამათ-მთავრობასა ანტონი მეფის ძისა დაუითიან ბაკრატოანისსა:“

• აღიწერა წიგნი ესე კურთხევა ეკლესიისა და ოდიკთა. და ეგრეთვე სხუანიცა, რომელნიცა შვენიან განწმედასა საკურთხეველისსა, და ამას თანა წესი და ცერემონია სამღუდლომთავროდსა წირვისა თანა ჩართულისა კელის დასმაებითა: და ეგრეთვე სამონაზნოდსა ჩონის კურთხევის წესი: რომელიცა ყრიადისა გულს მოდგინებითა ვიმხარკე შოვნად წერილთა ამათ: რამეთუ ძულ საშოვნელ იყო: უღირსმან მღუდელმან ანჩისხატის დეკანოზმან გიორგიმ:“

39. წესი გარკებებისა და ხელდასხმისა მღვდელმთავრობითისა, ნუსხა ხუცურით, ლურჯ ქაღალდზე, 42 კვ., მე-XIX საუკუნის დასაწყისისა, ქაღალდის უღით, რომლის მეორე გვერდზე სწერია: „წელთა ჩუთ ჳრუჭით“.

40. შეფიცების წიგნი, in 8^o ნუსხა ხუცურით, ქაღალდის უღით, 56 ფურც., მე-XIX საუკუნის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს. ბოლოს მხედრულათ უწერია: „1824 წელსა მარტის 12 ვიუიდე წიგნი ესე შეფიცებისა მე იღუმენმა ანტონი გიორგის ძემ დადიანოვ და ვინცა მიიღათ, შენდობა მიბრძნეთ“. წიგნი იწყება იოანეს სახარების ზირველი თავით.

41. ჰაკაკლისნი ყოველთა წმიდათანი, ათ-რიცხვედნი, in 8^o, მხედრული კაკრული ხელით, 227 გვერდი, გადაწერილია, როგორც ბოლო-სიტყვაობა უჩვენებს, ბრძანებითა საიკმის მონასტრის (ლეჩხუმშია) წინამძღვრის კირილესითა მღვდელ-მონაზონის ნიკიფორეს მიერ. ბოლოს: „მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე. ავსწერე და შეგკარი. აღიწერა 28 დეკემბერს 1857 წ. საირმე“.

42. სვინაქსარი, in 8^o, ნუსხა ხუცურით, 716 გვერდი. კუთვნიება საიკმის მონასტრს. თავში სწერია: „სვინაქსარი, რომელ არიან წესნი და განგებანი წათა მოწამეთანი“. თავში მხედრულათ მე-XIX საუკუნისა: „ღმერთო შეიწყალე ალექსი დეკდორიანი“. წიგნი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკ.

43. სვინაქსარი, in folio, ნუსხა ხუცურით, მე-XIX საუკ. ხელით, 210 ფურც. ბოლოს უწერია: „მებრძანა მათის მალაღ ყოვლად უსამღვდელოესობის სრულიად სამენგრელოდს სამთავროს მიტროპოლიტი დავითისკან მე გურულს მდივანს გიორგის აღწერა სულთა განმანათლებლისა წლით წლათ ერთა წმიდათა მომკსენებელისა სვინაქსარისა აღწერაჲ და აღვსწერე წმიდა მარტჯლის მონასტრისა შინა სჯნაქსარი ესე... ვიწუე დეკემბერის. კ. და აღვასრულე ივნისის: 6“. ხელთნაწერის ქაღალდს ნიშანი აქვს 1830 წ.

44. ტჯიკონი, in 4^o, ნუსხა ხუცურით, 146 ფურც. ბოლოს უწერია:

„იჯ ქე მეუფეო დიდებისაო, ადიდე ორთავე შინა სუფეგათა შენ მიერ დიდ ქმნილი და ძლევა შემოსილი და ყოვლადვე ზეშთა ამაღლებული ჰატრონი დადიანი ოტია. ეგრეთვე თანა მეცხედრე მათი დედოფალთ დედოფალი ჰატრონი ერისთვის ასული გულქან და ძენი და ასულნი მათნი მშჯდობით აღზარდე: რომლისა ბრძანებითა აღიწერა წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი ტჯიკონი მოსაკსენებელი ყოველთა წმიდათა და შემამკობელი კათოლიკე ეკლესიათა და წმიდათა დღესასწაულთა განმმუჭნებელი: შენ უხუად მომცემელო ნიჭთაო, მიეც სასუიდელო შრომათა მათთა და განუხუჭნ კარნი სასუფეველისანი ან. დაიწერა წიგნი ესე კრნიკნს(sic):. ოთხას ოცდა ექუსსა:.“

ქრონიკონი უდრის 1738 წელს.

45. ტიბიკონი, რომელ არს ქცევა და წესი ეკლესიასთა, in 4, ნუსხა ხუცურით, ლურჯ ქაღალდზე, ქაღალდის უდით. ეს ტიბიკონი შემოკლებულია, ანუ გამოკრებული, მე-XIX საუკუნის ხელით, 117 გვ. ჰკუთნებია საირმის მონასტერს. ბოლოს მხედრულათ სხვა ხელით: „ეს გამოკრებული ტიბიკონი ჩემს წინამოადგილეს მღვდელ-მონაზონს იოანეს მძაბრული ქონებია. მე შევიტყვევ, ვეცადე, ვიზიჯე და როგორც იქმნა ამოვიგე და ესხა არის საირმის მონასტრის 1857. გამგებელი მონასტრისა კირილე“.

46. მარტირიკა ანტონ კათალიკოსისა, in folio, შუა ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, 668 გვ. ბოლოს უწერია: „ადიწერა წიგნი ესე რომელსა მარტირიკა. მწამეთა ქართუჭლთა შესხმა და მოთხრობა. ბრძანებითა მისის უფლად უწმიდესობისა უფლისა ზემოღსა საქართუჭლადსა მამათ მთავრისა ანტონი მეფის ძისათა, გამთქმული მის მიერვე. რომლისა საუკუნო იუაფნ ჰკსუნება. ჩემ მიერ უფლად გლახაკისა ტფილისის ქალაქს სიონის ეკკლესიის ჰროტობრეზვიტერის ნიკოლაოსის მიერ. რომელი მოქენე ვარ მხილუჭლთად ცთომილთასა შენდობის მოცემასა: წელსა: 1769: ნოემბერს, 28 დღეს:“

ანტონ კათალიკოსს დაუმთავრებია მარტირიკა, როგორც აღნიშნულია პირველ გვერდზე:

„წელს დასაბამითგან სოფლისა. 7278:

კორციელად შობითგან სიტყუსა ღვისა. 1769:

თათუჭლსა მეთურთმეტესა. რიცხუსა. 19:“

აქედან სჩანს, ზემოხსენებული ხელთნაწერი ერთი პირველთაგანი პირია დედნისა.

47. რიტორიკა მეხითარისა, თარგმნილი ანტონ კათალიკოსისა, in 8^o, ლამაზი მრგვალი მხედრულის ხელით. 166 ფურც. მე-XVIII საუკუნის დასასრულს ეკუთვნის. ბოლოს უწერია: „იღუმენი ანტონი დადიანოვისა ვარ“.

48. ღოდიაკა ანტონ კათალიკოსისა, in 4^o. 223 გვერდი. ნუსხა მხედრულის ხელით. ბოლოს უწერია:

„ადიწერა კეფითა მიქელაძე ბერის გრიგორისითა წელსა 1833, იანვრის 2:“

გადამწერი ამ წიგნისა გრიგორ მიქელაძე ჩვენი ნუსხის მიხე-

ხედვით ხობის მონასტერში განწესებულა არხიმანდრიტად 1806 წელს, გადაცვლილა 1836 წელს.

49. მიმოსვლა ტიმოთე მიტროპოლიტისა 1752 წელს იერუსალიმს და ათონს. შემდეგ საეკლესიო წერილები: ერთობისათვის და სიუვარულისათვის წათა ეკლესიათა; აგარიანთათვის სიტყვის გება; დღესასწაულთათვის ღთის მშობლისა; ნესტორის მწვალებელის წინააღმდეგ სიტყვანი და სხვა. in 4^o, მე-XVIII საუკ. მხედრულად. 260 ფურც.

50. იონა ხელაშვილის ავტოგრაფი, თარგმანი წინასწარმეტყველებათა, ახლისა აღთქმისა და სხვა მისი სწავლანი ავტორის ავტობიოგრაფიული ცნობებით. 467 გვერდი, in folio, დიდი ფორმატისა. შეადრე საეკლ. მუზ. ხელ. № 7. უშნო მხედრულით. უკანასკნელი სტატია იწეება ასე:

„კ^o. სადა არს სიუვარული წმიდა“. დასაწყისი: „წინასწარმეტყულებს ისაიასი, თავი პირუჭლი“. უდის მეორე გვერდზე: „მამა იონა ატცხრამეტსა წელსა და ცხრა თთუჭსა მდჳდელ მონაზანობს: სამი ათასი უწირავს. სიწმიდით განახლების გარდა. ესრეთ ღირსჳყოფდმერთმან მსხურებად თვსად: წელსა 1831-ს თთუჭსა ივნისის 29-ს დღესა ორშაბათსა:“ პირველ ორ ფურცელზე იამბიკონი მეფის ძეთა იონასადმი.

51. მილანქრიანი უდა ჰატარა ტანის სახარებისა, 8 × 6 სანტ., თვით ხელთნაწერი აღარ არის. ერთ პირზე გამოხატულია ჯვარცმა წინამდგომებითურთ. მეორეზე აღდგომა ქრისტესი. წარწერები სურათებისა ბერძნულია. აშეები შემკობილია ძვირეულ ხშირი ზურმუხტებით და სხვა ძვირფასი ქვებით. ხელობა მილანქრისა ლამაზია, მაგრამ საიშისო ძველი არ არის და სპარსულ გავლენას მოგვაგონებს.

52. შემოსავალ-გასავლის წიგნი მარტვილის მონასტრისა 1829-დან, და კარაბადინი, ჯურჯ ქალაქდზე, 254 ფურც. წიგნი დაშლილია, სრული არ არის, მაგრამ ძლიერ საუურადღებოა მარტვილის მონასტრის ისტორიისათვის მე-XIX საუკ.

53. ნაწიგეტები სხვა და სხვა ხელთნაწერებისა:

1) ერთი დიდი თაბახი ეტრატისა. ქვემოთ სათაური წითლური ასომთავრულით: „სწავლაჲ ზ^o რ^ა გ^o ნვიშორნეთ უ^o ისავე ბ^o რტი-

საგან და ვიქმადეთ კთილსა: “ ორ სვეტად ნუსხა ხუცურით მე-XI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. დასაწეისი ტექსტისა: „...წარმართნი ღვის მეცნიერ უვნა. მკუდარნი ადადგინნა: ეკლესიაჲ წარმართთაჲ ადაშენა. სასუფეველი ცათაჲ განგჯლო: ანგელჳნი და კაცნი შე- ართა...“

2) ერთი დიდი თაბახი ქადაგდისა ორ სვეტად ნუსხა ხუცურით, ქვემოთ ახალი სტრიქონიდან: „და ვითარცა ხუთისა წლისა უამთა ჭასაკად მოვიდა. და მიეტა იგი მოძღუარსა სწავლად ღთივ სულიერ- თა წერილთა“.

3) რამოდენიმე ფურცელი წიგნისა - ვერ ჯერარს მდღელთა, რამე- ლი დგეს წე წა საკურთხეველისა“ და კითხვა-მიგება გრიგოლი დვთის-მეტეველისა. ბოლოს უწერია: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი მღვდელ მონაზონი მწერალ-მღივანი ძეკლისწერითგან ვი- დრე აქამომდის ამისი დამწერი იე პატარიძე: და მეუღლე მისი თანანა: ძენი და ასულები მისნი: მამა დედა მისი: და უფულები ნა- თესავნი და მოყვასნი მისნი: მოიკსენე უფალო სასუფეველსა შენსა ფრიად ცოდვილი და გაუკითხვათ უმოწყალოთ შეუბრალებელი, ცხრა დღეს საპერობილეში ქვასა და კოშკში და ჭიხურში შეკდებული, სა- ში ბოროტით რკინის საქაშით დაკლიტული: კელშეკრული, ფიცარ- ზედ გაკრული, ოთხ კერძო საბლით კედლებზედ გაბმული, ფერკის გულში ცეცხლს შემოხთებული, ცხრა დღეს უსმელ უჭმელი, მერმე ორთოფ ნაკრავი, მერმე მძიმე ლოდით თავდასაქეწილი და გუჭმული და წამებული ამის მწერლის ძე იორდანე მოიკსენე სასუფეველსა შენ- სა“. ეს მე-XVIII საუკ. ხელისა. შემდეგ სხვა ხელთნაწერის ნაწილია სათაურით: „კითხვა მიგება წისა ათანასესი“.

4) ორი ფურცელი სძლისპირისა და საგალობელისა, ნუსხა ხუ- ცურით მე-XVIII საუკ.

5) ეპისტოლე სრულიად სამეგრელოს სამთავროს მიტროპო- ლიტისა ჭეონდიდლისა ბესარიონისა ჯავის სამწესოსადმი ლურჯე ქა- დაგდზე, რამოდენიმე ცალი. შეიცავს ათს მუხლს. ჩვენ ხელში გვაქვს ნუსხა ჭეონდიდლებისა 1811 წლიდან. ამ ნუსხის მიხედვით ბესარიონ ჭეონდიდელი დაიბადა 1765 წელს, ეკურთხა მიტროპო- ლიტად 1788. წელს, გადაიცვალა 1828 წელს, 15 ივლისს.

მოგვეყავს აქ ეკ ეპისტოლე:

„თანამდებობისამებრ ჩვენისა გასწავებით, გმოძღვრით და გაჩვენებთ შვილთა ეკლესიისა ჩემისათა სამღვდელთა გზასა სამეუფოსა სვლისა და არა მიდრეკად არა მარჯულ და არცა მარცხულ. ანდ საშვალსა მიმყვანებელსა ზეცისა იეროსალიმისასა თქმულთა და განწესებულთა წთა მამათაგან, რომელიცა შეუწყნარებებს წასა აღმოსავლეთისა ეკლესიასა:.

ა. პირველად ესე რაჟამს ნათელს ცემდეთ წესისაებრ განწესებულთასა ყრმათა და იყოს მიმქმელიცა მუნ და აღმოიქვას ყრმა ახალ ნათელ ღებული წული ანუ ქალი. დასწერეთ მღვდელმან სახელი მიმქმელისა და აღმოქმულისაცა და წელიწადი და თვეობა რიცხვით მის მონათლულისა და იყოს წერილი იგი ეკლესიასა შა, რათა არა იქმნას დავიწყებულ, ვინადგან მრავალი უწესობა შემოვიდა თვინიერ კეთილისა განხილვისა და გამოძიებისა მნათვლელისა და მონათლულისა, რათა არა იქმნას ერთისა აღმომქმელისა აღმოქმულნი ერთი ერთისათანა მეუღლედ, ვინადგან არს ნათესაობა მათი, ვითარცა სისხლითი ნათესაობა ვიდრე მერვედ თავადმდე და მერვესა თავსა განიხსნების და იქორწინონ:

ბ. ვინადგან თვინიერ აღსარებისა არა ეგების ცხოვნება კაცისა, რათა სამწყსოსა შა თქვენსა მყოფთა მამაკაცთა და დედაკაცთა და ყრმათა შვიდისა წლისათა ასწავებდეთ. პირველად პირის ჯვარის წერასა და გამოსახვასა, ვითარცა შვენის ქრისტეანეთა. ვინადგან ჯვარისა ძლით გვიხსნა მეუფემან ჩვენმან საცთურისაგან ეშმაკისა და მერმე ასწავებდეთ ყლსავე ეკლესიისა წესსა და კანონსა შემსგავსებულსა, ვითარცა გასწავებებთ წერილი იგი სამოძღვრო, და იხილვიდეთ რა განწმედილითა აღსარებითა, მაშინ აწვევდეთ მიღებად წისა ზიარებისა შესამსგავსითა განკრძალვითა და სიფრთხილითა. ვინადგან თვინიერ ზიარებისა არა არს ცხოვრება სულისა ხმისაებრ საუფლოსა, უკეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისა და სვათ სისხლი მისი, არა გაქვნიდესთ ცხოვრება თავთა შს თქვენთა:.

გ. ქორწინებისათვის ესრეთ იუწყეთ: უკეთუ იყოს მამაკაცი ასაკოვანი და დედაკაცი უასაკო, არა იქმნების მათი შეუღლა, რომელსაცა აყენებს კანონი ეკლესიისა. და ეგრეთვე უკეთუ იყოს დედაკაცი ასაკოვანი და მამაკაცი უასაკო, არცა მათი შეუღლა შვენის, ვინადგან არს ესეცა მცნებისაგან წისა ეკლესიისა გარეშე. ანდ რათა იყვნენ ორნივე ასაკსა შა და სცნობდენ სიყვარულსა ერთი ერთისასა და არცა იყვნენ ორნივე მცირენი და უასაკონი. ვინადგან ვერა სცნობენ ერთი ერთისა სიყვარულსა და შემოვალს მათ შს უკანასკნელ სიძულილი და იქმნების მოქმედება ესე გარეშე მცნებისაგან წისა ეკლესიისა და განკრძალულ იყვენით

მღვდელნო ამას ზა, ვინადგან მრავალთა მღვდელთა შეემთხვათ ამის-
გნით დაბრკოლება:.

ღ. ესეცა ვისაცა კაცსა და ქალსა გვირგვინი უკუთხოთ, მის გვირ-
გვინ კურთხეულისა კაცისა და ქალისა სახელსა და გვარსა დასწერდეთ
და მამათა და დედათა მათთა, თუ ვისნი შვილნი არიან და დროსა წლი-
სა და თვისასა მსგავსად მონათლულისა და მნათვლელისა. და ესეცა აღ-
წერილი ეკლესიაში იქმნებოდეს. და შდ გამოიკითხვიდეთ მის წერილი-
საგან, რომელ არ შეიყარნენ თვისნი და ნათესავნი:.

შ. და ეგრეთვე რომელნიცა მღვდელთაგანი შეხვალთ კურთხევასა
გვირგვინისასა თვინიერ კეთილისა გამოძიებისა უწესობა არა იყოს რა.
ანუ მძლავრებისა გამო. ანუ უსაკობისა, რომელიცა ზემოთ აღწერით
გამცენით. ანუ სისხლითისა ნათესაობისა. ანუ ნათლიობისა. ანუ მძახ-
ლობისა. თქვენცა იგივე სამართალი სასჯელი მოგეგების და ეგრეთ გა-
მოვებებით ეკლესიისაგან და სამღვდელოებისაგანცა და შერისხვით და-
ისჯებით:.

ჰ. ამასაცა გამცნებთ თქვენ, პატოხანნო მღვდელნო მქონებელნო
სამწყსოსანო, რათა შეკრებდეთ სამწყსოსა თქვენდამი რწმუნებულსა დღე-
სა დღესასწაულისასა და კვირიაკესა და ასწავებდეთ მარადის ეკლესიად
შეკრებასა და წის გულით და განკრძალვით წირვისა და ლოცვისა მო-
სმენასა, ვინადგან ყლი კეთილი მის მიერ მოეცემის კაცთა საწუთოსა
ამას შა და საუკუნოსაცა და თვინიერ მისა არცა ერთი კეთილთაგანი
არა მოეცემის კაცთა და ამასთანა ასწავებდეთ კვირიაკისა დღისა უქმო-
ბასა და განწესებულთა დღესასწაულთა:.

ზ. მეცადინობდეთ მღვდელნი და დიაკონნი შეძლებისამებრ თქვე-
ნისა ეკლესიისა თქვენისა შემკობასა და განშვენებასა შეწევნითა და ძალ-
ცემითა სამწყსოსა თქვენისა ერისათა და არა დააკლებდეთ განწესებულ-
თა დღეებთა ეკლესიასა წირვასა და ლოცვასა და დღესასწაულობასა:.

ც. უკეთუ იყვნენ სამწყსოსა თქვენსა მისანნი ანუ მალაობისა შე-
მწამებელნი და მრჩეველნი, მათ ასწავეთ განშორება ამათგან ერთგზის
და ორგზის. და უკეთუ არა გერჩდესთ იგი, მე მაუწყეთ და ბრძანებითა
ჩვენითა შერისხულ იქმნების და განვარდების ყლისავე ეკლესიურისა
მოწყალეებისაგან და იქმნებიან განძებულ ყლისავე სამღვდელო მოქმე-
დებისაგან და უმეტესად დაისჯების მოქმედი ამისი მამაკაცი იყოს, ანუ
დედაკაცი მეცარი და მრჩეველობის მოქმედი, ვინადგან არს მოქმედება
ესე გარეშე ქრისტიანობისა და არცა შეიწყნარებს ეკლესია ჩვენი მყო-
ფელსა ამისსა, ვითარცა უარის მყოფელსა მართლისა სარწმუნოებისასა:.

ძ. და ესეცა უწყოდეთ პატოხანნო მღვდელნო, რომელ უკეთუ

მოწათემან თქვენმან მძიმე ბრალი აღვიაროსთ, რომელ კანონისა მიცემა არ ძალ გედვასთ, იგი თვინიერ სახელ დებულად თქმისა სხვათა მაგიერ მაგალითებრ მე მაუწყეთ და წესიერსა კანონსა მის აღმსარებელისა ბრალეულისასა გასწავებთ და ესრეთ განიკურნოს:.

ი. ხოლო თქვენ პატიოსანნო მღვდელნო რწმუნებულნო ჩემდამო, ესეცა ყურად იღეთ და წესიერად შეიწყნარეთ: უძღვებება და სიმთვრალე ძირი არს და მიზეზი ყლისა ბოროტისა ხმისაებრ სამოციქულოსა ნუ დაითრობით ღვინითა, რომელი არს სიზილწეო. მან წან მოციქულმან სიბილწედ სახელ დვა ნაყროვნებასა და სიმთვრალესა. აწ ჯერარს თქვენდა, რათა ერიდებოდეთ სიმაძღრესა ღვინითა და სხვითაცა საზრდელითა. რათა არა გექმნესთ დამაბრკოლებელ ხორცთა და სულისა. ნუ თუ თქვენ მხოლოდ გმართებსთ განფრთხილება ამის ვნებისაგან. აწ მოწათეთაცა თქვენთა ასწავებდეთ განშორებასა, რამეთუ ნაყროვნება და სიმთვრალე მრავალსა ბოროტსა მოაგონებს კაცსა და წარწყმედს:.

მიტროპოლიტი სწდ სამენგრელოს სამთავროისა ჭყონდიდელი ბესარიონ, რომელიცა წარმოვესცემ ამას ყლთა ეკლესიათა ჩემთა და ვბეჭდავ სახელისა ჩემისა ბეჭდითა:.

54. მოქვის სახარება, in folio, ეტრატზედ, მსხვილი ნუსხა ხუტურის ხელით ორ სვეტად, დასურათებუდი, 328 ფურცელზე, 30×23 სანტ., უდა ქაღალდისა უბრალო წითელ ტყავ გადაკრული, მაგრამ თავისი ვერცხლის ბუდე აქვს მოქვერილი, ნაჭედი, წმიდანების სახეებით. მაგრამ ეს ბუდე ახლია, რუსული ხელობისა. სახარება იწყება ჩვეულებრივად ევსების წერილით კარზიანეს მიმართ: „წ: ევსები კარზიანეს საუფარელსა ძმასა ორისა მიერ გიკითხავ:“. ბოლოს სარჩევი არა აქვს, თუმცა თითოეულის სახარების წინ თავები არის ჩამოთვლილი. ყოველ სახარებას წინ მიუძღვის მახარებელის სურათი ბერძნულის წარწერებით და თითოეულის სახარების თავში არის თავსართი სურათი— „ზასტავკა“. თავები სახარებისა ასომთავრული გრეხილიანი ასოებითაა ნაწერი. გარდა ამ სურათებისა, სახარებას წინ მიუძღვის ათი კამარა ფერადებით ლამაზად ნახატი, მაგრამ სვეტებს შუა ყველა კამარას ასოები არ უნის ჩვეულებრივად. ამ მხრით კამარები დაუმთავრებელია, მხოლოდ თავში პირველ კამარას უწერია ხელფონურად: „კანონი პირველ რომელსა თავნი იტყვან“. ამ პირველ კამარაზე ფრინველებია გამოხატული, ქვემოთ ოთხი, ზემოთ ერთი, შუაში სამი. სხვა კამარები მარტო უფავილე-

ბით არის შემკობილი. მათეს სახარებაში მეორე ფურცელი მახატულია მამამთავრებით ახრამიდან დაწყებული, სულ 42 სურათია, უკანასკნელი არის იესო ქრისტე, მის წინ ღვთისმშობელი. წარწერები ბერძნულია. ეს სურათები არ არის ლათინური და დაზიანებულია არის მოღწეული. ბოლოს უკანასკნელ ფურცელზე მშვენიერი სურათია ღვთის-მშობლის ჩვილი. ღვთის-მშობლის წინ დაჩქილია და ეკვდრება მას მოქველ მთავარებისკობისი დანიელ. წარწერა ასომთავრული ასეთია:

ՅԻՆ: ԿՓՎԿՄ: დანიელ მიქველ
ԿԹՇԿՇԻԿՎՆ მთავარ-ების
ԿՕՍՕՆ: კობოზი.

სამწუხაროდ, დანიელის სურათი სულ გაფუჭებულია, სახე აღარ სჩანს. ამ სურათის წინ მთელ თაბახზე ორი სურათია: ერთი სულის წმიდის მოფენისა და მეორე ღვთის-მშობლის მიძინებისა, ორივე მშვენიერი ნახელაფი. სხვა დიდი სურათები არ არის, მაგრამ მინიატურული სურათები ტექსტში ბევრია, მათეს სახარებაში 95, მარკოზისაში 6, ლუკასაში 26, იოანესაში 24. სურათები საზოგადოთ კარგი ნახელაფია, მაგრამ ბევრი მათგანი დაზიანებულია.

მათეს სახარების ბოლოს ტექსტის ხელით სწერია:

„ქე ძეო და სიტუაო ღისაო
 მიღხინე ფდ ცდვილსა ეფრმს:“

მარკოზის სურათის წინა გვერდზე მწვანე მეწით და მერმენდელის ხუცურით სწერია:

„მოქვისაჲ. დთისმშობელჲ. შეიწყალე. სწდი. თქნ. წინ. მდგისაჲ. მოქველ. მთავარებისკობისაჲ. ახრამისაჲ: ან:“

ქვემოთ იმავე ხელით:

„ედ წოჲ: დდფლჲ. დთსმშობელჲ. დიიტე. და შეიწყლე. ორთავე. ცნრებთა შგნ მოქვისა. მეტრახეზე. გი დეკანოზიაჲ: ან:“

ლუკა მახარებლის სურათის პირველ გვერდზე იმავე ხელით და მეწით სწერია: „მთვრ ებისკოზსა მოქველსა ამბრამს შნს დნ ან და ან“¹⁾.

¹⁾ აბრაჰამ მოქველი უნდა ყოფილიყოს დანიელის შემდეგ, ესე იგი შემდეგ 1300 წლისა.

ქვემოთ სხვა უფრო გვიანის ხელით და სხვა შექნით:

„სწლსა მძქლ მთვრ ებიკობსსა ჩხეტიძესა ფილიპესსა შნს
ღნ ან:“

იოანეს სახარების ბოლოს ტექსტის ხელით სწერია:

„ღბჲ ღა სრულ
მყოფელსა ეი
სა კთილისსა:-
დაიწერა წჳ ესე ოთ
ხთაჲ. დასბმთგნ
თა წელთა: ხ: შ: ღ:.
ქართულითა სა
თუაზაჲთა: და
ბერძულად. ხ: ე: ზ:.
ქრონიკონსა: თუ: ჳ:.
ზედ ნადებსა მთო
ვარისსა: ჳ: მცხ
რასსა: შ: ინდიკტი
ონსა: ი: გ: ხუთეუ
ლსა: ზ: ექუსე
ულსა: ჲ: მზისა
მოქცეჲსა: დ: მთ
ფარისა მოქც
ეჲსა: ჳ: კლი
თა ჩმ ფდ ცდვილ
ისა ეფრემისითა:-“

შემდეგ ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა. დასაწყისი: „ესე სა-
ცნაურ იუაჲნ ყოველთა, რამეთუ ესე წჳ ოთხთაჲ. არა თუ ახლად
გჯთარგმნია...“ და სხვა.

ფერადით შესრულებული თავსართი ასოები ბევრია, სულ 531,
ზოგი მათგანი ძლიერ ლამაზია, მაგრამ ყველა ასოები ანბანისა არ
არის დასურათებული, ყველაზე მეტია ხელფუნურად შემკობილი
ასო დ, შემდეგ ხ, მ, წ, ე, გ, მ, ნ, ი, თ, ო, ე, ს, ვ, ა, რ,
ჰ, კ, ქ, შ, ღ, ტ, ზ, ჲ, კ, ჟ.

ამრიგად მოქვის სახარება გადაწერილია 1300 წელს. ეგრემის ხელით და დანიელ მოქვის მთავარებისკომპოზიის თაოსნობით. ეგრემი, როგორც ეტუობა, არა თუ არის გადაწერი, არამედ დამსურათებელიც ამ სახარებისა. თუმცა სურათები და მინიატურები სახარებისა საზაგადოთ ლამაზია, მაგრამ კლასიკური დროის მინიატურებს მე-X—XII საუკუნეებისა ვერ შეედრება და ცხადათ ეტუობა, რომ ამ დარგში ხელნაწებისა იწეება დაქვეითების ხანა საქართველოში.

55. სახარება ჰატარა ტანისა ეტრატზედ, 12,5×9 სანტ., უედოთ 10×7 სანტ., ორ სვეტად, ნუსხა ხუცურით, ხის ედაზე მოყვითლო ხავერდია გადაკრული და შემდეგ ვერცხლის ოფორტიუბია მიტედილი. ზირველ გვერდზე ჯვარცმა გამოქანდაკებული მზე და მთვარით და წინამდგომებითურთ, მეორეზე წა ივანე მახარობელი იესო ქრისტითურთ, მაგრამ ძრეულ მდარენახელავი. ხელთნაწერი შემკობილია სურათებით კარგი ხელობისა, მაგრამ ბევრი მათგანი ეხლა გადალესილია, წამლები გადასულია. შემდეგი სურათები ასე თუ ისე განირჩევა: შობა, მათე მახარობელი, ნათლის დება, მარკოზ მახარობელი, ლუკა და იოანე (ეს სულ გაფუჭებულია).

მათეს სახარების ბოლოს სწერია:

„და აწ ესე სახარებაჲ აღიწერა ცოდვილისა ამბროსისაგან იბრუსალიმს მონასტერსა ჯუარისა ჰატიოსნისსა: . სადიდებულად ღა მამისა ძისა და სულისა წსა: . და სალოცველად სულდიდებულისა ჰატრონის ქაიხოსროსთჳს: .“ აშიაზე წითლურით: „ქე შე ნკლზ ქა ან“ (=ქრისტე შეიწყალე ნიკოლოზ ქათალიკოზი ამინ).

ბოლოში მხედრულათ: „ჰი ედ წმიდაო საირმის მონასტრის ღთის მშობელო, წა ესე ხელით ნაწერი სახარება სიძველისა და განრეგნილებისა გამო განვასხლებინე შეკვრიფითა შენმავე წინამძღვარმა იღუმენმა კირილე გაბუნამ: 1860 წელს“. ხელი სახარებისა მე-XV—XVI საუკუნის არის. გვ. 433.

აქ მოხსენებული ქაიხოსრო უნდა იყოს ათბავი ქაიხოსრო I († 1502), რომლის დროს მართლა იყო იერუსალიმში ეპისკოპოსი ამბროსი სამცხიდან (იხ. ცაგარელი. Памятники грузинской старины на Святой землѣ и на Синаѣ, стр. 61).

56. სახარება ევდემონ აფაქიძისა, შუა ტანისა, 21×15 სანტ.,

423 ფურცელი, ვერცხლით. მოჭედული უდით, რამდის წინა პირზე გამოქანდაკებულია, აღდგომა ქრისტესი კარგი ხელთბისა, ხელთ მერეზე ჯვარცმა წინამდგომებიტურთ: **ფიფი ინი; იყი ხნიანი-ტოყიყნი.** ჯვარცმის თაგში წარწერა: **იყი ფიყი ხიო.ფიო ოტინინი.** საბმულზე ქვემოთ ასომთავრულით აწერია:

- 1) **ფი : ფიფიფიფიფი : ინი-ნი-ნი-ნი :**
ფიფი : ხნი
- 2) **ხნი : ფიფიფიფიფიფი : ფიფიფიფი : ფიფი**
- 3) **იყიფი : ხიფიფიფიფიფი : ფი : ხნიფიფი**
- 4) **ფი : ფიფი : ფი : ფიფიფიფიფი : ხიფიფი-
[ფი]ნი : ფიფი**
- 5) **ფი-ფი : ფი : ინი : ხიფიფიფიფი : ხნი-
ფიფი : ფი**
- 6) **ფიფიფი : ფი : ფიფიფიფი : ფიფი-
ფიფი.**

უქანაკმოთ:

„შეწევნითა ღმრთისათა ჩვენ მამა ჭყონდიდეღამან ევდემონ აფაქიძემან მოვაჭედინეთ წმიდაჲ სახარება ესე და შემოვწირეთ მარტვილის უფულად წმიდაჲ ღმრთის მშობელსა საცხად ჩვენი და ცოდვათა შესანდობლად“.

ჭყონდიდელი ევდემონ აფაქიძე, რაგორც ზემოთ დავინახეთ (გვ. 60), ცხოვრობდა მე-XVII საუკუნეში.

მეორე საბმულის წარწერა მხედრულია:

- 1) ქი. თქვენ. დიდო და საშინელი. მარტვილისა. ღთის მ
- 2) შობელი. ჩვენ. ჭყონდიდე. კენათელი. ცაკერელი
- 3) მან. მოგიჭედინეთ. თხთავნი. ესე. ასრე. რამე. ძველად
- 4) დ. დამტკრული. და მოშლილი. იყო. და მე. ხელახ-
ლა. მოვა
- 5) ჭედინე. ჩემად. სადღეგროქელი(დ) და. შესანდობლად.
განზე იმავე უშნო მხედრულის ხელით:
ქი. ღთო. მთხსენე. ამისი.
ოქრომჭედელი. ხუხუ
ეჭობია.

თავში ხელთნაწერს აქვს ცხრა კამარა უბრალოთ უჯრებათ და-
ხაზული, ხოლო თავები ფერადებით არის შემკობილი. სახარება იწ-
ეება კამარების შემდეგ ევსების წერილით. შემკობილია ოთხი მახარო-
ბელის სურათით (ლუკა კალამს თლის) და თავსართებით. (უგელა გა-
დავიღეთ). წარწერები ბერძნულია, თითოეული სათაური ჩართული ასო-
მთავრულებით არის ნაწერი.

მათეს ბოლოს უწერია: „ღთო შეიწყალე ამისი მწერალი ფა-
ცდვილი ზოსიმე:.“

მარკოზის სახარების ბოლოს: „ჰატრონსა თამარს და მისთა
მიცვალებულთა სასუფეველი ცათა დაუმკვდრე ღთ ან“. ეტევე მათეს
ბოლოსაც და იოანეს ბოლოსაც. იოანეს სახარების სარჩევის ბოლოს:
„ზოსიმეს შნს ღნ“. სულ ბოლოს: „ღმერთო და მადლო ამ ოთხ-
თავთაო. მშჯღობაშიგან მოხმარე ჰატრონსა თამარსა: და ჰატრონისა
მათისა ბებრისა ამოდ ფოფნაშიგან. სააქად აცოცხლენ: ადღეგრძე-
ლენ: და მას საუკუნოს აცხოვნენ და გზასა ღთისსა წარმართენ.
ესენი და მათნი მიცვალებულნი ენი ან და უკე:“ იოანეს ბოლოს:
„ესე საცნაურ იუავ ფოველთა, რამეთუ ესე წე ოთხთავი ახლად
გუთარგმნია...“ შემდეგ ზანდუკი.

57. სახარება ჰატარა, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, მოჭე-
დილ უდაში, ხავედზე, $15,5 \times 10$ სანტ. პირველ გვერდზე, შუაში,
გამოქანდაკებულია იესო ქრისტეს ჯოჯოხეთის წარტეგება, კუთხე-
ებში მახარობლები. მეორე პირზე ჯვარცმა, კუთხეებში ანგელოზე-
ბი. ამიები მილანქრიანია რუსული ხელობისა მე-XVIII საუკუნის
დასაწყისისა. წარწერები უდის სურათებისა ბერძნულია.

ხელთნაწერის თავში: შესხმა წმიდისა მახარებლისა მათესი, სო-
ფრონის მიერ თქმული. ამის ბოლოს: „წო მათე მახარობელი¹⁾, შემწე,
მეოხ და მთარველ ევან მეფეს ვახტანგს ორსავე ცხოვრებას:“ შემდეგ
ორი შესხმა მარკოზ მახარებლისა, სოფრონისი და დოროთეოზისი,
შემდეგ ვახტანგ მეფის მოხსენება ზემო მოყვანილი სიტყვებით; შეს-
ხმანი იმავე პირებისა ლუკა და იოანე მახარებლისა. იოანეს სარჩე-

1) აქაც და სხვაგან ნიშანი მძიმე ჩვენი მიმატებულია. სხვა ნიშნე-
ბი დედნისაა.

ვის ბოლოს მოხსენება ვახტანგ მეფისა. ბოლოს საძიებელი. შემდეგ უწერია: „ეჭა დიდებაჲ დაუსაბამოს, დაუსრულებელსა, დაუბადებელსა, უცვალებელსა, უქცეველსა, მარტივსა, უკორცოსა, უხილავსა, შეუხებელსა, გარე შეუწერელსა, მოუგონებელსა, მაუწდომელსა, სახიერსა, მართაღისა. ყოფილად ძლიერისა ძალისაგან იცნობების. ძე მამისაგან, მამა ძისაგან: და სული წმიდაჲ მამისაგან გამოსრულად. და აღვიარებთ. ღთსა შშსა, ღთსა ძესა. და ღთსა სწლსა. წმიდასა სამთავე სწორად განუყოფელად, რომელსა გვამით განგუგოთ: ხოლო სულითა და ძლითა და დიდებითა შევკრებთ. რომელთაგან მათ მიერ დაბადებული ხილული ესე სოფელი იზურაბის და განეკების მეფეთაგან ძლიერთა და მთავართაგან ერისათა. და აწ მის მიერვე დადგინებულმან მთავრად ერისა ამის საქართველოსა: დიდისა მის და ძლიერისა მეფის ვახტანგ გორგასლისა მოსახ(ე)ლემან საქმითაცა და სახელითა. ბრძენმან და გონიერმან მადლითგან და ზეშთა ამაღლებულმან სიბრძნითა და მეცნიერებითა გარდამატებულმან, ღთსა სიტყვათა მარადის მმარხველმან, მორწმუნის მეფის არჩილისა და დიდათ სახელგონის მეფის გიორგის ძმისწულმან: დიდად ქებულის ლეგანის შვილმან: ვახტანგ: რაჟამს ასმოდა მძლისა და ახრანისა ვახტანგ გორგასლისა: თვისისავე უძლეველობაჲ ბრძოლასა შინა ოსთა მიერ. ამან ახალმან გორგასლად აღიღო შური მისი, იხილა რაჲ უკეთურებაჲ მათი. არღარა ზღვრის მრთმეოდეს წინაშე მათსა. არღარა უფნა დაცადებაჲ მათ ზედა ესე ოდენტა ურჩებათა, არამედ შემოკრიბნა ლაშქარნი საქართველოსანი და წარემართა. ოდეს შევიდეს ძნელსა კარსა ოსეთისსა, მაშინვე იძლივნეს და შემუსრეს ციხენი მათნი: და წარმოემართნეს მშვიდობით და იხარა მეფემან და განსცა საბოძვარი დიდძალი ერსა თსისა და შესწირა მადლობაჲ ღმერთსა: მას ჟამსა მე უდიდისი საგინაშვილი ელისეს თბილელის ძმისწული გაბრიელ ვიჟავ უდაბნოს გარესჯის ნათლის მცემლის მონასტერს მრავალ მთისასსა: ამა მშვიდმან და სახიერმან მეფემან მიბრძანა მე აღწერად წმიდისა ამის სახარებისა და არა ურჩ ვექმენ ბრძანებსა მათსა, არამედ ვიწუე აღწერად გულს მოდგინებით დამწუებულმან ერთსა ივლისსა, ძლითა ღთსისათა სრულ ვეჟ დღესასწაულსა წმიდისა დიმიტრისასა: შენ დიდებულო ნათლის მცემელო, მშვიდობით და ჟამ-

თა სიგრიქსა შინა აკმარე წ'ე ესე სახარებაჲ მორწმუნესა მეფესა ვახტანგს, დაიტევ მშჯდობით ძით ასულით და მეუღლით ორსავე ცხო- რებასა შინა უკუნითი უკუნისამდე ან: ქვსა: ტყთ:“ (=1711).

58. სახარება, in 8^o, ნუსხა ხუცურით ორ სვეტად: ბოლოს უწერია:

„მე უფელთა მონაზონთა უცოდველესმან და უღირსსა მღუდელ- ღობისსა გაბრიელს საგინაშვილს, რომელი განსრულ ვიყავ სოფლით ცოდვათა ჩემთა სიმრავლისათჳს და მიღტოლვილ უღაბოდ გარესჴად, მონასტერსა წ'ისა ი'ე ნათლის მცემლისასა მრავალ-მთას, რათამცა მეჩვენა რაჲმე კეთილი სინანული ფრიადთა ცოდვათა ჩემთა შესან- დობლად:.

ადვსწერე წ'ე ესე სულთა განმანათლებელი სახარებაჲ და სა- მოციქულთა მამის ჩ'ნისა ხარიტონის: და მოძღვრისა: და მასწავლე- ლისა უფლისა ჩემისა დიდის ორბელის ძის ბესარიონის ბრძანებითა: ვეცადე დიდად სიმართლესა და კელს, მაგრამ ლეკთაგან გვეშინოდა, თუ რა უცბად მეწეროს, ნუ დამწიგვლით, გვედრებით:.

ამ ქრთიკონსა: უგ: მოუკლა ლეკის ჯარი ბოლნის მკათათვეს: იე: წმინდას კვირიკობასა, სიონი გატეხეს, წაიღეს ჯვარი და ხატი და ტუულ ბევრი ქუჩმოს ბოლნისიდაჲ. დიდის სახელფონის მეფის ვახტანგის ძეს ბაქარს ეპყრა ქართლი: . მოესმა აშხაფი ლეკთა სომ- ხითის დარბევისა, წარგზავნა ჯარი, მოეწივნეს ქართველნი ბატონის შვილებით, მარაბდის ბოლას შიიბნენ, გაიმარჯვეს ქართველთა, გაქციეს. სამასი ლეკი მოკლეს, ამათ რვა მოკლეს ქართველი დარბ(ა)ისელი: დიდად სახელფონად იუვნენ ქართველნი: უმეტესად ბარათანნი, რეგო- რათაც მოგხსენებით მათი სიმამცე: ბრძოლა, ომი, სიმკნე, სიმკრე და სისრულე მათი“.

59. ჰატარა ტანის სახარება, 8,5 X 7 სანტ , ვერცხლის შე- კაზმულობით. ჰირველ გვერდზე ჯოჯოხეთის წარტუვენა, მეორეზე ჯვარცმა, სისქეზე ოთხი მახარობელია გამოხატული, წერა ორ სვე- ტად ნუსხა ხუცურით. მათეს სახარების ბოლოს უწერია:

„ღ'ო უშველე იოაკიმ (ი'კმ) დეკანოზისძეს დავითს (ღ'თ) და დედამათ შნ'დნ ღ'ნ ან:“ ბოლოს საძიებელი და შემდეგ სწერია:

„დიდება ღმერთსა ან. რამეთუ სრულ იქმნა წმიდაჲ სახარებაჲ

კელითა ჩემ ცოდვილის დავით მდღლის კელმწიფის კარის დეკანო-
ზის იაკობის ძისთა (იკობის ძისთა), ხოლო სიტყვა მარგალიტ
სარწმუნოებით აღმომკითხველთათჳს, ხოლო ნამუშაკვეი უგულველ-
ობით, რამეთუ ა(ვ)აზაკთაგან მწყლულ ვიყავ და ბეჭნი ჩემნი წყლულ
და უსჯულათა აგარიანთაგან შეცულ. და რაჲც ნაშავე ნახეთ, ნუ
მწყევთ ღწის გულისათჳს, არამედ შენდობით მომიხსენეთ. ქქეს აქთ:
ჩღკვ: „ ეღის ზურგს მხედრულათ აწერია:

1) ქ: ჩვენ: მეუის: იესეს: ნაზირმან: აღამ: მოვჭედინეთ:.

2) წმიდა ესე: თხთავი: ჩვენად: და: შვილთა: ჩვენ-
თა: სადღე

3) გრძელად: და მშობელთა: ჩემთა: სულის. სახად. ქქს
უიზ (=1729).

ნ0. ჰატარა ტანის სახარება, 8 X 5 სანტ., ნუსხა ხუცურით,
ელა ვერცხლის აქვს ოქროთ დაფერილი, ერთ ჰირზე გამოქანდაკე-
ბულია ჯვარცმა, მეორეზე ჯოჯოხეთის წარტყვენა, შიგნით თხზი
მახარობლის სურათია, მე-XVIII საუკ. ხელით. სარჩევის ბოლოს
ტექსტის ხელით:

„განსრულდა. სამებასა ერთ არსებასა დმერთსა მხოლოსა დიდე-
ბა ამინ:- რამეთუ სრულ იქმნა წმიდა ესე და სულთა განმანათლებე-
ლი სახარებაჲ ბრძანებითა კურთხეულისა დედოფლის ანას სასკობი-
თაჲ:- და აწ საძიებელი მისის ასულის ჰატონისშვილის(sic) მეგუმ
ელენესითა. მრავალმცა არიან წელნი სიმრთელისა და დღეთა სიგრა-
ძესა. ხოლო მწერლისა კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის იაკო-
ბის ძის მღვდლის დავითის მუშაკობითა, ჰატონთა სიგრძეთა ში-
ნა ჟამთსა აკმარეს და უმეტეს აღამაღლოს ქრისტიანობანი და სარ-
წმუნოებანი მათნი:- ხოლო მწერლისა დედ-მამათა ვინცა შენდობა უბრ-
ძანეს, ღწ მათცა შეუნდეს ცოდვანი მათნი აწ“.

აქ მოხსენებული ანა დედოფალი უნდა იყოს მეფე ერეკლე
მე-II-ის მეორე მეუღლე, ხოლო ბეგუმ-ელენე მისი ქალი, იესე
მეუის შვილის, გიორგი აბდულ-ბეგის ანუ არჩილის მეუღლე¹⁾.

¹⁾ იხ. ბროსსე. H. G. II, 1, p. 628, 636.

ბოლოს მხედრულათ:

„მართლმადიდებელნი წის ამის სახარებისაჲთა, ნურავინ ინებებთ გამხევებასა ამისსა საირმის მონასტრისაგან, რომლისადმი შეწირულ არს, რათა არა მიიღოთ წიქვა, განღებისათვის შემწირულთასა: მთავარი ჯეონ დადიანი“.

61. ჰატარა ტანის სახარება ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, ოთხი მახარებელის სურათით და ჰატარა თავსართი მხატვრობით, რომელიც წააგავს აფაქიძის სახარების თავსართ სურათებს და იქიდან უნდა იყოს გადმოღებული, 8X5,5 სანტ., უდა გერცხლისა განჭედილი, მოცქვილი, პირველ გვერდზე ჯვარცმა, მეორეზედ ჯოჯობეთის წარტყვენა. გადაწერილია ხუცეს ჰავლეს მიერ. მარჯომის სახარების ბოლოს: „ქე შე მღი ჰავლე“. ესევე ჰავლე იხსენიება ლუკას სახარების ბოლოს. შემდეგ: „მოიხსენე უფალთ მხლებელი მონა შენი მონე“. მხატვრობა მდარეა. ნაწერი ძრიულ წვრილი მე-XVIII სუკ.

62. საქმე მოციქულთა, in 8^o, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად. მე-XVIII სუკუნისა. გადაწერილია ქვს უგ (=1718 წ.). გაბრიელ საგინაშვილის მიერ, რომელსაც ამავე წელს გადაუწერია 58 №-ს ქვეშე აღნიშნული ხელნაწერი.

63. გულანი, in folio, შუა ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად; მე-„იდ“ რვეულზე უწერია: „ქრისტე მფლობელთა უფელთა სუფევათა, დაიტევ შენ მიერთთა დიდებითა ორთავე შინა ცხორებათა დიდისა აფხაზეთისა და უფლისა საქართველთა ჰატრიაქი კათალიკოზი ტომ-ნათესაობით საყვარელიძე ჰატრანი ეფთაზე. და შეაწიენ უფელნი წმიდანი ღისანი, რომელსა აქვს ფრადი სურვილი წთა წერილთა მცნებათა მისთა... და მოსაფი და მადიდებელი (მღბლი) ჰატრიონისა სახლისა მათისა და მოძღვარი წისა სულისა მათისა და ზედა მდგომითა და მოკმარებითა და კელის შეწყობითა იჭირვოდა წიგნისა ამის აღწერასა ფილიზე უფთილი ფილიმონ მანესშვილი, შნს ღნ ან და კრსნ“.

ქვემოთ: „ღო შე ამისი მწერალი დავით და მეუღლე მისი ..იძის ქალი ქეთან ან:..“

აფხაზეთის კათალიკოზი ეფთაზე საყვარელიძე კიდევ მრავალ

ადგილს იხსენიებს ამ გულისში. ეს კათოლიკოზი ცხვენობდა და კათოლიკოზად იყო 1578—1605 წლებს შუა.

64. თთვენი, in 4^o, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, 142 () ფურც. ბოლოს ვრცელი შესავლის შემდეგ სწერია: „...ჩვენ მორწმუნეთა მიერ საქებულ-სათაყვანოს წმიდას გიორგის მარტულთა ღწის მშობლის მონასტრისსა. გზადი და გვეედრები ასე რომ ევკდრისა და ეკლესიისა სამარხისა და საძვალისა ჩწისა სრულიად შეძლებისა ჩემისაებრ შემკობაჲ ვინებუ და ჰირველითგანვე სასოებით სურვილით შენდა მოღვრილმან და მოსავმან რაჭის ერისთავის ქალმან დედოფალმან გულქან დავაწერინე წმიდაჲ და სულთა განმანათლებელი სრული და უნაკლულთ თვენი ესე და ათორმეტის თვს ორად განვაწევით და ორად შევაკრევინეთ და ეკლესიასა შენსა საძვალესა ჩვენსა [დავდეკით] კურთხეულის დადიანის ოტიას სულის საოხად და ცოდვთა მისთა მისატეკებულად, ხოლო კვლად სულთა ჩვენთა სახსრად და საოხად და ცოდვთა აღსაკაცულად შემოგწირეთ ვითარცა უფლის ძღვენი მტარნი... (წევას დასხვა). აღიწერა. ქჷსა, ჟშტ (=1761 წ.):-“

ბოლოს მხედრულათ: „წელსა ჩემზ-სა მარტის დ-ს. ეს დარღვეული სადღესასწაულთ ეკუდრისა. მე. იოანე იღუმენმან ვასილის ძემ ჭაღაკანიძემ შევაკრევინე და განვაახლე“.

65. მეორე წიგნი იმავე თთვენისა მარტიდან აგვსტომდის, 1128 ფურც.

66. ტიბიკონი რომელ არს ქცევა და წესი ეკლესიისა, in 4^o, ნუსხა ხუცურით, 423 ფურც., მე-XVIII სუკ. ხელით.

67. მოთხრობაჲ შჯულთა უღთოთა თათრისთა გამოკრებულნი და სიტყვს გება ქრისტიანეთა მიერ თქმული ბატონიშვილის ბაგრატიისი (ფურც. 1—18). შემდეგ სხვა ხელით შემოკლებული მეტაფრასი (ფურც. 19—192). ამის ბოლოს სწერია:

„ნებითა და შეწევნითა ღწისათა და ბრძანებითა ბატონის დედოფლის თამარისითა: დავსწერე მე უოგულთა კაცთა უცოდვილესმან: იოანე (ი'ე) ვაშალომიძემ: ეს: გამოკრებული: ნეტაფრასი. სიმართლეს მწვედ გულთ ვეცადე, მაგრამ ბევრი ქარაგმით ეწერა: ნუ დამწევთ ძმანო. ვინც წაიკითხოთ შენდობა[ს] მიბრძანებდეთ: ღწ თქნც შეკინდოს: თქნი ცოდვანი აწ:-“ მე-XVIII სუკ. ხელით.

68. კრებული, რომელიც შეიცავს: 1) გამოჩინებისათვის მელქისედეგისა. 2) კითხვა-მიგება ანასტასი ანტიოქელ მთავარ-ეპისკოპოსისა ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა მიმართ, რომელთა ჰკითხეს ქუჭ-მოწერილთა სიტყუთ. ამის ბოლოს სწერია: ქე შე ცოდვილი ბერი იოსებ ამინ:—“ ამის ქვემოთ მხედრულად: წიგნი შემოქმედის ღთაების არის. 3) სიტყვს გებაჲ ლათინთა მიმართ ჩნ მრთლ-მადიდებელთა მიერ. in 4^o, 247 ფურცელი, მე-XVIII საუკ. ხელით. ბოლოს იკითხება: „რამეთუ ესრეთ შესწავლებულ არს ტახტიკონსა შინა კონსტანტინეპოლისსა ვითარმედ მას უამსა წმიდა მექესესა კრებისა კონსტანტინე პოლანტიასა და აღათონ რომთა ჰაპისსა გიორგი კონსტანტინეპოლისსა და თეოფანე ანტიოქელისსა და მათთანა ასრცდაათა მამათაგან გაპატროსნდა კათალიკოზი ქართლისა და უგეს მამათმთავრად და თავისუფლად და უფლად უოგელსა ზედა საქართველსა: და მერმე კვალადვე კრებისა შინა ანტიოქისსა განთავისუფლდა და განპატროსნდა, რამეთუ არღარავისგან ხელ ქვეშ არს, არამედ თავისუფალ და მამათმთავარი არს. და ესეც საკმარ არს ჩუჭნდა ოდეს მამა ჩუჭნი სანატრელი გიორგი და შემდგომ: . . .“ სხვა აკლია.

69. ჰარაკლისი უოგელთა წმიდათათვს, in 4^o, ნუსხა ხუცურით, 174 ფურც. ბოლოს უწერია: „ადიდე ღმერთო ერთავ სუფევათა შინა მადიდებელი შენი ჭყონდიდელი ანტონი, რომლისა ბრძნებითა აღიწერა მონისა მისისაგან წმიდა საღმრთო ესე ჰარაკლისი. მონასტერსა შინა ნამარნევისსა, ჩემზ-სა მისის ლა-სა“.

70. დიალეკტიკა ანტონ კათალიკოსისა, in 4^o, მხედრული, 68 ფურცელი. ბოლოს უწერია: „განსრულდა ძალითა ღუთისათა 1824 წელს სეკდემბრის 13:“

71. ლოლიკა ანტონ კათალიკოსის ნათარგმნი, in 4^o, მხედრული, 223 გვ. დაწერილია იმავე ხელით და, ვგონებ, იმავე დროს, როგორც წინა ნომერი. პირველ გვერდის წინ სწერია:

„ეს ლოლიკა ბაუმეისტრისა ქაშოეთის დეკანოზის ჰავლეს შვილმა დიმიტრიმ მკარავმა მარუქა და ამაღ საკუთარი ჩემია: თნი იანუ წერეთელი“.

ქვემოთ სხვა ხელით: „აღარ არს იოანესი, სახსოვრად მისდა არს არხიმანდრიტი ანტონი დადიანოვის“.

72. გრამატიკა ანტონ კათალიკოსისა, in folio, შუა ფორმატისა, მხედრულად, 167 ფურც. ბოლოს უწერია: „სრულ იქმნა

18 $\frac{2}{28}$ 25

ადრესწერე ყოვლად უღირსმან მონაზონმან გრიგორიმ:“
ღრამატიკის დაწერის დრო ავტორის მიერ თავში ასეა განმარტებული:

„წელსა დასაბამითგან სოფლისა 7275

ნ განკარცელებითგან სიტყუსა დ'ისა 1767

თთქსსა მეთერთმეტესა, რიცხუსა 20“.

73. მეტაფიზიკა, თარგმანი ანტონ კათალიკოსისა, მხედრული, in 4^o, 113 ფურც. ბოლოს უწერია:

„წელსა: 1796. სრულ იქმნა ნოემბერსა 18: კელითა იოანე ოს-ყოფილისა იაფლუზიძისათა: რამელიცა მკითხთაგან შენდობისა მოქენე არს“.

74. ქართულ-თათრული ლექსიკონი, თათრული სიტყვებიც მხედრული ანბანით სწერია. ბევრი ჰროზაც არის თათრულათ ნათარგმნი, in 8^o, 636 ფურც. ანტონ კათალიკოსის შემოღებული ასლებიც იხმარება ტექსტში, მე-XIX სუკ. დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს.

ფ რ ე ს კ ე ბ ი .

მარტვილის ეკლესია ძველად სულ მხატვრული ყოფილა ფრესკებით არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ. ჯერ კიდევ დიბუაშ სამართლიანად შენიშნა, რომ ეკლესია ოთხჯერ მაინც არის მხატვრული. ესეა ამ სხვა და სხვა დროის მხატვრობისა ცოტა რამ არის დარჩენილი და ისიც, უმეტეს შემთხვევაში, დაზიანებულად. უკეთ შენახულია ბოლო დროის მხატვრობა მე-XVII—XVIII საუკუნისა, მაგრამ მათ ქვეშ ყოველგან გამოსჭვივის ძველი ფრესკები სხვა და სხვა დროისა. ასეთ ძველ ეკლესიაში, როგორც არის მარტვილი, თქვენ ვერ იპოვებთ სურათებს აფხაზთა და ქართველთა მეფეებისა, სამაგიეროდ ბევრია სურათები უკანასკნელი დროის დადიანებისა. აშკარაა, დადიანებს, განსაკუთრებით მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებისა,

ძველი მეფეების და ძველი დადიანების სურათები წაუბღალავთ: მათ ადგილზე თავიანთი თავი დაუხატვინებიათ. ეს მოვლენა ემჩნევა სპოგადრთ უკვლავ ეკლესია-მონასტრებს სამეგრელოში: მარტვილს, ხოფს, ცაიშს და წაღენჯინს. ჩვენამდის მოღწეულს მხატვრობათა შორის მარტვილის ეკლესიაში უფრო ძველი ფრესკები ემჩნევა ზემონაწილში ეკლესიისა და ესენი უმეტეს შემთხვევაში აღნიშნულია ბერძნული წარწერებით, ქვემოთ კი უფრო ახალი დროის მხატვრობა არის.

საკურთხეველის ცაში გამონატულია დუთის მშობელი ჩხვილელი წარწერით: **Μρ Θου**, მთავარ-ანგელოზებითურთ, მარჯვნივ გაბრიელ და მარცხნივ მიქელ. ქვემოთ ყოფილა ზიარება იესო ქრისტეს მიერ თავის მოწაფეთა სისხლით და ხორციით, მაგრამ ეს რიგი მხატვრობისა სრულიად გაფუჭებულია. ამას ქვემოთ საკურთხეველის აღმოსავლეთის კედელზე ეკლესიის მამანია. ამათ უკვლავ სუცური წარწერები აქვთ. მათ შორის იკითხება: **ԲՆ ԻԿ ԱՓԻՈՒՍԻԿՆ, ԲՆ ԸԹՃԻ(Ը)ՆԻ, ԲՆ ՎՆՆԻ, ԲՆ ԿԿԿԿԿ**. სხვა წარწერები წაბღალულია. სულ ათი სურათია, ოთხი მარცხნივ და ექვსი მარჯვნივ. ამათში არ ვთვლით იმ ეკლესიის მამებს, რომელნიც ფანჯრების შინა კედლებზეა დახატული. აღმოსავლეთის შუა ფანჯრის ცაში ანგელოზის თავია დახატული, რომელიც რომაელების „ამურს“, სიუვარულის დმერთის გამონატულობას მოგვაგონებს. მთელი რიგი ამ ქვემო მხატვრობისა, ჩვენის აზრით, უფრო ახალია, მე-XVII—XVIII საუკუნისა და თვალსაჩინოთ განიჩევა ზემო რიგის მხატვრობისაგან. საკურთხეველის ცის ერთ კამარზე წარმოდგენილია მთელი რიგი წმიდანებისა წელს ზევიონი, ხოლო ორ კამარას შუა საკურთხეველის ცისა ყოფილა იესო ქრისტე წელს ზევიონი, მაგრამ ესაა გაფუჭებულია. საკურთხეველის მარჯვნივ და მარცხნივ ნიშებია; მარცხენა სამკვეთლოში შესავლის წინ, ზემოთ, დაცულია სურათები კაცისა და ქალის მეფურს ტანისამოსში; მათი სახელების წარწერა არ იკითხება, მაგრამ აქ უნდა იფიქროს წარმოდგენილნი დიდი კოსტანტინე და ელენე. ამ სურათებს შუა ბერძნული წარწერა არის, რომელიც ბრასეს მოჭყავს თავის მოგზაურობაში და რომელიც ბრასეს წაკითხვით ქართულად ნიშნავს: „მეფემან კოსტანტინე აღაშენა „კონდიტი“, ესე იგი ჭყონდიდი

ბრძოლა სამართლიანათ შენიშნავს, რომ ამ წარწერით აღნიშნული უნდა იყოს ის ლეგენდა, რომელიც ჭყონდიდის აღშენებას მიაწერს დიდ კონსტანტინე ბერძენთა მეფეს¹⁾. მაგრამ თუ ამ წარწერას ისტორიული ფაქტი უძევს სარჩულათ, იმ შემთხვევაში კონსტანტინე მეფე უნდა იყოს აფხაზეთის მეფე კონსტანტინე III (873—912), მამა გიორგი II (912—957). არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ჭყონდიდის აღშენებას მიაწერს ამ გიორგი II-ს, კონსტანტინეს შვილს.

სამკვეთლოში და სადიკონოში ფრესკები არ შენახულა. ჩრდილოეთის სამხრეთ ბოლო დროს მოუხმარიათ კაცია ჩიქვანის, ეხლანდელი დადიანების წინაპრის, ოჯახის დასახატაჭად. თვით კაცია და მისი მეუღლე დასატულია კარის მარჯვნივ და მათ ერთადვე ეკლესიის გეგმა უჭერიათ გაშეკრილის ხელებით და გეგმის ქვეშ მათი შვილი ბავშვი იესუა წარმოდგენილი. ამათ აწერიათ სახელები მხედრულათ:

„ქ.: ჩიქვანი.: ბატონი კაცია. ქ თანა მეცხედრე მათი . . .²⁾ ქალი“.

შვილის ზემოთ: „ქ.: ჩიქვანი.: იესუ.:“

კარის მარცხნივ იესო ქრისტე წელს-ზევითი აკურთხებს ცოლქმარტ დადიანებს შვილითურთ, რომელთაც აწერიათ:

„დიპარტიანი.: გიორგი.: ჩიქვანი.: ქ.: და თანა.: მეცხედრე.: მიქელაძის.: ქალი.: სევდია.:“

მათ შვილის ზემოთ: „ქ.: ჩიქვანი.: ოტია.:“

ამათ მარცხნივ ქალის სურათთა განგებ გაფუჭებული და ზედ აწერია:

- 1) ქ.: პირველი ცო
- 2) ღი: კაცია ჩიქვანის
- 3) [ბატონი თამარ].
- 4) ქ.: [ჩიქვანის ქალი] [ხუარა]მ
- 5) ზე: გ'ი დიპარტ
- 6) იანის დ
- 7) ედა.

1) იხ. Voyage arch. Rap. VII, p. 15—16.

2) აქ სახელი განგებ წაბლალულია.

მესამე და მეოთხე სტრიქონი ამ წარწერების სრულიად წაბ-
ლაწულებია და ის სიტყვები, რომელნიც ფრჩხილებშია ჩასმული,
ნაყურაღმის ეკლესიის ფრესკების წარწერის მიხედვით მოგვეყვას.

ამათ მარცხნივ დახატულნი არიან ჰეტრე და ჰავლე წარწერე-
ბით: წმინდა: ჰეტრე: წმინდა: ჰავლე:

ეველს ამ სურათებს ქვემოთ უვლის დიდი მხედრული წარწერა,
რომლის ერთი ნაწილი განკებ წაბლაწულია:

1) ჳი: შენ: შვიდთა: ცათა: უმაღლესთა: და: ქერობინ-
თა: უზეშთაესთ: რომელმან: გამოიღე: ნაყოფად: უნაყოფოთა:
ნაყოფი [ქვეყან]ისა: განმანათლებელი: და: აღამისა: და: ევას:
წივევისა: და: კრულებისა: და: მხსნელი: და: კურთხევად:
შემტყაფებელი: შენ: სადგურთ: სულისა: წმიდისა: განსასვე-
ნებელი:

2) კიდობანთ: საღმრთოსა: სჯულისათ: რომელსა: სახელს:
გდვას: ესაია: ღრუბლად: სულს: მცირედს: და: კიბედს: ცადს:
აღწევსულად: რომლისა: მიერ: ღმერთი: გარდამოკდა: შენ:
ცათა: მობაძათ: მარტვილთა: ღმრთის: მშობელი: ჩვენს: ცვა:
ფარვათა: შენტა: მინდობილმან: ლეჩქომის: და: საინსარძის:
და: სალიპარტიან(თ)ს: ჰატრონმან: დიდის: 1)

3) კელმწიფისა: მეფისა: და: დადიანისა: ვაზირმან: იმე-
რეთისა: ოღიშისა:

4) თაუმან: და: სარდალმან: ჩიქვანმან: კაციაშ: და: თა-
ნა: მე(ც)ხედრემან:

5) ჩვენმან: დიდისა: [ერისთავთ ერისთავის ქალმან

6) თამარ] 2): და: ძუმან: ჩვენმან: გიორგიმ: იოსებ:
ოტიაშ: დაფხატ

7) ვინეთ: სამხრთ: ესე: ტაძრისა: შენისა: ჩვენად: სა-
ფლავად: და: შევამკე

1) ამას შემდეგ წარწერა მოქცეულია ოთხკუთხედში.

2) ეს სიტყვა და წინა სტრიქონის სიტყვები, რომელნიც ფრჩხი-
ლებში მოგვეყვას, განკებ წაბლაწულია და ჩვენ ნაყურაღმის ეკლესიის
ფრესკების წარწერის მიხედვით დავუმატეთ.

8) თ.: მურასათი.: ზატოქსანისა.: ხატითა.: სახისა.: შენისათა.:
და.: წირვისა.: იარ-

9) აღითა.: სხვა.: რაღა.: გლეხები.: შამოგწირეთ.: ან.: რაღა.:
ბეგარა.: სქესთ.: და:

10) ჩვენთვ(ი)ს.: აღაზი.: გაფინეთ.: იმისი.: გუჯარა.: და-
გვიტ.: თქვენს.: ტაძარშიდ.:.

11) ის.: გაშინჯონ.: და.: მოახსენებს.: და.: ნურცრვინ(sic):.
მოშლით.: და.: ვინცა:.

12) მოშალას.: ჩვენადმტ.: მუქბად.: მეორედ.: მოსვლას.:
გოგითხვის:

13) და: დინატა.: სამუხრო.: ეს.: სრული.: და:...¹⁾

აქ მოხსენებული კაცია ჩიქოვანი არის წინაპარი აწინდელთა და-
დიანებთა და ცნოვრობდა მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში. ამას
სამი ცოლი უავდა. ერთის სახელი იყო თამარ, რომელიც ნაურაღე-
შის ეკლესიის წარწერაშია მოხსენებული როგორც ქალი ქართლის
ერისთავთ-ერისთავისა. ეს მანდილოსანი კაცია ჩიქოვანთან ერთად და-
ხატულია ნაურაღეშის ეკლესიის კედელზე. იქვეა დახატული ცოლი
ჩიქოვანის ქალი ხვარამზე, რომელიც უნდა იყოს მეორე ცოლი კა-
ცია ჩიქოვანისა, დედა გიორგი ლიპარტიანისა. ცნობილია, რომ გი-
ორგი ლიპარტიანი მეორე ცოლიდან იყო. შესამე ცოლის სახელი
არ ვიცით; შეიძლება ეს იყოს რაჭის ერისთავის შვილიცა მე-II-ის
ქალი. საზოგადოთ, ვინაობა კაცია ჩიქოვანის ცოლებისა ჯერ საკმაოდ
გამორკვეულად არ მიგვაჩნია²⁾).

ზემოთ მოხსენებული გიორგი ლიპარტიანი არის კაცია ჩიქოვანის
შვილი, ამისი ცოლი უოფილა სეფდია, გიორგი მიქელაძის და. სახელი
ამ ქალისა ბრძეს გენეალოგიურ ტაბულაში არ არის მოხსენებული.

კაცია ჩიქოვანი და მისი ოჯახის წევრები ამ ჩრდილოეთის სამ-
ხრთში არიან დამარხულნი, მაგრამ წარწერები სასაფლაოს ქვებისა
აღარ მოიპოვება. ზემოთ ამ ჩიქოვანების სურათებისა წმიდათა მამა-

1) დანარჩენი წარწერა განგებ წაბლალულია და ზედ წმიდანია და-
ხატული.

2) ისტორიულ პირობა ფრესკები ნაყურაღეშის ეკლესიისა გასულ
ზაფხულს ჩვენ გადმოვადებინეთ მუზეუმისათვის მხატვარს კაკაბაძეს.

თა და სხვათა წმიდანებთა მხატვრობას ბერძნულის წარწერებით. ჩრდილოეთის სამხრის ცაში ღვთის-მშობელის გამხატვლელი ჩხვილელი მთავარანგელოზებითურთ. ქვემოთ მთელი რიგი მხატვრობისა გაფუჭებულია. ამ სამხრის ფანჯრის ზემოთ უშნო მერმენდელის ასომთავრულით ვკითხულობთ:

- 1) **Р. ЧОУНЪ Р.О** უფლად წმიდაო,
- 2) **С.М.: Ч.О.М.:** **Ж** შეიწყალე გიორგი
- 3) **К.У.К[С.] К.Р** მხატვარი, ამინ.

მარცხნივ ფანჯრისა მოჩანან მხედრები რამაყული ტანისამოსებით და იარაღით შეჭურვილნი. აქვე არის დახატული ღვთის-მშობლის მიძინება, ხარება, ეგვიპტეში გაქცევა, ჯვარცმა და სხვა.

ქვემო რიგში სამხრეთის კარის მარჯვნივ კედელზე მთელის ტანით წარმოდგენილნი არიან გიორგი ლიპარტიანი და მისი მეუღლე ხვარაშან. ეს სურათები ვერ არის კარგი ნახელავი. ხვარაშანს ჭრელი კაბა აცვია, რომელზედაც ფრინველებია გამხატვლელი. ნაწნავები გძელი აქვს, გულის ჰირი და გრძელი სარტყელი ჩვეულებრივი, თავზე გვირგვინის მსგავსი ქუდი თუღით და მარგალიტებით შემკობილი. ასეთივე ქუდი ახურავს გიორგი ლიპარტიანსაც, ხოლო ღო მისი კაბა ვარდის ფერია და მოსასხამი გძელი. სურათებს მხედრული წარწერა აქვთ:

- 1) დადიან: ლიპარტიანს: ბატო 1) და: თა: მეცხედრე:
- 2) ხსა გ³გს¹) 2) ლიპარტიანის: ქალი
- 3) მისი 3) ხვარაშან:
- 4) ბატონი

ამათ მარჯვნივ დახატულია ჭეონდიდელი ევდემონ აფაქიძე გაფუჭებული წარწერით:

Ж.К.: Ч.О.Р[У.М.У.С.] მამა: ჭეონდ[იდელი]
У.У.У.Ж[О.Р. К.У.К.У.С.] ევდემ[ონ აფაქიძე]

ამის მარჯვნივ მეორე ჭეონდიდელია დახატული წარწერით:

Ч.О.Р.У.М.У.С. Ж.К.У.О.У.С. Т.У.У.К.У.С.У.С. У.Р.

О.Р. (ჭეონდიდელ მარკოზს ჩიხლაძეს შეუნდვენ ღმერთმან).

1) აქ უნდა აკლდეს, თუმცა არ ემჩნევა: „შეუნდვენ ღმერთმან“.

ევდემონ აფაქიძის ზემოთ გამოსატულია წმიდა ეკატერინე, წმიდა ბარბარე და სხვა წმინდათა მანდილოსანთა სურათები. სამხრეთ დასავლის მეორე სამხროს ცაში ჯვარია გამოსატული და ქვემოთ კოსტანტინე და ელენე წარწერით ასომთავრულით: **ԲՆ ԿՕՆ-ԲՆՐՐՆՐԿ ԾՆ ԿՄԿՐԿ**. მარჯვნივ და მარცხნივ ამ სურათისა წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრია.

ჩრდილოეთის მხრით ერთ სვეტზე დაცულია კარგი სურათი ვი-
ლაც დადიანის მთავრის ტანისამოსში, მაგრამ წარწერა სრულიად
მოსზობილია და ვინაობა მისი არ ვიცით. სამხრეთის ერთ სვეტზე
მოხანს სურათი სამღვდელთა პირისა მხედრულის გაფუჭებულია წარ-
წერით: „[კანდელ]კი ონოფურე შეუნდოს:.. დმერთმან:..“

დასავლეთის ეკვტერიც მთლათ მოხატული უოფილას, მაგრამ აქაც
მხატვრობა სულ გაფუჭებულია. ზემოთ წარმოდგენილი უოფილას სუ-
ლი წმიდის მოფენა. თითოეულის მოციქულის უკან ანგულოზი მო-
ხანს, ზემოთ ცაში იხილვება დედა-ღვთისა, ქვემოთ წარმოდგენილია
წმიდა გიორგი ცხენით, ცხენზე შემოჯენილი ჭყავს ბავშვი და ცხე-
ნას წინ მოხანს მეფის ასული. ამას ქვემოთ განჯინაში ჭყონდიდელი
ზოსიმე კოხალაძე უოფილას დახატული, მაგრამ დარჩენილია მხოლოდ
თავი ასომთავრული წარწერით:

1) **[Ծ]ԻԾՆԸ: ՆԸԿԾԻՆԸ: ԶԸԶԸ...**

2) **Ե՛ԿՕՐԾՆԾԿԿԿ:.. [ԿՕ]ՆԸՆԸԿԿ:.. ՆՕ-
ՆԻԿ[Կ]**

3) **ԸԾՆ[ԾԿՐ Ո՛Ր].** უქარაგმთ:

„[ღ]იდისა საუდრისა მამა ჭყონდიდელი კოხალაძე ზოსიმე ადი-
დენ დმერთმან“.

ამ ჭყონდიდლის სურათი დახატული უოფილას სხვა მხატვრო-
ბაზე და მის ქვეშ ორი სხვა და სხვა დროის მხატვრობის ნაწილები
მოხანან ხუცურის წარწერების ნაწილებით სხვა და სხვა ხელით. ერთ
ადგილას იკითხება: **...ՆՆՆԸԿՐՆԸՐՆԸ Մ՛Ր Ո՛Ր** (=ლი-
პარტიანისა შეუნდვენ დმერთმან). მარცხნივ მოხანს სიტყვები: **ԸԿՆ-
ԸՐ ԾՆՆԸԿՐԿ... ԶԿԿՕԿԿԿԿ** (=არიან ჭალაგნი მეკო-
ბრენი). ამის ქვემოთ: **ԲՆ ԸԿՆ, ԲՆ ԸԿՆ, ԲՆ ԸԿՆ**.
დასავლეთის მხარეს ეკვტერისა ზემოთ უოფილას გამოსატული მეო-

რედ მოხვდა. დარჩენილია ერთი ნაწილი, რომელზედაც წარმოდგენილი არიან მხეცნი, ფრინველნი და თევზნი და სხვა ცხოველნი, ესენი აბრუნებენ ადამიანთა სხეულების ნაწილებს, რომელნიც ჩაუნთქავთ ოდესმე.

მარცხენა კედელზე ეკვტრისა კარების ახლოს ქვემო რიგში დახატული უოფილა სამი სურათი ისტორიული ჰერებისა, ერთი მათგან უკეთ არის შენახული, მაგრამ წარწერა წაბლაღულია და ჩვენ ვერ აღვადგინეთ. სხვა წმიდანების სურათები ბევრია მარტვილის ეკლესიის კედლებზე, ზოგი გაფუჭებული, ზოგი ასე თუ ისე შენახული, მაგრამ ჩვენ აქ მათ ადარ ჩამოვთვლით.

სამხრეთისკენ მარტვილის ეკლესიაში კანკელის მარჯვნივ ხატის სასვენია ნიშის მსგავსად კედელზე მიშენებული ოთხი ლამაზი მარმარილოს სვეტით და კიდევ უფრო ლამაზი სვეტის თავებით. ზემოთ ნიშს ჰატარა ეკლესიის გეგმა ადგს ხისა. უოფელ მხარეს ნიშის გამარაზე ხუცური ასომთავრულით გამეორებულია წარწერა: **ՄԸ-ՄՐԿ ՄԿԻԿ**—დადიანი შერგილ. წინეთ ამ ნიშში ესვენა ის შესანიშნავი მილანქრიანი ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვწერეთ (იხ. გვ. 62, № 16). ვინ უნდა იყოს ეს შერგილ დადიანი, რომელსაც ეს ნიში აუგია? ჩვენის აზრით აქ მოხსენებული შერგილ უნდა იყოს ცოტნე დადიანის მამა, რომელიც ცხავრობდა მეთორმეტე საუკუნის დამლეუს და მეცამეტეს დასაწყისში და რომელიც ცოლით ნათელათი და შვილით ცოტნეთი გამოსატულია ხოფის ეკლესიის კედელზე. შერგილ იხსენიება აგრეთვე ხობის ხატების წარწერებში.

საღაროში ჩვენ ვნახეთ კიდევ ორი მილანქრიანი სურათი მიტრის შესამკობი იოანე ნათლის მცემელისა და ჰეტრე მცციქულისა ასომთავრული წარწერებით: **ԿԿ ԹԹՆՆ ԿԿԿԿ. ՄՄՄ. ԿԿԿ-ԿԿԿ. ՄԿ. ՄՄՄ ԿԿԿ-ԿԿ**. ეს დედოფალი ელისაბედ უნდა იყოს ერეკლე მე-II-ის ქალი, დადიანი კაცია მე-II-ის მეუღლე († 1770), რომელსაც გაუკეთებია მიტრა, რომელიც ჩვენ მე-79 ნომრის ქვეშ ავწერეთ, და ეს შედალიონებიც იმ მიტრას უნდა ეკუთვნოდეს.

ეპიტაფიები ანუ საფლავის ქვების წარწერები.

ძველი საფლავის ქვების წარწერანი მარტვილის მონასტერში აღარ მოიპოვება. მოგვეყვას აქ ზოგიერთი წარწერანი მე XIX საუკუნისა, რომელნიც გადმოგვიწერა ახალგაზდა მღვდელმა კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტმა ანტონ ფირცხაღავამ და რომლისათვის მადლობას ვსწირავთ.

სამხრეთ კარების მახლობლად:

1. „საფლავსა ამას შინა მდებარე არის ყდ სამღვდლო ჭყონდიდელი ეპისკოპოსი გიორგი და კავალერი, რლი მართავდა სამწყოსსა ექუს წელ და ათ თთუჲ და მიიცვალა წ. ჩემბ-სა აპრილსა გ-ს. ფიქალი ესე დავსდვ სამენგრელოს მემკვიდრემ დავით დადიანმა“.

კანკელის წინ 1 წეობა:

2. „აქა განისვენებს გვამი სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ასულის მცირე წლოვანის თამარისა. იშუა 1853 წელსა. სამეგრელოსა შინა. გარდაიცვალა 1860 წ. ს.-პეტერბურლს. საფლავი ესე შეუმკო მშობელმან, სამეგრელოს მთავარმან ეკატერინემ, თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულმან“. შემდეგ ესევე რუსულათ არის გამეორებული.

3. „აქა განისვენებს წინა, მთავრის დავით დადიანის ასული. დაიბადა 9 იანვარს 1845 წ. გარდაიცვალა 8 ივლისს 1848 წ. სასახლესა შინა გორდს“.

4. „დადიანი ლევან გრიგოლის ძე ღწენერალ-ლეიტენანტი და კავალერი შემდგომად ორმეოცდა ორის წლის დიდებულად მფლობელობისა სამეგრელოს სამთავროსა აღესრულა წელთა ჩემგ, ივლისს ლ. ძემან მისმან დადიანმან დავით დავსდევ ფიქალი ესე საფლავსა მისსა“.

5. „შეუცვალებელისა საღმრთოჲსა ბრძანებისამებრ მიწა მიწადვე მიიქცა და საფლავსა ამას შინა მდებარებს გვამი მაღალ ყდ უსამღვდლოესისა სრულიად სამეგრელოს სამთავროს მწყემს მთავრის ბესარიონ ჭყონდიდელ მიტროპოლიტის და კავალერის, მთავრის დადიანის კაციას ძისა, რომელიცა საღმრთოჲთა დოღმატითა ორმეოც წელ მწყსიდა პირმეტყველთა ქეს ცხვართა და განვიდა ამიერ სოფლით სანეტაროჲსა ცხოვრებისადმი წელსა ჩყკჲ, ივლისის ივ-ს:“.

ხოლო თქვენ კურთხეულნო შვილნო ეკკლესიისა ჩემისანო და საყვარელნო წმიდანო კრებულნო ჩემნო, ვერცალა საფლავი დამადუმებს, რომელ არს მიზეზი დავიწყებისა, რათა არა გასწაო თქუტნ: . იხილეთ შვილნო, სოფელი ესე აჩრდილი და არცალა აჩრდილი და განემზადეთ დღისა მისთვის საშინელისა და გეშინოდესთ, ვისცა გიხილავარ სამღრთო

დიდებით და აწ მხედავთ მე აქა მიწასა შინა მღებარედ. რომელთაც მხილველთა დამფარველისა ამის ჩემის ლოდისათა შემიწყალეთ და ითხოვეთ ღვთისაგან შეწყალება ჩემი, რათა თქვენცა შეგაწყალოსთ ღმერთ: მამა კაცმან სასუფეველსა თვისსა ამინ“.

6. „ტარასი ეპისკოპოსი სამეგრელოჲსა. განაგებდა სამწყსოსა ხუთ წელ. შობიდან 75-ს წლისა. აღესრულა 5 იანვარს 1871 წელსა. ფიქალი ესე დავსდევ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლ“.

სამკვეთლოში არის ერთი ქვა, ზედ აწერია:

7. „ხმისაებრ მეუფისა მიწა მიწადვე მივიქეც აღგილსა წის უსისხლოსა მსხვერპლისა წინა დასაგებელისა შინა. მე უბადრუკი ვინმე და ცოდვილი მღვდელ-მონაზონი ჭალაქანიძე მიხაილ და ვითხოვ ვედრებით აღმომკითხველთა მიერ შენდობასა და თანად რათა დაიცვათ საფლავი ესე ჩემი შეუძრველად და განუხსნელად ვიდრე მოსვლადმდე მეუფისა ჩვენისა იესოს ქრისტესა:.. ქეს წ. ჩყლმ თვესა“...

კანკელის წინ 2 წეობა:

8. „აქა განისვენებს ყდ სამღვდლო ჭყონდიდელი ანტონ დადიანის ძე და კვალერი ორმოცდა ათექვსმეტისა წლისა, ცხრა წელ და ათ თთუბ მწყემსმთავრად მგებარე. გარდაიცვალა 1852 წელსა დეკემბრის 9; ხოლო ფიქალი ესე დავსდევ მთავარმა მეგრელიისა დავით დადიანმა“.

9. „Владѣтельница Мингреліи Екатерина Александровна Дадіанъ“.

„მთავრინა მენგრელიისა ეკატერინა“.

10. „Свѣтлѣйшій князь Николай Давидовичъ Мингрельскій род. 4 января 1847 г., скончался 24 января 1903 г.“

ნიკოლოზ დავითის ძე მთავარი სამეგრელოისა. დაიბადა 4 იანვარს 1847 წელსა. გარდაიცვალა 24 იანვარს 1903 წელსა“.

11. „Свѣтлѣйшій князь Андрей Давидовичъ Дадіанъ-Мингрельскій 1850—1910.“

მთავრის დავით დადიანის ძე ანდრია. ფიქალი ესე დავსდევ დამან მისმან სალომე პრინცესსა მიჯრატისამ“.

მესამე წეობა:

12. „მფლობელი სამეგრელოჲსა მთავარი დავით ლეონის ძე დადიანი იშვა კვ-ს იანვარს ჩყიგ-სა წელსა, აღსრულდა ლ-ს აგვისტოს ჩყნგ-ს წელსა. აჰა ესერა ღმერთი შემწე ჩემდა და უფალი შესავედრებელ სულისა ჩემისა. ფსალ. ნგ. მოიხსენე უფალო სული შესვენებულისა მონისა ამის შენისა“.

„Владѣтель Мингреліи князь Давидъ Левановичъ Дадіани родился 26 января 1813 года, скончался 30 августа 1853 года.“

Се бо Богъ помощникъ мой и Господь заступникъ души мояя. Пс. 53. Помяни Господи душу усопшаго раба твоего“.

13. „ქ. სდ სამეგრელოს დედოფალი მართა, ზურაბის ასული, და კავალერი წის ეკატერინას ა-ს ხარისხისა მიიცვალა წელსა ჩყლთ-ს, ნოემბრის ვ-ს სასახლესა გორდს და განსუსნებულ იქმნა სამთავრო სასაფლაოსა ამას შინა მარტვილს:. ხოლო ფიქალი ესე დავსდევ პირმშომან ძემან ამისმან სამენგრელოს მემკვიდრემ დავით დადიანმა“.

14. „ტერეზიას, გურიის მთავრის მამიას ასულს, ვუძღვენ ეგ ლოდი მეუღლემან მისმან გრიგოლ მეგრელთ მთავრის ლეონის ძემან. ოთხ ათ ოთხის წლის სოფლის დამტევებელმან თუმცა განგმირა გული მეუღლის და უნუგეშ ჰყო ნეშტი ცხოვრების, გარნა შესწყვიტნა ღუარნი ცრემლ-თანნი მოგონებამან, რომ სულით წრფელი და გულით წმიდა აღვიდა ზეცად და ნეტარებს იგი ღვთის საყდრის წინა. 1871 წ. მარტის 24 დღეს“.

15. „მთავრის ლევან დადიანის ძე გრიგოლ. გენერალ-ადიუტანტი 1814—1901 წ.“

სამხრეთის ეგვტერში:

16. „ჩყლდ-სა წელსა თებერვლის კე-სა. ქვაჲ ესე ჰფარავს ვიდრე ქვეყნის მეორედ მოსვლამდე მტვერსა ჩინებულისა მამაკაცისასა ღენერალ-მაიორის და კავალერის ნიკოლოზ გიორგის ძის თავადის დადიანოვისა. წარგზავნილმან სატახტო ქალაქად სანკტ-პეტერბურღს ნათესავისა თვისისა მფლობელის მეგრელიისა მიერ მან გამოითხოვა საერთოდ ერისათვის მეგრელიისა მშვიდობაჲ, ბედნიერებაჲ და მყუდროებაჲ საფარველს ქვეშე როსსიის ტახტისასა, რომლისათვისაც ცხოვრებასა შინა თვისსა მიიღო კურთხევანი ერისაგან და მრავალნი პატივნი ხელმწიფისაგან. მიანიჭე მას, ზი უზენაესო, საუკუნო განსვენება. ქვა ესე დასდევს და მრავლითა ცრემლითა დაალტვეს დაობლებულთა ძეთა მისთა გიორგიმან, ბესარიონ, პეტრე და პავლემან დადიანოვთა“.

17. „აქა განისვენებს გვამი თავადის ელიზბარ გიორგის ძის დადიანისა. იესოვ ტკბილო, მომიხსენე სასუფეველსა შინა. აღესრულა 70-ს წლისა. 1865 წელსა დეკენბრის 8-ს. ფიქალი ესე დავსდევ მეუღლემან მისმან კნენა სოფიო წულუკიძის ასულმა“.

ეკლესიის გარეთ აღმოსავლეთის მხრით:

18. „ქ. მოსავი წისა სამებისა და აღმსარებელი მართლისა აღმოსავლეთის ეკლესიის სარწმუნოებისა უღირსი მღვდელი აზნაური ქალაგანიძე, ძე მღვდლის ლაზარესი, ვასილი მოხუცებული სამეოცდა ათუთხმეტისა წლისა მდებარე ლოდსა ამისა ქვეშე [მეუღლით] ჩემით მარიამით. [გე]ვედრებით [ყოველთა] მხილველთაგან შენდობას, რათა თქუენცა მიიღოთ შენდობა ბრალთა თქვენთა ყდ ძლიერისა ღვთისაგან, წელსა ჩყლზ-ს, ივლისის იგ“.

წ ა ჩ ხ უ რ ი .

წახხურის მთავარანგელოზის ეკლესიის სენაკის მახრამია 15 ვერსზე მარტვილიდან. წახხურის ეკლესიის ცნობილია ერთი საყურადღებო რატიანთა სიგელით მე-XV^{II} საუკუნისა, რომელიც კარგა ხანია ჩვენ დავბეჭდეთ ნამდვილის მიხედვით¹⁾. ვინაითგან ჩვენ დრო არა გვქონდა წახხურს წასვლისა, ვთხოვეთ ახალგაზდა მღვდელს ანტონ თორცხალავას გაეშინჯა წახხურის ეკლესიის სიძველენი და ჩვენთვის მიეწოდებია ცნობები. მამა ანტონიმ ეს თხოვნა შეგვისრულა, მაგრამ წახხურში გარდა ერთი მთავარანგელოზების ხატისა აღარაფერი არ შენახულა. როგორც წარწერა უჩვენებს, ხატი მოჭედილი ყოფილა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მეუღლის თამარის მიერ 1761 წ. ამ ხატს მამა ანტონი ასე აგვიწერს:

ხატი დახატულია ნიკვზის ხეზე, წინა პირის გარდა უგულა მოჭედილია ვერცხლით. ზედ ახატია ზევით იესო ქრისტე, ქვევით კი მთავარანგელოზი მიხაილ და გაბრიელ. წარწერა აქვთ: „იესო ქრისტე“; „გ. მ.“ და „მ. მ.“ მ. ანგ. გაბრიელს მარჯვენა ხელი გულზე აქვს მიდობილი, მარცხენა კი აწეული, მიშვერილი იესო ქრისტესკენ. მ. ანგ. მიხაილს მარცხენა ხელში უჭირავს ცეცხლის მახვილი, მარჯვენა ხელშია ც კიდევ უჭირავს რაღაც, რომელსაც ვერ გაარჩევს კაცი. იესო ქრისტეს და მთავარანგელოზებს თავები აქვს გარშემო მოჭედილი ოქროთი, ზედ კი ძვირფასი ქვებია, იესო ქრისტეს გარშემო უზის 4 პატარა ქვა; ანგელოზებს კი თითო-სხუთ-სხუთი. ამ თოთხმეტ ქვებში სამი ქვა კარგა მოზდილია, სხვები კი პატარებია. ხატის გარშემო არშიები მოჭედილი მოოქრულ ვერცხლით; სიმაღლით 30 სანტიმია, სიგანით 24, სისქით კი 2¹/₂ სანტ. უკან კი შემდეგი წარწერაა:

1) იხ. გაზ. „ივერია“ 1891 წლისა № 224—საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 75—77. ბროსსეს ცნობა, ვითომც ამ სიგელის შინაარსი დაწერილი ყოფილიყოს წახხურის ეკლესიის ხატზედ, როგორც ჩვენ თავის დროზე უარვყავით, არ გამართლდა.

- 1) „ქ. ვინათგან მნებებულ უარსონთა არსთა ქმნად იხილავანება ჯერ:.
- 2) იყო ვრ ჰირველ მსგავსთა მსახურთა წარმჩენა რათა უმეტეს დამტ
- 3) კიცნეს მეუფობა მისი და ამათ თქმისაებრ და ვით მამისა ღთისა წარ
- 4) ობილ (წარშობილ?) გეო თქვენ სულად გონიერად და ალად გონიერად და ალად ცეც
- 5) ხლისა და რამეღნი მიიღებთ ბრძანებათა უზესთა და თქვენცა თვინიერ
- 6) ხმანთა სიტუვათა აუწებთ უქვემოესთა თქვენ საუკუნოდ ვიდრე თვინიერ მისა
- 7) უხილავ უსაზღვარეს ჰირის ჰირ დიდებისა განცდითა სამ წმიდაობისა მღა-
- 8) ღდათ ბეგრის ბეგრეველთა ანგელოზთა ერის მთავრად ჩინებულმან მის-
- 9) აილ მტერთა რისხვითა ქვესკნელად შთამხდელთა და გაბრიელ მარადის გინ-
- 10) არადენსა მუწეო მე მსახურმან და მინდობილმან საფარველთა თქვენ-
- 11) თამან დედუფალმან ლიხთამერთამან მარამ თქვენ უნივთოთა მაგათ
- 12) ნივთთაგანცა მცირე ესე სახისა თქვენისა მაგალითა (მარგალიტითა?) შევამკვე და გიძღვენ გიმ-
- 13) წვლილე და დავსვენე ეკლესიასა თქვენსა ჭახურს მრჩობლთავე ცხ-
- 14) ვრებათა ჩვენთა საცხოვრად და წარმართებად მეუფობისა უფლისა ს-
- 15) ღომონისა და ძისა ჩვენისა ალექსანდრესა და ასულთათვის ჩვენთა ხოლო
- 16) დღეს განჩინებისსა მარჯვენით დგომად მიხვავე რათა საგრილსა
- 17) ფრთეთა შენთასა განვისვენოთ. ქს ქრს ჩღა.

ხ ბ ი¹⁾.

მარტვილის შემდეგ შესანიშნავი მონასტერი სამეგრელოსა სიძველეთა ნაშთების მიხედვით არის ხობის მონასტერი, რომელიც მდებარეობს გორაკზე, ხობის წყლის მარცხენა ნაპირზე, ექვს ვერსზე ახალ-სენაკიდან. მონასტერს უფლის ირგვლივ ძველი მაღალი ქვის გალავანი, რომლის შესასვლელის თავზე ამართულია მშვენიერი ძველი სამრეკლო. ამ სამრეკლოდან საუცხოო გადასახედა. თითქმის სამი მხრით გორაკს უფლის ხობის წყალი, რომლის ნაპირები დამუშავებულია სიმინდის ყანებით. წინ მომალლოთ ვრცელი მიწა, რომელზედაც ქალაქობა იმართება 13-დან 20 აგვისტომდის და კარგს შემოსავალს აძლევს მონასტერს. ჩვენ 10 აგვისტოს მივიღით ხობში და ამ დროს კარვები მზათ იყო, საქონელი მოზიდული და ვაჭრობა დაწყებული, თუმცა ოფიციალურად ქალაქობა მარტო 15-ს აგვისტოს უნდა გახსნილიყო. ეკლესია ხობისა წარმოგვიდგენს ძველს სამნაწილედ უკუმბათო ეკლესიას სიონად (ბაზილიკად) აგებულს თლილის ქვისაგან. ხოლო საკურთხეველი შუა ნაწილისა მომრგვალებით ხუთ-ფრთიანად გამოდის გარეთ და შემოკობილია მშვენიერის ქართულის ჩუქურთმებით. დასავლეთის და სამხრეთის მხრით ეკლესიას უფლის სტოა, ანუ შტოი, რომელიც ეკლესიის აშენების შემდეგ უნდა იყოს აგებული. თაღები შტოისა დასავლეთის მხრით გახსნილია, ხოლო სამხრეთის კედრით შემდეგ დროშია ამოშენებული, გარდა შესასვლელის თავისა შუა ნაწილში და კიდევ მეორისა დასავლეთისკენ. შუა ნაწილებში ამ შტოებისა ზემოთ ფრანტონებისა ამართული თი-

¹⁾ ხობის შესახებ ცნობები იხილეთ: Dubois, Voyage autour de Caucase, t. I, p. 76, 229, 233, 362—366; III, 37. Brosset. Rapp. VII, p. 38—49. Д. Бакрадзе, Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 158. Кондаковъ и Бакрадзе, Описание памятникамъ древности, стр. 80—92. თ. ჟორდანიას, ქრონიკები I, გვ. 260; II, გვ. 129—131; 129, 199.

თო ჩუქურთმიანი ფანჯრებით. აღმოსავლეთის ნაწილი სამხრეთის შტოისა ეკვტრად არის გადაქცეული და საძვალე ანუ სამარხვია ვამეუ დადიანის სახლობისა (1386—1396). ეს ეკვტერი, როგორც წარწერა მოგვითხრობს, აუშენებია ვამეუ დადიანს და შეუმკვია მარმალღოს სვეტებით, ჩუქურთმიანი ქვებით, სვეტის თავებით და სხვა ნაშთების ნამტვრევებით, რომელიც მას ძველა-მოსილი ლაშქრობის შემდეგ მოუტანია ჯიქეთიდან, შავის ზღვის პირიდან. მართლა მთელ საქართველოში ვერსად ვერ იპოვნით კედელს, რომელიც ასე აჭრელეული იყოს სხვა და სხვა ჯურის მასალით და სხვა და სხვა დროის ხელობის ჩუქურთმიანი მარმარილოს და სხვა უბრალო ქვებით. უველაზე უფრო საყურადღებოა ამათში ხუთი მარმარილოს სვეტი მშენებლის ჩუქურთმიანის თავებით ბიზანტიურის ხელობისა. ასეთივე სვეტები და სვეტის თავები გვხვდება ბიჭვინტაში და ხერსონში, სადაც ბიზანტიის გავლენა დიდი იყო.

შესავლის მარცხნივ ორი თაღი ამოვსებულია მთლიანის თეთრის მარმარილოს ფიქალებით. ამ ფიქალების ახლო შიგნიდან სასაფლაოა მარმარილოს ქვებით კუბოს მსგავსად მომადლოთ აკებული. შესავალი აქვს ეკლესიას სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. ფანჯრები აღმოსავლეთით ხუთია (ამათში სამი შუა ეკვტერში) და თითო დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. ეკლესია დახურულია ეხლა უესტით. იატაკი უფველგან ქვისაა. კანკელი ქვისაა ლამაზი სვეტებით და სვეტის თავებით ზემოთ და შემკობილი გრენილებით და ჩუქურთმებით. არა გვაქვს ცნობა, თუ როდის არის მონასტერი აშენებული, მაგრამ გეგმა ტაძრისა, ჩუქურთმა და სტილი შენობისა უჩვენებს, რომ თავი მონასტერი უნდა იყოს აკებული არა უგვიანეს მე-X—XI საუკუნისა, ხოლო დასავლეთის და სამხრეთის თაღებ გაშლილი შტოები შემდეგ არის მიშენებული, რაც ცხადათ ემჩნევა: შტოებს დაუფარავს თაღები და ფანჯრები კედლებისა და ფრესკები წინანდელის კარის ბჭედან შესავლისა. კიდევ უფრო გვიან, მე-XIV საუკუნეში, ამოვსებულია თაღები სამხრეთის შტოისა და გამზადებულია ეკვტერი ამ ნაწილში ვამეუ დადიანის მიერ. წარწერა მონოგრაფია მხოლოდ მარმარილოს ფიქალზე სამხრეთის ეკვტრის შესავლის ზემოთ გადაბმულის და არა ადვილად გასარჩევის ასომთავრულით:

1) ჟ: ნდუნიტუ: იტუტუტუ: მტბტ: მტუტუტუ:
ფუტუტუტუტუტუ:

2) ოტტტტტტტტ: ფუტუტუტუტუ: ფუტუტუტუ: ტუტუტუ:
ტუტუტუტუტუ: [უტუ]ტ

3) ოტტტტტ¹⁾: მტტტ: მტტტტტტუტუ: ფუტუტუტუტუტუ:
ტუტუტუ: უტუტუტუტუ: ტუტუტუტუ: ტუტუტუტუ[ტ]:

4) ოტტტტტტტტტუტუტუ: ფუტუ ოტტტტტტტტტუტუტუტუ:
ტუტუტუტუტუ: ტუტუტუტუტუტუტუტუ: ფუტუ ტუტუტუ ფუტუ

5) მტტტტტტტ: ფუ ოტტტტტტ: უტუტუტუ: ტუტუტუ:
ტუტუტუტუტუ: ტუტუტუტუ: ფუ ოტტტტტტ: უ

6) ოტტტტტტტტტუტუ: ტუტუტუტუტუ: ტუტუტუტუტუ:
ტუტუტუტუტუ: ტუტუტუტუტუტუ: უტუტუტუტუტუ: ტუტუ

7) ფუტუ: ტუტუტუტუტუტუტუ: ტუტუტუტუტუტუ: ტუტუტუ:
ტუტუტუ: ტუტუტუტუტუტუ: ტუტუტუტუტუტუ

8) ფუტუტუტუტუ: ტუტუტუტუ: ფუტუტუტუტუ: ტუტუტუტუ:
ტუტუტუტუტუ: ფუ ტუტუტუტუტუტუ: ტუტუტუტუ: ტუტუ

9) ტუტუტუტუტუტუ: ფუ ტუტუტუ: ფუტუტუტუ: ტუტუტუტუ:
ტუტუტუ: ფუ ტუტუტუ: ფუ ტუტუტუ: ტუტუტუტუ: ტუტუტუტუ

ტუტუ: ტუტუტუტუ: ტუტუ[ტ]: უტუტუტუტუტუ:

„ქ. სახელობის ღმრთისათა ერისთავთ ერისთავმან და მანდა-
ტურთ უხუცესმან დადიანმან ვამეუ მამის მათის [ჰატ]რონისა ერის-
თავთ ერისთავისა დადიანისა გიორგის შუადეგად მიუგდა ჯიქეთ[ს] ურ-
წმუნობისა და ორგულობისათჳს, რათამცა მოემსახურა. და სძლჳ
და შეურაცხ და უკმარ აქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღაღნი,
უოგუღნივე ძალითა მოირჭუნა. მრავალთა ჯიქეთისა ჰატრონთაგან მი-
უვალთა მოარბივნა. რადღენნი მოეწყო, მათი მძევალნი წამოასხნა და
სხვანი ატნა. და მამან მოიღო სვეტნი და თუქალნი ესენი მარმა-
რილასანი და მამა-დედათა ჯარნაკი და მისი და მარქს გაკურთ(ა).
საუგუნუმცა არს კსენება მათი“ 2).

1) თავში ამ სიტყვისა პირველი ორი ასოს ადგილი ამოტეხილია.
2) ამ წარწერის ზოგიერთი ადგილების კითხვაში ჩვენ სრულიად
არ ვეთანხმებით წინამკვლევარებს. შეად. ბროსსე Rapp. VII, p. 38—

ეს ვამეყ დადიანი (1384—1396) არის გიორგი მე-II-ის შვილი. ამ გიორგის დადიანობა მისცა მეფე გიორგი ბრწყინვალემ. გიორგი გადაიწვალა 1384 წელს და დაიბარხა ხობში. მის შვილს ვამეყს გაუკეთებია ეკატერი თავის დედ-მამის და დის მარხის სსს-ფლახზედ. ასე გვესმის ჩვენ ფრანსა: „მამა-დედათა ლარხაგი და მისი და (=დაჲ) მარხს გაერთა“.

ფ რ ე ს კ ე ბ ი .

ხობის მონასტერი, ისე როგორც მარტვილისა, ძველად სულ მონასტრული უოფილა ძველი ფრესკებით, მაგრამ აქაც შემდეგ დროში მრავალჯერ განუახლებიათ მხატვრობა. უძველესი ფრესკა დაცულია ეკლესიის სამხრეთის კედელზე დასავლეთისკენ. აქ დანატულია შერგილ დადიანი, თავის მეუღლით ნათელათი და შვილით ცოტნეთი: წარწერები ასომთავრულით ასეთია: **ჟათხნტწჟტ: ჟათხნტწჟჟ: შტჟჟტ ოწწჟწჟ:** (=ერისთავთ ერისთავი შერგირ დადიანი); **წჟწწწწწწწ: ოწწწწწწწ: რწწწწწწწ: შტწწწწწწ:** (=დედოფალთ დედოფალი ნათელა); **შტ: ოწწწ: ოწწწწწ** (=ძე მათი ცოტნე). ნათელას მარცხნივ ქვემოთ კიდევ გაფუჭებული ზატარა ქალის სურათია, რომელიც უნდა იყოს მათი ასული. შერგილს და ნათელას ხელები გაზერობილი აქვთ ღვთის მშობლის სურათისკენ, რომელიც მათ წინ არის დანატული ზემოთ მედალიონში და რომელიც მათ ჯვარსა სწერს.

ამრიგათ აქ დაცულია უძველესი ფრესკა, ვინაითგან შერგილ დადიანი და მისი შვილი ცოტნე მე XIII საუკუნის მოღვაწენი არიან.

ჩრდილოეთის კედელზე, კარის მარჯვნივ წარმოდგენილნი არიან, მარჯვნივ გიორგი დადიანი ჭრელს გძელს ტანისამოსში ხალათის მსგავსათ, რომელსაც ეკლესიის გეგმა აქვს ხელში წარწერით: „საუდარი“, და სურათს მხედრულათ აწერას:

1) ამ: საუდარისა: აღმაშენებ(ე)ლი: ერის

39; თ. ყორღანია, ქრონიკები II, გვ. 199. წარწერა გადმოღებული გვუქვს ფოტოგრაფიულად.

- 2) თავთ ერისთავი: . და მანდატარ
- 3) რთ(sic): . უხტესი: . დადიანი: . გ
- 4) ირგი: . შეუნდს: . ღმ
- 5) თმნ: . ამინ.

ე. ი. „ამ საუდრის აღმაშენებელი ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთ უხტესი დადიანი გიორგი შეუნდუნეს ღმერთმან ამინ“.

ეს ფრესკა წარწერის შინაარსის მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს გიორგი მე-II (1384—1396), მაშინა პირველის შვილს, რომელიც მოხსენებულისა ზემო კარჩეულს ეკვტრის კარების წარწერაში, მაგრამ ეს დადიანი პირველი მაშენებელი არ არის ხობის ეკლესიისა და ეს შეუძლებელიც არის, ვინაითგან, როგორც დავინახეთ, ხობში დაცულია მე-XIII საუკუნის ფრესკა შერგილ დადიანისა. გიორგი მე-II-ს უნდა მიეწეროს, ჩვენის აზრით, იმ დია შტოის მიშენება, რომელიც უვლის ხობის ეკლესიას სამხრეთით და დასავლეთით. ამასთან უნდა შევნიშნოთ, თვით მხედრული წარწერა ამ ფრესკისა ჩვენ ხელმეორეთ გადაწერილად მიგვაჩნია მე-XVII საუკუნეში, ვინაითგან პალეოგრაფიული ხასიათი ნაწერისა იგივეა, რაც ლევან მე-II დადიანის წარწერისა. ამის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ფრესკა მივაწეროთ გიორგი I-ს ლიპარტიანს, ლევან მე-II-ის ბიძას, რომელსაც ლევანმა მოსტაცა ცოლი ნესტან-დარეჯანი, რომ შინაარსი წარწერისა არ ეწინააღმდეგებოდეს ამ მოსაზრებას. განახლება და გადაწერა ძველი წარწერისა იშვიათი არ არის ჩვენში. ამის მაგალითი გვაქვს დავით აღმაშენებლის ფრესკის წარწერაში გელათში, რომელშიაც მარტო სახელი „დავით“ დარჩენილა ძველი წარწერიდან და სხვა განახლებული და გადაწერილია შემდეგ დროში. ყოველ შემთხვევაში, თუ რომელიც გიორგი დადიანს ეკუთვნის ზემო აღნიშნული ფრესკა ჯერ გადაჭრით ძნელია თქმა.

ზემო ნაჩვენებ ფრესკის მარცხნივ დახატულნი არიან ლევან მე-II დადიანი, იმისი მეუღლე ნესტან-დარეჯან და შვილი მანუჩარ მხედრულის წარწერებით: „დადიანი: . ლევან: .“, „ბატონიშვილი მანუჩარ“. ნესტან-დარეჯანის წარწერა წაბლალულია. ცოლ-ქმარს შუაში, მანუჩარის ზემოთ, ქრისტეა გამოსახული, რომელიც ამ ოჯახს ორივე ხელებით ჯვარს სწერს.

ჩრდილოეთის სვეტზე დახატულია ეპისკოპოსი ხელზე აშვერი-
ლი სავედრებელად, რომელსაც ხუცურად, მაგრამ გადმობრუნებულის
ასობით აწერია: **ჰოჲჲნი უნჯბიორი**. (=ხობელი ილა-
რიონ). ამის პირდაპირ საკურთხეველის სვეტზე დახატულია მეორე
ეპისკოპოსი, რომელსაც ხუცურად აწერია: **ჰოჲჲნი რინორ-**
ნიონ (=ხობელი ნიკოლოზ). ქვემოთ მხედრულად: „დავახატვინე
ესე საუდარი ჩემისა სულისა მოსახსენებლად“.

ისტორიულ პირთა სურათები მოჩანს კიდევ დასავლეთის კე-
დელზე, ორი კარების მარჯვნივ ზემოთ და ორი მარცხნივ, ორივე
მხარეს ცალ-ქმარნი, მაგრამ ფრესკები გაფუჭებულია და წარწერები
წაბლალული.

საკურთხეველის სულ ზემოთ ცაში დახატულია ჯვარი, რომე-
ლიც ანგელოზებს მიაქვთ და შემდეგ ღვთის-მშობელი ჩვილი
ტახტზედ მჯდომარე ანგელოზებითურთ აქეთ-იქით. ქვემოთ ქრისტე
ახიარებს მოციქულებს სიხლით და ხორციით. ამის ქვემოთ ეკლე-
სიის მამანია ცხრა. სამკვეთლეს კარებთან წა სტეფანე დიაკონი.
წარწერები ფრესკებისა ქვემოთ რიგში ქართულია ასომთავრულით, ზე-
მოთ ბერძნული. საკურთხეველის მარჯვნივ ნახევარ სვეტზედ მაცხო-
ვარია დახატული მღვდელმთავრის შესამოსლით წარწერით **ԻՎ**
ԳԻ, ქრისტეს ხელში უჭირავს სახარება, რომელზედაც იკითხება:
„მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანი და დაიმკვიდრეთ გამზადე-
ბული თქვენთვის სასუფეველი“. მარცხენა ნახევარ სვეტზედ საკურ-
თხეველისა წმიდა დიმიტრია გამოსახული, ფეხზედ მდგომარე, რე-
მელიც ვეშახს გმირავს შუბით. საკურთხეველის თაღზედ მთელი რი-
გია წმიდანებისა წელს-ზევნი, და მარჯვნივ და მარცხნივ საკურთხე-
ველის კედლებისა ზემოთ ხარება მარიამისა და კიდევ ხარება ელი-
საბედისა; შობა ქრისტესი, ტაძრად მიუვანება; ეგვიპტეში გაქცევა
იოსებ და მარიამისა, განკურნვა ღვრდომილისა; ამაღლება ქრისტესი,
ამაღლება მარიამისა, ღვთისა დედისა, და კიდევ ურწმუნო თამა, რე-
მელიც გვერდს უშინჯავს იესო ქრისტეს აღდგომის შემდეგ. ჩრდი-
ლოეთის კედელზე მოჩანს ჯვარის დამკვიდრება გოლგოთასზედ, გარ-
დამოხსნა, დატოვება ქრისტესი დედათა მიერ და გამზადება გვამისა
დასამარხად, დასაფლავება ქრისტესი, ხელთ ჯვარცმა ქრისტესი და-

ხატულის აქვე ახლოს სამკვეთლოს კარის ზემოთ. შემდეგ მისჩანს წმიდა ჰანტელეიმონი, იოანე ნათლისმცემელი, ანგელოზი (ფანჯრის ცაში) და სამი კიდევ სხვა წმიდანი. სამხრეთის კარის მარცხნივ ღამაზად დახატული ღვთის-მშობელია ჩხვილელი. ამათ წინ უფილა ისტორიული პირის ფრესკა, რომელიც გაფუჭებულია. დასავლეთის კარის ზემოთ სტოას ნაწილის კარის ბჯეში დახატულია დედა ღვთისა ჩხვილელი წელს-ზევითი ანგელოზებითურთ აქეთ-იქით. კუთხეებში კარის ბჯის მახარობლებია წარწერებით: **ბ-ტ-ჟ**, **ბ-ზ-ს**, **ბ-ო-ბ-ც**, **ბ-რ-ჟ** და ამათ გარდა კიდევ მოცაქელები: თამა, ფილიპე, ჰავლე და სხვა.

ხატები და ჯვრები.

1. ხატი მაცხოვრისა, წამლით დახატული და ვერცხლით მოჭედლი, 76 X 58 სანტ., ღამაზი ქართულის ხელობისა. მაცხოვარი მარჯვენა ხელით ჯვარსა სწებს, მარცხენაში სახარება უჭირავს. ზემოთ სიმრგვლეში ღამაზი წარწერა ბერძნული ასოებით: **ΙϞ ΧϞ**. შარავანდედი და აძიები შემკობილია ძვირფასი ქვებით ჯვრების მსგავსად. სულ რვა ჯვარია ძვირფასი ქვებისა. უფი მაცხოვრისა შემკობილია მძივებათ ასხმულის წვრილი მარგალიტებით. ზურგზე ასომთავრულით აწერია:

1) :**ჟ**: **ჟჟჟჟჟ**: **ბ-ტ-ო**: **ბ-რ-ჟ**: **ბ-ტ-ზ-ს**:
ბ-რ-ჟ-ბ-ც: **ბ-ც-ბ-ტ-ც**: **ბ-ც-ო-რ-ჟ-ჟ-ც**: **ზ**: **ბ-ო-რ-ჟ-ც-ბ-ჟ-ც-ტ-ც**:

2) **ბ-ც-ბ** **ბ-ბ-რ-ბ-ც**: **ჟ-რ-ბ-ც**: **ბ-ც-რ-ბ-ც**: **ბ-ო-ბ-ჟ-ბ-ც**:
ბ-ც-ბ-ბ-ო-ჟ-ჟ-ბ-ც: **ბ-ც-რ-ჟ-ბ-ც-ბ-ჟ-ც**: **ბ-ც-ბ-ც**: **ბ-ც-ბ**

3) **ბ-რ-ჟ-ბ-ც**: **ჟ-რ-ბ-ც**: **ბ-ც-ბ-ო-ბ-ც-ზ**: **ბ-ც-ბ-ც**
ბ-ც-ბ-ო-ჟ-ჟ-ბ-ც: **ჟ-რ-ბ-ც**: **ბ-ც-ბ-ც**: **ბ-ც-ბ-ც**: **ბ-ც-ბ-ც**
ბ-ო-რ-ჟ-ბ-ჟ-ბ-ც-ბ-ც: **ჟ-რ-ბ-ც**: **ბ-ც-ბ**

4) **ბ-ც-ბ**: **ბ-ც-ბ-ბ-ც**: **ბ-ც-ბ-ც-ბ-ბ-ც**: **ბ-ც-ბ-ბ-ც**:
ბ-ც-ბ-ც: **ბ-ც-ბ-ჟ-ბ-ც**: **ბ-ც-ბ-ბ-ჟ-ბ-ბ-ც**: **ბ-ც-ბ-ბ-ბ-ც**:
ბ-ც-ბ-ც: **ბ-ც-ბ-ბ-ც-ბ-ბ-ც-ბ-ც-ბ-ც**:

ბელი კახაბერის ძეთა ასული თეონილა, ზვიადის დედა, მარჯვენით შენს დადგომად ღირს მყავ სასუფეველს შენსა, ამინ. და აწ მოწყალებითა შენითა მყოფთა პატრონთა დადიანისა სახლისათა ნათელს შეუნდვენინ და იკსენ ყოველთა განსაცდელთაგან და მასვე პირველ შემამკობელსა ხატისა ამის შენისასა ნათელს თანა მარჯვენით შენსა მდგომად დააწესე იგ და ძე მათი ვარდან დადიანი, მანდატურთ უხუცესი ბედანი დადიანი და ცოლი მათი, ბეგაისა ქართლის ერისთვისა ასული, ხუაშაქი, და ძენი მათნი, კრამაჭრი, გიორგი და ივანე, მსგავსად მოწყალებისა შენისა დაიცვენ ყოველთა საფრთხელთა სულიერთა და კორციელთაგან და ყოველნი ჟამნი ცხორებისა მათისანი წარუამართენ¹⁾ სათნოდ ღმრთაებისა შენისა ცხორებულთა, ქრისტე, ძეო ღმრთისაო, და აწ წარმართებისა მისისაო, და გამახლე[ბე]ლსაცა მკობისა შენისასა (ბ)ერსა²⁾ ათანასიას შემინდვენინ.

ამას ხატსა ზედა იუო ორას ოცი ვეცხლი, აწ რვასი ვეცხლი, ოთხმოცდა(ა)თი ოქროი ღრამისა წონაი“.

2. ხატი ღვთის-მშობლისა, რომელსაც აქვს განცალკევებული დიდი ჩასსვენებელი სამნაწილადი სარკით და დასვენებულთა კანკელის წინ მარჯვენა მხარეს. შუა ტანი ჩასსვენებელისა, 108 × 70 სანტ., ძველია, ვერცხლით ნაჭედი, ქართულის ხელობისა, საუცხოვო ნახელავი, რომელიც საერთოდ მოგვაგონებს ხახულის ხატის სტილს გელათში და ეკუთვნის მე-XII საუკუნეს. ზემოთ კამარის ქვეშ წარმოდგენილნი არიან დედა ღვთისა და იოანე ღვთის-მეტყველი, მკედრებულნი ჯვარცმულისა, რომელიც შუაშია გამოხატული, ზემოთ ცაში მოჩანს საბათი. ჩასსვენებელი შემკობილია მშვენიერის ნახელავის ჩუქურთმებით და ძვირფასი ქვებით. ხოლო ფრთები ანუ კარები ამ ჩასსვენებელისა ახალია, წამლით დასატული წმიდანებით მდაბალის ხელობისა და უნდა ეკუთვნოდეს მე-XVIII საუკუნეს.

თვით ღვთის-მშობლის ხატი, 54,2 × 43 სანტ., რომელიც ამ სასვენებელშია მოთავსებული, ძვირფასი განძია ქართულის ხელობისა და ქართველთ სიძველენისა. ხატის ამიერი შემკობილია ათი მილანქრია-

1) უნდა იყოს: წარუმართენ.

2) ასე კითხულობს ბროსე ამ სიტყვას, თუმცა დედანში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორია: ერსა.

ნი მედალიონით ქართულის წარწერებით და ქართულის ხელახლისა და ორის ბერძნულის მილანქრიანის სურათით იესო ქრისტესა და ანგელთა ხელახლისა. ამას გარდა მთელი წრე ღვთის-მშობლის თავის ირგვლივ მილანქრიანია აგრეთვე ქართულის ხელახლისა. სახე ღვთის-მშობლისა წამლით არის დახატული და, კონდაკოვის აზრით, წარმოდგენს ზირს ბიზანტიურის ღვთის-მშობლის ხატისა მესამე საუკუნეში დახატულს და უცვლელად ჩვენამდის მოღწეულს¹⁾. ზემო აშიაზე ხატისა მილანქრით წარმოდგენილია შუაში: **ԻՆ ՔԿ**—იესო ქრისტე; მარცხნივ **ՄՄԸ ՈՆԸ**—ღელა ღმრთისა; **ԲՆ ԿԻԿ ԻՌՄՆ ՆԳՆ**—წმიდა იოანე ნათლის-მცემელი. ქვემო აშიაზე შუაში: **ԲՆ ԿԿՆ**—წმიდა მარკოზ; მარცხნივ **ԲՆ ԿՌԿ**—წმიდა მათე; მარჯვნივ **ԲՆ ՆՕԿԸ**—წმიდა ლუკა. მარცხენა აშიაზე: **ԲՆ ՄԿ**—წმიდა პეტრე და **ԲՆ ԸԻՄՕԿԸ**—წმიდა ანდრია. მარჯვნივ აშიაზე: **ԲՆ ՄՄԿ**—წმიდა ზაფლუ და **ԲՆ ՈՆԿԻԿՆ**—წმიდა (გრიგორი) ღვთისმეტყველი.

ღვთის მშობლის ქვემოთ ერთ-სტრიქონიანი წარწერა არის ასომთავრულით:

:Ք: ԿՄՄ: ԲՕ: ՈՌՆ ԿՄԿՆՕ: ԿԿՕԿ ԿԿԸԿ: ԲԿ: ՔԿԸԸ: ՆՄՆԸ: ՄԿՕԻ: ԿԿՓԿԸ.

უქარაგმით:

„ქ. უფლად წმიდა ღმრთის მშობელთ, მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა სულსა ლეონ მეფისა“.

აქ მოხსენებული ლეონ მეფე არის აბხაზეთის მეფე ლეონ II (957—967). ეს ის ლეონია, რომელსაც ჯავახეთში აუშენებია შესანიშნავი კუმურდოს ეკლესია.

ხატის ზურგზე, ვერცხლის თიხარზე, ჯვარია გამოსატული ბერძნულის ჩვეულებრივის წარწერით: **ΙC ΧC ΝΙΚΑ**, და ორი ასომთავრული წარწერა არის ერთგვარის ხელით:

¹⁾ საზოგადოთ მშვენიერი მეცნიერული აღწერა ამ საუცხოვო ხატისა ხელოვნების მხრით და აგრეთვე სხვა ხატებისა იხ. ზემო ნაჩვენებ კონდაკოვის წიგნში, გვ. 82—89.

1) :**ჟ**: **ჰ**მ⁰**ჟ**მ⁰: **ნ**რ⁰**ჟ**ნ⁰ **ნ**რ⁰**ნ**:
ჟმ⁰

2) **ზ**: **ზ**ნ⁰**ზ**: **ნ**რ⁰**ნ**: **ჰ**მ⁰**ჟ**მ⁰: **ზ**ნ⁰**ზ**:
ჟმ⁰ **ჰ**მ⁰

3) **რ**: **ზ**ნ⁰**ჟ**მ⁰**რ**: **ნ**რ⁰ **ჟ**მ⁰**ჟ**მ⁰**ნ****რ**:
ჟმ⁰ნ⁰**ჟ**მ⁰(sic): **ზ**ნ⁰ **0**,

4) **ჟ**მ⁰**ჟ**მ⁰**ნ**: **ჰ**მ⁰**ჟ**მ⁰**რ**: **ჰ**მ⁰**ჟ**მ⁰ **ზ**ნ⁰: **ჟ**მ⁰:
ჟმ⁰**ნ****რ****ზ****ნ****რ****ნ**.

უქარაგმთ:

„ქ. მშობელთა სიტყვისა ღმრთისა, უფლად წმიდას ღმრთის მშობელთა, ადიდუ შენ მიერთთა დიდებითა ღვთიუ გვირგვინისანი, ძლიერი და უძლეველი მუთუთა მუთუ დავით, ძე რუსუდანისი“.

დავით, ძე რუსუდანისი, არის მუთუ დავით ნარინი (1243 — 1293).

ქვემოთ:

1) :**ჟ**: **ჰ**: **ჟ**მ⁰: **რ**ნ⁰: **ნ**რ⁰**ჰ**მ⁰**ჟ**მ⁰ **ზ**ნ⁰**ზ****რ****ნ**:
ჟმ⁰**ჟ**მ⁰ **ზ**ნ⁰ **ჰ**მ⁰

2) **რ**: **ზ**ნ⁰ **ჰ**მ⁰**ჟ**მ⁰**ნ**: **ჟ**მ⁰**ჟ**მ⁰: **ჟ**მ⁰**ჟ**მ⁰ **ჰ**მ⁰**ჟ**მ⁰**ნ****რ****ნ**:
ჰმ⁰**ჟ**მ⁰**ჟ**მ⁰ **რ**ნ⁰

3) **ზ**ნ⁰**ზ**: **ზ**ნ⁰ **ნ**რ⁰**ნ****რ****ნ**: **რ**ნ⁰**რ****ნ**: **ჟ**მ⁰**ჟ**მ⁰**ნ**:
ჟმ⁰: **ჟ**მ⁰**ჟ**მ⁰**რ****ნ****რ****ნ**: **ჰ**მ⁰**ჟ**მ⁰

4) **რ**ნ⁰ **რ**ნ⁰**რ****ნ**: **ჟ**მ⁰**ჟ**მ⁰**რ****ნ** **ზ**ნ⁰**ზ****რ****ნ**:
ზნ⁰ **ზ**ნ⁰**რ****ნ**

5) **ზ**ნ⁰**რ****ნ****რ****ნ**: **რ**ნ⁰**რ****ნ****რ****ნ** **რ**ნ⁰**რ****ნ****რ****ნ**:
ჟმ⁰**ჟ**მ⁰**რ****ნ****რ****ნ**

6) **რ**: **ჰ**მ⁰**ჟ**მ⁰**ზ**: **რ**ნ⁰**რ****ნ** **რ**ნ⁰**რ****ნ** >

უქარაგმთ:

„ქ. ჰ უფლად წმიდას ღმრთის მშობელთა, დედოფალთა, შემწე და მეობ და მფარველ ევაგ გულისმოდგინედ მამკობსა წმიდისა და ზატონისის ხატისა შენისს ერისთავთ ერისთავსა, მანდატურთ უხუცესს, ბედანსა დადიანსა და დიოფალ დიოფალსა ხუვამაქსა, რამდისა შემოწირვითა მთიჭედა ზურგი ესე“.

3. ხატო ღვთის-მშობლისა ჩხვილედი წელს-ზეგითი, წამლით ნახატო, 44 × 36 სანტ., თქრეს ჩარჩოთი, რამელიც შემკობილია

ბიზანტიური ხელის მიღწევის მრგვალი მედალიონებით და ორი ზატარა ოთხკუთხედი ხატით. სულ წინეთ უფოფილა ათი მრგვალი მედალიონი, ხოლო ეხლა დაცულია შვიდი; ამათში ზემო აშიაზე არის ბერძნულის წარწერებით წარმოდგენილი იესო ქრისტე მარჯვნივ, ღელა ღვთისა მარცხნივ და წმიდა თეოდორე შუაში; ქვემო აშიაზე ბასილი დიდი, ნიკოლოზ საკვირველთ მოქმედი და წმიდა დიმიტრი, მარჯვენა აშიაზე ჩარჩოის დაცულია მხოლოდ წმიდა გრიგორი ღვთის მეტყველი. უფლა მედალიონები კონდაკავის განმარტებით ეკუთვნის მათე საუკუნის დამლეუს და მეთერთმეტეს დასაწყისს. მედალიონების გარდა ჩარჩო შემკობილია ბალახ-ყვავილთა მსგავსი ჩუქურთმებით და ამ ჩუქურთმებში აქრას ბუდეებით ხშირათ ჩასმულია ძვირფასი ქვებიდან შემდგარი ჯვრები, სულ თორმეტი. ქვებთა შორის არის ზურმუხტები, საფირნები, ფირუზები და ძოწულები. თვით ხატი ერთხელ უფოფილა შემკობილი მშვენიერის მიღწევის ჩუქურთმებით აქრას ფურცელზე, მაგრამ ეხლა ამისგან მხოლოდ ცოტადა ნიმუში დარჩენილა ზემო კუთხეში მარჯვნივ და ღვთის-მშობლის წრის შემკობილობაზე. დანარჩენი ადარ არის და მათ მაგიერ აქრას და მოაქვრილი ვერცხლის ფირფიტების მიჭედილი აქა-იქ. სამწუხაროდ, ამ მათე-მეთერთმეტე საუკუნის ნახელავ ხატის ძველი წარწერა არ შენახულა, ხოლო ზურგზე უბრალო მედნით მხედრულათ აწერია:

1) ქ: ხატისა ამის: ამგებელი: და: შემამკობელი: ბატონის: შვილი: გიორგი: მეუღლე:

2) მისი: თამარი: ძე: მისი: ბაგრატ: ახლად: განმასხებელი:

3) აფხაზეთის კათალიკოზი ლორთქიფანიძე გ. (გრიგოლი).

აქ მოხსენებული ბატონიშვილი გიორგი შემდეგი დროის მეფე გიორგი მეთერთმეტეა, რომელიც ქვემო მოყვანილს ხატის წარწერაშიც იხსენიება.

აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლ, ბუჯან ლორთქიფანიძის შვილი, კათალიკოსად იჯდა მე-XVIII საუკუნის დასაწყისში.

4. ხატი ღვთის-მშობლისა ჩხვილელი, ვერცხლით ნაჭედი, $47 \times 37,5$ სანტ., წრე თავისა და გვირგვინი და აგრეთვე აშიები შემკობილია ძვირფასი ქვებით. აშიები შემკობილია კიდევ ყვავილ-

ბალახთა მსგავსი ჩუქურთმებით ლამაზი ქართული ხელაბისა. ამიებ-
ზე და თვით ხატზედ ძვირფას თვლებიდან შედგენილი ჯვრებია წინა
ხატის მსგავსად, სულ 12. მეორე გვერდზე ხატისა, ვერცხლის
ფიტარზე, რომელზედაც ჯვარია გამოსახული და რომლის ზემო და
ქვემო მხარე შემკობილია მშვენიერის ბალახის მსგავსი ჩუქურთმე-
ბით, შუაში ასომთავრულით აწერია:

1) :ჟ: ნწჰრწ(ოჲჲჲ)ჲ: ჟ(ო) ჲ(ო)ხ-
ნწ: ზწ: ნწჰ(ო)ჲჲ: ჟ(ო) ჲ

2) ოხ(ო)ნწ: ჟჲრ: ჟ(ო): ჟჲრ(ო)ჲ: ჟ(ო)რ(ო):
ჲ(ო)ო(ო)ო: ჟჲრ(ო)ჲ: ჲწ(ო) ჟ(ო)

3) რ(ო)ხ(ო)ნწ: ნ(ო)წ(ო)ო: ჟ(ო)წ(ო)ჲ(ო): ზ(ო)ჲ(ო)წ(ო):
ჟ(ო)რ(ო)წ(ო): ო(ო)ჲ(ო): Პ(ო)წ(ო): ჲ

4) ჟ(ო)წ(ო): ზ(ო)წ(ო)ჲ(ო): ზ(ო): Პ(ო)წ(ო)წ(ო)ჲ(ო):
ზ(ო)წ(ო)ჟ(ო)ჲ(ო): ნ(ო)წ(ო)ჲ(ო)ო(ო)

5) Პ(ო)წ(ო)ო: ჟ(ო)რ(ო)წ(ო)ჲ(ო): ჲ(ო)წ(ო)ჲ(ო): Პ(ო)წ(ო)-
წ(ო): ჲ(ო)წ(ო): Პ(ო)წ(ო)ჲ(ო)წ(ო):

6) Პ(ო)წ(ო): Პ(ო)წ(ო)წ(ო): Პ(ო)წ(ო): ჲ(ო)წ(ო): Პ(ო)წ(ო):
Პ(ო)წ(ო): ჟ(ო)რ(ო)წ(ო)ჲ(ო)წ(ო): Პ

7) Პ(ო)წ(ო): ნ(ო)წ(ო)ჲ(ო)წ(ო): Პ(ო)წ(ო): ჟ(ო)წ(ო): Პ(ო)-
წ(ო)წ(ო).

უქარაგმით:

„ქ. სამ-მნათობიერისა, ერთ-არსისა და სამთავან ერთ-არსისა
შენ შორის შეწერილ ქმნით, კარც შესხმით კაც ქმნილისა სძალე,
ქალწულე, დედაო, ქმნადთა მიერ ჩემთა აქაცა დასჯილი და ბრალ-
თავან დანთქმული საუკუნოდ, უდირსი შენდობისა ხუაშაქი, უნდოდა
ამათ მწუფილთა წილ ვითხოვ, რათა არა შორს მყო შეწევნისაგან
შენისა სასჯელსა ძის შენის მიერსა“.

ზურგის აშიაზე ამავე ხატისა მხედრულათ სწერია:

1) ქ: ხატო: წმიდისა: დგთის მშობლისაო: შენ: მეხ: მცველ: და მფარველ: გვეუფ: წინაშე: ძისა: შენისა: და: დგთისა:

2) ჩვენისა: ჩვენ: ბატონს: გიორგის: და: თანა: მცხედ-
რესა: ჩვენსა: ჰატონს: თამარს: ძესა: ჩვენსა: ბატონს: ოდეს: გიხილეთ: აგარია

3) თა: . ტომთაგან: . წარტყევენილი: . და: . დატყევებუელი: . და: . მა-
გუფა: . მადლმან: . და: . ძლიერებამან: . შენმან: . და: . დავისსენ: . სულის

4) ჩვენისა: . სახსრად: . და: . ცოდვათა: . ჩვენთა: . შესანდობე-
ლად: . ვინც: . იხილვიდეთ: . შენდობას: . გვეტყოდეთ: . ღვთის: . გუ-
ლისათჳს: . ქჳს. ტნიდ.

ქორთნიკონი უდრის 1676 წელს. აქ და წინა წარწერაში მო-
ხსენებულ გიორგი არის შაჰ-ნავაზის ანუ ვახტანგ მე-V-ის შვილი,
გიორგი მე-XI, რომელიც კანდაჭარში მკვლეს 1709 წ. პირველი
ცოლი გიორგისა იყო თამარი, მათი შვილი ბაკრატი გადაიდგა
ჭერათში 1692 წ.

5. ღვთის-მშობლის ხატი ჩვილელი, ვერცხლისა, ნაჭელი,
წელს-ზევითი, 24×19 სანტ., ასომთავრული წარწერით: **Բ. ՄԿ-
ՄՃ. ՈՆՃ. ԿԿ. ՈՆՃ.** ამისზე ირგულივ იმავე ხელით:

1) **Բ. ՃՕԻՄԿԿՄԻԿԻԹ. ԷՐՆ. ԿԵԿ. ԿՄ. ԲԿԿՄԵՆ. ՈՆ. ՃՄՕՎՄԵՆ.**

2) **ԻԻ. ԿՕԻԹԷԿՕՄԵՆ. ՃԻԹ. ՄՄՄՃԻՆ. ԿԿԻԻ. ՄՄՄՃԻՆ. ՆԷԻՕԻԻԿԻ ՄԿԻԻ.**

3) **ՄՃ. ՄՃԻՄԿԿԿԿԿԿ. ՄՃ. ԷՕՄԵՆ. ԿՃ-
ԿՆ. ԿԿՄԵՆՃՄՄ. ԻԿԿԿԿԿ.**

4) **ՆՃՄՈԿԿԿԿԿԿԿՄՄ. ԿՃՆՃԿԿԿԿԿԿԿՄՄ. ԿՄ. ԿՄՕԻՄՄՄՄ. ԻՄՆՃ ԲՃԿՆՃԿՃԿԿԿԿՄՄ. ԷՐ:** უქარავით:

„წ: . მფაჭედინეთ ხატი ესე უფლად წმიდისაჲ ღვთის-მშობ-
ლისაჲ ჩვენ კურთხეულის მანუჩარ დადიანის ძემან დადიანმა ჰატონ-
მან ჯეჳან და დავასვენეთ და ხოშტს კარის ეკლესიაზედ ჩვენთვის
სადღეგრძელოდ-გასამარჯვებლად და ბატონობისა ჩვენისა წარსამარ-
თებლად“.

წარწერა ეკუთვნის დიდ ჯეჳან II დადიანს († 1657), არ ვი-
ცით სად არის **ხოშტი**, სადაც ჯეჳან დადიანს სასახლე ჰქონია.
დ. ბაქრადის აზრით ხოშტი იგივე ხობი უნდა იყოს. მაგრამ ეგ ს-
ეჭვთა. ამ სიტყვას წინ მიუძღვის უმნიშვნელოდ სიტყვა და სამი
წერტილით გაუთვლილი მისგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, იქნება ად-
გილის სახელი **დახოშტი** იყოს(?).

6. ხატის წმიდა დიმიტრისა და წმიდა გიორგისა, ფეხზედ მდგომარენი, ვერცხლით ნაჭედი, ოქროთ დაფერილი, დასაკეცი, თვლებით შემკობილი, ვერცხლის ძეწვეთ, 34 X 22 სანტ., ძლიერ უძნო ხელობისა. შუა ნაწილი დაკარგულია. სახელი ერთს აწერია მარტო **ԲՆ ԿՆ**. თუმცა ამ ხატს კონდაკოვი მე-XVI—XVII საუკუნეს მიაწერს, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს თავის ტექნიკით მე-XVIII საუკუნის დასასრულს ეკუთვნის.

7. ხატის წმიდა გიორგისა შუბით ხელში, წამლით ნახატი, წელს-ფეგითი, ვერცხლით მოჭედილი და ძვირფასი ქვებით შემკობილი, 26 X 21,5 სანტ., ქართულის ღამაზის ხელობისა არა უგვიანეს მე-XI საუკუნისა. ზურგის ვერცხლზე მოჩუქურთმებულ ამიებზე ასომთავრული წარწერა აქვს:

- 1) **Ք ԿՕԲՃԿԿԸ: ՄՆ: ԿԸԻՃԻՕ: ԿՆ**
- 2) **ԻԿՆԿԻ: ԿՕՆԿԿ: ԿՕ.ՆԻԿՕ.ՆԻՆ Օ**
- 3) **ԸԻԲԲՄԿՆԸՆ: ՄՃԿԿՕԿՆԸ: ԿԿՄ**
- 4) **ԻԻԸՆԸ: ՄՃ ՄԿԿՕ.ԻԻԻԸ: Կ**
- 5) **ԿԻՆԸՆԸ: ՄԿԿՕ.ԻԻԿ: ՕԻԿԿԻ**
- 6) **ԿՕԸԻԿ: ԲԿՄՕԿԸ: ՄՃ: ԻՆԸ: ԿԿ**
- 7) **ԿԻԿՆ: ՆԿԿՕ.ՆԸՆ: ՄՃ Օ.ՓԻՕ.ՆԸ**
- 8) **Ը: ՆՆԸՆ: ԿԸԻՄՆ: ԿԿԿԸՆ: ԿՆԿԸ**
- 9) **ՕՃՄԻԿԿ: ԿԻԿՄԿՆՆ: ՄԲ ԿԿ**
- 10) **ԻԸ: ԿԻԿՕ.ԿԿԸ: ՆԲԸԻՄՕ:**
- 11) **ԸԲՕ.ՆՆ: ՄԿՄԸԿԸՆԿ: ՄԲՆԸ: ԿԻԸԸ**
- 12) **ԿՕԿԸԿԸԿԸ: ԻԿԿ: ԸԿԿ**
- 13) **ՆԸ: ԿԻԿՕ.ՆՆ: ԿՆԸԿԸ. უქარავით:**

„ქ. მოწამეთა შორის მთავარო გიორგი, რომელმან მოიგე გურგუინი უხრწნელობისაი და მკობითა მძლეუართათა და შემუსრვითა კერპთათა, შემუსრე ორკერძთავე წყალობითა შენითა ჩემიცა მებრძოლი სხეულისაი და უფროისლა სულისაი, მცირედსა მკობასა მიმთუაღველმან, მრავალგზის შენ მიერთა მარჯუებათა სანაცვლოდ, აწუღილ დედაკაცისე ¹⁾ შენისა ქრისტეს მობაძავმან, ჩემ ტბელისა გრიგოლის-ძისავან“.

1) ვგონებ უნდა იყოს: აწ წუღილ დედაკაცისაებრ.

ტბეთის ეპისკოპოსები შავშეთის ერისთავებიც იყვნენ და გასაკვირელი არ არის, თუმც ტბელი გრიგოლის-ძე თავის მტრებზე გამარჯვებას იხსენიებს.

8. იოანე ღვთისმეტყველის ხატი, წამლით დახატული, 43×33 სანტ.; ხელში აქვს გაშლილი სახარება, რომელზედაც სწერია ასომთავრულით: **ՃՆԿԻՌՕ, ԿՎԿԻՌ ՄԿԿԿԻՆԿՆ ՈՒՐ-ԻՐ ՆՕՓԿԻՆ ԿՆԿ ԿՆՐԿԿԿՄ ԿԿԸՆ ՌԿԻՆԻ ԿԿՕՆՕՄ ՄՕՎԿԻՆ ԿՕՆԸՆ ԿՆՆ ԿՆՐԿՆ ԿՕ-ԿԿԻՆՆԿ ԿՕՎԿԻՆՆԿ ԿՕԿԿԻՐԿԻՆ ԿՎԿ ԿՆԿ ԲՆԿ-ԿՆԲԿԿՄԻՆ...** და სხვ. (= რამეთუ ეგრეთ შეიფარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მკოლად შობილი მოსცა მას, რათა უოჯელსა, რომელსა ჰქმნიეს იგი, არა წარჰსწემდეს...). ეს ხატი საიმისა ძველი არ არის, მაგრამ ჩასმულია ვერცხლის ჩარჩოში მშვენიერის ქართულის ძველის ხელობისა და თავის სტილით სრულიად წაგავს გელათის ხახულის ხატის სტილს და, კონდაკვის აზრით, იმავე დროს ეკუთვნის. უოჯელ შემთხვევაში ეს ნატიკი უნდა იყოს არა უგვიანეს მე-XII საუკუნისა და წინეთ ამშვენებდა ღვთის-მშობლის ხატს, რაც მტკიცდება ბერძნულის ჩვეულებრივის წარწერით სახელისა **Μρ Θυ**.

9. ხატი ღვთის მშობლისა ჩხვილელი ვერცხლისაგან განჭედ-ლი, 25×19 სანტ.; ღვთის-მშობელი ფეხზე მდგომარეა და მარჯვნივ უდგია იოანე წინამორბედი, მარცხნივ სტეფანე მთავარდიაკონი. ხატი ჩასვენებულია დიდ სამნაწილედ დასაკეც ვერცხლით შეჭედ-ლილს ჩარჩოში, 65×117 სანტ. ფრთებიტურთ. შუა ტანზედ ზემოთ გამოქანდაკებულია ჯვარცმა წინამდგომებითურთ: იოანეთი, მარცხნივ, მარამ მაგდალინელით და მხედარით ლონგინით. ქვემოთ ძევს გვაში ქრისტესი კუბოში, რომელსაც თავს დასტკერის ათარ-მეტნი მოციქულები, რომელნიც წარმოდგენილნი არიან მარჯვნივ და მარცხნივ და აკრეთვე ჩარჩოს ფრთებზე, თაყვანის საცემად გამზადებულინი. ზემოთ ფრთებზე ხარება წარმოდგენილი. წარწერები წმიდანების სახელებისა ეგელა სურათს ასომთავრული აქვს. შუა ტანი კიდობნისა, რომელშიაც ჩასვენებულია ღვთისმშობლის ხატი, შემკობილია ჯვარის სახეებათ ძვირფასი ქვებით, საფირფრებით და ია-

თა მძლავრებისათა, ამინ. ვინცა ჩვენგან შეწირული გამოსწირეს, მოქუთაგან განიკითხოს. ამინ“.

ხელობა და სტილი ამ ხატისა დაქვეითების ხანას მოგვაგონებს და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაითგან ამ ხატს სრულიად არ ეკუთვნის ის ბურღუხან დედოფლის წარწერა, რომელსაც კონდაკოვი ამას მიაწერს. მაშასადამე ხატი მეთორმეტე საუკუნის კი არ არის, არამედ შემდეგ დროის, დაქვეითების ხანისა. სამწუხაროდ ჯერ არ ვიცით, როდის ცხოვრობდა ანდრია მოქვეელი ხატის მომჭედელი. ხატი წინეთ ჰკუთვნებია მოქვის ეკლესიას.

10. მრავალ ნაწილიანი ხატი ვერცხლისა, 47×39 სანტ., რომელიც ეხლა კანკელის მარცხენა ნაწილშია მოქცეული. არშია აქვს ღამაზად ბაღახის მსგავსად მჩუქურთმებული. თვით ხატი გაუყოფილია 52 უჯრათ, რომლებშიაც წმიდათა ნაწილებია. შუაში მოთავსებულია გიჟი ჯვარი ძელი ჭეშმარიტისა, სიგძით ექვსი გოჯი, ვერცხლით შეჭედელი, რომელზედაც შუაში ჯვარცმულია გამოსახული წარწერით: **ՄՕ ՎԿ**. დანარჩენი ნაწილი ჯვარისა შემკობილია ბაღახის მსგავსი ჩუქურთმებით. უჯრებს ზოგჯერ სახელები უწერია ნაწილებისა ხუცურად, მაგალითად, ზემოთ აწერია:

Վ. ԲՆՃ ՕՐՓՐԻՐԿԻՆՃ: ՆԻՆԿՆԻ ԿԲԿԹԻ:
ԲՆՆՃ ԹՆԻ: ԲՆՃ: ՆՃՐՐԿԻՆԿՈՒՐԻՆԻ: ԲՆՃ ԿԲ-
ՆՐԻՃՐԻՆԻ: ԲՆՃ ԿԲԿԿՐԻՆԻ: ԲՆՃ ՆԻԿՆԻ:
და სხვა.

ქვემოთ აშიაზე ასომთავრულით სწერია:

1) **Վ ԿՆԿՃ ԿՆՃԿԿԿԿ ԿՆԲԻՃՓՆ [ՄԿ]ԲԿ-**
ԿԲՃՆ ԿԿԿԿԿԿ: ԹԿԿԿԿ ԿՕԲՃ

2) **ԿԿԿՕ: ԿՈՐԿԿԿԿ ԿՕԿԿԿԿԿԿ: ԿՃԿՃ-**
ԿՕ: ՕԿԲԿԿԿԿԿԿԿԿԿԿ: ԹՃԿ

3) **ԿՕ ՈԹԻՆ ԿԿԿԿԿԿԿԿԿԿ: ԿՕԿԿԿ ԿՃ-**
ԿԿԿՆ ԿԿԿԿԿԿ ԿՃԿԿԿԿ

4) **ԹՃԿՃԿ: ԿՕՆՃԿԻ: ԹԿԿԿԿԿ ԿՕԿԿԿ-**
ԿՃԿ ԿԿԿԿԿԿԿԿ

უქარაგმით:

„ქ. ელვა ნიავებორ მსწრაფელ შეწევნად მვედრთა, თქვენ მოწამე-

ლიპარ ანუ ლიპარიტ დადანი ორი იყო. პირველი გადაიტვალა 1470 წელს, მეორე 1512 წელს. ბარბარო კონტარინი თავის მოგზაურობაში 1474 წელს ქვეშ იხსენიებს მარებს, ბედიანის დას¹⁾. ჩვენის აზრით, ეს უნდა იყოს ჩვენ წარწერაში მოხსენებული მარები, ასული ლიპარიტისა. ყოველს შემთხვევაში ეს ასომთავრული წარწერა ისეთი ხასიათისაა, რომ მე-XV საუკუნის ადრინდელ დროს ვერ მივაწერტ.

ამავე ხატს აშიებზე მხედრულათ აწერია:

1) სამებით: . ერთობით: . დაუსაბამო: ღთხო: . მამო: სულა: ყოვლად: . წმიდანო: . ძეო: . მაცხოვარო: ჯვარცმამო: ხოფისამო: ჩვენ: თისა: შეხედილმან: . ტვირთ

2) მძიმემან: ცვა: ფარვათა: შენთა: მონდობილმან: ძემან: ჰატონისა: მანუჩარისამან: დადიანმან: ჰატონმან: ლევან: რამელმან: განვასხლეთ: სახე:

3) თქვენი ხატი: ესე: ჟამთა: ვითარებისაგან: მოშლილი: გაგიახლეთ: და: შევამკვირვით: თვალითა: და მარგალიტითა: ოქროს: გვირგვინითა: ახლად: დახატვითა: კიდები: და: . წინა

4) ფენგების: მოჭედითა: ოქროთ: დაფერვითა: გაგიახლეთ: ყოვლად: ჰატონისანი: ესე: მის კურთხე

5) ულისა: . თანა: მეცხედრისა: ჩვენისა: ჭილასძის: ასულის: დედოფლისა: ბატონის: ნესტან დარეჯანისა: . სულისა სახსრა

6) დ: და: სახად: ეჭა: ძეო: მაცხოვარო: იესოვ: მრავალთ: მოწყალეთ: მცირე: ესე: შესწირავი: შეიწირე:

7) ჩვენ: ცოდვილთა: ძღვენი: ესე: ნაცვალ: აგე: . მადლი: და: წყალობა: თქვენი: დაიცევ: . და: . იხსენ: . მისთა: . ცოდვათა: . და: სატანჯველთაგან: . ნათ

8) ად: ყავ: და: განუსვენე: . მას: . სამოთხესა: შინა: . სადა: . იგი: . დაულამებელი: . ნათელი: . არს: . დამკვიდრე: . სული: . კურთხეულისა: . დედოფლისა: . ბატონი

9) ს: ნესტან დარეჯანისა: . ამინ: . მოიჭედა: . და: . დაინატა: . ხატი: . ესე: . ჯვარცმისა: . ქუსა: . სამას: . ოცდა: . რვასა: .

¹⁾ H. G. II, 1, p. 646.

წარწერა ეკუთვნის დიდ ლეჟან მე-II დადიანს და ქორონიკონი უდრის 1640 წელს.

11. დასაკეცი ხატი მაცხოვრისა ოქროსი, რომელშიაც ინახება ქართველთათვის სათაუფანებელი განძი, ექლის ჯვარი თამარ მეფისა, 15,3×10,8 სანტ. ზედა პირზე წარმოდგენილია მაცხოვარი უფოვლთა მპყრობელი მკურთხეველის მარჯვენით. მარცხენა ხელში სხარება აქვს. ოქრო, რომლითაც შეკვდილია ეს ხატი, სვეადიანია, ღამაზათ მონუქურთმებულნი და შემკობილი ცვდაერთი ძვირფასი ქვით, სარდიონებით, ამეთვისტოებით, თერუზებით, საფირფრებით და იაკუნდებით. მეორე მხარე ხატისა უფრო შესანიშნავი ხელობის არის და კიდევ უფრო შესანიშნავი უფოვლა ძველად და ეხლა სანახევროდ გათუქვებულია. სვეადიანი ოქროს ზურგი ამ ნაწილისა შემკობილი უფოვლა ხუთი დიდი და ოთხი პატარა მილანქრიანი მედალიონით. დიდი მედალიონები სულ გათუქვებულია და ეხლა მათ ადგილზე წამლით დახატული სურათებია იმავე წმიდანებისა, ხოლო პატარა მედალიონები დაცულია, საუცხოო ტენიკის და ხელობის არის და შეიცავენ გამოხატულბას მუხი ღვთის-მშობლისა ზემოთ, ნიკოლოზ საკვირველთ მოქმედის მარცხნივ, წმიდა გიორგის მარჯვნივ და წმიდა დიმიტრის ქვემოთ. წარწერები ბერძნულია. დიდი მედალიონების წარწერები ასომთავრულია: **ԲՆ ՄԿ ՕՓԺՕՆՆԻ: ԲՆ ՎԻՎՕՄՆ: ՈՒՆՆԿՄԻՄՄՆ: ԲՆ ՎՆՆ: ԲՆ: ՄԿՐՐ: ՈՒՄԻՐ: ՄԿՕՆՆՆ: ԲՆ: ԿԿ: ԿՐՐԿՄՄՆ.**

შინა ნაწილში ამ დასაკეცი ხატისა თამარის ჯვარია ჩასვენებული განკეპ ჯვარის სახელ ჩაღრმავებულს უჯრატში, აქეთ-იქით ჯვარს იცვენ ანგელოზები სვეადით გამოხატულნი და ქვემოთ წინამდგომნი არიან წარმოდგენილნი: ღელა ღვთისა წარწერით **ՄԹ ՕՍ** და ითანე მახარობელი წარწერით: **ԲՆ ԿԿ ԿՐՆՆ.** წრეები თავისა ამით და ანგელოზებს შემკობილნი აქვთ წვრილი მარგალიტებით. მეორე პირზე შიგნით გამოხატული უფოვლა მაცხოვარი წელს-ზევითი ანგელოზებითურთ, მაგრამ სურათები ეხლა სულ გათუქვებულია და მარტო შარავანდედი მოჩანს.

თვით ჯვარი თამარისა, 7×4 სანტ., შესდგება ძვირფასი ქვე-

დილი. შუაში დუთის-მშობლის სახეა, რამეღსაც სამი ქვა უზის, ორი ფირუზი და ერთი იაკუნდი. ზემოთ მხედრულად აწერია:

1) ქ: ხოფის: ღთის მშობელა: ადიდე: ორ

2) თავე: შინა. ცხორებათა: ამის:

3) შემამკობელი: გურიელის შვილი: მალაქია: ვინც: შენდობა: ბრძანათ: თქვენცა:

4) შეგინდოს: ღმერთმან: ამინ:

მალაქია, ძე გურიელი გიორგის მე II-ისა († 1600), წინეთ იუფ ჯუმათელ-შემოქმედელ-ცაიშელი, შემდეგ 1616—1622 წლებში აფხაზეთის კათალიკოსად. მის შესახებ მოგვითხრობენ მრავალნი ცაიშის წარწერანი, რამელნიც ქვემოთ იქნებიან მოყვანილნი.

ქვემოთ სხვა ხელით, მხედრულათ:

1) ქ: რამელი: მამისკან: საღმრთოთა: ძალითა: სძლად: გა

2) მთირჩიე: და: ძისკან: მხოლოდ: შობილის: დედა: შეუვარებულა

3) დ: გამოსჩნდი: ფარვითა: ყოფლად: წმიდისა: სულისათა: შენ: უქო

4) რწინებელად: მშობელა: და: ქალწულებითა: დაცულა: მშობელა: მ

5) ეუფისა: დამსხნელისა: უსძლა: დედოფალა: მარამ: რამელი: უო

6) ველთა: ცოდვილთა: მეობი: ხარ: და: მარადის: შემწე: შენ: ჭეშმარი

7) ტად: შემძლებელა: ღვინებისა: საჩინო: სახელა: დიდო: უხრწნელა: მეობ: მხსნელ

8) სვენებელ: და: ცეცხლისა: და: სატანჯუელისკან: განმარინებელ: ექმენ: დედოფალსა: ნესტან დარე

9) ჯანს: ასულსა: ჭილაძისსა: რამელისა: საუკუნოსა: სახსენებლად: და: ცოდვათა: მისტუეებლად

10) შევამკვე: და: მოვაჭედინე: კვართის: კუბო: ესე: ვერცხლითა: ოქროთ: დაფერვითა: თვალითა: მარე

11) ალიტითა: მე: კელმწიფუმან: დადიანმან: ჰატრონმა: ლევან: მისთვის: საოხად: შეგიმკვეთ ყოფლითა

12) წმიდათ: ქრახინთა: უმაღლესთ: სერახინთა: უაღმატებულესთ: ქაღწუღთ: უღ: საგაღთ

13) ბეღთ: ღხინებათ: უოვეღთა: ქრისტანეთათ: შეისმინე: გვედრება ჩვენი: და: ისვენ: და: აცხოვნე: განუ

14) სვენე: და: აკურთხე: სული: დედოფლისა: ნესტან დარეჯანისა: და: დამგვიდრე: სასუფევეღსა: ამინ:

წარწერა ეკუთვნის დიდ ლევან მე-II დადიანს. მისი მეუღლე ნესტან-დარეჯან ჭიჭიძის ასული გადაიცვალა 1639 წელს. მასსადა-მე წარწერა გაკეთებულია 1639—1657 წლებს შუა.

